საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ქუთაისი
უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე

გამომცემლობა „მეცნიერება“ და „ქუთათისი“
თბილისი-ქუთაისი
1994

63.3 (2ს)
ქ 845

ქუთაისი საქართველოს უძველესი ქალაქთაგანია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ეს წიგნი ნარკვევების კრებულია, რომლებშიც ცნობილი ქართველი მეცნიერები წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე, საქართველოს ერთიანი ისტორიის ფონზე, განიხილავენ ქუთაისსა და მის კულტურულ მემკვიდრეობას უძველესი დროიდან ახ. წ. XIII ს-ის 60-იან წლებამდე: გეოგრაფიული გარემო, ქალაქის წარმოქმნა და მისი პირველმოხსენიება წერილობით წყაროებში, პოლიტიკური ისტორია, სოციალური სტრუქტურა და საქალაქო მმართველობა, მეურნეობა და ხელოსნური წარმოება, ვაჭრობა და ურთიერთობანი გარე სამყაროსთან, გარეგნული სახე და განშენიანება, კულტურა და ხელოვნება, მწერლობა და კიღევ მთელი წყება სხვა საკითხებისა წარმოდგენილი ამ წიგნში, რომელიც განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

წიგნი დაიბეჭდა ქალაქ ქუთაისის მერის ბ-ნ თეიმურაზ შაშიაშვილის უშუალო თანადგომით და ბაბრატბის ტაძრის კომპლექსის აღორძინების ფონდის დაფინანსებით, რისთვისაც კრებულის ავტორები დიდ მადლობას გამოთქვამენ.

ქ 0503020906 / M 607 (06) — 94 51—93

© გამომცემლობა „მეცნიერება“ და „ქუთათისი“ 1994

ISBN 5-520-01539-2

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. ჭუთაისის ქვეყანა: ისტორიის გეოგრაფიული ფონი

ქუთაისი დღევანდელ დასავლეთ საქართველოს შუაგულში მდებარეობს. იგი, როგორც დასახლებული პუნქტი, აღმოცენდა იქ, სადაც საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი და წყალუხვი მდინარე რიონი თავისი ვიწრო და ღრმა ხეობიდან ფართო ვაკეზე გამოდის. აქ უძველესი დროიდან საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულების დამაკავშირებელი გზები გადიოდა, რაც აქ წარმოქმნილი დასახლების განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობასაც აპირობებდა: მისი მდებარეობა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციების კონტროლის მარჯვე შესაძლებლობას ქმნიდა და უთუოდ ხელს უწყობდა ირგვლივ მდებარე ტერიტორიებზე ქუთაისის პოლიტიკურ დაწინაურებასაც, ხოლო დროთა განმავლობაში კი—მთელს დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზეც.

ქუთაისის, როგორც დასახლებული პუნქტის, ისტორია ორგანულადაა დაკავშირებული მის ირგვლივ მდებარე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიასთან, რომელთან ერთად ის იმ ერთიან ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს ქმნიდა, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში „ქვეყნის" სახელითაა ცნობილი[1]. საგულისხმოა, რომ ქუთაისის კავშირი ირგვლივ მდებარე ტერიტორიასთან და მისი მოწინავეობა უძველესი დროიდანაა წარმოჩენილი წერილობით წყაროებში. ჯერ კიდევ ძვ. წ. III ს-ის ბერძენი მეცნიერისა და პოეტის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" (რომელიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ძველ წყაროებზეა დაფუძნებული) გვხვდება ასეთი ცნებები: „კუტაიისის (ე. ი. ქუთაისის — ო. ლ.) ხმელეთი" (γαῖρσίο κυταιδος II, 399)

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 17 და შემდ.

და „კუტაიისის მხარე“ (κυταϊσῆς γῆς ταςης IV, 511)[2]. ქართულ წყაროებშიც არის ძალზე ნიშანდობლივი ტერმინი „ქუთაისის სამოქალაქო“: „მატიანე ქართლისას“ ცნობით, ბაგრატ IV-მ „მოიყენა ქ უ თ ა თ ი ს ი ს ა ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა დაშქარი“[3] ან მარტივად „სამოქალაქო“[4], რომელიც აგრეთვე ქუთაისის მხარეს გულისხმობს[5].

უეჭველია, რომ ამ ტერმინის („ქუთაისის სამოქალაქო“) ქვეშ ქალაქის პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქვემდებარებული ტერიტორია ანუ „ქვეყანა“ იგულისხმება[6]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან კი იხსენიება უკვე „ქუეყანა ქუთათისისა“[7]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბერძნულ წყაროებში (აპოლონის როდოსელის „არგონავტიკა“) დადასტურებული „ქუთაისის ხმელეთი“, „ქუთაისის მიწა“ და ქართული წყაროების „ქუთაისის სამოქალაქო“, „ქუთაისის ქვეყანა“ ძირითადად სინონიმური ცნებებია[8] და გულისხმობს ქუთაისსა და მის ირგვლივ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიას, რომელიც ბიზანტიურ წყაროებში მუხურისის[9] სახე-

---

[2] ა პ ო ლ ო ნ ი ო ს რ ო დ ო ს ე ლ ი, არგონავტიკა (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო აკ ურუშაძემ), თბ., 1970, გვ. 128—129, 276—277.

[3] „ქართლის ცხოვრება“ (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), I, თბ., 1955, გვ. 299.

[4] იხსენიებენ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 319), ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 367) და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ („ქართლის ცხოვრება“, II, თბ., 1959, გვ. 49).

[5] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ეგრისის სამეფოს წარჩინება, „შრომები“, II, თბ., 1956, გვ. 320—321.

[6] ნ. ბერძენიშვილის აზრით, „სამოქალაქო ქვეყანა“ წინაფეოდალური ხანის წარმონაქმნია, ხოლო ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება საციხისთავო „ქვეყნების“ განვითარებით აღინიშნება (დასახ. ნაშრომი, გვ. 20).

[7] „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 354; დავითი „შრავალგზის გვიხილავს დამალტობელად ღაწვთა თვისთა ცრემლითა ხილვასა ზედა თვითოთა სახეთა სერთა მიერ გახცდილთა-საძნაურთა, რომელი შეემთხუევიან მიუნდობელთა ამათ და უბადრუკთა ხორცითა, რომელთა ზრდის სხუათა უმეტეს ქ უ ე ყ ა ნ ა ქ უ თ ა თ ი ს ი ს ა“.

[8] „ქუთაისის სამოქალაქოსა“ და „ქუთაისის ქვეყნის“ ურთიერთთან მიმართების შესახებ შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 527 და შემდ., გვ. 532; „ქუთათისის სამოქალაქო“ არის იგივე, რაც „ქუთათისის ქვეყანა“.

ლით იხსენიება[10]. მისი საზღვრებია დასავლეთით მდინარე ცხენის-წყალი, აღმოსავლეთით სკანდ-შორაპნის სასაზღვრო ხაზი, სამხრეთით მდ. რიონი და ჩრდილოეთით ხვამლის მთისა და ნაქერალას ქედის ფერდობების ძირში გამავალი ხაზი[11].

ეს ტერიტორია ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საკუთრივ ქალაქი გორაკ-ბორცვიან ზონაში მდებარეობს, რომელიც ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მთაგორებში გადადის, ხოლო სამხრეთითა და დასავლეთით კოლხეთის ნაყოფიერი ვაკე-დაბლობია გაშლილი.

კლიმატის თვალსაზრისით, ქუთაისი და მისი შემოგარენი („ქვეყანა") დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ოლქშია განლაგებული. ჰავა ხასიათდება ნაადრევი გაზაფხულით, შედარებით მშრალი და ცხელი ზაფხულით, ხანმოკლე გვალვიანი პერიოდით, ზომიერად თბილი ზამთრით. ჰავის თავისებურებანი და საერთო ტემპერატურული რეჟიმი (კერძოდ, ჰაერის მაღალი ტემპერატურა გაზაფხულზე) ხელსაყრელი პირობაა მიწათმოქმედებისა და სოფლის მეურნეობის (საადრეო მეხილეობის და მებოსტნეობის, საერთოდ, მებაღეობა-მევენახეობის) განვითარებისათვის, რასაც ხელს უწყობდა ატმოსფერული ნალექების სიუხვე და მდინარეთა სიხშირეც, რომელთაც კვებავს ყინვარები, მიწისქვეშა წყლები, აგრეთვე თოვლისა და წვიმის უხვი ნალექები. მთავარი საწყლო არტერიაა მდ. რიონი, რომელსაც ქალაქისა და მისი შემოგარენის ფარგლებში ერთვის პატარა მდინარეები. აქვე გადის მდინარე წყალწითელა თავისი პატარა შენაკადებით. ქუთაისის ქვეყანაზე მოედინება ყვირილა, ოღასკურა ტყიბულა, ჰიშურა, გუბისწყალი... ეს მდინარეები უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სარწყავად, ხოლო ზოგიერთი კი (რიონის შუა

---

[9] იხ. პროკოპი კესარიელი, BG VIII, 1, 14, 16—17; BP II, 29 (=ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 2, თბ., 1965, გვ. 119, 197, 202, 205, 208, 211); აგათია სქოლასტიკოსი, II, 19, 22; III, 6, 7, 19, 28; IV, 9, 15 (=ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, თბ., 1936, გვ. 30, 41, 54, 56, 61, 123, 159).

[10] მოსაზრება „ქუთაისის ქვეყნისა" და პროკოპი კესარიელთან მოხსენებული მოხირისის იგივეობის შესახებ პირველად ს. ჯანაშიამ გამოთქვა (ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 320, 321); იხ. აგრეთვე, ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 471, 524, 527.

[11] დაწვრ. ო. ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან („შუხირისი"), მაცნე, ისტორიის... სერია, 4, 1974, გვ. 129—136.

„ქუთაისის ქვეყნის" სახელწოდების საკითხი უფრო დაწვრილებით ქვემოთაა განხილული იხ. გვ. 34 და შმდ.

წელი გეგუთამდე და ყვირილა) სანაოსნოდ და სატრანსპორტო საშუალებადაც.

მდინარეებთან ერთად ქუთაისის მიდამოები საკმაოდ მდიდარია წყაროებით, რომელთაგან ზოგიერთი მინერალურია და სახელგანთქმულია თავისი სამკურნალო თვისებებით.

ქუთაისი და მისი შემოგარენი ძალზე მდიდარი იყო ტყეებით. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი". ეს ტყეები (განსაკუთრებით აჯამეთისა) ნადირთ სიმრავლით გამოირჩეოდა. ამავე დროს ხე-ტყე უძველესი დროიდან ფართოდ გამოიყენებოდა კოლხეთში საშენ მასალად, აგრეთვე სათბობ-საწვავად. დიდ როლს ასრულებდა ამ თვალსაზრისით იგი მეტალურგიის განვითარებისთვისაც, რაც თვალსაჩინოდაა ასახული არქეოლოგიურ მონაპოვარშიც. კერამიკული წარმოების განვითარებისათვის კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თიხების სიმრავლეს ქუთაისის ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში.

ქუთაისის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მისმა ბუნებრივმა პირობებმა[12] უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ქალაქის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

2. ისტორიის წყაროები

ქუთაისის ისტორიის ამჯერად ჩვენთვის საინტერესო პერიოდის (ე. ი. უძველესი დროიდან 1260 წლამდე) შესახებ წყაროები არც ისე მრავალრიცხოვანია. არსებითად, მეტ-ნაკლებად ვრცელი წერილობითი ცნობები ქუთაისის შესახებ მხოლოდ IV ს-დან ჩნდება (ბიზანტიური წყაროები), ხოლო ქართულ წყაროებში კი — მხოლოდ VIII ს-დან. ამიტომ ქუთაისის უძველესი ისტორიის (ახ. წ. VI საუკუნემდე მაინც) რეკონსტრუქციისათვის უმთავრესი წყაროს არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს.

ა) ქუთაისისა და მისი ქვეყნის არქეოლოგიური შესწავლის მოკლე მიმოხილვა

ქუთაისისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური ძეგლებისადმი ინტერესი ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ჩნდება. XIX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში ქუთაისში იმოგზაურა შვეიცარიელ-

[12] ქუთაისისა და მისი ქვეყნის გეოგრაფიული დახასიათება დაწვრ. იხ. ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1989, გვ. 12—55 (და იქ დასახ. ლიტ.).

მა მეცნიერმა დიუბუა დე მონპერემ, რომელმაც დაგვიტოვა ქუთაისისა და მისი ციხის საკმაოდ საინტერესო აღწერილობა, დღესაც რომ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე ქუთაისის ციხის ცალკეული ნაწილების იდენტიფიკაციისათვის[13].

ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობა აღნიშნულია 1873 წელს კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების გახსნის დღეს ა. ბერჟეს მიერ კავკასიაში არქეოლოგიური კვლევა-ძიების პერსპექტივების შესახებ წარმოდგენილ მოხსენებაში[14].

ქუთაისში პირველი ნამდვილი არქეოლოგიური აღმოჩენის ავტორად უნდა ვაღიაროთ გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი, რომელსაც საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე (ყოფილი ბაღის, ამჟამად სევასტოპოლის ქუჩა) მიუკვლევია კერამიკული ფრაგმენტებისათვის და ისინი კერამიკული ქურის არსებობის მოწმობად მიიჩნია[15]. ამ აღმოჩენისა და ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის დიდი მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ გიორგი წერეთელმა მოახსენა სრულიად რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომას 1880 წლის 18 ნოემბერს[16]. აქვეა ინფორმაციაც დღევანდელ სოფელ ჭოგნარში ე. წ. „ნასაჯვარების“ ბორცვზე (ბარონ ლონგვილის მამულში) აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებზე[17] (რკინის ისრისპირები, ბრინჯაოს ზანზალაკი, ვაზის სასხლავი დანა, ქალცეტონისა და ლურჯი მინის მძივები, კერამიკა, რომელთა შორისაა ძვ. წ. VI

---

[13] Fr. Dubois de Montpereaux, Ooyage autour du Caucase I, Paris, 1839, გვ. 15 და შემდ,

[14] А. Берже, Кавказ в археологическом отношении, «Записки общества любителей Кавказской археологии», I. Тифлис, 1879, с. 17.

[15] შემდგომში (1963 წელს) ეს ადგილები შეამოწმა ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და იქ ძვ. წ. V—IV სს-ის მძლავრი კულტურული ფენების არსებობა დადასტურა.

[16] Г. Церетели. Заметки о курганах и раскопках по Рионской долине «Протоколы подготовительного комитета V археологического съезда в Гифлисе», Москва, 1882, с. 337.

[17] Т. И. Беленько. Дневник археологической раскопки на 95-й версте Поти-Тифлисской железной дороги, в близи р. Квирилы. «Протоколы» ..., с. 485-495..

ს-ის მეორე ნახევრის იონიური და აგრეთვე V ს-ის ატიკური შავლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები და სხვ.[18].

1914 წელს მდ. წყალწითელას ხეობაში საკაჟიასა და ორთვალა კლდის მღვიმეებში (თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანის მახლობლად) უცხოელმა არქეოლოგებმა რ. შმიტმა და ლ. კოზლოვსკიმ დაიწყეს ქვის ხანის ძეგლების თხრა[19]. შემდგომში გ. ნიორაძის მიერ 1936 და 1937 წლებში საკაჟიას მღვიმეში ჩატარებული გათხრებისას აღმოჩნდა ზედაპალეოლითის ეპოქის მძლავრი კულტურული ფენები[20]. წყალწითელას ხეობაში ქვის ხანის ძეგლები აღმოჩნდა ჭახათის ეხშიც[21]. უკანასკნელ წლებში მ. ნიორაძის ხელმძღვანელობით წყალწითელას ხეობაში ჩატარებული გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი და დადასტურებულია ქვის ხანის სხვადასხვა ეპოქის (აშელ-მუსტიე, ზედაპალეოლითი) ძეგლები[22].

ქუთაისის „ქვეყნის“ ტერიტორიაზე ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობისაა ცნობილი ქუთაისელი მხარეთმცოდნის პეტრე ჭაბუკიანის მიერ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ უბანში გორა თეთრამიწაზე 1924 წელს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები[23]. შემდგომმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ თეთრამიწა მრავალფენიანი ძეგლია, სადაც ადამიანის ცხოვრება ქვის

---

[18] ეს უადრესად საყურადღებო არქეოლოგიური მასალა ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, №№ 2476—2994.

[19] იხ. თ. ბუგიანიშვილი, ქვედა პალეოლითი, „საქართველოს არქეოლოგია“, (8 ტომად), I, თბ., 1991, გვ. 98.

[20] გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში, თბ., 1953.

[21] ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964.

[22] მ. ნიორაძე, ახალი აღმოჩენები საკაჟიას მღვიმეში, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე. 75, № 3, თბ., 1974, გვ. 749—752; მისივე, ახალი მონაცემები წყალწითელას პალეოლითის შესახებ, საქართველოს მეცნ; აკად. მოამბე, 78; № 2, თბ., 1975, გვ. 505—508; მისივე, ორთვალა მღვიმე, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, 84, № 2, თბ., 1976; გვ. 502—504; მისივე, მდ. წყალწითელას ხეობის ქვედაპალეოლითის დროის ზოგიერთი ღია სადგომის შესახებ, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, 196, № 1, თბ., 1979, გვ. 209—212; იხ. აგრეთვე, თ. ბუგიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98 და შემდ.; ნ. ბერძენიშვილი, მ. ნიორაძე, ზედა პალეოლითი, „საქართველოს არქეოლოგია“, I, გვ. 168 და შემდ.

[23] დაწერ. იხ. თ. ბუგიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81, შენიშვნა 21.

ხანის ერთ-ერთი ადრეული საფეხურიდან — მუსტიეს ეპოქიდან დაწყებული[24].

ქვის ხანისა (ზედა პალეოლითის) და აგრეთვე ენეოლით-აღრებრიონჯაოს ხანის ძალზე საყურადღებო მასალებია აღმოჩენილი წყალტუბოს მახლობლად ე. წ. თეთრ მღვიმეში[25].

ქუთაისსა და მის მიდამოებში ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები ძალზე დიდი მნიშვნელობისაა საერთოდ მთელს საქართველოში ადამიანის განსახლების ადრეული ეტაპის ისტორიისათვის.

საყურადღებო შედეგებია მიღწეული სხვა ეპოქების შესწავლის თვალსაზრისითაც. საკუთრივ ქალაქ ქუთაისისა და მისი ქვეყნის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური და საშუალო საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლთა შესწავლის შედეგები.

ქუთაისის „ქვეყნის“ არქეოლოგიური შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს მოსკოვის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიურ ექსპედიციის (ხელმძღვანელი ე. კრუპნოვი) სოფ. ჭოგნარში ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოები[26], რომლის დროს შეგროვდა ახ. წ. I ათასწლეულის კერამიკული ფრაგმენტები[27].

ქუთაისსა და მის მიდამოებში შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალები (მათ შორის ძვ. წ. VI—IV სს-ით დათარიღებულად სამაროვნის ნაშთები) აღნუსხა და 1941 წელს გამოაქვეყნა მ. ივაშჩენკომ[28].

---

[24] დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნებიერიძე, საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური“ ძეგლის დათარიღებისათვის, „მაცნე“, № 4, თბ., 1971, გვ. 76—83; ნ. ბერძენიშვილი, ქვედაპალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, VI, თბ., 1974, გვ. 3—21.

[25] А. Н. Каландадзе, К. С. Каландадзе. Белая пещера. «Археологические исследования на новостройках Грузинской ССР», Тб., 1976, с. 83-90; техже авторов, Древнейшие металлические оружия из пещеры «Тетри Мгвиме». «Археологические исследования на новостройках Грузинской ССР», 2, Тб., 1982, с. 5-12.

[26] Е. Крупнов. «Советская этнография», д. 3-4, Москва, 1934, с. 108-109.

[27] ეს მასალები ამჟამად მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული.

[28] М. М. Иващенко. Материалы к изучению культуры колхов, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, II, თბ., 1941, გვ. 38 და შემდ.

1951 წელს ბორის კუფტინის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა სამარშრუტო ექსპედიციამ პეტრე ჭაბუკიანის მითითების საფუძველზე დაზვერა ქუთაისის მახლობლად ს. ბანოჯაში აღრერკინის ხანის ნამოსახლარი.[29]

1960 წელს ქუთაისის მიდამოები ისტორიულ-გეოგრაფიული თვალთახედვით მოიხილა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა, რომელმაც აღნუსხა უძველესი სამოსახლო ბორცვები ე. წ. „გორაკები" (ჯიხაიშში, პატრიკეთში, ტყაჩირში და სხვ.), გამოთქვა უაღრესად საინტერესო მოსაზრებანი მათი ფუნქციისა და ტოპოგრაფიის შესახებ[30].

1963—1965 წლებში ქ. ქუთაისსა და მის მდამოებში ფართო სადაზვერვო სამუშაოები და მცირე საცდელი თხრები (ქუთაისის ციხეზე, სოფ. ჭოგნარში „ფარნალის გორასა" და „ნარაჯვარების ბორცვზე", ბანოჯაში) განახორციელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ, რომელმაც აღნუსხა აგრეთვე ყველა ხელმისაწვდომი შემთხვევითი აღმოჩენაც და შეადგინა ქუთაისის ქვეყნის არქეოლოგიური რუკა (ამჟამად გამოფენილია ქუთაისის სახელმწიფო-ისტორიულ მუზეუმში[31].

ქუთაისის ქვეყნის უძველესი ისტორიისათვის მეტად საყურად-

---

[29] მოპოვებული არქეოლოგიური მასალები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. იხ.: ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 42, შენიშვნა 7.

[30] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 448 და შემდ. ამ ნაშრომში მრავალი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ამა თუ იმ ძეგლის ხასიათის შესახებ, აგრეთვე, ტოპონიმიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე. იხ., გეოგრაფიულ სახელში კასტრი იხ. გებაწყალზე ნ. ბერძენიშვილი ხელავს რომაულ-ბიზანტიური საველე-სამხედრო ბანაკის („კასტრუმ") ნაკვალევს და ამას არქეოლოგიური დაკვირვებაც ასაბუთებს (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 449, 454, 461—462, 368).

[31] ექსპედიციის წინასწარი მოკლე ანგარიშები იხ. სამეცნიერო სესია მიძღვნილი საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოხსენებათა ანოტაციები), 1963, გვ. 26—30 1964 წ. გვ. 27—29 1965, წ. გვ. 19—21; აგრეთვე, ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 41—44; ლ. ს ა ხ ა რ ო ვ ა, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკა ქუთაისის მიდამოებიდან მაცნე; № 4; 1970, გვ. 87—92; ექსპედიციის მიერ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებზე დაიწერა 2 საკანდიდატო დისერტაცია, იხ.: О. И. Ланчава (автореферат кандидатской диссертации, Тб., 1975; Л. Б. Джикия; Археологические памятники Кутаисской земли (автореферат диссертации). Тб., 1979.

ღებო მასალაა მოპოვებული სოფ. პატრიკეთის მიდამოებში ვ. კაფიარიძის ხელმძღვანელობით 1977 წ. განხორციელებული სამუშაოებისას. საკუთრივ გორაკზე აღმოჩნდა ამ რეგიონისათვის ჯერჯერობით უძველესი — ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების — კერამიკა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მძლავრი კულტურული ფენები. ლაზიკის სამეფოს დროინდელი კულტურის ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანია იქვე, პატრიკეთში „გორიკის" მახლობლად V-VI სს-ის აბანოსა და სხვა ნაშთების აღმოჩენა[32].

ქუთაისისა და მისი მიდამოების გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა განახლდა 1984 წლიდან და მას ახორციელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია. არქეოლოგიური სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს როგორც საკუთრივ ქალაქ ქუთაისში, ასევე მის შემოგარენში (გეგუთპატრიკეთის მიდამოებში). ქალაქ ქუთაისის ისტორიისათვის განსაკუთრებით დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა „უქიმერიონის ციხესა" და ე. წ. გაბაშვილის გორაზე აღმოჩენილი ძვ. წ. VIII—VII და VI—V სს-ის ვრცელ ნამოსახლართა ნაშთები, ხოლო საკუთრივ ციხის ტერიტორიაზე — ახ. წ. IV და შემდგომი საუკუნეების (გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით) საფორტიფიკაციო ნაგებობანი (გალავნის კედლები, კოშკები, „ცოტა კარი"), სასახლის, აბანოს წყალგაყვანილობისა და სხვ. ნაშთები, მათ შორის მძლავრი კულტურული ფენები, რომლებიც შეიცავენ სამშენებლო, სამეურნეო, სუფრის, სამზარეულო კერამიკას, მონეტებს და სხვ.,[33] რაც უაღრესად დიდმნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე ხელოსნური წარმოებისა და სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიისათვის. მთლიანად კი ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის უკანასკნელი წლების მონაპოვარი სრუ-

---

[32] В. Джапаридзе и др. Археологические разведки и раскопки в зоне строительства Варцихской ГЭС, «Полевые археологические исследования в 1977 г.», Тб., 1980, с. 251-262.

[33] ო. ლანჩავა, „დიდი ქუთათისი" (ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე), „ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები", V, ქუთაისი, 1988, გვ. 5-24; ო თ. ლორთქიფანიძე, ო. ლანჩავა, ქუთაისის ისტორიის პრობლემები ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე, კრებულში: „დავით აღმაშენებელი", თბ., 1990, გვ. 45—54; გათხრების ყოველწლიური წინასწარი მოკლე ანგარიშები (ო. ლანჩავას და ექსპედიციის წევრთა ავტორებით) იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პუბლიკაციაში: „Полевые археологические исследования".

ლიად ახლებურად აშუქებს ქუთაისის მხარის უცნობი, განსაკუთრებით ახ. წ. IV—VIII სს-ის ისტორიის მრავალ ასპექტს და ამ ქალაქის როლსა და მნიშვნელობას ჯერ ლაზიკის სამეფოს, ხოლო შემდეგ „აფხაზთა სამეფოს“ ისტორიაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ამ პერიოდის ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი უმნიშვნელოვანესი წყაროა საერთოდ ადრესაშუალო საუკუნეების საქართველოს საქალაქო ცხოვრების ისტორიისათვის.

1987—1989 წლებში ძვ. წ. I ათასწლეულის მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა მოიპოვა აგრეთვე წყალტუბოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კ. კალანდაძის ხელმძღვანელობით სოფ. საყულიაში[3].

თუ მოკლედ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შეიძლება ითქვას შემდეგი:

ქუთაისსა და მისი „ქვეყნის“ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვებისას, აგრეთვე, მიწის სამუშაოებისას შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა უთუოდ დიდმნიშვნელოვანი წყაროა ქუთაისის ისტორიისათვის. სამწუხაროდ, ამ არქეოლოგიურ მონაპოვარში ჯერ კიდევ არაა ყველა ეპოქა წარმოდგენილი. კერძოდ, ძალზე მცირერიცხოვანია მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისა და ადრეული საფეხურის მასალები, თითქმის სრულებით არაფერი გვაქვს ე. წ. ადრე-და შუაბრინჯაოს ეპოქებიდან, მცირერიცხოვანია გვიანელინისტური ხანის მასალები და თითქმის არაფერია ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან; სამაგიეროდ მრავალფეროვანია ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, რომელნიც ასახავენ ქუთაისსა და მის მიდამოებში ადამიანთა თავდაპირველი განსახლების უაღრესად საინტერესო პროცესს. ასევე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია გვიანბრინჯაოსა და განსაკუთრებით ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, რომელნიც წარმოაჩენენ ქუთაისისა და მისი ქვეყნის სამეურნეო ათვისების, მსხვილი დასახლებებისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რთულ პროცესს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და, განსაკუთრებით, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ძვ. წ. VI—IV სს-ის არქეოლოგიურ ძეგლებში წარმოდგენილია აგრეთვე ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო კონტაქტების ამსახველი მასალები. ძვ. წ. IV—III სს-ის ქვევრსამარხებში, რომელნიც აგრე მრავლადაა აღმოჩენილი მთელ

[3] К. Каландадзе, Новые данные о жилых холмах центральной Колхиды, Тбилиси. 1990 (Препринт.).

ქუთაისის ქვეყნის ტერიტორიაზე, ასახულია ეთნოკულტურული ინოვაციები ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში ადრეელინისტური ხანიდან და ა. შ. განსაკუთრებით მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია საშუალო საუკუნეების ყველა ეპოქის ძეგლები, ისინი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ქუთაისის გარეგნული სახ-ს, საფორტიფიკაციო სისტემის, ეკონომიკის ცალკეული დარგების (ბელოსნობა და საშინაო ვაჭრობა), უცხო ქვეყნებთან კონტაქტების, მატერიალური კულტურისა და ხელოვნების შესახებ. ამიტომ არქეოლოგიური ძეგლები ძველი და საშუალო საუკუნეების ქუთაისის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ უნდა ვაღიაროთ, მით უფრო, რომ მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და კიდევ მრავალი სიახლის მომცემი არქეოლოგიური აღმოჩენაა მოსალოდნელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების ინტერპრეტაციული შესაძლებლობანიც, კერძოდ, არქეოლოგიური არტეფაქტების სოციოლოგიური ატრიბუციის სფეროები.

ბ) წერილობითი წყაროები

ქუთაისის უძველესი ისტორიისათვის წერილობითი წყაროები თითქმის არ მოგვეპოვება. ივარაუდება, რომ ქუთაისთან უნდა გავაიგივოთ ელინისტური ხანის ბერძნულ მწერლობაში (კალიმაქე კვირენელი, „მიზეზები“, 1,7,25[35] ლიკოფრონ ქალკიდელი, „ალექსანდრა“, ტ. 173[36]; აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, 11,399; II, 1267; IV, 511)[37] მოხსენიებული „ქალაქი კუტაია“ (Κυταία πόλις), რომელიც კოლხეთის მეფის რეზიდენციად და, მაშასადამე, სახელმწიფოს დედაქალაქადაა წარმოდგენილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასახელებულ ავტორებთან „კუტაიას“ მოხსენიება კოლხეთის დედაქალაქად უფრო ძველი წყაროებიდან მომდინარეობს და, შესაბამისად, ელინისტურ ხანაზე უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავს (ამ თვალსაზრისით ბერძნულ წყაროებში ქუთაისის

---

[35] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1980, გვ. 107, 190.

[36] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების..., IV, გვ. 49.

[37] აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“ (ა. ურუშაძის გამოც.), გვ. 129, 173, 277.

პირველმოხსენიების საკითხს ჩვენ ქვემოთ შეძლებისდაგვარად უფრო დაწვრილებით შევეხებით).

გვიანელინისტური ხანის ბერძნულსა და შემდეგ რომაული ხანის ბერძნულ და ლათინურენოვან მწერლობაში ქუთაისი (თუ „ქუტაია") თითქოს აღარ იხსენიება[38], თუ არ ჩავთვლით გვიანანტიკური ხანის ფსევდოორფევსის (ანუ ე. წ. ორფიკულ) „არგონავტიკას",[39] რომელიც ძირითადად აპოლონიოს როდოსელის ნაწარმოებზეა დაფუძნებული.

ამის შემდგომ ქუთაისი მხოლოდ ახ. წ. VI საუკუნეში მოიხსენიება ბიზანტიასა და ირანს შორის დასავლეთ საქართველოს (ლაზიკის) ტერიტორიაზე მიმდინარე დიდი ომიანობის აღწერასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსისა და დიპლომატის პროკოპი კესარიელის თხზულებანი („ომი სპარსელებთან", „ომი გუთებთან")[40]. აღსანიშნავია, რომ პროკოპი კესარიელი პირველია, ვინც სწორედ დღევანდელ ქუთაისის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქი (რომელსაც ის იხსენიებს ასახელწოდებით „ქუთათისი" — „Κυτατῆσιν") აიეტის სატახტო ქალაქთან გააიგივა[41]. იგივე ავტორი ქუთაისის მახლობლად პირველად იხსენიებს „მეტად ბაგარ ციხეს, სახელად უქიმერიონს"[42], (თუმცა ამ უკანასკნელის ლოკალიზაციისა და ქუთაისთან მისი მი-

---

[38] მხოლოდ სტრაბონის „გეოგრაფიაშია" (I, 2, 39) დამოწმებული კალიმაქე კვირენელის „აიეტ კეიტაიელის" მოხსენიება (იხ. აგრეთვე თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1980, გვ. 97—98. VI ს-ის ბიზანტიული ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის მტკიცებით, თითქოს ქუთაისს იხსენიებდა არიანე (რომაელი მოხელე, რომელმაც იმპერატორ ადრიანეს დავალებით ახ. წ. 134 წელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმოგზაურა და მისი შეღეგები აღწერა თავის ცნობილ „პერიპლუსში"). თუ პროკოპი კესარიელის ცნობა სიწმინდეილეს შეეფერება, უნდა ვიფარაუდოთ, რომ არიანე ქუთაისს მოიხსენებდა მის ჩვენამდე არმოღწეულ თხზულებაში, როგორიც იყო, მაგ., „ალანთა ისტორია" ან სხვა (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შეხახებ, V. თბ., 1986, გვ. 126—127).

[39] შდრ. ორფიკული „არგონავტიკა" (ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნ. მელაშვილმა), თბ., 1977, გვ. 110:

[40] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, 2, გვ. 38 და შემდ.

[41] შდრ. პროკოპი კესარიელი, „ომი გუთებთან", VIII, 14 (= ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრიკა, II, გვ. 194 და შემდ.).

[42] „ომი გუთებთან", VIII, 4, 16 (= ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 196, 199 და შემდ.).

მართების შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა)[43].

ქუთაისს იხსენიებს და მის შესახებ საინტერესო ცნობებს (აგრეთვე ბიზანტია-ირანის ომთან კონტექსტში) გვაწვდის VI ს-ის სხვა ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი, რომლის თხზულება „იუსტინიანეს მეფობისათვის“ (ფაქტობრივად პროკოპი კესარიელის „ისტორიის“ გაგრძელება) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა VI ს-ის საქართველოს ისტორიისათვის[44].

უცხო წყაროებიდან უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე VII ს-ში ლათინურ ენაზე შედგენილი უცნობი რავენელი ავტორის „კოსმოგრაფია“, სადაც იხსენიება სადგური Cotaisin[45], რომელიც ქუთაისთანაა გაიგივებული, თუმც ძნელი სათქმელია, თუ როდინდელი ვითარებაა აქ წარმოდგენილი[46].

ქართულ საისტორიო წყაროებში ქუთაისი VIII ს-დან იხსენიება*. ქართული ნარატიული წერილობითი წყაროებიდან ამდროინდელი ქუთაისის შესახებ რამდენიმე ცნობაა დაცული ჯუანშერის ავტორობით ცნობილ თხზულებაში „ცხოვრება მეფის ვახტანგისი“[47], XI საუკუნის ანონიმის თხზულებაში „პატიანე ქართლისაი“[48], დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის[49], თამარის ისტორიკოსის ნაწარმოებში[50], ჟამთააღმწერელთან (ე. წ. „ასწლოვანი ისტორია)[51]. მართალია, რო-

---

[43] შდრ. მაგ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 116 და შემდ.

[44] С. Т. Еремян. Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов по Tabula Peutengeriana. «Вестник древней истории», № 1, Москва, 1939; с. 94.

[45] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, с. 442.

[46] ფიქრობენ, რომ VII ს-ში შედგენილი რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფია“, ისევე როგორც IV ს-ის მეორე ნახევარში შექმნილი რომაელი გეოგრაფოსის კასტორიოსის საგზაო რუკა (ე. წ. Tabula Peutengeriana) ძირითადად ახ. წ. I—II საუკუნეების პირველწყაროებზეა დაფუძნებული, მაგრამ კასტორიოსის რუკაზე ქუთაისი აღნიშნული არაა — შდრ. ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, საქართველოს მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, IV, 1, თბ., 1958, გვ. 99—118.

[47] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი უველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

[48] იქვე.

[49] იქვე.

[50] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.

[51] იქვე.

* ქართული წყაროების მიმოხილვა ეკუთვნის მარიამ ლორთქიფანიძეს.

გორც ჯუანშერის ავტორობით ცნობილი თხზულება, ასევე ანონიმის „მატიანე ქართლისაი“ XI საუკუნით თარიღდება, მაგრამ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ვისარგებლოთ მათი ცნობებით საკუთრივ VIII—X საუკუნეების მოვლენების გასაშუქებლადაც.

ჯუანშერის ავტორებით ცნობილი „ვახტანგ გორგასლის ისტორია“ საერთოდ, როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის, და საკუთრივ VII—XIII საუკუნეების მოვლენებისათვის, თანდათან სულ უფრო მეტ ნდობას იმსახურებს. ჩვენ ახლა არ ვაპირებთ ამ თხზულების წყაროთმცოდნეობით ანალიზს, და ეს არც არის ამჯერად ჩვენი კვლევის საგანი, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ციხე-გოჯის (არქეოპოლისი, ნოქალაქევი) არქეოლოგიურმა გათხრებმა და შესწავლამ უცილობლად დაადასტურა ამ წყაროს ცნობები საკუთრივ ციხე-გოჯის განაშენიანებისა და მისი „სამზღუდიანობის“ შესახებ[52]. აღნიშნული და აგრეთვე უკანასკნელ წლებში საკითხის სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული ზოგი მოსაზრება ჯუანშერის ავტორობით ცნობილი საისტორიო თხზულების შესახებ ნდობას მატებს მითითებულ საისტორიო ნაწარმოებში დაცულ ცნობებს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის შესახებ.

რაც შეეხება ანონიმურ თხზულებას „მატიანე ქართლისაჲ“, როგორც ცნობილია, ეს წყარო საერთოდ იმსახურებს დიდ ნდობას. ამ ანონიმური წყაროს ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება VIII და X საუკუნეების ქუთაისის ისტორიისათვის. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ეს ცნობები ძალიან მოკლე, ლაკონიური და სქემატურია.

ქართული წერილობითი ნარატიული წყაროებიდან აღნიშნული ხანის ქუთაისის ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები აქვს ვახუშტი ბაგრატიონს[53]. როგორც ჩანს, ვახუშტი ბაგრატიონი (ამ ნაწილში, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიც) „ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლის თხზულებებს ეყრდნობოდა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში აქვს „ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლის თხზულებებისაგან განსხვავებული, კონკრეტული ხასიათის ცნობებიც. თუ ქუთაი-

---

[52] იხ. ნოქალაქევი—არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, I, 1977 წ. და სხვა „ანგარიშები“.

[53] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

სის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა და-დასტურებს ვახუშტი ბაგრატიონის ზოგ ცნობას (როგორც ჩანს, ზოგი რამ ნაწილობრივ უკვე დადასტურდა კიდეც), მაშინ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს, ამ საკითხებთან დაკავშირებით, მნიშვნელობა ემატება და მისი მონაცემებით სარგებლობა უფრო თავისუფლად იქნება შესაძლებელი. არაა გამორიცხული, რომ ვახუშტი ბაგრატიონს, ჩვენთვის ცნობილი წყაროების გარდა (ამ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით), სხვა უცნობი მასალაც ჰქონდა ხელთ.

არამცირედი მნიშვნელობა აქვს აგიოგრაფიული თხზულებების (განსაკუთრებით იოანე საბანისძის „აბო თბილელის მარტვილობის"[54], ანონიმი ავტორის „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის"[55]) პირდაპირ თუ არაპირდაპირ მითითებებს ქუთაისის ისტორიისათვის. სამწუხაროდ, სხვა თხრობითი წყაროები ამდროინდელი ქუთაისის ისტორიისათვის ჩვენ ხელთ არა გვაქვს.

ქუთაისის ისტორიისათვის ჩვენთვის საინტერესო ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ეპიგრაფიკული მასალა, ქუთაისის, ბაგრატის ტაძარსა და ქალაქის შემოგარენში არსებული სხვა ნაგებობების წარწერები[56], დოკუმენტური წყაროები[57], ნუმიზმატიკის მონაცემები[58].

დიდ იმედებს ვამყარებთ ქუთაისში მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებზე. გათხრების შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია[59].

---

[54] იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1964.

[55] იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. უყბანიშვილის მიერ, თბ., 1946.

[56] ლაპიდარული წარწერები. დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. II, IX—XIII სს. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

[57] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1966; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984.

[58] თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1955; თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966; И. Джалагания, Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XII веков. Тб., 1979; Е. Пахомов, Монеты Грузии, и др.

[59] ო. ლანჩავა, „დიდი ქუთათისი" (ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე), იხ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, კრებული V, ქუთაისი, 1988.

3. ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

ქუთაისის ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდი (უძველესი დროიდან XIII ს-ის შუა ხანებამდე) აქამდე მონოგრაფიულად შესწავლილი არ ყოფილა, რაც პირველ რიგში წყაროების სიმწირით აიხსნება. თუმც არსებობს განმაზოგადებელი ნაშრომები, სადაც წარმოდგენილია ქუთაისის ერთიანი ისტორია უძველესი დროიდან. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვლ. ჩაკვეტაძის[60], აგრეთვე ვ. ჯაოშვილისა[61] და გ. გაბუნიას ნაშრომები[62]. მიუხედავად წყაროების სიმწირისა, ქართულ სამეცნიერო საისტორიო ლიტერატურაში მუდამ შეიმჩნეოდა დიდი ინტერესი ქუთაისის ძველი ისტორიის ცალკეული პერიოდებისადმი და მოვლენებისადმი. ამ დიდი ისტორიული პერიოდის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: 1. უძველესი ისტორიის (ახ. წ. IV საუკუნემდე), 2. ლაზიკის სამეფოს დროინდელი (ახ. წ. IV—VII სს.) და 3. VIII—XII სს-ის (ე. ი. იმ პერიოდის, როდესაც ქუთაისი ჯერ დასავლეთ საქართველოს, შემდეგ ერთიანი საქართველოს დედაქალაქია და მისი შემდგომი ხანის) შესახებ.

პირველ ჯგუფში, ე. ი. უძველესი დროიდან ახ. წ. IV საუკუნემდე, ქუთაისის შესახებ ძირითადად არქეოლოგიური ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურაა. მათი ერთი ნაწილი უკვე დასახელდა ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის განხილვისას. ამის გარდა უნდა აღინიშნოს დ. ქორიძის მონოგრაფია კოლხური კულტურის ძეგლების შესახებ, სადაც წარმოდგენილია ბრინჯაოს სამეურნეო იარაღთა განძები ქუთაისის ქვეყნიდან[63].

ქუთაისისა და მისი ქვეყნის ძველი ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე უაღრესად საყურადღებო დებულებებია წამოყენებული ნ. ბერძენიშვილის უკვე ხსენებულ „ისტორიულ-გეოგრაფიულ დღიურებში“[64].

---

[60] ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 17 და შემდ.

[61] ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი (ეკონომიკურ-გეგრაფიული მიმოხილვა), თბ., 1989 (მეორე გამოცემა), გვ. 55 და შემდ.

[62] გ. გაბუნია, ქუთაისის ისტორიული წარსულიდან, „ძველი და ახალი ქუთაისი“ თბ., 1973, გვ. 3 და შემდ.

[63] დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 14, 23—24.

[64] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 448, 450 და შემდ. 542, 456 და შემდ. 461, 522 და შემდ.

ქუთაისის უძველესი ისტორიის საკითხებს (ძირითადად არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე) მიეძღვნა ო. ლანჩავას უკვე ხსენებული სადისერტაციო თხზულება და სხვა ნაშრომები[65]. ძვ. წ. I ათასწლეულის ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლები და მასთან ერთად ამ პერიოდის ისტორიის ზოგიერთი საკითხი განხილულია ლ. ჯიქიას უკვე ზემოხსენებულ სადისერტაციო ნაშრომსა და სხვა პუბლიკაციებში[66].

ქუთაისის ძველი ისტორიის საკითხების კვლევის ასპექტში ძალზე მნიშვნელოვანია ბერძნულ წყაროებში ქუთაისის მოხსენიებასთან დაკავშირებით ა. ურუშაძისა[67] და თ. ყაუხჩიშვილის[68] გამოთქმული მოსაზრებანი. წყაროებში ქუთაისის პირველ მოხსენიების უაღრესად რთული საკითხის ირგვლივ გამოქვეყნდა საგანგებო ნაშრომებიც, თუმც ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავებული მიდგომით და თვალსაზრისით[69].

---

[65] თ. ლანჩავა, ქუთაისის ძველი ისტორიისათვის, თბ., 1975.

[66] ლ. ჯიქია, ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში (კვევრსამარხები), ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, II, თბ., 1971, გვ. 22—28; მისივე, ქუთაისისა და მისი ქვეყნის არქეოლოგიური რუკა, „ძეგლის მეგობარი, 46, თბ., 1977, გვ. 26—30; მისივე, გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ძეგლები ქუთაისის მუზეუმიდან, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, III, თბ., 1978, გვ. 143—175; მისივე, ქუთაისის მიდამოების ქვევრსამარხები, „ქუთაისის მუზეუმის მასალები, IV, თბ., 1984, გვ. 60—77; მისივე, ბრინჯაოს სამეურნეო იარაღები ქუთაისის მუზეუმიდან, ქუთაისის... მუზეუმის მასალები, V, ქუთაისი, 1988, გვ. 23—50.

[67] ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 493—494.

[68] თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 34; მისივე, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 19, 23—24, 59, 85.

[69] ერთნი ქუთაისის პირველ მოხსენიებას მიკენური ხანით (ძვ. წ. XV ს-ით) ათარიღებენ (იხ. გ. გაბუნია, ქუთაისის ისტორიული წარსულიდან, გვ. 7 და იქ დასახელებული ა. ურუშაძის, ლ. სანიკიძის, სიმ. ყაუხჩიშვილის და სხვ. საგაზეთო წერილები), სხვები კი უფრო გვიანი ხანით: შდრ. მ. ინაძე, პირველი ცნობები ქალაქ კვიტაიას შესახებ, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1984, გვ. 152—161; О. Д. Лордкипанидзе, К вопросу о первом упоминании города Кутаиси в письменных источниках, «Местные этнополитические объединения Причерноморья в VII-IV вв. до н. э. (Материалы IV симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо-Вани, 1985), Тб., 1988, с. 150-175.

ქუთაისის ძველი ისტორიის საკითხების კვლევისას გასათვალისწინებელია მისი სახელწოდების წარმომავლობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანიც. ლინგვისტების მტკიცებით, ტოპონიმი „ქუთაისი“ საერთო ქართველური ენის დონეზეა წარმოქმნილი[70]. რამდენადაც ამ საკითხებზე პროფესიონალური მსჯელობა ლინგვისტების კომპეტენციაა, შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ სემანტიკური ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ქუთაისის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ აზრთა სრული სხვადასხვაობაა[71].

ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ლაზიკის სამეფოს დროინდელი ქუთაისის (ე. ი. IV—VII სს.) შესახებ. აქ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ბიზანტიასა და ირანს შორის ლაზიკაში წარმოებული ომისა და ქუთაისის როლზე

---

[70] Ал. Ониани, З. Сарджвеладзе. Против извращения вопросов грузинской топонимики, მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), № 3, თბ., 1971, გვ. 173—174.

[71] ქუთაისის სახელწოდების წარმომავლობის საკითხი და მის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი განხილული აქვს გ. ჟორდანიას, რომელსაც ტოპონიმი „ქუთაისი“ ადამიანის ხურიტული სახელიდან თუ გვარ-სახელიდან მომდინარე მიაჩნია (დაწვრ. გ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, მეხუთელნი, თბ., 1956, გვ. 168—174); ნ. ბალანჩივაძის აზრით, „ქუთაისი საკუთარი სახელის ქუთათი-ს ელინიზირებული ფორმა უნდა იყოს“ (გაზეთი „ქუთაისი“, 1984 წ. 11 ნოემბერი); გ. გაბუნიას აზრით, სახელწოდება ორი სხვადასხვა სახელის („ქუთ—აია“) შერწყმის შედეგი უნდა იყოს (დასახ. ნაშრომი, გვ. 15, 23), რ. გორდეზიანის მტკიცებით: „ქართულ კუტაიასა და კრეტულ კუტაიონს შორის კავშირი დიდი ხანია შენიშნულია. კუტაიონ წინაბერძნული ჩამჩის, ბუტკის მნიშვნელობის კუტ-ფუძის შემცველი აპელატივების გათვალისწინებით შეიძლება აღნიშნავდეს გამოცარიელებულ ადგილს მთებს შორის. თუკი გავითვალისწინებთ ქართველურ ენებში ფუძე ქუთ-ის მნიშვნელობას (დიალ. გამო-ქუთ-ვ-ნა, „გოგრის გულის გამოღება“, ქუთუთო და ა. შ.) შეიძლება ქართველური ტოპონიმის შემცველი ფუძისათვის იგივე სემანტიკა ვივარაუდოთ“ (რ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985, გვ. 117—118); ვ. ჯაოშვილი კი იზიარებს ადრევე დ. მელვინეთუხუცესისშვილის; ვ. ჩაკვეტაძის და სხვ. მოსაზრებას ქალაქის სახელწოდების კავშირს მის ადგილმდებარეობასთან: სახელის ფუძეში უნდა იყოს „ქვა“ (მეგრულ დიალექტში „ქუა“)— ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56—57.

ივ. ჯავახიშვილის[72], ს. ჯანაშიას[73], ს. ყაუხჩიშვილის[74], ნ. ბერძენიშვილის[75] ფრიად მნიშვნელოვანი დებულებანი.

VIII—XIII ს. პირველი ნახევრის ქუთაისის შესახებ* მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ს. ჯანაშიას[76], ნ. ბერძენიშვილს[77], პაულე ინგოროყვას[78], დავით მუსხელიშვილს[79]. მათი კვლევა და მოსაზრებანი უმთავრესად ქუთაისის ხელახალი აღზევების, მისი ჭართლის ერისმთავართა (მეფეთა) რეზიდენციად და დასავლეთ საქართველოს დედაქალაქად ხელახლად აღზევებასა და ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსების თუ გადმოტანის საკითხებს ეხება (ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა).

საინტერესო ფაქტები აქვს ამ ეპოქის ქუთაისის განაშენიანების, მისი გარეგნული სახის, ციხის, სასახლის, ხიდის აგების შესახებ პ. იოსელიანს[80]. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში მასზე დაყრდნობა ძნელია, რადგან ავტორი, როგორც წესი, არ იძლევა მითითებებს წყაროებზე.

ქუთაისის ისტორიის შესახებ არსებულ ნაშრომთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ვ. ჩაკვეტაძის წიგნი[81]. დიდი ადგილი აქვს დათმო-

---

[72] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 256, 275—276, 418, 421.

[73] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 51. შემდ. ამ ნაშრომში განხილულია საერთოდ III ს-ის ლაზიკის ისტორიის საკითხები; იხ. აგრეთვე, მისივე, ეგრისის სამეფოს წარმოშობა—შრომები, II, თბ., 1952, გვ. 320—321.

[74] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, 2, გვ. 195-196, შენიშვნა 7; გეორგიკა, 3, გვ.

[75] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ 475 და შემდ.

[76] იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბ., 1949; II, 1952.

[77] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში; იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966; საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975.

[78] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

[79] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980.

[80] П. И о с е л и а н и, Города существующие и существовавшие в Грузии; Тифлис, 1850.

[81] ვ. ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960.

* ისტორიოგრაფიული მიმოხილვის ეს ნაწილი ეკუთვნის მ. ლორთქიფანიძეს.

ბილი ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ისტორიას. ავტორს საქმის ცოდნით აქვს გამოყენებული საკითხის შესახებ არსებული წყაროები და ლიტერატურა და მნიშვნელოვანი მოსაზრებანი აქვს გამოთქმული. საინტერესო მოსაზრებებია შ. მესხიას მონოგრაფიაში[82], ზოგი რამ არის „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II და III ტომებში, გ. ფრასიძის, მ. გაბაშვილის, საქართველოს ქალაქების ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში, ქუთაისის შესახებ დაწერილ „გზამკვლევებსა“ თუ პოპულარულ წიგნებში.

ფრიად საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული „ქუთაისის ქვეყნის“ შესახებ ქვ. ჩხატარაიშვილს, გ. გაბუნიას.

---

[82] Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959.

თავი I

I. უძველესი დროიდან ახ. წ. IV საუკუნემდე

ქალაქის ისტორიის ეს მრავალსაუკუნოვანი პერიოდი არსებითად ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული, რამდენადაც წერილობითი წყაროები მის შესახებ არ მოგვეპოვება, არქეოლოგიური ძეგლები კი ჯერ კიდევ არაა იმ ოდნობით აღმოჩენილი, რომ შესაძლებელი იყოს ისტორიული განვითარების მეტ-ნაკლებად სრული სურათის რეკონსტრუქცია. ამიტომაც აქ გამოთქმული მოსაზრებანი უაღრესად ჰიპოთეტურია, ხოლო ისტორიული პროცესის ქვემოთ წარმოდგენილი სქემა კი უპირველესად ზოგადი ხასიათისაა.

1. პირველმოსახლენი

ადამიანთა პარველი განსახლება ქუთაისსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვის ხანის ერთ-ერთ ადრეულ საფეხურს — ქვედა პალეოლითს (ე. წ. აშელის და მუსტიეს ეპოქებს) უკავშირდება, ე. ი. დაახლოებით 100 000 წლის წინანდელ ხანას, როდესაც დაიწყო პირველყოფილი ადამიანის მიერ დღევანდელი საქართველოს მიწა-წყლის შედარებით ფართოდ ათვისება[1] და აგი თანდათანობით განსახლდა თითქმის ყველა ლანდშაფტურ-კლიმატურ ზონაში[2].

---

[1] უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა დმანისის ნაქალაქარზე მოწმობს, რომ საქართველოს მიწაზე ადამიანის პირველი გამოჩენა ჯერ კიდევ დაახლოებით 1,5 მილიონი წლის წინ მოხდა, ე. ი. მაშინ, როდესაც დაიწყო ადამიანთა პირველი განსახლება მისი თავდაპირველი სამშობლოდან (აფრიკიდან). ვ. ჯაფარიძე, გ. ბოსინსკი და სხვ. დმანისი — ძველი ქვის ხანის ადამიანები სამხრეთ საქართველოდან. თბ., 1991 (პრეპრინტი). არქეოლოგიური ქრონოლოგიით დმანისის პირველყოფილი ადამიანის სადგომი ე. წ. ქვარგვალების კულტურის ხანას განეკუთვნება. მისი შემდგომი პერიოდის ძეგლები ვიდრე შუა აშელის ეპოქამდე ჯერ აღმოჩენილი არაა. ამიტომ ჯერჯერობით შეუძლებელია მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა პირველყოფილი ადამიანის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლების პროცესი დმანისის ადამიანის შემდეგ.

[2] ა ლ ქ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1971, გვ. 77 და შემდ.

ქუთაისსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანის უძველესი დროიდან განსახლებას ხელს უწყობდა უთუოდ უაღრესად ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო: თბილი კლიმატი, ბუნებრივი თავშესაფრების (მღვიმეების) სიმრავლე, მრავალფეროვანი ნედლეული ქვის იარაღების დასამზადებლად, ნადირთ სიმრავლე და საკვებად ვარგისი მცენარეულობის ფრავალსახოვნება. ყველაფერი ეს ამიერიდანვე ხელს უწყობდა პირველყოფილ ადამიანთა დასახლებას დღევანდელი იმერეთის მიწა-წყალზე, კერძოდ, მდინარე რიონისა და ყვირილას ხეობებში. ეს რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული ჩანს იმ დროისათვის[3].

საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე უძველესი დასახლება ე. წ. შუსტიერულ ეპოქას განეკუთვნება. მისი ნაშთები ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში თეთრამიწაზეა აღმოჩენილი[4]. უფრო ძველი (აშელური) და აგრეთვე მუსტიერული ეპოქის სადგომები განლაგებულია მდ. წყალწითელას ხეობაში[5]. მათგან ქალაქთან ყველაზე უფრო ახლოა მის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში, მდ. წყალწითელას მარჯვენა ნაპირზე მდებარე ჭახათის კარსტული ეხი, სადაც ადამიანი ქვის ხანის სხვადასხვა ეტაპზე ცხოვრობდა, მათ შორის მუსტიერულ ეპოქაშიც[6].

დაახლოებით 60 000 წლის წინ საქართველოს მიწა-წყალზე დაიწყო ქვის ხანის განვითარების უფრო მაღალი საფეხური, რომელსაც ზედა პალეოლითს უწოდებენ და მის განვითარებაში სამ ძირითად

---

[3] სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში საქართველოს ტერიტორიაზე აშელისა და მუსტიეს ხანის ძეგლების გავრცელების ექვს ძირითად რეგიონს გამოყოფენ. ქუთაისი და მისი მიდამოები შედის II ჯგუფში, სადაც გაერთიანებულია რიონ-ყვირილის აუზის ძეგლები — დაწვრ. იხ. ა. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", I, თბ., 1971, გვ. 87; Д. М. Тушабрамишвили, Палеолит Грузии. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", XXXVII,—B, თბ., 1984, გვ. 5; О. Д. Лордкипанидзе, Наследие древней Грузии, Тб., 1989, გვ. 41 (და იქ დასახ. ლიტ.).

[4] დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნებიერიძე, საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური" ძეგლის დათარიღებისათვის, მაცნე, № 4, თბ., 1971, გვ. 76—83; ნ. ბერძენიშვილი, ქვედაპალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის", VI, თბ., 1974, გვ. 3—21.

[5] დაწვრ. იხ. მ. ნიორაძისა და ნ. ბერძენიშვილის ზემოთ დასახ. ნაშრომები; აგრეთვე, თ. ბუგიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98 და შემდ.

[6] ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964.

ეტაპს (ხოლო ზოგიერთი მკვლევარი 4-საც) გამოყოფენ[7]. ამ ხანის არქეოლოგიური ძეგლები საკუთრივ ქუთაისის ტერიტორიაზე ჯერ გამოვლენილი არაა, მას შემოგარენში კი მხოლოდ წყალწითელას ბეღურია დაფიქსირებული, ისიც შუა ეტაპისა (საკაჟიას მღვიმე[8]) ან გვიანდელისა (თეთრი მღვიმე წყალტუბოს რაიონში)[9]. ასე რომ, ქვის ხანის ადამიანის უწყვეტად ცხოვრების შესახებ საუბარი ქუთაისსა და მის მიდამოებში ჯერ ნაადრევია და გაუმართლებელი. უნდა გვახსოვდეს, რომ ქვის ხანა რამდენიმე ათეულ ათას წელს მოიცავს და ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა ხშირი ცვლილებანი: ადამიანთა ჯგუფების გადაადგილება, ამოწყდომა და ა. შ.

იგივე შეიძლება ითქვას მომდევნო ეპოქების შესახებ. ჯერჯერობით ქალაქის ტერიტორიაზე და არც მის მახლობელ შემოგარენში არ ჩანს მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისა და მისი ადრეული საფეხურის[10], კერძოდ, ადრენეოლითური ხანის ძეგლები[11]. შედარებით უკეთაა წარმოჩენილი ადრესამწათმოქმედო კულტურის განვითარების III საფეხური, ე. წ. ენეოლითური ეპოქა. ამ დროის კლასიკურ ძეგლადაა აღიარებული თეთრამიწის ნამოსახლარი საკუთრივ ქუთაისის ტერიტორიაზე და მის ახლობელ და შორეულ შემოგარენში გამოვლენილი ღია ნამოსახლარები და მღვიმური ძეგლები[12].

თეთრამიწის ენეოლოთური ფენის მონაპოვარში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ქვის იარაღების სიმრავლე, რომელთა შორისაა მიწის სათხრელი იარაღებიც (მაგ., ე. წ. სოჭიადლერის ტიპის თოხები), ხელსაფქვეველები, ნამგ-

---

6. ბერძენიშვილის აზრით, ჯახათისა და თეთრამიწის მუსტიერული ხანის ქვის ინვენტარში შეინიშნება კულტურულ-ასაკობრივი კავშირიც — ნ. ბერძენიშვილი, ქვედაპალეოლითური ნაშთები..., გვ. 3—21.

7 დაწვრ. ნ. ბერძენიშვილი, მ. ნიორაძე ზედა პალეოლითი, „საქართველოს არქეოლოგია", თბ., 1991, გვ. 150—154 (და იქ დასახ. ლიტ.).

8 გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში, თბ., 1953.

9 იხ. А. Н. Каландадзе, К. С. Каландадзе. დასახ. ნაშრომი.

10 დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ეპოქის შესახებ დაწვრ. იხ. ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბ., 1986.

11 ამ ხანის ძეგლები ჯერჯერობით წყალტუბოს რაიონში მდ. გუბისწყლის შენაკადის მღ. სვიმონკულის მარცხენა ტერასაზე მდებარე მელოურის ნამოსახლარიდანაა ცნობილი — კ. კალანდაძე, ქვის ხანის ნამოსახლარები მელოურიდან, მაცნე (ისტორიის სერია), № 4, თბ., 1978, გვ. 64—79.

12 დაწვრ. ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 119 და შემდ.

ლის ჩასართები და სხვ., რომელნიც აქ მოსახლეთა მეურნეობაში მიწათმოქმედების განსაკუთრებულ როლზე მიუთითებენ[13]. ამ კულტურის ძეგლები ქუთაისის მახლობლად აღმოჩენილია აგრეთვე წყალტუბოს რაიონში (თეირი, მღვიმე, საწურბლიას მღვიმე)[14] და წყალწითელას ხეობაში[15]. ეს აღმოჩენები მოწმობს ქუთაისსა და მის ირგვლივ მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე მიწათმოქმედების დაწინაურებას ე. წ. ნეოლითური რევოლუციის ეპოქაში.

აქ განხილული არქეოლოგიური მასალები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ადამიანის მიერ ქუთაისის მიდამოების პირველათვისების პროცესისა და აგრეთვე მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისა და მისი ადრეული საფეხურების შესახებ. მაგრამ უნდა გავიმეოროთ ზემოთ უკვე აღნიშნული, რომ პალეოლითისა და ენეოლითის ეპოქების ცალკეული ნაშთები არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ერთსა და იმავე ადგილზე უწყვეტი ევოლუციის პროცესის შედეგი, რომელმაც თითქოს გადამწყვეტი როლი შეასრულა ქუთაისის, როგორც ქალაქის წარმოქმნის პროცესში. მით უფრო, რომ ჩვენს არქეოლოგიურ მასალებში მომდევნო ეპოქებისათვის გარკვეული ლაკუნაა: თითქმის არ მოიძებნება ადრეული და ე. წ. შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები. ამიტომ შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა ამ დროს (ე. ი. ძვ. წ. IV — III და II ათასწლეულის პირველ ნახევარში) ქუთაისსა თუ მის მიმდებარე ტერიტორიებზე, სად და როგორ ცხოვრობდა იმდროინდელი მოსახლეობა, ან იყო კი ამ დროს ქუთაისის მხარე მჭიდროდ დასახლებული, თუ ჩვენთვის უცნობმა მოვლენებმა გამოიწვია ამ მიწა-წყლის დროებით დაცარიელება. რაც ამ დროს შეინიშნება დასავლეთ საქართველოს სხვა იმ რაიონშიც, რომელნიც არ იყვნენ მოქცეული მტკვარ-არაქსის[16] და შემდგომ შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულ-

---

[13] იქვე, გვ. 142 და შემდ.

[14] К. Каландадзе и др. Итоги работ Цхалтубской археологической экспедиции, ПАИ в 1979, 1982, 1983 гг.

[15] М. Г. Ниорадзе, Археологические исследования в ущелье р. Цхалцителa, Полевые археологические исследования в 1980 г., Тб., 1981, с. 9.

[16] ძვ. წ. IV — III ათასწლეულების ე. წ. მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს კულტურა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს და მის მიმდებარე ვრცელ ტერიტორიაზე (ამიერკავკასიის, ჩრდ.-დასავლ. ირანის, ანდ. ანატოლიასა და ჩრდ. კავკასიაში) იყო გავრცელებული, საკმაოდ მკაფიოდაა გამოყოფილი დღევანდელი ღია საქართველოს ტერიტორიაზე ოც ქვეში, მათ შორის ქუთაისის მოსაზღვრედაც: ყვირილას ხეობაში — საჩხერესა და არგვეთში (ო ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტო-

ტურის არეალში[17]. ეს საკმაოდ რთული საკითხებია და მასზე პასუხის გაცემა მხოლოდ ქუთაისის ქვეყანაში აღრეული და შუაბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების მიზანდასახული ძიების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

2. დემოგრაფიული აფეთქება

ქუთაისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ფართო სამეურნეო ათვისება და მჭიდროდ დასახლება დაკავშირებულია დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან კოლხური გვიანბრინჯაოს კულტურის ჩამოყალიბება-განვითარების რთულ პროცესთან. ამ ფრიად ორიგინალური და თავისთავადი კულტურის იერსახეს განსაზღვრავს, როგორც ცნობილია, ჯაგვალური ტიპის ხის არქიტექტურა, მეტად სპეციფიკური კერამიკა და ბრინჯაოს მრავალფეროვანი საომარი და, განსაკუთრებით, სამეურეო იარაღი (ნაირსახოვანი ცულები, თოხები, ე. წ. სეგმენტისებური იარაღი)[18]. ე. წ. კოლხური ბრინჯაოს კულტურის შემქმნელე-

---

მების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1962, გვ. 122 და შემდ.- მისივე, საქართველოს არქეოლოგია: ქვისა და ბრინჯაოს ხანა, თბ., 1991, გვ. 118; გ. ფ ხ ა კ ა ძ ე„ მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს აღრებრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები", I, თბ., 1976. გვ. 3-11; Г. Пхакадзе, А. Орджоникидзе, Итоги работ Сачхерской экспедиции, Полевые археол. исследования в 1981 г. Тб., 1983, с. 15-16. ამიტომ მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლების გავრცელება არც ქუთაისსა და მის მიდამოებში უნდა იყოს გამორიცხული, მით უფრო, რომ უკვე არსებობს ცნობა ქუთაისის მახლობლად მოწმეთას ფარდულში „ტიპიური მტკვარ-არაქსული კერამიკის" პოვნის შესახებ — გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 120.

[17] ო. ჯაფარიძის ვარაუდით, მტკვარ-არაქსის კულტურის შემდგომ, ე. წ. შუა ბრინჯაოს ხანაში მოსახლეობის ერთი ნაწილი რიონ-ყვირილის აუზიდან უფრო დასავლეთით გადადის და ინტენსიურად სახლდება კოლხეთის დაბლობსა და მთისწინა ზოლში (ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 142). მაინც ამ პროცესის გამომწვევი მიზეზები სულ ნათელი არაა.

[18] დაწვრილებით კოლხური ბრინჯაოს კულტურის შესახებ იხ. დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი; თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის, თბ, 1974; ა ლ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან; ლ. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბილისი, 1988; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 200 და შემდ. О. Лордкипанидзе, Наследие... გვ. 189 და შემდ. გვ, 399 და შემდ, (ბიბლიოგრაფია);

ბად დასავლეთ საქართველური ტომები (მეგრელ-ჭანები ანუ ზანები) არიან აღიარებული.[19]

არქეოლოგიური მასალები (კოლხური ბრინჯაოს ნივთთა განძები, ნამოსახლარების ნაშთები და კულტურული ფენები) თვალსაჩინოდ მოწმობს ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მთელი კოლხეთის დაბლობის თანდათანობით, მაგრამ ინტენსიურ ათვისებას. ამავე დროს მიმდინარეობდა პოლიტიკური კონსოლიდაციის რთული პროცესიც, რომელიც კოლხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებით დამთავრდა. ამ პროცესებში უდიდესი როლი შეასრულა მდინარე რიონმა, როგორც არა მხოლოდ ქვეყნის ძირითადმა სამდინარო არტერიამ, რომელიც თავის მრავალრიცხოვან შენაკადებთან ერთად მთელი კოლხეთის ცალკეულ ოლქებს ერთმანეთთან აკავშირებდა და მით ხელს უწყობდა მთელი ქვეყნის ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმად გაერთიანებას, არამედ როგორც მიწათმოქმედების მაცოცხლებელმა მძლავრმა ძალამ[20].

მდინარე რიონის შუა წელზე და, კერძოდ, ქუთაისის შემოგარენში და მის მახლობელ ტერიტორიაზე კოლხური კულტურის ელემენტების გავრცელება (ღა, მაშასადამე, მეგრულ-ჭანური მოსახლეობის დამკვიდრება) არქეოლოგიურ ძეგლებში უკვე ძვ. წ. XV—XIII სს-დან ფიქსირდება. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია პატრიკეთის გორაკზე კოლხური კერამიკის ადრეული ნიმუშების[21], ხოლო ფარცხანაყანევში და აგრეთვე ვოდოგანში კოლხური ბრინჯაოს ნივთების აღმოჩენა[22]. ადრეული კოლხური ცული ცნობილია საკუთრივ ქალქ ქუთაისიდანაც (მწვანე ყვავილა)[23]. ნამდვილი დემოგრაფიული აფეთქება კი ისევე როგორც კოლხეთის დაბლობზე, ძვ. წ. VIII—VII სს-დან დასტურდება. ეს, როგორც ჩანს, გამოწ-

---

[19] თ. ჭ ი ქ ო ვ ა ნ ი, ძიებანი..., გვ. 72; О. Лордкипанидзе, Наследие... გვ. 183 და შემდ. (და იქ დასახ. ლიტ.).

[20] დაწვ. ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986, გვ. 60 და შემდ.

[21] В. Джапаридзе, Археологические разведки..., გვ. 261, ტაბ, V, ადრეული კერამიკის კოლხეთში გავრცელების შესახებ შდრ. ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, არგონავტიკა..., გვ. 54 (და იქ დასახ. ლიტ.).

[22] დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14—15; 109; ლ. ჯ ი ქ ი ა, გვიანი ბრინჯაოსა..., გვ. 147—148.

[23] ლ. ჯ ი ქ ი ა. გვიანი ბრინჯაოსა..., გვ. 145.

ვეული იყო რკინის ფართო ათვისებით[24], რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა კოლხეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უაღრესად რთულ პროცესში[25].

ძვ. წ. VIII — VII სს-ში მთელი რიონის დაბლობი და შენაკადების ხეობები ინტენსიურადაა ათვისებული და ძალიან მჭიდროდ დასახლებული. საზოგადოებაში მომხდარი ძირეული სოციალური ძვრები თვალსაჩინოდაა ასახული სამოსახლოთა სტრუქტურებშიც. დადგენილია, რომ კოლხეთის დაბლობზე ძველი სამოსახლოები ამ დროს, როგორც წესი, ერთიმეორის გვერდით მდებარე ორი, სამი და მეტი ბორცვებისაგან შემდგარი ჯგუფებით არიან წარმომდგენილნი და გაკვეული შუალედებით რომელიმე მდინარის პირას არიან განლაგებული. ამავე დროს სამოსახლო ბორცვების ერთიან კომპლექსში, როგორც წესი, გამოიყოფა უფრო დიდი ზომისა და სიმაღლის ბორცვები, რომელთაც ცენტრალური ადგილი უკავიათ და ერთი ან ორი მზღუდავი ფართო თავდაცვითი თხრილებით არიან გარშემორტყმული. ისინი ჰეგემონი თემის თუ გვარის საცხოვრებლად არიან მიჩნეული[26]. სრულიად ანალოგიური ვითარება დასტურდება ამ დროს ქუთაისის ქვეყნად წოდებულ ტერიტორიაზე: თიბჭოს ყველგან დადასტურებულია ხელოვნური სამოსახლო ბორცვები (ფარცხანაყანევი ქვემო მესხეთი, ჯიხაიში, ტყაჩირი, ქვემო და ზემო მაღლაკი, პატრიკეთი, საყულია, ბანოჯა და სხვ.) ან ბუნებრივად შემაღლებულ ადგილებზე განლაგებულ ნამოსახლართა ნაშთები და კულტურული ფენები (ბანოჯა, ჭოგნარი, ფარნალის გორა და სხვ.), აგრეთვე

---

[24] კოლხეთში რკინის მეტალურგიის განვითარების შესახებ დაწვრ. იხ. Д. Хахутайшвили, Производство железа в древней Колхиде, 1987. ამ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრება რკინის წარმოების საწყისის ეტაპის შესახებ ჯერ კიდევ დასაბუთებას მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, რომ VIII — VII სს. კოლხეთში რკინის ფართო ათვისების ხანაა, ვფიქრობთ, საეჭვო არ უნდა იყოს (თუმც თ. მიქელაძე ასეთად ძვ. წ. VII საუკუნეს მიიჩნევს — იხ. მისი, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985, გვ. 89).

[25] О. Д. Лордкипанидзе, Т. К. Микеладзе, Колхида в VII-V вв. до и. э. Местные этнополитические объединения Причерноморья в VII-IV вв. до н. э. (Материалы IV симпозиума по древней истории Причерноморья). Тб., 1988, с. 123; და შდრ. О. Д. Лордкипанидзе, Наследие..., с. 229, და შემდ.

[26] ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, არგონავტიკა..., გვ. 65 და იქ დასახ. ლიტ; მისივე, Наследие..., გვ. 207 და შემდ. (და იქ დასახ. ლიტ.).

ცალკეული აღმოჩენები[27]. მიწათმოქმედების ინტენსიურ განვითარებას თვალსაჩინოდ მოწმობს ლითონის სასოფლო-სამეურნეო იარაღების (ცულები, თოხები, სეგმენტები) სიმრავლე, ხოლო ცალკეულ ნამოსახლარებზე სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლეული მარცვლეულის ნაშთები და შინაურ ცხოველთა მრავალრიცხოვანი ძვლები. ქუთაისის „ქვეყანაში“ ამ დროს მიმდინარე სოციალური პროცესების საილუსტრაციოდ აღსანიშნავია ს. ჰოგნარში „ფარნალის გორაზე“ თიხის საბეჭდავების აღმოჩენა, რაც კერძო საკუთრების არსებობის მაფიქსირებელია[28].

ამ დროს (ძვ. წ. VIII — VII სს-ში) უთუოდ ვრცელი დასახლება ჩნდება საკუთრივ ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე. ამას მოწმობს კვანბრინჯაო-ადრერკინის ხანით დათარიღებული ლითონის (ბრინჯაოს) ნივთების ბრძირი აღმოჩენები ქალაქის სხვადასხვა უბნებში: საყარატის ტაძრის მიდამოებში (სეგმენტური იარაღი)[29], უქიმერიონზე (რკალისებური მშვილდსაკინძი)[30]. ცაცხვების ქუჩაზე (ირმის გრავირებულგამოსახულებიანი ცული)[31], თოხები[32], სეგმენტური იარაღი[33], მწვანე ყვავილას უბანში (კოლხური ცული),[34] კახიანოურის ნაცისვარზე (სეგმენტისებური იარაღი)[35]. ქუთაისიდან კიდევ რამდენიმე ანალოგიური ნივთი, რომელთა აღმოჩენის ზუსტი ადგილი ცნობილი არაა[36].

---

[27] იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 448 და შემდ.; ო თ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი.., გვ 42-43; ლ. ჯიქია, ქუთაისისა და მისი ქვეყნის არქეოლოგიური რუკა, გვ. 26 და შემდ.; К. Каландадзе, Новые данные.., გვ. 1— 2.

[28] იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბ., 1969, გვ. 26 — 28.

[29] ლ. ჯიქია, გვიანი ბრინჯაოსა..., გვ. 164

[30] М. М. Иващенко, Материалы... გვ. 38, 60.

[31] ლ. ფანცხავა, კოლხური ცული ირმის გამოსახულებით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX ს. თბ., 1972, გვ. 51 (ამ ნაშრომში ავტორი ცულს ძვ. წ. II—I ათასწეულების მიჯნით ათარიღებდა, ახალ ნაშრომში კი იგი ძვ. წ. VIII ს-ის დასაწყისად მიიჩნია — კოლხური კულტურის... გვ. 71).

[32] М. М. Иващенко, Материалы..., გვ. 53 (აქ ბრინჯაოს თოხები VI — V სს-ის სამაროვნოს ინვენტარს შორისაა დასახელებული მაგრამ მათი ამ სამაროვნებისადმი მიკუთვნება ძალზე საეჭვოა, რადგან ისინი უფრო ადრეულებია).

[33] ლ. ჯიქია, გვიანი ბრინჯაოსა..., გვ. 164, შენიშვნა 6.

[34] იქვე, გვ. 163.

[35] იქვე, გვ. 164.

[36] იქვე, გვ. 163-165.

ძვ. წ. VIII — VII სს-ის ვრცელი დასახლების ნაშთები ამჟამად აღმოჩენილია და კვლევის საგნადაა ქცეული მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ ბუნებრივ გორაკ-ბორცვებზე — ბაგრატის ტაძრისა და „უქიმერიონად“ წოდებული ციხის ე. წ. გაბაშვილის გორაზე. დასახლებულ ადგილებში ვრცელი სამოსახლოს წარმოქმნა განპირობა ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა: მაღლობებზე განლაგებული სამოსახლოები საიმედოდ იყო დაცული და იმავე დროს აკონტროლებდნენ მთელს არემარეს დაბლობში და იქ გამავალ გზებს. შემთხვევითი არაა, რომ საშუალო საუკუნეებშიც აღნიშნული ტერიტორია ხდება მეფეთა რეზიდენცია და ძირითადი საფორტიფიკაციო სისტემა.

ბაგრატის ტაძრისა და „უქიმერიონის“ ციხის ტერიტორიაზე მდებარე ძვ. წ. VIII — VII სს. ნამოსახლარის ნაშთებისაგან შექმნილი კულტურული ფენები მნიშვნელოვანწილად დაზიანებულია ან მთლიანადაა განადგურებული უფრო გვიანდელი (განსაკუთრებით ადრე საშუალო საუკუნეების) მშენებლობათა დროს. მაინც ფიქსირდება ძველი სამოსახლოს საკმაოდ დიდი ფართობი, ნაგებობათა ნაშთები (ხის წნულის ანაბეჭდებიანი თიხის ბათქაშის ფრაგმენტები), კოლხეთის ადრერკინის ხანის ნამოსახლარებისათვის ტიპიური კერამიკა[37]. ყველაფერი ეს შემთხვევით აღმოჩენებთან ერთად (ბრინჯაოს ცულები, თოხები, მშვილდსაკინძი და სხვ.) მოწმობს მთელს ამ ტერიტორიაზე ძვ. წ. VIII — VII სს-ის ვრცელი და მძლავრი სამოსახლოს არსებობას. ასეთივე ვრცელი და მძლავრი დასახლება იყო ძვ. წ. VIII — VII სს-ში ე. წ. გაბაშვილის გორაზე, რომელიც იმ ბორცვის ბუნებრივი გაგრძელებაა, სადაც ზემოხსენებული ნამოსახლარის ნაშთებია ფიქსირებული.

ე. წ. გაბაშვილის გორაზე გაშლილ სამოსახლოსაც საკმაოდ დიდი ფართობი უკავია და მისი ნაშთები ჩნდება ბორცვის თითქმის მთელს ტერიტორიაზე[38]. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს დიდ ნა-

[37] ამ სამოსახლოს ნაშთებს ამჟამად იკვლევს ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიცია.

[38] ამ სამოსახლოს ნაშთები პირველად ბორცვის დასავლეთ ფერდობზე აღმოჩნდა (იხ. ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქუთაისსა და მის მიდამოებში 1963 წ. ჩატარებული საველე არქეოლოგიური მუშაობის შედეგები, ისტორიის ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (ფეოდალური და ანტიკური ხანის ძეგლები) თბ., 1964. გვ. 28), ხოლო შემდეგ 1984 წელს — ბორცვის თავზე, რის შემდეგ დაიწო მისი გათხრები: Г. Квирквелиа, Раскопки в ЦПКО им. Б. Габашвили г. Кутаиси, «Полевые археологические исследования в 1984-1985 гг.», Тб., 1987, с. 62-64.

ვებობათა ნაშთები: აღმოჩენილია ხელოვნურ მიწატკეპნილზე აგებული ქვის საძირკვლები, რომელზედაც თიხით შელესილი ხის კედლები იყო ამოყუანილი, აკრეთვე რიყის ქვებით მოკირწყლული ეზოს ნაწილი. საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ეს ქვის საძირკვლიანი შენობის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა კოლხეთის არქეოლოგიაში ამ დროს (ე. ი. ძვ. წ. VIII — VII სს-ის) და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. მართალია, ჯერ ნაადრევია მის ფუნქციაზე საუბარი, მაგრამ აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს დიდ ნაგებობასთან, რომელსაც, როგორც აღინიშნა, რიყის ქვებით მოკირწყლული ეზოც ჰქონია. ნაგებობის გათხრისას აღმოჩენილი კერამიკა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია: ესაა, ძვ. წ. VIII—VII სს-ის კოლხეთისათვის ტიპური კანელურებიანი ჭურჭლის, ზოომორფული ყურებიანი დოქების და ჭოთნების, ძირწვეტიანი სასმისების, ჯამების ფრაგმენტები. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილია აგრეთვე VII—VI და VI—V სს-ის ნაგებობათა ნაშთები და კულტურული ფენები, რომელნიც მრავლად შეიცავენ ამ დროისათვის ტიპური კოლხური კერამიკის—პირგვირგვინიანი ქვევრების, ყურებიანი დოქების, ცილინდული და კონუსისძირიანი სასმისებს, ბრტყელძირიანი ჯამების ფრაგმენტებს. განსაკუთებით საყურადღებოა ძვ. წ. VI — V სს-ის კერამიკის შემცველ კულტურულ ფენაში კოლხური მონეტების აღმოჩენა. ესაა წვრილი ნომინალური — ტრიობოლი შუბლზე ქალის თავისა და ზურგზე ხარის თავის გამოსახულებით[40]. ითვლებოდა, რომ ამ ტიპის მონეტები კოლხეთში ძირითადად V და უფრო IV საუკუნეებში იყო გავრცელებული[41]. ნამოსახლარის კულტურულ ფენაში ამ მონეტების აღმოჩენა (რაც ასევე პირველი შემთხვევაა) შეიძლება მოწმობდეს იმას, რომ კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები შიდა კოლხეთში უკვე ძვ. წ. VI — V სს-ში მი-

---

[39] ამ დროისათვის კოლხეთში მთლიანად ხის ჯარგელური ნაგებობებია დადასტურებული შდრ. О. Лордкипанидзе, Наследие... გვ. 233 და შემდ. (იქ დასახ. ლიტ.).

[40] გაბაშვილის გორაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები წარმოდგენილია დ. ბერძენიშვილის გ. კვირკელიას, ო. ლანჩავას მოხსენებაში, რომელიც წაკითხულ იქნა შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილ VI საერთაშორისო სიმპოზიუმზე ვანში 1990 წლის სექტემბერში და იბეჭდება კრებულში «Причерноморье в раннегреческом эпосе» სათაურით «Новые материалы к древней истории Кутаиси».

[41] Г. Дундуа, Нумизматика античной Грузии, Тб., 1987, с.

მოიცვდა[42]. ეს აღმოჩენაც კიდევ ერთი მრავლისმეტყველი მინიშნებაა ამ დროისათვის ქუთაისის გორაკ-ბორცვიან ნაწილში („უქიმერიონი", „გაბაშვილების ვორა"), მდებარე სამოსახლოს დაწინაურებისა, შესაძლოა სავაჭრო ცენტრადაც, რაზეც შეიძლება მიუთითებდეს აგრეთვე ამ ნამოსახლარზე ძვ. წ. V ს-ის ბერძნული (ქალაქ ათენში დამზადებული) შავლაკიანი კერამიკის აღმოჩენა[43] ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ქუთაისში შემთხვევით აღმოჩენილი ძვ. წ. IV ს-ის ატიკური ბრინჯაოს მუზარადი[44].

ამრიგად, ქუთაისში, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროს გორაკ-ბორცვიან ნაწილში უკვე ძვ. წ. VIII — VII სს-ში ჩნდება მძლავრი და ვრცელი დასახლება. რომელიც, თუმც ჯერჯერობით მცირერიცხოვანი, მაგრამ მაინც საკმაოდ მეტყველი არქეოლოგიური მასალების (კოლხური მონეტები, ბერძნული იმპორტი[45]) საფუძველზე დაწინაურებული ჩანს ძვ. წ. VI — V სს-ში. აღსანიშნავია, რომ გაბაშვილის გორაზე ძვ. წ. V ს-ის ფენაში აღმოჩენილია რკინის სადნობი ქურისათვის განკუთვნილი თიხის საბერველი მილი, აგრეთვე ცუ-

---

[42] ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ვანის მახლობლად სოფ. სულორში 1990 წელს შემთხვევით აღმოჩენილი მონეტების განძი, რომელშიც 700-მდე კოლხური ტრიობოლთან ერთად აღმოჩნდა უცხოური მონეტებიც: VI ს-ის ლიდიური და V ს-ის შუა ხანების აქემენიდური (მონეტები განსაზღვრა გ. დუნდუამ). მთლიანად ეს უმნიშვნელოვანესი განძი უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება.

[43] ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, 1966, გვ. 42. და შემდ.

[44] ინახება მოსკოვში სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში — იხ. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1950, с. 148.

[45] ქუთაისში ძვ. წ. V ს-ის ბერძნული იმპორტის აღმოჩენა, რომელიც მის სავაჭრო ცენტრად დაწინაურებაზე შეიძლება მიუთითებდეს, შემთხვევითი არ უნდა იყო. როგორც არქეოლოგიური მასალები მოწმობს, უკვე ძვ. წ. VI ს-იდან ფუნქციონირებს რიონ-ყვირილის სავაჭრო მაგისტრალი, რომლის მეშვეობით ბერძნული იმპორტი გზას იკვლევდა კოლხეთის შიდა რაიონებსა და აღმოსავლეთ საქართველოში. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ქუთაისის მახლობლად სოფ ჭოგნარში („ნასაჯვარების" ბორცვზე) ძვ. წ. VI ს-ის იონური კერამიკის აღმოჩენა (ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი..., გვ. 72). იქვე „ნასაჯვარებსა" და „ფარნალის გორაზე" V — IV სს-ის ატიკური კერამიკაცაა ნაპოვნი (ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო.., გვ. 33). მეორე მხრივ, ძვ. წ. V ს-ის ბერძნული კერამიკა (ატიკური სკიფოსი) აღმოჩენილია მდ. რიონის სათავეებშიც (ბრილის სამაროვანზე) — გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეებში, „საქართველოს არქეოლოგია", თბ., 1959, გვ. 198.

ლისა რომ სატეხის ყალიბები, რომელნიც ქვისგანაა დამზადებული[46] ასე რომ, შესაძლოა გამოითქვას ვარაუდი ამ ტერიტორიაზე სახელოსნო უბნის არსებობის შესახებ[47]. დადასტურებულია V — IV სს-ის რიცხით მოსახლეთა სამაროვანიც[48]. ხოლო ატიკური მუზარადის აღმოჩენა. რაც ხშირად სამარხეულ ინვენტართანაა დაკავშირებული, შეიძლება მიუთითებდეს მდიდრული სამაროვნის არსებობასაც, თუმცა სხვა რაიმე ნაშთი ჯერ აღმოჩენილი არაა.

ზემოგანხილული არქეოლოგიური მასალები, ვფიქრობთ, იძლევა ვარკვეულ საფუძველს, უკვე ძვ. წ. VIII — VII სს-სა და შემდეგ VI — V სს-ში მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირას მდებარე გორაკ-ბორცვიან ნაწილში ვივარაუდოთ დიდი და მძლავრი დასახლების არსებობა, რომელიც შესაძლოა უკვე რაღაც ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა. დაახლოებით ამ დროს უნდა განეკუთვნებოდეს ქუთაისინი პირველმოხსიებაც ბერძნულ წერილობით წყაროებში.

3. ქალაქ ქუთაისის წერილობითი წყაროებში პირველმოხსენიების საკითხისათვის

ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ წყაროებს შორის პირველად ელინისტური ეპოქის პოეტის კალიმაქე კვირინელის (დაახლ. ძვ. წ. 315 — 240 წწ.) თხზულებაში „მიზეზები“ (1, 7, 25) იხსენიება „აიეტისის ქუტაია“[79], ე. ი. კოლხთა მეფის აიეტის სატახტო ქალაქი.

---

[46] ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წელს ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები, „იატორიის ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი“, თბ., 1965, გვ. 47-48.

[47] ხანტერესოა, რომ ეს ტერიტორია უკავშირდება ამ ადგილებს (ყოფილ ბაღის, ამჟამად სევასტოპოლის ქუჩა), სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, (იხ. ზემოთ ქუთაისის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია), ჯერ კიდევ გიორგი წერეთელს მიუკვლევია თითქოს კერამიკული ქურის ნაშთებისათვის. სამწუხაროდ, ამ ადგილის შემოწმება ვერ მოხერხდა, რადგან ქალაქის ეს უბანი მჭიდროდაა დასახლებული, თუმც 1963 წელს ჩატარებული დაზვერვებით დაფიქსირებულია ზოგიერთი მოსახლის ეზოში კოლტურული ფენის შემცველი ჭრილები, რომელშიც ჩნდება ძვ. წ. VI — V სს-ის კოლხური კერამიკის ფრაგმენტები.

[48] М. М. Иващенко, Материалы... გვ. 38 და შემდ.

[79] „...როდესაც გმირები (ე. ი. არგონავტები — ო. ლ.) აიეტის კუტაიადან კვლავ ძველი ჰაიგონიისაკენ (ე. ი. თესალიისაკენ—ო. ლ.) გამოცურდნენ“ (თ. უ ა ე ხ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლები...., IV, გვ. 107, ბერძ. ტექსტი, გვ. 190). ბერძნულ ტექსტში არის „α Αεήτεω Κυταιου რომელსაც როგორც „კუტაიელ აიეტს“ ათარგმნიან. კალიმაქეს ცნობა შემონახულია სტრაბონის „გეოგრაფიაშიც“ (1. 2, 39 — იხ. თ. უ ა ე ხ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის „გეოგრაფია“, ცნობები სა-

ასევე ელინისტური ეპოქის პოემაში „ალექსანდრა“ რომელიც ლიკოფრონის მიეწერება (თუმც დადგენილი არაა, იგი ამ სახელის IV თუ II ს-ის ავტორისაა), იხსენიება „კუტაიელი ასული“, ე. ი. მედეა — კოლხთა მეფის აიეტის ასული[50].

უფრო ხშირია ამ სახელის მოხსენიება ძვ. წ. III ს-ის პოეტისა და მეცნიერის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“, სადაც კოლხთა მეფე აიეტიც „კუტაიელად“ მოიხსენიება — II, 1094; „ფრიქსეს ვაჟები კოლხურ ხომალდში ჩასხდნენ და აიადან[51] — კუტაიელი აიეტის მხარიდან ორქომენის ქალაქისაკენ გაეშურნენ“. ამავე ეპითეტით Κυταιεύς აიეტი მოიხსენიება პოემის სხვა ნაწილებშიც (შდრ. მაგ., II, 403; III, 228).

აპოლონიოს როდოსელის თხზულებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ აიეტს ეს ეპითეტი მისი სატახტო ქალაქის გამო შეერქვა (შდრ. II 1264: πόλις Αἰητάο — ე. ი. აიეტის ქალაქი). ეს ქალაქია კუტაიისი: მდინარე ფასისში შენავებულ არგონავტებს „ხელმარცხნივ ეკავათ მაღალი კავკასიონი და აიას ქალაქის კუტაიისი“ („არგონავტიკა“, II, 1267). აია, როგორც უკვე აღინიშნა, კოლხეთის სინონიმური ცნებაა და მის უძველეს სახელწოდებად გვევლინება[52].

პოემის სხვა ადგილებში კუტაიისი (Κυταιεύς) მოიხსენიება მთელი მხარის და ვრცელი ტერიტორიის აღსანიშნავად (როგორც ჩანს, მისი მთავარი ცენტრის სახელის მიხედვით). შდრ. მაგ., II, 399: „აქ კუტაიისის ხმელეთზე“ ან IV, 511: „კუტაიისის მხარე“.

ეს ტერმინები უნდა აღნიშნავდნენ „კუტაიისის“ მეფობას და მის ვრცელ ტერიტორიას. საყურადღებოა, რომ საშუალო საუკუნეების კომენტატორებიც „კუტაიას“ ერთხმად ქალაქად აღიერებდნენ. მაგ., VI ს-ის მეცნიერი სტეფანე ბიზანტიელი თავის „ეთნიკაში“ ასე განმარტავდა: „კუტა. კოლხური ქალაქი, მედეას სამშობლო. ამ სახელის

ქართველოს შესახებ), თბ., 1957, გვ. 71. თარგმნილია „აიეტ კვიტაიელი“. სტრაბონის ფრანგულ ენაზე თარგმანშიც არის: „Éétès de Cyta“ (იხ. Strabon, Geographie I, Texte établi et traduit par G. Avyae, Paris, 1969, p. 139. ჟლიმაქეს ზემოთ მოყვანილი ცნობის თ. ყაუხჩიშვილის ახლებური თარგმანი თითქოს უფრო შეესატყვისება კონტექსტის შინაარსს.

[50] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების..., IV, გვ 49.

[51] ეს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ გვევლინება კოლხეთის სინონიმურ სახელწოდებად (შდრ. II, 415; Αἶα δὲ Κόλχις). შდრ ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 494), ისევე როგორც ჰეროდოტეს „ისტორიაში“ (1, 2 — დაწვრ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 43).

[52] თ. ჭ ი ქ ო ლ ა ძ ე, ძიებანი..., გვ. 159.

ქალაქი არის სხვაგანაც..."[53] X ს-ის ბერძენი ენციკლოპედისტის სვიდას ვანმარტებითაც „კუტაია — ქალაქია, ავრეთვე (არის) კუტაიდისა"[54]. „ოდისეის" ბიზანტიელი კომენტატორი ევსტათე თესალონიკელი (XII ს.) კი შენიშნავდა „კუტაიელი მედეა... ქალაქ კუტაიადან, რომელსაც ლიკოფრონიც მოიხსენიებს"[55]. XII ს-ის ცნობილი პოეტი და კომპილატორი იოანე ცეცეც, რომელსაც ლიკოფრონის „ალექსანდრას" „განმარტებანი" მიეწერება, ამტკიცებდა „კუტაია — კოლხეთის ქალაქია. საიდანაც (ლიკოფრონმა) თვითონ მედეასაც კუტაიელი უწოდა..."[56] ამასვე ამტკიცებენ სხვა კომენტატორებიც[57].

ელინისტური ხანის ბერძნულ მწერლობაში მოხსენიებულ ქალაქ „კუტაია"-ს თუ („კუტაიის"-ს)—კოლხთა მეფის აიეტის სატახტო ქალაქს თითქმის ყველა მკვლევარი[58] დღევანდელ ქუთაისის მიდამოებში ვარაუდობს[59].

ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ქალაქის სახელი ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში სხვადასხვა ვარიანტით მოიხსენიება, მაგრამ ყველას საფუძვლად უდევს „კუტ" (თუ „ქუთ"?) ძირი[60].. მაგრამ ბუნებრივია დაისვას კითხვა: შეიძლება კი ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში კოლხთა მეფის აიეტის სატახტო ქალაქის სახელის მხოლოდ მსგავსების გამო ვამტკიცოთ მისი იდენტურობა ქალაქ ქუთაისთან, რომელიც ქართულ წყაროებში მხოლოდ ახ. წ. VIII საუკუნიდან იხსენიება და ამის საფუძველზე დავასკვნათ, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" აღწერილი „კუტაიის"-ი დღევანდელ ქალაქ ქუთაისსა თუ მის მიდამოებში მდებარეობდა? რა თქმა

[53] В. В. Латышев, Известия древних писателей (греческих и латинских) о Скифии и Кавказе, I, Санкт-Петербург, 1890, с. 262.

[54] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 2, თბ., 1952, გვ. 319.

[55] ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი.., გვ. 182.

[56] იქვე, გვ. 295 — 296.

[57] იქვე, გვ. 302, 304, 310—311, 324.

[58] იხ. მ. ინაძე, პირველი ცნობები..., გვ. 152, შენიშვნა I (და იქ დასახ. ლიტ.).

[59] მხოლოდ ალ. ბოხოჩაძე ითვვებდა ამ ქალაქს ვანის ნაქალაქართან (იხ. მისი, „კოლხეთის სამეფოს დედაქალაქის ადგილმდებარეობის საკითხისათვის", საქართველოს მეცნ. აკადემიის „მოამბე", XV, № 2, თბ., 1967, გვ. 551.

ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული „კუტაიას" ქუთაისთან იდენტიფიკაციის შიშართ ერთგვარ სკეპსისს გამოთქვამდა თ. მიქელაძე იმის საფუძველზე, რომ „კუტ" ძირიანი სახელები ფართო ტერიტორიაზეა გავრცელებული — თ. მიქელაძე, ძიებანი. გვ. 86.

[60] ვარიანტებია: Κυτ ιτ. Κυταια. Κυταιτ. Κυτη.

იხ. ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი., გვ. 182, 295, —296, 301 — 311, 324, 329.

უნდა, მხოლოდ სახელთა მსგავსება-სიახლოვის გამო ასეთი დასკვნის გამოტანა დაუშვებელია, მით უფრო, რომ ანალოგიური გეოგრაფიული სახელწოდება გვხვდება მცირე აზიასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც (რასაც საშუალო საუკუნეების კომენტატორებიც აღნიშნავენ)[61]. მაგრამ, როგორც უკვე ვსახეთ, ელინისტური ხანის ყველა ავტორი (კალიმაქე კვირინელი, ლიკოფრონი, აპოლონიოს როდოსელი) და საშუალო საუკუნეების კომენტატორებიც (სტეფანოს ბიზანტიელი, იოანე ცეცე, ევსტათე თესალონიკელი და სხვ.) არგონავტების ლაშქრობასთან დაკავშირებით ქალაქ კუტაიას აიეტის სატახტო ქალაქად, მისი ასულის მედეას სამშობლოდ და კოლხეთის ქალაქად მოიხსენიებენ; შესაბამისად იგულისხმება სრულიად კონკრეტული ქალაქი ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია აპოლონიოს როდოსელის ზემოთ უკვე ციტირებული ცნობა (II, 1265), სადაც „კუტაიის"-ი აიას ქალაქადაა დასახელებული. აია, როგორც უკვე ვთქვით, კოლხეთის უძველესი სახელწოდებაა. მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება (ჩემი აზრით, სრულიად მცდარი და დაუსაბუთებელი), რომ თითქოს „აია" ლეგენდარული სახელწოდებაა და არგონავტიკის უძველეს ვერსიებში სრულებითაც არ გულისხმობდა შავი ზღვის სანაპიროებს[62]. მაგრამ ის მაინც უცილობლადაა აღიარებული, რომ დიდი ბერძნული კოლონიზაციის დაწყებიდან (ძვ. წ. VIII ს-დან) აია კოლხეთის აღმნიშვნელია[63]. ეს საკმაოდ თვალნათლივ ჩანს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაშიც", სადაც „კუტაიის"-ი აიეტის[64] — კოლხთა

---

[61] მიკენურ წარწერებშიც დასტურდება მსგავსი სახელის გეოგრაფიული პუნქტი (Kutasljo, Kutatija), რომელიც კუნძულ კრეტაზე მდებარეობს — С. Я. Лурье, Язык и культура микенской Греции М. — Л., 1952, с. 205; იხ. აგრეთვე, ო. ჭიქელაძე, ძიებანი..., გვ. 86 — 87.

[62] ამ მოსაზრებათა კრიტიკა იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა..., გვ. 32 და შემდ.

[63] დაწვრ. ეს საკითხები განხილულია შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ VI საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებაში „Аргонавтика в раннегреческом эпосе" (იბეჭდება სიმპოზიუმის მასალების კრებულში „Причерноморье в раннегреческом эпосе").

[64] თვით ბერძენთა განმარტებით, სახელი აიტი (ბერძნულად აიეტეს) ნიშნავს „აიას მკვიდრს" „აიელს" (შდრ. სტეფანე ბიზანტიელის განმარტება: „აიადხნა აიეტეს, როგორც „აზია"—„აზიატეს", ისე „აია" — „აიატეს" და „აიეტეს" — ი. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი..., გვ 230); სტრაბონიც შენიშნავდა, რომ კოლხეთში ეს სახელი გავრცელებულია („გეოგრაფია", 1, 2, 39). მართლაც, ჯ. VI ს-ში კოლხეთში ცნობილია ისტორიული პიროვნება, პოლტიკური მოღვაწე სახელად აიეტი (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 63 და შემდ.).

მეფის სატახტო ქალაქადაა წარმოდგენილი. ქვეყანას, არგონავტებმა ოქროს საწმისისათვის ილაშქრეს, აპოლონიოს როდოსელი ხან აიას უწოდებს („არგონავტიკა“, II, 422, 1094, 1141, 1185, 1267; III, 306, 1061; IV, 131, 227—278), ხან კოლხეთს I, 174—175; II, 1095, 1277; III, 313; IV, 2, 5, 33, 236—240 და ა. შ.), ხოლო, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, II, 415-ში გვაქვს აია-კოლხეთი[65]. ცხადია, სრულიად უცილობელია, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ აია და კოლხეთი, სადაც არგონავტები მივიდნენ, სინონიმური ცნებებია. ერთ-ერთი არგონავტი — ანკეევსი ამბობს: „უკვე მოვედით კოლხეთის მიწაზე და ფასისის მდინარებასთან“ (II, 1177).

სად იგულისხმებოდა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მიხედვით კოლხეთი და მდინარე ფასისი, სადაც განლაგებული იყო მეფე აიეტის რეზიდენცია — კოლხეთის მთავარი ქალაქი? საკითხის ამკვარად დასმა აუცილებელია იმიტომ, რომ მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით კოლხეთი, სადაც არგონავტებმა ილაშქრეს, თავდაპირველად იგულისხმებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სადაც ძვ. წ. VIII ს-ში ურარტულ წყაროებში მოხსენიებული „კოლხა“ (კულხა“) მდებარეობდა[66]. ასევე ფასისის სახელით ბერძნულ-რომაულ წყაროებში დღევანდელი მდინარე რიონს გარდა სხვა მდინარებიც მოიხსენიებოდა[67]. ამიტომ აუცილებელია აპოლონიოს როდოსელის პოემაში მოხსენიებული „კოლხეთისა“ და მდინარე ფასისის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, რაც, უნდა ითქვას, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რამდენადაც „არგონავტიკაში“ ამის თაობაზე პირდაპირი და სრულიად უცილობელი მითითებაა.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ თანახმად, მას შემდეგ, რაც არგონავტები შავი ზღვის სრუტეებს[68] წარმატებით გასცდებიან,

---

[65] იგივე კომპოზიტი იმავე მნიშვნელობით (იგულისხმება სახელწოდებების „აიასა“ და „კოლხეთის“ სინონიმურობა) დადასტურებულია ძვ. წ. V ს-ის ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს თხზულებაშიც („ისტორია“, VII. 197).

[66] დაწვრილებით ჩვენი დამოკიდებულების შესახებ ამ მოსაზრების გამო იხ. ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, არგონავტიკა..., გვ. 43 და შემდგ. შდრ. გვ. 69 და შემდ.

[67] მაგ., მდ. არაქსი და ჰოროხიც — ს. ჯ ა ნ აშ ი ა, ფასიდი, „შრომები“. II, გვ. 271, და შემდ. მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, ქალაქ ფასისის ისტორიისათვის, თბ., 1969, გვ. 14; თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, გვ. 40.

[68] აპოლონიოს როდოსელთან ისინი „კიანეების“ ანუ „დაკიდული კლდეების“ (შდრ. IV, 786, 860, 924, 989) ან „პლანქტების“ (II, 318, 770; IV, 302, 1003) სახელით იხსენიებიან.

ვიდრე კოლხეთს მიაღწევენ, გასცურავენ იმ ადგილების გასწვრივ, სადაც მოსახლეობდნენ მიყოლებით ბითინიელები, მარიანდინები, პაფლაგონიელები, ასირიელები, ამაზონები, ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, ფილისები, ბექირები, საპირები და ბისერები (შდრ. „არგონავტიკა“, II, 615 — 1255). ამრიგად, აპოლონიოს როდოსელი კოლხების უშუალო მეზობლებად ასახელებს ბისერებს, საპირებს[69], ბექირებს და ა. შ. სავსებით აშკარაა, რომ შემთხვევაში „არგონავტიკაში“ სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნიკური გეოგრაფია იმავე სქემითაა წარმოდგენილი, როგორც ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში შედგენილ „პერიპლუსში“, რომლის ავტორს ფსევდო-სკილაქსს უწოდებენ. ამ თხზულებაშიც კოლხების მეზობლად სამხრეთით დასახელებული არიან ბისერები, ექექეინები (რომელთაც აპოლონიოს როდოსელი არ იხსენიებს), ბექირები, მაკროკეფალები (აპოლონიოს როდოსელთან — მაკრონები)[70], მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები, ასირია, პაფლაგონია, მარიანდირები, ბითინიელები („აია“, 81—92)[71].

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკასა“ და ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსის“ შედარებისას, მიუხედავად სრულიად აშკარა მსგავსებისა, შეიმჩნევა ბევრი განსხვავება (რომელთა შესახებ ქვემოთაც იქნება დაწვრილებით საუბარი). მაგრამ მაინც სრულიად უეჭველია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნო-პოლიტიკური სტრუქტურა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ ძირითადად იმავე სქემითაა წარმოდგენილი, როგორც ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსში“. ამ უკანასკნელში კი (§ 81) კოლხთა ქვეყნის საზღვარი საკმაოდ ზუსტადაა განსაზღვრული: ჩრდილოეთ ნაწილში დასახლებულია ქალაქი დიოსკურია (რომელიც, როგორც ცნობილია, დღევანდელი სოხუმის უბეშია ლოკალიზებული[72]), ხოლო სამხრეთ საზღვრად დასახელებულია მდინარე აფსაროსი, რომელიც ერთხმად

---

[69] აქ მოხსენებული „საპირები“, როგორც ჩანს, არიან ჰეროდოტესეული (I, 104; III, 94; IV 37) — სასპერები — აღმოსავლურქართული ტომი (დაწვრ. Г. А. Меликишвили, К истории уревней Грузии, Тб., 1959, с. 231-234

[70] შდრ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967, გვ. 49, შენიშვნა 7.

[71] იქვე, გვ. 48 — 52.

[72] Д. Качарава, Г. Квирквелия, Города и поселения Причерноморья античной эпохи, Тб., 1991, с. 86.

[73] ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი, გონიოს განძი, თბ., 1980, გვ.

დღევანდელ ჭოროხთანაა იდენტიფიცირებული[73]. კოლხების ქვეყანაშია ელინური ქალაქი ფასისი, მდინარე ფასისი, ხოლო ამ მდინარის ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი პარპაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა"[74].

ამრიგად, ფსევდოსკილაქსის „პერიპლესისა" და შესაბამისად აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას" თანახმად სავსებით უცილობლად კოლხეთი დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იგულისხმება, ხოლო მდინარე ფასისი დღევანდელი მდინარე რიონია. მდინარე ფასისის რიონთან იდენტიფიკაციისათვის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" პირდაპირი მინიშნებაცაა: „აქ კუტაიისის ხმელეთსა და კირკეონის ველზე ამარანტის შორეული მთებიდან (გამომდინარე) მორევიანი ფასისი მიაგორებს ფართო ნაკადს ზღვისაკენ" (II, 399—401). აქ მოხსენებული „ამარანტის მთებს" ყველა მკვლევარი დიდ კავკასიონთან აიგივებს[75].

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის" თანახმად, მდინარე ფასისზე მდებარეობდა აიეტის ქალაქი, რომელიც კუტაიის-ად (Kutaïs) იწოდებოდა. მაკრამ ამ ქალაქის ზუსტი ადგილმდებარეობა, ბუნებრივია, მითითებული არაა (იქნებ იმიტომაც, რომ იგი თანამედროვეთათვის კარგად იყო ცნობილი?), თუმც გარკვეული ორიენტირები შეიძლება მაინც დავინახოთ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქალაქი ქვეყნის შიგნითაა (ე. ი. არა ზღვის ნაპირზე), მდინარე ფასისზე. ამას მოწმობს პოემის ზოგიერთი პასაჟი. მაგ., II, 1260—1265: „ღმით, არგოსის ვამოცდილების წყალობით, მიაღწიეს ფართოდ მომდინარე ფასისს... იალქნები და ქანდარა მყისვე ჩამოხსნეს და წესისამებრ შეინახეს ამოღარულ საცავში; მერე ანძაც დაუშვეს და სწრაფად შევიდნენ ნიჩბით მდინარის ფართო კალაპოტში; მდინარე ტალღების მიმოფანტვით უთმობდა მათ გზას"... და ა. შ. ამრიგად, ჩანს, რომ არგონავტებს მდინარეზე აღმა ცურვა მოუხდათ. III, 57: ხომალდი ფასისში შეაჩერეს". ხოლო როდესაც ბერძნები ოქროს საწმისს მოიპოვებენ, იასონი თავის თანამგზავრებს აფრთხილებს: „აიეტი ამალით წამოვა, რათა მდინარიდან" ზღვაში გასვლა არ დაგვანებოს" (IV, 148) და მართლაც „ნიჩბვით მიქროდა ხო-

[74] ი. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების..., I, გვ. 48.

[75] ჯერ კიდევ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის" სქოლიასტები შენიშნავენ: „...ამარანტოსი... როგორც ფინეესი ამბობს, კოლხეთის მთებია, რომელთაგანაც მდინარე ფასისი ჩამოედინება... ამარანტები („ამარანტთა") რომ კოლხთა მთებია ამას კატესიაც მოგვითხრობს მეორე წიგნში" (ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი..., გვ. 324—325); იხ. აგრეთვე, იმავე ავტორის კომენტარი — აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, გვ. 346—347.

მალდი და გმირები ძალზე ჩქარობდნენ, სწრაფად გაეყვანათ იგი მდინარიდან“ (IV, 210 — 211).

ამრიგად, **იქმნება შთაბეჭდილება, რომ** აპოლონიოს როდოსელის მიერ აღწერილი კოლხეთის მთავარი ქალაქი — მეფე აიეტის რეზიდენცია ქვეყნის შიგნით მდინარე ფასისზე მდებარეობდა. ამასვე იუწყება ფლავიოს არიანეს „პერიპლუსიც“ (§ 81): „მდინარე ფასისის ზევით აყოლებით 180 სტადიონის[76] მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა“, ბერძნულ წყაროებში კი „ქალაქი საიდანაც იყო მედეა“, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, იწოდებოდა კუტაიად. მაგ., ლაკოფრონის „ალექსანდრიაში“ მედეა „კუტაიელად იხსენიება, ამასთან ხშირია აშკარა შეცდომებიც. ამიტომ გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაში შეცდომა დაუშვა „პერიპლუსის“ ავტორმა[77], რომელიც, როგორც წესი, ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქებს აღწერდა, ხოლო ქვეყნის შიგნით „ბარბაროსული ქალაქის“ მოხსენიება, ვგონებ, ერთადერთი შემთხვევაა მის თხზულებაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენთვის საინტერესო ტექსტი „პერიპლუსში“ ძალზე ლაკონიურია: „დიდი ბარბაროსული ქალაქის“ სახელწოდებაც კი არაა აღნიშნული, რასაც შეეძლო გამოეწვია გადამწერთან ამ შემთხვევაში ტექსტის თვითნებური შეცვლა (რაც სხვა ადგილების მიმართ სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზისაა აღნიშნული). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრება, რომ აქ ტექსტი შეიძლება იყოს დამახინჯებული და ρπ (ე. ი. 180)-ის ნაცვლად თავდაპირველად იყო 6π ე. ი. 280 სტადიონი[78]. ახლა ძნელია იმის მტკიცება, ეს გადამწერის შეცდომაა თუ თვითონ თხზულების ავტორისა. მაგრამ თუ გავიზიარებთ თ. ყაუხჩიშვილის საუბებით მისაღებ ვარაუდს, მაშინ საკმაოდ საინტერესო სურათს მივიღებთ.

მანძილი უნდა გამოვიანგარიშოთ არა რიონის თანმედროვე შესართავიდან და ზღვის სანაპირო ხაზიდან, არამედ ძველი სიტუაციიდან. არქეოლოგიური და პალეოგეოგრაფიული ძიებებით კი დადასტურებულია, რომ თანმიედროვე ქალაქ ფოთისა და მისი აღმოსავლეთით მდებარე საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ძვ წ. I ათასწლეულის შუა

---

[76] მაგ., ერიგენე (§ 69) ნათქვამია, რომ „ერთი დღის განმავლობაში ცურვა **500 სტადიონით განიზომება**“.

[77] მაგ., მანძილი პანტიკაპეიდან (ე. ი. დღევანდელი ქერჩიდან) ბეონტიდის **ტბამდე** (ე. ი. აზოვის ზღვამდე) თითქოს მხოლოდ 20 სტადიონია.

[78] თ. **ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი**, ბერძენი მწერლების..., I, გვ. 36.

ხანებისათვის ჯერ კიდევ ზღვას ეკავა და აქ ღრმა უბე არსებობდა, რომელიც თანდათანობით მცირდებოდა ხმელეთის ზრდის ხარჯზე[79]. არქეოლოგიურად უძველესი ნამოსახლარები აქ დღევანდელ სოფ. ჭალადიდის მიდამოებში ფიქსირდება („ზურგა", „საბაჟო", „სიმაგრე" და სხვ.[80], თუ იმ დროისათვის ამ ადგილებს მივიღებთ მდ ფასისის ზღვასთან შეერთების ადგილად, მაშინ 280 სტადიონი მდინარეზე „ზევით აყოლებით" შეიძლება მართლაც შეესატყვისებოდეს დღევანდელი ქუთაისის მიდამოების დაბლობ ადგილებს.

ფსევდო-სკილაქსის თხზულებაში „დიდი ბარბაროსული ქალაქის" ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით არის ერთი საკმაოდ საყურადღებო მინიშნება: „მდინარის (ფასისის — ო. ლ.) ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, სადინაც იყო მედეა. აქ არის მდინარე რიონი". სწორედ ეს უკანასკნელი ფრაზა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ავტორს ამით სურდა დაეზუსტებინა „დიდი ბარბაროსული ქალაქის" ადგილმდებარეობა და მის ორიენტირად დაესახელა მდინარე რიონი — სავარაუდებელია, როგორც ფასისის ერთ-ერთი შენაკადი. როგორც ცნობილია, ბერძნულ-ლათინურ წყაროებში ფასისად იწოდებოდა დღევანდელი მდინარე რიონის ქვემო და შუა წელი, ხოლო შემდეგ მდ. ყვირილა[81], რის თვალსაჩინო დასტურია სტრაბონის ცნობა: „ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება სარაპანამდე" („გეოგრაფია", XI, 2, 17). აქ დასახელებული სარაპანა რომელიც იხსენიება XI, 3, 4-შიც და აგრეთვე ბიზანტიულ წყაროებში (პროკოპი კესარიელი, ომი სპარსელებთან, I, 12; II 29; ომი გოთებთან, VIII, 13,16; მენანდრე პროტიქტოსი ფრ. II; იუსტინიანეს ნოველები, XXXI) დღევანდელი შორაპანია[82], სადაც დღემდეა შემორჩენილი ანტიკური და ბიზანტიური ხანის ციხის ნაშთები[83], ანუ რომ, ფასისი არის მდ. რიონის ქვემო და შუა წელი და და მდ ყვირილა. ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში" მოხსენიებული

---

[79] ო თ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ფასისის ისტორიული შესწავლის პრობლემა „სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემებისადმი (მოხსენებები", თბ., 1975, გვ. 27 და შემდ.

[80] თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, 1978.

[81] ს. ჯანაშია, ფასიდი, გვ. 274.

[82] „მეფეთა ისტორიის" ცნობით, აგებულია ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის მიერ „ქართლის ცხოვრება", I, გვ. 24).

[83] ვ. ჯაფარიძე, ანტიკური ხანის შორაპნის (სარაპანისი) არქეოლოგიური მონაცემები (არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პრეპრინტი), თბ., 1990.

რისი კი, მართლაც შეიძლება მდინარე ფასისის შენაკადად მივიჩნიოთ და იგი თანამედროვე მდინარე რიონის ზემო წელთან გავაიგივოთ[84]. თუ ეს ასეა, მაშინ „დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა“ და რომელსაც ელინისტური ხანის ავტორები კუტაიას თუ კუტაიისის სახელით მოიხსენიებენ. შეიძლება მართლაც დღევანდელი ქუთაისის მიდამოებში ვივარაუდოთ. ამის შესახებ პირდაპირი მითითებაა VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თხზულებაში: „მოხირისის მხარეს[85] ჩამოუდის ერთი მდინარე სახელად რეონი[86]; მის სანაპიროსთან კოლხებს ძველადვე აუშვიათ ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მათ მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის მეტად დაბალ ვაკეზე მდებარეობდა და მათი აზრით, ადვილი მისასვლელი იყო.. სხვები კი ამბობენ: ძველ დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო; აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახდნენ.. მაშინ ამ ციხეს (გულისხმება ვაკეზე აგებული ციხე — ო. ლ.) კოტაიას უწოდებდნენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან: ბერძნული ენის უცოდინარობით მოსდით, რომ ამ სახელწოდების ნამდვილი სახე შეუყვნეს, ასე აქვს მოთხრობილი არიანეს“[87] (ომი გუთებთან“, IV, 14, 47).

ამრიგად, პროკოპი კესარიელი აგრეთვე ადასტურებს, რომ ქალაქი, რომელსაც „პოეტები“ იხსენიებენ (იგულისხმებიან, როგორც ჩანს, კალიმაქე, ლიკოფრონი, აპოლონიოს როდოსელი) როგორც აიეტის რეზიდენციას და მედეას სამშობლოს, მდებარეობდა დღევანდელი ქუთაისის მიდამოებში. შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის პირველი მოხსენიება, როგორც ადრევე ვარაუდობდნენ მკვლევარნი, უნდა მივაკუთვნოთ ძვ. წ. III ს-ს, როდესაც იქმნებოდა კალიმაქეს, ლიკოფრონისა და აპოლონიოს როდოსელის თხზულებანი. მაგრამ ნიშნავს ეს, რომ ეს სახელწოდება („კუტაია“ თუ „კუტაიისი“) და შესაბამისად ამ სახელის მატარებელი დიდი საქალაქო ცენტრი — კოლ-

---

[84] ს. ჯანაშია, ფასიდი, გვ. 275; შდრ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების, I, გვ. 37 — 38.

[85] მოხირისის სახელით ბიზანტიელი მწერლები მოიხსენიებენ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარე ადმინისტრაციულ-გეოგრაფიულ ერთეულს (ო. ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს...).

[86] ესაა ძველი ფასისის მოხსენიება იმ სახელწოდებით, რომელიც ძალიან ახლოა და არსებითად იგივეა, რაც თანამედროვე სახელი „რიონი“. თანამედროვე რიონი — ძველი ფასისი.

[87] ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგიკა“, II, გვ. 163 — 166.

ხეთის სახელმწიფოს დედაქალაქი მხოლოდ ძვ. წ. III ს-ში წარმოიქმნა? ვფიქრობთ, ასეთი მტკიცება გაუმართლებელია იმიტომაც, რომ როგორც არქეოლოგიური მასალები თვალსაჩინოდ მოწმობს ძვ. წ. IV საუკუნიდან შეინიშნება ძირეული ცვლილებები კოლხეთის ისტორიაში, რაც გამოწვეული იყო ერთ დროს ძლიერი და ერთიანი კოლხეთის სამეფოს დასუსტებითა და დაშლით[88]. ამიტომ კოლხეთის სამეფოს ძლიერებისა და მისი დედაქალაქის სიდიადის იდეა (რაც აგრე თვალნათლივაა წარმოდგენილი აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“)[89] სრულიად აშკარად ასახავს გაცილებით უფრო ადრინდელ ვითარებას[90]. ამრიგად ჩვენს წინაშე დგება საკმაოდ რთული საკითხი: როდის შეიძლებოდა ძველ ბერძნულ წყაროებში გაჩენილიყო სახელწოდება „კუტაია“ თუ „კუტაიის“-ი კოლხთა მეფისა და, მაშასადამე, მთელი სახელმწიფოს მთავარი ცენტრის — დედაქალაქის აღსანიშნავად?

აპოლონიოს როდოსელი, როგორც ცნობილია, კოლხეთში არასოდეს ყოფილა. ამიტომაცაა დასადგენი, თუ რა წყაროებს იყენებდა იგი თავისი პოემის დაწერისას. ამ საკითხში ფილოლოგების აზრი თითქმის ერთსულოვანია: აპოლონიოს როდოსელი, რომელიც ძალიან დიდხანს ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მუშაობდა, თავისი პოემის შექმნისას სარგებლობდა არგონავტების კოლხეთში ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ მის დრომდე მოღწეული ყველა ლიტერატურული ნაწარმოებით. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ წყაროებად აღ-

---

[88] О. Д. Лордкипанидзе: Наследие.., გვ. 273 (და იქ დასახ. ლიტ.).

[89] შდრ. პოემის III. 210 და შემდ.

[90] ძველი ბერძნული ტრადიცია, როგორც ცნობილია, არგონავტთა ლაშქრობას კოლხეთში ტროის ომის წინარე ხანას მიაწერს. ამის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი „კუტაიასა“ და შესაბამისად, ქუთაისის არსებობის შესახებ ძვ. წ. XV—XIV სს-ში (იხ. ამ წიგნის „შესავალში“ ისტორიოგრაფიული მიმოხილვა). მაგრამ ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისისათვის ქალაქთა არსებობის არავითარი მონაცემი არ არსებობს. ამას გარდა, უაღრესად საინტერესოა საკითხი იმის შესახებაც კი, თუ რა დროის მოვლენები აისახა მითში არგონავტების შესახებ მიკენური თუ სუბმიკენური, „ბნელი პერიოდისა“, თუ როგორც ახლა უწოდებენ „ლევანდინი“? შეიძლება მხოლოდ იმის ვარაუდი, რომ არგონავტთა შესახებ თქმულებაში აისახა ბერძენთა პირველი წარმატებული მოჯადურობა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ. მაგრამ თუ როდის, ეს საკითხი დღემდე რჩება ჰიპოთეზის დონეზე. დაწვრილებით ეს საკითხები განხილულია ჩვენს მოხსენებაში „Аргонавтика в раннегреческом эпосе» (იბეჭდება).

არებულია ჰომეროსის, ჰესიოდეს, ევმელოს კორინთელის ე.წ. „ნავპაკტიკური ეპოსი“, ეპიმენიდეს, ჰელანიკეს, ჰეროდოტეს, ფერეკადეს და სხვ.[91] ნაწარმოებები მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია, როგორც წესი, ცალკეული სიუჟეტებისა და მხატვრული ხერხების სესხებაზე და გავლენაზე. ჩვენ კი ამჯერად გვაინტერესებს აპოლონიოს როდოსელის პოემის გოგრაფიული და ეთნოპოლიტიკური ნომენკლატურის წარმომავლობა.

სავსებით აშკარაა, მაგალითად, რომ აპოლონიოს როდოსელს გამოყენებული აქვს ქსენოფონტის „ანაბასისის“, კერძოდ, მისი ცნობები მოსინიკებზე[92] (რასაც სიტყვა-სიტყვით იმეორებენ შემდგომი ხანის სხვა ბერძენ-რომაელი ავტორებიც), აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მელითონე ტომების—ხალიბების საქმიანობის შესახებ[93].

შეიძლება ვივარაუდოთ აპოლონიოს როდოსელის მიერ ჰეროდოტეს „ისტორიის“ გამოყენებაც, თუმცა ახლა შეუძლებელია ზუსტად თქმა იმისა, თუ „ისტორიის მამის“ თხზულების რომელი პასაჟით ისარგებლა მან. ყურადღებას იქცევს ორივე ავტორის მიერ სახელწოდებების „აია“ და „კოლხეთის“ სინონიმური მნიშვნელობით გამოყენება, ხოლო ერთ შემთხვევაში კომპოზიტისაც აია-კოლხეთი[94]. მაგრამ მთლიანად კი, სავსებით აშკარაა, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ წარმოდგენილი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოპოლიტიკური სურათი და საერთოდ გეოგრაფია, მკვეთრად განსხვავდება იმ სიტუაციისაგან, რომელიც ჰეროდოტესა და ქსენოფონტის თხზულებაშია დაფიქსირებული და ასახავს ძირითადად ძვ. წ. V ს-ის და ნაწილობრივ VI ს-ის ვითარებას[95]. მაგალითად, აპოლონიოს როდოსელის პოემაში სრულებით არ იხსენიებიან მიდიელები, სპარსელები, რომელთა ქვეშევრდომები, ჰეროდოტეს თანახმად, იყვნენ სწორედ ის ტომები, რომელნიც

---

[91] იხ. ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი..., გვ. 56..

[92] შდრ. „ანაბასისისი“, V, 4, 32 — 34 და „არგონავტიკა“, II, 1005 — 1020.

[93] შდრ. „ანაბასისი“, V, 5, I, და „არგონავტიკა“, II, 990—994.

[94] შდრ. ჰეროდოტეს „ისტორია“, 1, 2; VII, 193 და 197 და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, II, 415.

[95] როგორც ცნობილია ჰეროდოტეს ცნობების ერთ ნაწილში წარმოდგენილია ძვ. წ. VI ს-ის 20-იან წლებამდელი (О. Д. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Тб., 1979, с. 52 — 53) ან კიდევ უფრო ადრინდელი—50-იან წლებამდე პოლიტიკური სიტუაცია (Г. А. Меликишвили, Найри-Урарту. Тб., 1964, с 415).

„არგონავტიკაში“ დასახელებული არიან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე: ბითინები, მარიანდინები, მაკრონები, მატიენები, პაფლაგონიელები და სხვ. თუმც ეს ფაქტი ადვილად შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ აპოლონიოს როდოსელმა ამ შემთხვევაში საკანგებოდ არ მოიხსენია მიდიელები და სპარსელები, რადგან ცნობილი, რომ ისინი პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდნენ დიდი ხნით მას შემდეგ, როდესაც ძველი ბერძნული ტრადიციით არგოვანტების ლაშქრობა განხორციელდა, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ეს ერთადერთი შემთხვევა არაა აპოლონიოს როდოსელის პოემაში, როდესაც ის საგანგებოდ ცდილობს მის მიერ აღწერილი მოვლენების შეგნებულ არქაიზაციას. აქვე უნდა დავძინოთ, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ტექსტის შედარებისას ჰეროდოტესა და ქსენოფონტის თხზულებებთან სავსებით აშკარაა მრავალი არსებითი განსხვავება ცალკეული ტომების ადგილსაცხოვრისის განსაზღვრაშიც. ყურადღებას იქცევს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ბექეინები და ბებსენები, რომელთაც აპოლონიოს როდოსელი (II, 1242 — 1243) მაკრონებსა და კოლხებს შორის ათავსებს, ჰეროდოტესთან საერთოდ არ იხსენიებიან. მაშინ როდესაც აპოლონიოს როდოსელის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დასახელებულ ყველა დანარჩენ ტომს ჰეროდოტე ჩამოთვლის აქემენიდური ირანის სხვადასხვა სატრაპიებში გაერთიანებულ ტომთა შორის. ბექეირებსა და ბიზერებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ შეხვედრია არც ქსენოფონტი, რომელმაც ეს ადგილები ძვ. წ. 401 წელს მოიარა. მაგრამ ძალზე საყურადღებოა, რომ ორივე ავტორი ბექეირებსა და დიზერებს (ე. ი. ბიზერებს) კოლხებსა და მაკრონებს შორის (ე. ი. ისევე როგორც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაშია“) ასახელებს ძვ. წ. VI ს-ის ბერძენი ავტორი ჰეკატე მილეტელი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მასთან ბექეირებსა და დიზერებს (ე. ი. ბიზერებს) შორის არიან ხოიები[96], ხოლო აპოლონიოს როდოსელთან საპირები.

ასე რომ, აპოლონიოს როდოსელის პოემაში წარმოდგენილი ეთნოპოლიტიკური სტრუქტურა გაცილებით ახლოა ჰეკატე მილეტელისეულთან (ძვ. წ. VI ს.), ვიდრე ჰეროდოტესა და ქსენოფონტისეული (ძვ. წ. V ს.). ხომ არ ნიშნავს ეს რომ აპოლონიოს როდოსელის

---

[96] ნ. ლომოური, ბერძენ ლოგოგრაფოსთა ცნობები ქართველი ტომების შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 35, თბ., 1965, გვ. 30.

მიერ გამოყენებული სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოპოლიტიკური სტრუქტურის სქემა ჰეროდოტესეულ ხანისას განეკუთვნება? ვიდრე ამ ურთულეს კითხვაზე პასუხს შევეცდებოდეთ, აუცილებელია კიდევ ერთხელ მივმართოთ ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსს“ და შევადაროთ ის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მონაცემებს. ამ ორ ნაშრომში სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ეთნოგეოგრაფიული სიტუაცია შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

„პერიპლიუსი“[97]	„არგონავტიკა“[98]
§ 92. ბითინები... კუნძული თინიასი, და მდინარე რებოსი.	ბითინები — II, 347, 348. თინიასი კუნძული — II, 673 (შდრ. II, 350, 548, 460) რებოსი — II, 349, 650, 789.
§ 91. მარიანდინები... მდინარე ლიკოსი და... ჰიპიოსი	მარიანდინები, ლიკოსი — II, 723 — 724. ჰ პიოსი — II, 795.
§ 90. პაფლავონია	პაფლაგონიელები — II, 558, 780.
§ 89. ...ასირია, მდინარე თერმოდონტი.. ქალაქი თემისკირა, ლიკასტოსი — მდინარე ჰალისი... ჰალისი...	ასირია — II, 946. თერმოდანტი — II, 370, 805, 970. თემისკარა — კონცხი — II, 371. ლიკასტიელები — I, 999. ჰალისი — II, 366, 953, 963.
§ 88. ხალიბები... ნავსადგური გენეტესი	ხალიბები—II, 375, 1001—1008. გენეტეოსი კონცხი — II, 378.
§ 87. ტიბარენები...	ტიბარენები — II, 377, 1010 — 1014
§ 86. მოსინიკები	მოსინიკები — II, 379, 1015 — 1029

[97] შდრ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების... I, გვ. 51—57.

[98] აპოლონიოს როდოსელი„ არგონავტიკა ;დასახელებული გამოცემა ქართულ ენაზე).

§ 85. მაკროკეფალები	ფილერები — II, 323
	მაკრონები — II, 394, 1242
§ 84. ...პეკეირები — ტომი	ბექეირები — II, 394, 1242
§ 83. ...ეკეკეირები	
§ 82. ...ბიძერები	ბიძერები — II, 396, 1244
§ 81. კოლხები	კოლხები, კოლხეთი, აია[99] —

როგორც ვხედავთ, და ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსსა“ და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ წარმოდგენილი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოპოლიტიკური სტრუქტურა ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. ეს კი მიგვანიშნებს, რომ ან აპოლონიოს როდოსელის ცნობები ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსიდანაა“ პირდაპირ ნასესხები, ან კიდევ — ორივე ავტორთან დადასტურებული ეთნოპოლიტიკური გეოგრაფია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობს.

„პერიპლუსის“ (§ 81 — 88) და „არგონავტიკის“ (II, 615 — 1250) ურთიერთთან შედარება ცხადყოფს, რომ ორივე ავტორი სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოპოლიტიკური სტრუქტურის აღწერისას ზოგიერთი უმნიშვნელო განსხვავებით (რაც ზემოთაც აღინიშნა) ძირითადად ერთ სისტემას მისდევს. ზოგიერთ შემთხვევაში ორივე ავტორი ასახელებს ერთსადაიმავე გეოგრაფიულ სახელებსაც, განსაკუთრებით მდინარეებისას. მასთან ერთად, თვალშისაცემია არსებითი განსხვავებანიც, რაც, უნდა ვიფიქროთ, გაპირობებულია იმ განსხვავებული მიზნებით, რომელსაც ისახავდა, ერთი მხრივ „პერიპლუსის“, ხოლო მეორე მხრივ — „არგონავტიკის“ ავტორი. მაგ., „არგონავტიკაში“ ჭარბობს თხრობითი სიუჟეტები ეთნოგრაფიული დეტალების (ცნობები მოსინიკების შესახებ) ან ცალკეულ ტომთა საქმიანობის აღწერით (ცნობები ხალიბების შესახებ), მაშინ როდესაც ფსევდოსკილაქსი იფარგლება მხოლოდ ტომთა, დასახლებულ პუნქტთა და მდინარეების ჩამოთვლით, ზოგჯერ მათი ადგილმდებარეობის მოკლე აღნიშვნით. ეს გასაგებიცაა: „პერიპლუსს“ პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა და იგი ათენელი ვაჭრებისა და მოგზაურთათვის

[99] ბერძნული დედაენის ტექსტების შესახებ იხ. О. Д. Лордкипанидзе К вопросу о первом упоминании..., с. 163-164.

იყო განკუთვნილი. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგოვატიკაში“ დასახელებულია ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსში“ არ გვხვდება. მაგ., ბითინიელების ქვეყანასა და მის შემდგომ კოლხეთამდე „არგონავტიკაში“ დასახელებულია: კოლონესი (II, 670, 779), შავი კონცხი (II, 349, 351), ფილეიდა (II, 652), კალპე (II, 695), ბილკოსი (II, 791), ათნემოისისი (II, 724), აქერუსია (II, 354, 728, 750, 806, 844) და აქერონტი (I, 644; II 354 — 355, 745, 901), კალიქოროსი (II, 904 — 909), ლირა (II, 929), პართენიოსი (II, 936), სესამოსი, ერითინა, კრობიალოსი, კრომნა, კიტოროსი და კარამბისი (II, 941 — 942), ირისი (II, 367, 963), ამაზონები (II, 375, 386, 965 — 966), დრიანტო (II, 373, 988), არელა (II, 1031, 1047), ფოლიერეს კუნძული (II, 1231)...

მეორე მხრივ, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ არ გვხვდება ფსევდოსკილაქსთან იმავე გეოგრაფიულ არეალში (ბითინიელების ქვეყნიდან კოლხებისაკენ) დასახელებული არტანესი, ოლბიური უბე (§ 92), ოქერაინოსი და ჰარმენე (§ 89), ძეფირიოსი (§ 86), პორდანისი და არაბისი (§ 83), დარაანონი და არიონი (§ 82), და სხვ.[100]

აქ და ზემოთ ადრე დასახელებული განსხვავებანი გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსი“ არ შეიძლებოდა ყოფილიყო აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ პირდაპირი წყარო სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღწერისას, მიუხედავად იმისა, რომ ორივე დასახელებულ თხზულებაში ძირითადად ერთმანეთის მსგავსი ეთნოპოლიტიკური სტრუქტურაა წარმოდგენილი. ზემოაღნიშნული განსხვავებანი უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ორივე ავტორი ერთი საერთო წყაროთი სარგებლობდა. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოპოლიტიკური სტრუქტურის ანალოგიური ელემენტები ჩანს ძვ. წ. VI ს-ის ბერძენი ლოგოგრაფოსის ჰეკატე მილეტელის ცნობებში, რამდენადაც ამის შესახებ შეიძლება მსჯელობა სტეფანე ბიზანტიელთან („ეთნიკა“) და

[100] ფსევდოსკილაქსის ტექსტიდან ამოღებულია არსებითად მხოლოდ მდინარეების და ზოგიერთი ტოპონიმური მონაცემი. არაა შედარებული ქალაქების მოხსენიება იმიტომ, რომ აპოლონიოს როდოსელი თავის თხზულებაში შეგნებულად არ ასახელებს შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებს (ამის შესახებ ქვემოთ).

ნაწილობრივ აგრეთვე აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ კომენტატორებთან შემონახული ფრაგმენტების მიხედვით.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ჰეკატე მილეტელის „დედამიწის აღწერილობაში“, რამდენადაც ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტების მიხედვითაა შესაძლებელი მსჯელობა, ყურადღება ძირითადად აქცენტირებული იყო ადგილობრივ საქალაქო ცენტრების მოხსენიებაზე და მხოლოდ იშვიათადაა ჩამოთვლილი ელინური პოლისები. მაგ., შემონახულია ქალაქ ქიორადერის მოხსენიება მოსინიკების ქვეყანაში (ფრ. 193), სტამენე ხალიბებთან (ფრ. 197), პატრასია—პონტოს ქალაქი (ფრ. 198), კროსოსი პონტოში (ფრ. 199)... ამიტომ გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ჰეკატე მილეტელის თხზულებაში წარმოდგენილი იყო კოლხთა მთავარი ქალაქის სახელწოდებაც „კუტაია“ თუ „კუტაიის“-ი. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფრთხილი ვარაუდია. სამწუხაროდ, ჰეკატეს თხზულების ის ნაწილი, რომელშიც კოლხთა ქვეყანა უნდა ყოფილიყო აღწერილი, ამჟამად დაკარგულია. მავრამ იმის შესახებ, რომ ჰეკატეს „დედამიწის აღწერილობაში“ ნამდვილად იყო კოლხეთის აღწერაც, ჩანს შემდეგიდან: შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ტომთა განსახლების აღწერილობა წყდება კორიქსებსა და კოლხებზე. შემდეგ მოხსენიება დისერების (—ბისერების) და სხვა ტომებისა, რომელნიც ფსევდო-სკილაქსისა და აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, კოლხთა სამხრეთით მოსახლეობდნენ[101].

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, რომ ჰეკატე შესანიშნავად იცნობდა მცირე აზიისა და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროებს. ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით, შავიზღვისპირეთის ეთნიკური სურათი რომაული ხანის ავტორებთანაც კი ზოგჯერ ჰეკატედან მომდინარეობს[102].

ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ჰეკატეს თხზულებაში შესაძლოა მოიხსენიებოდა კოლხთა მთავარი ქალაქი, აძლიერებს ისიც, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“. კომენტატორებთან შემონახული ჰეკატესეული ზოგიერთი ფრაგმენტიდან ნათლად ჩანს,

---

[101] იხ. ნ. ლომოური, დასახ. ნაშრომი.

[102] იხ. И. В. Куклина, Этногеография Скифии по античным источникам, Ленинград, 1985, გვ. 123 (იქ დასახ. ლიტ.).

რომ მის თხზულებაში წარმოდგენილი იყო არგონავტთა მოგზაურობის შესახებ ბერძნული თქმულების ცალკეული სიუჟეტები[103].

ამრიგად, შეიძლება გამოიტქვას ვარაუდი, რომ ერთ-ერთი წყარო, რომლითაც სარგებლობდა აპოლიონიოს როდოსელი და რომელშიც წარმოდგენილი იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომთა აღწერილობა, მათ შორის კოლხებისა, მათი მთავარი ქალაქის („კუტაიას“ თუ „კუტაიის“-ის) მოხსენიებით, შესაძლოა იყო ჰეკატე მილეტელის „დედამიწის აღწერილობა“. ის, როგორც ფიქრობენ, დაიწერა 520—500 წლებს შორის და მიზნად ისახავდა იმ დროს ბერძენთათვის ცნობილი ყველა ქვეყნის, მათ შორის შავიზღვისპირეთის აღწერას. ეს ნაწარმოები სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათის პირველ და ყველაზე უფრო საფუძვლიან ნაწარმოებად, რომელმაც „უსაზღვროდ გააფართოვა თავისი დროის წარმოდგენები იმ ხალხების შესახებ, რომელნიც ცხოვრობდნენ ზღვისგან დაშორებულ შიდა რაიონებში. ამასთან, ამ ნაწარმოებში შეინიშნება გარკვეული მეცნიერული ინტერესი კლიმატის, ზნე-ჩვეულებების, ფლორისა და ფაუნის შესახებ. ამიტომ ის ღირსია იწოდებოდეს ზოგადად გეოგრაფიად“[104].

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია უკვე გამოთქმულია მტკიცება, რომ ჰეკატე მილეტელი ფართოდ სარგებლობდა ნამდვილი სკილაქს კარიანდელის მონაცემებით და თავის „დედამიწის აღწერილობაში“ შეუტანაა კიდეც ამ ავტორის „პერიპლუსის“ დიდი ნაწილი[105]. მეორე მხრივ, ზოგი მკვლევარი (ფ. გიზინგერი, კარლინგე, ს. ჟებელიოვი, ლ. ელნიცკი, თ. ყაუხჩიშვილი, მ. ინაძე) თვლის, რომ ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსიც“ ჰეკატეს გზით თუ დამოუკიდებლად აგრეთვე ნამდვილ სკილაქს კარიანდელის თხზულებიდან მომდინარეობს[106]. ფიქრობენ, რომ ფსევდოსკილაქსმა თავის

---

[103] ისინი გაბედება ძირითადად ჰეკატე მილეტელის „გენეალოგიებიდან“ მომდინარე ფრაგმენტებში (17 და 18 თ.)—იხ. ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი..., გვ. 244, ხოლო „დედამიწის აღწერილობაში“ თითქოს იხსენიებოდა მედეა (სტეფანე ბიზანტიელთან შემონახულ ფრაგმენტში — იხ. ა. უ რ ე შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი..., გვ. 248).

[104] Дж. Т о м с о н, История древней географии, Москва, 1953, с. 81.

[105] დაწვრ. იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების..., I, გვ. 23; მ. ი ნ ა ძ ე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982, გვ. 15 და შემდ.

[106] მ. ი ნ ა ძ ე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის..., გვ. 17.

თხზულებაში ძვ. წ. VI ს-ის „პერიპლუსიდან“ მთელი პასაჟებიც კი ჩართო.

ამრიგად, არსებობს გარკვეული საფუძველი ვივარაუდოთ: ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსსა“ და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ წარმოდგენილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოპოლიტიკური სქემა და გეოგრაფიული ნომენკლატურა (მათ შორის „დიდი ბარბაროსული ქალაქის, საიდანაც იყო მედეა“ ანუ „კუტაია“, მოხსენიება) მომდინარეობს ნამდვილი სკილაქს კარიანდელის თხზულებიდან (აპოლონიოს როდოსელისათვის შესაძლოა ჰეკატე მილეტელის გზით). სკილაქს კარიანდელის ცნობები კი ასახავს ძვ. წ. VI ს-ის ვითარებას.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ეთნიკური და გეოგრაფიული ნომენკლატურის ანალიზისა და მისი ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსის“ მონაცემებთან შედარებისას ყურადღებას იქცევს ერთი საკმაოდ საინტერესო დეტალი. განსხვავებით „პერიპლუსისგან“, სადაც შავი ზღვის სანაპიროზე ჩამოთვლილია მისი ავტორისათვის ცნობილი ყველა ბერძნული ქალაქი (პოლისი), აპოლიონოს როდოსელის „არგონავტიკაში“ არც პროპონტიდაში და არც შავი ზღვის სანაპიროზე არცერთი ბერძნული ქალაქი (პოლისი) დასახელებული არაა. მაგრამ აქედან არ უნდა გამოვატანოთ დასკვნა (რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს ცდუნება), რომ თითქოს აპოლონიოს როდოსელთან წარმოდგენილი ეთნოპოლიტიკური სტრუქტურის აღწერა და მთლიანად გეოგრაფიული ნომენკლატურა, თითქოს მომდინარეობდეს შავაზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაციის წინადროინდელი წერილობითი წყაროდან. შავიზღვისპირეთში კი ყველაზე ადრეულ ბერძნულ კოლონიად სინოპე ითვლება, რომლის დაარსებას ლიტერატურული ტრადიცია (ფსევდოსკიმნოსთან შემოსახული) ძვ. წ. VIII ს. მიაწერს (ე. წ. „ქაბრინდის კტიზმა“), თუმც მისი რეალურობის დამადასტურებელი მასალა ჯერ აღმოჩენილი არაა[107]. შავიზღვისპარეთში ბერძენთა კოლონიზაცია მხოლოდ ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებიდან იწყება და რეგულარულ ხასიათს მხოლოდ VII ს-ის ბოლოსა და VI ს-ის დასაწყისში იღებს[108]. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ბერძენ-

[107] ამიტომ სინოპეს დაარსების თარიღად უფრო ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევარი უნდა მივიჩნიოთ (ლიტერატურა იხ. Д. Качарава, Г. Квирквелиа, Города... გვ. 240. და შემდ.).

[108] О. Д. Лордкипанидзе, Основные проблемы древней истории Причерноморья, «Причерноморье в VII-V вв. до н. э.» (Материалы V международного симпозиума по древней истории Причерноморья), Тб., 1990, с. 12.

თა მიერ შავიზღვისპირეთის ახალი გაცნობა და ისეთი ვრცელი ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული ნაწარმოებებას შექმნა, როგორიც იყო სკილაქს კარიანდელისა და ჰეკატე მილეტელის თხზულებანი, რომელნიც, ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა საფუძვლად დასდებოდა აპოლონიოს როდოსელის მაერ აღწერილ შავიზღვისპირეთის ეთნოგეოგრაფიულ ფონს. ის ფაქტი კი რომ აპოლონიოს როდოსელი არ იხსენიებს ბერძნული კოლონიზაციის დროს წარმოქმნილ პოლისებს, უნდა აიხსენებოდეს იმით, რომ „არგონავტიკის“ ავტორი ამ შემთხვევაში მკაცრად მისდევს ისტორიზმის პრინციპს: არგონავტების ლაშქრობა ხომ ტროას ომის წინ განხორციელდა[109] ამიტომაც აპოლონიოს როდოსელი შეგნებულად დუმს და არ იხსენიებს შავიზღვისპირეთში ბერძნულ ქალაქებს და მით ხაზს უსვამს მის მიერ აღწერილი მოვლენების სიძველეს.

აღწერილი მოვლენების ავტორისეული შეგნებული არქაიზაცია თვალნათლივ იგრძნობა პოემის სხვა ადგილებშიც, კერძოდ, კოლხთა ყოფითი მომენტების ზოგიერთი დეტალის აღწერისას (მაგალითად, სპილენძის შრომითი იარაღების გამოყენება), აგრეთვე უძველესი გეოგრაფიული სახელწოდებებისა და საკუთარი სახელების ფართოდ (მაგ., „კეკროპია“ ნაცვლად ათენისა და ატიკისა, ჰაიმონია — თესალისა და თესალიტებისა, სერამოსი—ამასტრიისა და ა. შ.). აღწერილი მოვლენების არქაიზაციის ცდაშიც თვალნათლად იგრძნობა მიმბაძველობა ჰომეროსისადმი, რომელიც აპოლონიოს როდოსელის კერპს წარმოადგენდა[110].

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აპოლონიოს როდოსელმა მის მიერ შექმნილ პოემას არგონავტების გმირობაზე საფუძვლად დაუდო მეტ-ნაკლებად რეალური ეთნოგეოგრაფიული ფონი, მაგრამ არა თავის ეპოქისა, არამედ მის ხელთ არსებული იმ უფრო ძველი წყაროების საფუძველზე, რომელნიც ასახავდნენ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის საწყისი ეტაპის, ე. ი. ძვ. წ. VII—VI სს-ის ელინთა გეოგრაფიულ წარმოდგენებს. მაგრამ ბუნებრივია ასეთი კითხვაც: გაორიცხულია განა ისეთი წერილობითი წყაროს არსებობა, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა ბერძნული კოლონიზაციის წინადროინდელი ხანის შავიზღვისპირეთის ეთნოგეოგრაფიუ-

---

[109] ტროის ომის მონაწილენი არიან არგონავტთა შვილები და შვილიშვილები — იხ. თ. მიქელაძე, ძიებანი..., გვ. 82.

[110] ცნობილია, რომ ეს გახდა საფუძველი აპოლონიოს როდოსელის განხეთქილებისა მის მასწავლებელთან კალიმაქესთან.

ლი სიტუაცია. ეფიქრობთ, ასეთი წყაროს არსებობა კატეგორიულად არ უნდა გამორიცხოს, რამდენადაც რაღაც კონტაქტები ბერძნულ სამყაროსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის ჯერ კიდევ წინა საკოლონიაციო პერიოდშია სავარაუდებელი[111]. ხომ შემოინახა, მაგალითად, ე. წ. „ტროელთა კატალოგი“, როგორც ჰომეროსის „ილიდის“ შემადგენელი ნაწილი („ილიადა“, II, 851—857). უაღრესად მრავალრიცხოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერაც არ ცხრება ცხოველი კამათი „ტროელთა კატალოგის“ (ისევე როგორც ე. წ. „ხომალდთა კატალოგის“) „ილიადისადმი“ კუთვნილებისა და მისი შექმნის თარიღის შესახებ. მკვლევართა უმრავლესობა ამჟამად თვლის, რომ იგი „ილიადაში“ თუმც გვიანდელი ინტერპოლაციაა, მაინც ასახავს ძვ. წ. VIII—VII სს-ის მცირე აზიის პოლიტიკურ გეოგრაფიას[112]. „ტროელთა კატალოგში“ კი იხსენიება უკვე მთელი წყება გეოგრაფიული პუნქტებისა და ტომებისაც, რომელიც შავიზღვისპირეთთანაა დაკავშირებული. ზოგიერთი მათგანი გვხვდება აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „არგონავტიკის“ მონაცემების შედარება „ტროელთა კატალოგის“ შემდეგ ადგილთან („ილიადა“, II, 851—857): „პაფლაგონიელებს მეთაურობდა მაჰაცი პილემენე ენეტებიდან... (პაფლაგონილებს) ეკავათ კიტოროსი, ბინადრობდნენ სერაგოსს და პარიენიოსის მდინარის პირას ნაგებ მშვენიერ სახლებში ცხოვრობენ. (ეკავათ) კრომნა, ეგიალოსი, და ერითინის მაღალი კლდენი... ხოლო ჰალიძონებს მოუძღოდნენ ოდიოსე და ეპისტროფოსი შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის სამშობლო[113]. ყველა აქ ჩამოთვლილი ეთნიკური და გეოგრაფიული სახელწოდება მოხსენიებულია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტაკაშიც“ პაფლაგონიის გასწვრივ არგონავტთა მგზავრობის აღწერისას: პაფლაგონიელები (II, 358, 790, იხ. აგრეთვე IV, 25), ენეტე (I, 950: როგორც საკუთარი სახელი — დედა კიშიკისა და ასული ევროროსი) და ენეტიოსა (II, 358: პაფლაგონიის მცხოვრების მნიშვნელობით) განსაკუთრებით საინტერესოა

---

[111] О. Д. Лордкипанидзе, Основные проблемы... გვ. 12 და შემდ. ეფრო დაწვრ. ეს საკითხი განხილულია ჩვენს მიერ შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილ VI საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებაში «Аргонавтика в раннегреческом эпосе».

[112] Ю. В. Андреев, Политическая география Гомеровской Греции. «Древнейший Восток и античный мир», Москва, 1988, с. 128-152.

[113] უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი..., გვ. 170,

„ტროელთა კატალოგთან“ შედარება „არგონავტიკის“ II, 936 და 941-942 სტროფებისა, სადაც ისევე როგორც „კატალოგში“, ჩამოთვლილია მდინარე პარაენიოსი (იხსენიება აგრეთვე III, 976—7), ქალაქი სეზამოსი, ერითინეს კონცხი, ქალაქები კრომნა და კიტოროსი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუ მდინარე პარაენიოსს იხსენიებს ჰეროდოტეც (მაგრამ სირიელთა ქვეყანაში — შდრ.), სამაგიეროდ ერითინეს, ქალაქებს სერაგოსს, კრომნას და კიტოროსს იხსენიებენ „ტროელთა კატალოგიც“ და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაც“[114]. ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აპოლონიოს როდოსელი არგონავტთა გზაზე (ყოველ შემთხვევაში, პაფლაგონიის მონაკვეთზე) გეოგრაფიული პუნქტების აღწერისას სარგებლობდა „ტროელთა კატალოგით“ ან ამ ორივე ნაწარმოებისათვის ერთი საერთო წყაროთი, სადაც უკვე მაშინ („კატალოგის“ შექმნის დროისათვის ან მასზე ადრეც) წარმოდგენილი იყო შავიზღვისპირეთის აღწერილობა. იმის შესახებ კი, რომ ბერძნულ სამყაროში ჯერ კიდევ საკოლონიზაციო მოძრაობის ფართოდ დაწყებამდე არსებობდა გარკვეული ინფორმაცია შავიზღვისპირეთის გეოგრაფიისა და ეთნიკური სამყაროს შესახებ, მოწმობს არა მხოლოდ ზემოთ უკვე ხსენებული, „ტროელთა კატალოგი“, არამედ არგონავტების კოლხეთში ოქროს წაწმისისათვის ლაშქრობის შესახებ მითის არაჩვეულებრივი პოპულარობა ძვ წ. VIII—VII სს-ის ბერძნულ ეპოსსა და ლატერატურაში (ჰომეროსი, ევმელოს კორინთელი, ჰესიოდე, ნავპაკტიკური ეპოსი და სხვ.)[115] და ამ ნაწარმოებიდან ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში ზოგი. გეოგრაფიული სახელების მოხსენიება. მაგ., „კოლხეთი“ იხსენიება ძვ. წ. VIII ს. მწერალ ევმელოს კორინთელთან (ფრ. 2), ხოლო ფასისი დასახელებულია მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა შორის ჰესიოდეს „თეოგონიაში“ (ტ. 337 „340)[116].

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ შავიზღვისპირეთში დიდი ბერძნული კოლონიზაციის დაწყებამდე (ე. ი. ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებამდე) ელინურ სამყაროში ჩნდება შავიზღვისპირეთის

---

[114] ამ ქალაქებს ზოგიერთი გვიანდელი ავტორიც ახსენებს. ცნობები მათ შესახებ და ლოკალიზაციის საკითხები იხ. N. Ehrhardt. Milet, und seine Kolonien. Frankfurt am Mein 1988, p 53; და შემდ. შდრ. Д. Качарава: Г. Квирквелия, Города..., с. 139—140, 148.

[115] იხ. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი..., გვ. 14 და შემდ., ო. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა..., გვ. 15 და შემდ.

[116] უფრო დაწვრილებით ეს საკითხები განხილულია ჩვენს ზემონახსენებ მოხსენებაში — „Аргонавтика в раннегреческом эпосе“.

ეთნიკური და გეოგრაფიული სიტუაციის შესახებ ინფორმაცია და, შესაძლოა, პირველი ლიტერატურული აღწერილობანიც, მაგრამ ერთიან სისტემაში ისინი მოექცა მხოლოდ ბერძნული კოლონიზაციის არეალის გაფართოებასთან ერთად, რასაც თან ახლდა ბერძენთა მიერ შავიზღვისპირეთის ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება.

რამდენადაც მომხიბვლელი არ უნდა იყოს და, შესაძლოა, არც საფუძველს მოკლებული აპოლიონიოს როდოსელის წყაროების წინასაკოლონიზაციო ხანის სავარაუდებელ ბერძნულ მწერლობაში ძიება, მაინც ამჟამად, ჩვენი ცოდნის დღევანდელ ეტაპზე უნდა ვაღიაროთ, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ წარმოდგენილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოპოლიტიკური სტრუქტურისა და გეოგრაფიული ფონის აღწერილობა ძირითადად უნდა მომდინარეობდეს ჰეკატე მილეტელისა და, შესაძლოა, სკილაქს კარიანდელის თხზულებებიდან და ასახავს ძირითად სიტუაციას არაუგვიანეს ძვ. წ. VI ს.-ისა. ამ დროისათვის უნდა ვივარაუდოთ „არგონავტიკაში“ მოხსენებული „კუტაიას“ თუ „კუტაის“-ის არსებობაც. ამის არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ ჰეროდოტეს „ისტორიაში“ (VII, 197) კოლხთა მეფე აიეტის შვილიშვილის კუტისორეს სახელის მოხსენიება. თ. ყაუხჩიშვილის აზრით (რომელსაც სხვა ელინისტებიც იზიარებენ), ეს სახელი უკავშირდება ქალაქ „კუტაიას“ („კუტაისიის“) სახელწოდებას. Κυτίσωρος ნიშნავს „კუტაიელს“[117]. თუ ძველი ბერძნული ენის სპეციალისტთა ეს მტკიცება სწორია, მაშინ შეიძლება ის განვიხილოთ. როგორც დოკუმენტური მოწმობა უკვე ძვ. წ. V ს-ში (და შესაბამისად უფრო ადრეც) „კუტაიას“ (თუ „კუტაიისის“) სახელის მატარებელი ქალაქის კოლხეთში არსებობის შესახებ[118].

ამრიგად, შეიძლება გამოითქვას უაღრესად ჰიპოთეტური ვარაუდი: აპოლონიოს როდოსელთან და ელინისტური ხანის სხვა მწერლებთან (კოლიმაქე, ლიკოფრონი) დადასტურებული ქალაქი „კუტაია“

---

[117] თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები..., გვ. 34—35. იხ. აგრეთვე, ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი..., გვ. 493; Р. В. Гордезиани, Проблемы гомеровского эпоса, Тб., 1978, с. 209.

[118] რამდენამდე განსხვავებული აზრისაა მ. ინაძე, რომლის მტკიცებით სახელწოდება „კუტაია“ კი არსებობდა გაცილებით ადრე ელინისტურ ეპოქამდე, მაგრამ იგი იმ დროს უფრო ფართო მნიშვნელობის მატარებელი ტერმინი იყო, ვიდრე ქალაქია და ძველ წყაროებში ფიგურირებდა ფართო გეოგრაფიული ცნობილი მხარის, ქვეყნის მნიშვნელობით — მ ი ნ ა ძ ე, პირველი ცნობები..., გვ. 152 და შემდ.

თუ „კუტაიის“-ი — კოლხეთის სამეფოსა და აიეტის სატახტო ქალაქი, მოიხსენიებოდა უფრო ადრეულ ბერძნულ წყაროებში, საფიქრებელია უკვე ძვ. წ. VI ს-ში, რაც თანხვდება კოლხეთში ქალაქების, როგორც ადმინისტრაციული ცენტრების წარმოქმნის ხანას[119]. თუ კონკრეტულად სად მდებარეობდა „კუტაიას“ სახელით მოხსენიებული ქალაქი, ძნელი სათქმელია, ჯერჯერობით არ არსებობს საფუძველი ქუთაისის გორაკ-ბორცვიან ნაწილში აღმოჩენილი ძვ. წ. VIII—V სს-ის ვრცელი და მძლავრი დასახლების (რომლის შესახებ წინა პარაგრაფში გვქონდა საუბარი) „კუტაიასთან“ უყოყმანო იდენტიფიკაციისათვის[120]. ამიტომ ეს საკითხი ღიად რჩება ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებამდე.

4. „ბნელი პერიოდი“[121] (ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან—ახ. წ IV საუკუნემდე)

ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან საკუთრივ ქუთაისის ტერიტორიიდან არქეოლოგიური მასალები თითქმის აღარ მოგვეპოვება. არც წერილობით წყაროებშია მის შესახებ ცნობები. ძვ. წ. IV—III საუკუნეები კი კოლხეთში მნიშვნელოვანი ეთნოკულტურული ძვრების ხანაა, რაც თვალსაჩინოდ მეღავნდება საკმაოდ მრავალფეროვან არ-

---

[119] იხ. О. Д. Лордкипанидзе, Наследие... გვ. 254 და შემდგ.

[120] უთუოდ ანგარიშგასაწევია პროკოპი კესარიელთან დაცული ტრადიცია, რომლის თანახმად აიეტის ქალაქი დაბლობში—ვაკე ადგილას იყო გაშენებული. ასევე აპოლონიოს როდოსელის თხზულების ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, რომ „კუტაია“ მდინარე ფასისის გაყოლებაზე ვაკეზეა საგულვებელი. ძალზე საინტერესო ახსნა აქვს გამოთქმული ნიკოლოზ ბერძენიშვილს თავის „ისტორიულ-გეოგრაფიულ დღიურში“ („საქართველოს ისტორიის საკითხები“, VIII, თბ., 1975, გვ. 448): „ხომ არ არის ადგილი — „გეგუთი“ — ძველი კოლხ მეფეთა ადგილსამყოფელი?..“ სამწუხაროდ, განსვენებული მეცნიერის გამოქვეყნებული ნაშრომებიდან არ ჩანს, თუ რას ემყარებოდა ეს მეტად საინტერესო მოსაზრება, რომელსაც უთუოდ აქვს გარკვეული საფუძველი. ამ მხრივ საყურადღებოა მოსაზრება ნოე ბალანჩივაძისა, რომელიც პროკოპი კესარიელის ცნობების საფუძველზე ვარაუდობს, რომ ძველი ქუთაისის ცხე გეგუთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ქუთაისი, 1979 წ. 22.XII).

[121] ეს ტერმინი — „ბნელი პერიოდი“ (Dark Age) მიღებულია ძველი ისტორიის ისეთი პერიოდების აღსანიშნავად, რომელთა შესახებ წყაროების სიმწირის გამო, მეცნიერებას ჯერ კიდევ არ აქვს ნათელი წარმოდგენა.

ქეოლოგიურ მასალებში[122]. ერთ-ერთი სიახლე—დაკრძალვის ახალი წესის—ქვევრსამარხების გავრცელება ქუთაისის ქვეყნის ტერიტორიაზეც დასტურდება. ქვევრსამარხები, რომელშიც კულტურის დარგშიც მომხდარი ცვლილებები (კერამიკისა და სამკაულის ახალი სახეობანი, ბერძნული გაკლენით მონეტების ჩატანება და სხვ.) ნათლადაა ასახული[123], უკვე მრავლადაა აღმოჩენილი ქუთაისის ირგვლივ მდებარე თითქმის ყველა პუნქტში (ფარცხანაყანევი, მუხიანი, მესხეთი, მაღლაკი, ოდილაური, ჭოგნარი, ბანოჯა, ქვიტირი და სხვ.).[124] საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე ჯერჯერობით ისინი ცნობილი არაა[125]. ასევე ელინისტური ხანის კულტურული ფენები (ხის წნულის ანაბეჭდიანი ბათქაშის ფრაგმენტები, ადგილობრივი და შედარებით მცირერიცხოვანი იმპორტული კერამიკა) უფრო ქალაქის შემოგარენში, დაბლობ ადგილებში ფიქსირდება (მაგ., ჭოგნარში „ფარნალის გორასა“ და „ბარონის ბორცვზე“,[126] კვახჭირსა და გეგუთში[127]). საკუთრივ ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი ძვ. წ. IV ს-ის წითელფიგურული პალმეტით შემკული ატიკური არიბალოსი და III ს-ის შავლაკიანი სამარილე, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი აღ-

---

[122] დაწვრ. იხ. კრებული «Причерноморье в эпоху эллинизма» (Материалы III симпозиума по древней истории Причерноморья), Тб., 1985, (ოთ. ლორთქიფანიძის, ნ. მათიაშვილის, ვ. თოლორდავას და ა. ჭყონიას სტატიები). იხ. აგრეთვე, О. Д. Лордкипанидзе, О некоторых инновациях в материальной культуре Колхиды в IV-III вв. до н. э., «Культурное наследие Востока». Ленинград, 1987, с. 151-163.

[123] დაწვრ. ვ. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში (ქვევრსამარხები), თბ., 1980.

[124] ლ. ჯიქია, ქუთაისის მიდამოების ქვევრსამარხები, „ქუთაისის მუზეუმის მასალები“. IV, თბილისი, 1984, გვ. 60—86; მ. ყორჟოლიანი, ახალ აღმოჩენილი ქვევრსამარხები სოფ. მუხიანიდან, „ქუთაისის მუზეუმის მასალები“, V, ქუთაისი, 1988; გვ. 51—61.

[125] ქვევრსამარხები ეკუთვნის რიგით მიწათმოქმედ მოსახლეობას და ისინი, როგორც წესი, სასოფლო დასახლებებშია აღმოჩენილი. საინტერესოა, რომ ვანშიც უამრავი ქვევრსამარხები, რომელნიც აგრე მრავლადაა მის შემოგარენში ნაპოვნი (შრდ. ვ. თოლორდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 6 და შემდ.) საკუთრივ ნაქალაქარზე ჯერჯერობით არ გვხვდება (ცნობილია მხოლოდ მდიდრული ქვევრსამარხი ბავშვისა).

[126] იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ქუთაისსა და მის მიდამოებში 1963 წ. გვ. 28—29; 1964 წელს, გვ. 46—47.

[126] В. Личели, Работы разведовательного отряда Кутаисской экпедиции, «Полевые археологические исследования в 1984-1985 гг.» Тб., 1987, с. 61-62.

მოჩენის ზუსტი ადგილი ცნობილი არაა[128]. ამიტომ ჩვენთვის სრულად უცნობია ქუთაისის ისტორიის ეს პერიოდი. ასევე სრული ლაკუნაა ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის[129]. თუმც უკანასკნელ წლებში ქუთაისის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებისას დაიწყო გამოვლენა გვიანანტიკური ხანის კულტურული ფენების ნაშთებმა. მაგრამ ეს მასალა ჯერჯერობით ძალზე ცალმხრივადაა შესწავლილი და ვერ გვიქმნის რამდენადმე ნათელ წარმოდგენას ამ დროის ქუთაისის შესახებ. ამ ხანის ძეგლები არც ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიაზეა ცნობილი და, საერთოდ, შიდა კოლხეთშიც მხოლოდ ერთეული აღმოჩენებია აღნუსხული[130].

---

[128] ეს ნივთები გამოფენილია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. გადმოცემით თითქოს თეატრის მშენებლობისასაა ნაპოვნი.

[129] ახ. წ. II ს-ის დასასრულით ან III ს-ის დასაწყისით ათარიღებენ მითრასგამოსახულებიან სარდიონის ინტალიოს, რომელიც მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება და თითქოს ქუთაისის მიდამოებშია ნაპოვნი (ზუსტად ცნობილი არაა) — მ ა რ გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 144 (№ 136).

[130] რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, გვიანანტიკური ხანის დასაფლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, თბ., 1959, გვ. 54 და შემდ.; О. Л о р д к и п а н и д з е, Наследие..., გვ. 343 და შემდეგ., (იქ დასახ. ლიტ.).

თავი II

ციხე-ქალაქი ქუთაისი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სისტემაში

1. ქუთაისი ეგრისის მთავარი ქალაქი IV ს-ში

ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან კოლხეთის სამეფოს ნანგრევებზე აღმოცენება დაიწყო ეგრისის ანუ ლაზეთის სამეფომ, რომელმაც დაიმორჩილა კოლხეთის მიწა-წყალზე მცხოვრები ტომები და ცალკეული ერთეულები მდ. ჭოროხის სექტორიდან თანამედროვე აფხაზეთისა და მაღალმთიანი სვანეთის ჩათვლით და IV საუკუნის ბოლოსათვის მთელი დაბლავლეთ საქართველო გააერთიანა[1].

ამ პერიოდში ლაზეთის სამეფომ ფაქტობრივად თავი გაითავისუფლა ბიზანტიის იმპერიის ვასალური დამოკიდებულებისაგან და განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია[2].

ეგრის-ს სამეფოს შემადგენლობაში მეურნეობრივი თვალსაზრისით ძალზე დაწინაურებული იყო რიონისპირა ცენტრალური ოლქა (ბიზანტიელი ავტორებით „მუხურისის მხარე"), რომელმაც უდავოდ ხელი შეუწყო აღნიშნული სამეფოს გაძლიერებას და ამ მხარეში საქალაქო ცხოვრების ჩამოყალიბება-აღმავლობას.

III—IV საუკუნეებიდან ახალი ეტაპი დაიწყო აგრეთვე ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში. ეს პერიოდი უპირატესად არქეოლოგიური მასალებით გახდა ცნობილი. ისინი მოწმობენ ცხოვრების გამოცოცხლებას უკვე III საუკუნიდან. ამ დროის ნამოსახლარის ნაშთები (ხის საცხოვრებელი ნაგებობანი თიხატკეპნილი იატაკით, მასზე გაჭართული კერები, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩებისა და მოედ-

---

[1] ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 66—72; მისივე, საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 65.

[2] როგორც აღნიშნავენ, იმპერიისაგან ვასალური დამოკიდებულება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ლაზეთის სამეფო არც ხარკს იხდიდა და არც ბიზანტიის გარნიზონები იდგა მის ტერიტორიაზე (ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 74—76; Г. А. Меликишвили К историй древней Грузии, გვ. 382—384).

ნების ფრაგმენტები) მრავლად ფიქსირდება „უქიმერიონად“ წოდებული გორაკის ტერიტორიაზე.

როგორც ჩანს, ეს დასახლება ამ მიდამოებში დიდი ციხე-ქალაქის (შემდგომი ხანის „დიდი ქუთათისის“) აღმოცენების საფუძველი გახდა. რისი ხელშემწყობი პირობებიც მრავლად არსებობდა: — უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მხარის ეკონომიკური პოტენციალი, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისი და რთული პოლიტიკური ვითარება.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე IV საუკუნის ქუთაისის განვითარების ისტორიაში ორი ეტაპი გამოიყოფა: პირველ ეტაპზე (ე. ი. IV ს. დასაწყისადან) მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე ე. წ. „უქიმერიონის“ გორის კლდოვან ბორცვზე შენდება შიდაციხე (აკროპოლისი). ამით ფაქტობრივად იწყება გვიანანტიკური და აღრეფეოდალური ქუთაისის „ახალქალაქობის“ ხანაც.

სტრატეგიული თვალსაზრისით ციტადელი აგებულია ძალზე მოხერხებულ ადგილას, სამი მხრიდან იგი კლდოვანი, ციცაბო ფერდობებით იყო დაცული, რაც ფაქტობრივად მიუვალს ხდიდა მას. მხოლოდ დასავლეთის მხრიდან ჰქონდა ციხეს ადვილმისადგომი მხარე და ისიც მძლავრი სასიმაგრო სისტემით მტკიცედ იყო დაცული. ციხე გაბატონებული იყო მიმდებარე მხარეზე და საიმედოდ კეტავდა რიონის ხეობაზე გამავალ გზებს, მიმართულს, როგორც დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ, ასევე სამხრეთიდან-ჩრდილოეთისაკენ. ალბათ იშვიათია სტრატეგიული პუნქტი, რომელსაც ასეთი ხელსაყრელი მდებარეობა აქვს. ყოველივე ზემოთ თქმული ამ ადგილზე ძველად ქალაქის გაჩენისა და ამ შემთხვევაში ციხე-სიმაგრის აღმოცენების მთავარ პირობად გვეჩვენება.

შიდაციხის თავდაპირველი გეგმა არასწორი ექვსკუთხედის ფორმისაა. მისი ფართობი 0,6 ჰექტარია. ციხეს დასავლეთიდან იცავდა ორი სწორკუთხა კოშკი, რომელთა შორის მოქცეული იყო მთავარი კარიბჭე. შიდაციხეს ჰქონდა ე. წ. „ცოტა კარი“[3] და წყალმომარაგების რთული სისტემა.

სასიმაგრო მშენებლობის პირველ ეტაპზე ზღუდე-გალავნის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით. დუღაბი შერეული ფერისაა. ანალიზმა ცხადყო, რომ დუღაბისათვის გამოყენებულია მდ. რუას ხრეში,

[3] შდრ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 48—50.

რომელიც შეიცავს სხვადასხვა ფერის მინერალებს. კედლის სიგანე 140 სმ-ია, სადღეისოდ შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 4 მ. მშენებლობის ასეთი წესი ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსად მეორდება. ყველა მონაცემით, შიდაციხე ახ. წ. III—IV საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. საინტერესოა, რომ ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით იგი გახდა დომინანტი და ქალაქმშენებლობის მთავარი ორიენტირი ფეოდალური ეპოქის ქუთაისის განვითარებაში.

შიდაციხეს ორი კარიბჭე ჰქონდა: 1. მთავარი „ბჭისკარი“ და 2. „ცოტა კარი“.

მთავარი კარიბჭე აგებული იყო დასავლეთის მხრიდან, საიდანაც შიდაციხე შედარებით ადვილმისადგომი იყო. შესასვლელს ორმაგი პარალელური კედელი იცავდა. შესაბამისად, იგი წყვილი კარით იყო ჩაკეტილი. კედლებს შორის მანძილი 1,5 მეტრია. კარიბჭისაკენ მოემართებოდა კირხსნარით მოკირწყლული ქუჩა, რომელიც რელიეფის სირთულის გამო ტერასებად ყოფილა გამართული. კარიბჭე ორთავე მხარეს მძლავრი სწორკუთხა კოშკებით იყო დაცული (ზომები: 6×4 მმ). ერთ-ერთი კოშკის აღმოსავლეთ კედელში აგურის ფილებით ამოყვანილი ბუხრის ნაშთი დადასტურდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კოშკები საცხოვრებლადაც გამოაყენებოდა.

გაცილებით უკეთაა შემონახული ე. წ. „ცოტა კარი“, მისი თავდაპირველი აგებულება[4] ასეთია: Г-ს მაგვარი კვადრებისაგან შედეგნილია სწორკუთხა ჩარჩო, რომლის სამაღლე 2 მეტრია, სიგანე —1. ჩარჩოში ამოკვეთილია ვერტიკალური საკარე ფოსოები და ურდულის გვერდითი ღიობები. V საუკუნეში, ციტადელის განახლების დროს, კარებს გარედან ოვალური ფორმის ბურჯის მსგავსი მინაშენი გაუკეთეს (სიმაღლე—2,40, სიგრძე—2,50, სიგანე 1,40 მ) და ამათ მისი შეუვალობა უფრო განამტკიცეს, რადგან, აქაც, მეორე დამატებითი კარი ჩადგეს. „ცოტა კარს“ ორმაგი დანიშნულება ჰქონდა: პირველ რიგში იგი სიმაგრადან საიდუმლო გასასვლელს წარმოადგენდა და აღმოსავლეთ მხარეს კლდეში ნაკვეთი საცალფეხო ბილიკით მეციხოვნეებს საიდუმლოდ „გარე სამყაროსთან“ აკავშირებდა. მეორე და შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციაა მისი წყაროსთან დაკავშირება და ციხე-ქალაქის სასმელი წყლით უზრუნველყოფა იყო.

---

[4] ბოლო წლებში აღნიშნული ძეგლის რესტავრაცია შესრულდა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ ვ. ცინცაძის პროექტით (იხ. ძეგლის მეგობარი, 1986, № 4, გვ. 42—48).

წყალმომარაგება ციხე-ქალაქობის საწყის ეტაპზე ძალზე რთულად და საინტერესოდ წარმოებდა. დღემდეა აქ შემორჩენილი წყარო, ციცაბო კლდეზე დაშვებული ხელოვნური (ქვიტკირის) გვირაბი. გვირაბის ფსკერზე ჩადუღაბებული თიხის მილების მაგისტრალი აქვედუკის ნაშთები და წყლის აუზი—რეზერვუარი, რომელიც აღ-ებულია ზღუდე-გალავნის აღმოსავლეთ კუთხეში. იგი მართკუთხა ფორმისაა (ზომები 3×2×1 მმ) და 6 ტონა წყალტევადობის იყო. აუზი გარედან ნაგებია ნატეხი ქვით, ხოლო შიგნიდან აგურის რიგებით და წესისამებრ შელესილი იყო ჰიდრავლიკური ხსნარით.

წყლის ამოჭაჩვა მთავარ რეზერვუარში ხდებოდა ე. წ. „არტე-რიული“ წესით: წყაროზე მოწყობილი იყო ცილინდრული ფორმის ჭყლის შემკრებ-შესაგროვებელი აუზი, მის ფსკერთან დაკავშირებული იყო თიხის მილების წყალსადენი, რომელიც გვირაბის ფსკერზე იყო ჩა-დუღაბებული და მაღლა შუალედური აუზისაკენ მიყვებოდა. საწყი-სი აუზის შუაში აღმართული უნდა ყოფილიყო ხრახნიანი ღერძი, მას-ზე ვერტიკალურად მოძრაობდა ტუმბოს სარქველი. სარქველზე მე-ქანიკური დაწოლით წყალი შედიოდა მაგისტრალში და აედინებოდა აქვედუკით შუალედურ აუზში, ბოლოს კი ცისტერნაში. ეს იყო წყალმომარაგების ურთულესი მექანიზმი[5], რომელიც, როგორც ჩანს, სპეციალურ სამსახურს მოითხოვდა და მას არაერი კაცი ემსახურე-და. ამიტომაც წყაროზე ჩასასვლელი შენიღბული იყო კლდეზე მი-შენებული ქვიტკირის გვირაბით, რომ მეციხოვნეებს წყლის ამოტუმბ-ვის პროცედურა შეუფერხებლად შეესრულებიათ. წყალმომარაგების ანალოგიური წესი დადასტურებულია გელათში დოხორას ქედზე. აქ, ბერის ციხეზე, 150 მ სიმაღლის შვეულ კლდეზე ახდენდნენ წყლის ამოჭაჩვას ანალოგიური მეთოდით (მისი ნაშთები დღემდეა შემორჩე-ნილი). არტერიული სისტემით შენობების წყალმომარაგება გელათში აღწერილი აქვთ XVII საუკუნეში იმერეთში მყოფ რუს ელჩებს

---

[5] იგი პირველად აღწერა დიუბუა დე მონპერემ (Frederic dubois de Montpereux, Voyage autor du Caucase, том I, Париж, 1939, გვ. 401—402);

[6] ალექსი იველევის 1650—1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, იასე ცინცაძის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 135. ქუთაისის ციხის წყალმომარაგების საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ნ. სუხიაშვილმა (იხ. Н. К. Сухиашвили, Водоснабжение цитадели г. Кутаиси и примыкающей к ней территории, მაცნე № 1, 1977, გვ. 109-114).

ა. იველიევსა და ნ. ტოლოჩანოვს[6]. ასე, რომ წყალმომარაგების აღნიშნულ წესს დიდი ხნის ტრადიცია აქვს საქართველოში.

შიდაციხეში გამოვლენილია ამავე პერიოდის ხის საცხოვრებელი სახლების კვალი თიხატკეპნილი იატაკებით, სადაც კერა იყო გამარჯვებული. აქვეა დადასტურებული სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთებიც, კერძოდ, ხელსაფქვავის ქვები, დერგები და მრავალრიცხოვანი საყოფაცხოვრებო კერამიკა. გამოვლინდა აგრეთვე რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების ფრაგმენტები. უმეტეს შემთხვევაში ხის ნაგებობები მიშენებული ყოფილა გალავნის კედლებზე .მათი უმრავლესობა ჯარგვალს წარმოადგენდა. ზოგიერთი ნაგებობა ქვის ფუნდამენტზეც ყოფილა გამართული.

ციხე-ქალაქის განვითარების მეორე ეტაპი IV საუკუნის შუა ხანებზე მოდის. იგი აღინიშნება ახალი ინტენსიური მშენებლობებით და მისი სასიმაგრო სისტემისა და საერთოდ, გარეგნული სახის სრული ყოფით. ამ დროს მიმდინარეობს შიდა ქალაქის შემოზღუდვა და მისი გამოცალკავება ქალაქის ძირითადი ნაწილისაგან. შესაბამისად ციხე-ქალაქი უკვე ორნაწილიანი ხდება (შიდაციხე და შიდაქალაქი).

ზღუდე-გალავანში, რომლის პერიმეტრი 1200 მეტრია, ექცევა 4 ჰექტარი ფართობი. ქალაქის განვრცობა-განვითარება მოხდა ციტადელიდან ჩრდილო-დასავლეთით. ამისათვის აქ ყველა პირობა არსებობდა, განსაკუთრებით კი, ხელსაყრელი რელიეფი, რომელიც ქალაქის ზრდის ფართო შესაძლებლობას იძლეოდა... ამ დროს, როგორც წესი, აგებენ 1 მეტრის სიგანის კედლებს. გალავნის კედლები ყველგან ამოყვანილია რიყის ქვის საძირკველზე. პერანგი ნაწყობია მცირე ზომის შუბლაგამოყვანილი ქვებით. დუღაბი რიონის ხრეშიან სილაზეა დამზადებული, ჰარბობს კირხსნარი, სამშენებლო კირქვა მშენებლობის ამ ეტაპზე უფრო თეთრია და მყიფე ჯიშისაა. შეძლებისდაგვარად დაცულია რიგების ჰორიზონტალურობა, რითაც ის წააგავს რომაულ ხუროთმოძღვრებაში კარგად ცნობილ ე. წ. Opus incertum-ს ანალოგიური კედლები გვხვდება ვარციხე-როდოპოლისში[7] და ნოქალაქევ-არქეოპოლისშიც[8]. ეს უკანასკნელი პ. ზაქარაიას IV საუკუნის დასაწყისით აქვს დათარიღებული[9].

---

[7] ვ. ჯაფარიძე, ვარციხის ნაქალაქარი, თბ., 1989, გვ. 112 და შმდ.

[8] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი, არქეოპოლისი, ნოქალაქევი. თბ., 1991, გვ. 17 და შემდ.

[9] იქვე, გვ. 21.

სტრატოგრაფიული მონაცემებით და სამშენებლო ფენაში აღმოჩენილი შესაბამისი მასალით (წითელლაკიანი კერამიკა, ხალიანი მინა, ამფორები და სხვ.) აღნიშნული ხუროთმოძღვრება ქუთაისშიც IV საუკუნით თარიღდება. საფორტიფიკაციო არქიტექტურის მაღალი დონას უტყუარი მოწმობაა შიდაქალაქის სამხრეთი კედლის გამაგრება ე. წ. გოდლედების სისტემით გოდლედები სწორკუთხა ბურჯების სახით ამოყვანილია შიდაქალაქის გალავნის კედლის გასწვრივ მთელს პერიმეტრზე და კედლიდან 1,70 მ-ით არის დაშორებული. მათ შორის ინტერვალი 2, 20 მ-ია. გოდლედები გალავნის კედელთან და ერთმანეთთან თაღედით ყოფილა დაკავშირებული და ზემოთ ქმნიდა 4 მ სიგანის საბრძოლო ბაქანს, რომლის სიგრძე 40 მ იყო. საინტერესოა, რომ საკუთრივ გალავანი ერთ სწორ ხაზზე არ იყო აგებული. იგი სწორკუთხა ზიგზაგებით მიემართება „დედაბურჯიდან" „კონწოლისაკენ" და რამდენიმე მართ კუთხეს ქმნიდა. ყოველივე ეს რელიეფის სირთულით და შესაბამისი სტრატეგიული მიზნებით იყო ნაკარნახევი. აქ კი თითქმის ვაკე ადგილია და კედლის სანგრევი ტექნიკის გამოყენება ადვილად შეიძლებოდა. ამიტომაც, ეს მონაკვეთი ასე ბეჯითად განამტკიცეს გოდლედების სისტემით.

გალავნის კედლების გოდლედებით ანუ კონტრფორსებით გამაგრება უცხო არ არის ქართული არქიტექტურისათვის. მშენებლობის ასეთი წესი განსაკუთრებით მოდად ქცეულა V—VI საუკუნეებში საკუთრივ ქუთაისში. მაგრამ ამ სტილით გოდლედების გამართვა, ჩვენ სხვაგან არსად გვეგულება. თუმცა, ამავე დროს, სხვა ქართულ ძეგლებზე გვხვდება საბრძოლო ბილიკების მოწყობის ისეთივე წესი, როგორიც ქუთაისშია. მაგ. „კონწოლთან", შიდაქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, გალავნის კედელს შიგნიდან პერპენდიკულარულად მიშენებული მოკლე კედლები აქვს. ისინი, როგორც ვიცით, საბრძოლო ბილიკის მოსაწყობად იყო გამიზნული, ანალოგიური ხერხი თავდაცვით სისტემაში დადასტურებულია ნოქალაქევში, ცისძირში, რუსთავის ციხეზე[10].

მეორე ეტაპის ნაგებობათა შორის საგანგებო ყურადღებას იპყრობს ციტადელში აღმოჩენილი დიდი ზომის მართკუთხა ფორმის ნაგებობა, რომელიც დამხრობილია W—O ღერძზე და ჩრდილოეთისაკენ ოდნავ გადახრილია. ნაგებობის სიგრძეა 26 მ, სიგანე აღმოსავლეთით კედლისა — 12,30 მ, ხოლო დასავლეთი კედლისა — 10,30 მ, ე. ი. აღმოსავლეთით ნაგებობა ოდნავ გაშლილია.

[10] ჯ. ზაქარაია, ნოქალაქევ-არქეოპოლისი, თბ., 1987, გვ. 182.

ჩრდილოეთის კედელში დაფიქსირდა კარის ზღურბლი, რომელიც კირქვის დიდ მონოლითს წარმოადგენს (1,60 მ) კარის ჩარჩოს ჩასამაგრებელი ორი ცილინდრული ფორმის ფოსოთი.

ნაგებობის საერთო ფართობია 284 კვ. მ; ხოლო ინტერიერის მოცულობა 227 კვ. მ-ია. შეშორჩენილი სიმაღლე კედლებისა 60 სმ-მდეა. კედლის სიგანე აქაც 1 მ-ია წყობა მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელი მცირე ზომის, შუბლგამოყვანილი, მყიფე ჯიშის კირქვითაა შექმნილი (Opus incertum), შენობა გადახურული ყოფილა მაღალბორტიანი სოლენითა და შვერილქიმიანი კალიპტერით. მათი ნაშთი მრავლად აღმოჩნდა შენობის ირგვლივ წარმოქმნილ ნგრევის ფენაში. სამწუხაროდ, ინტერიერში რაიმე კონსტრუქციების კვალი არ დადასტურდა. არც იატაკი იქნა ფიქსირებული. მისი დონე მხოლოდ კარების ზღურბლით უნდა განისაზღვროს. ნაგებობის სახურავი ორფერდა უნდა ყოფილიყო. უეჭველია, რომ ის ხის კონსტრუქციებით იქნებოდა გამართული. მართალია, ნაგებობა მარტივი გეგმისაა, მაგრამ მშენებელთა დახვეწილი გემოვნება აქ მაინც თვალსაჩინოა.

თუ რა ფუნქციის მატარებელი იყო ეს შენობა, ძნელი სათქმელია. გარეგნული ფორმის მიხედვით, იგი ადრინდელ ბაზილიკებს იმეორებს ნაწილობრივ, რაც ასე დამახასიათებელია რომაულ-ბიზანტიური არქიტექტურისათვის[11]. როგორც ცნობილია, ქრისტიანობის დამკვიდრების საწყის ეტაპზე კულტმსახურებისათვის საჭირო ყველა ელემენტი ნაგებობაში გათვალისწინებული არ იყო. ალბათ, ასე უნდა ყოფილიყო აქაც და ამან განაპირობა ნაგებობის მარტივი ფორმა. ამგვარად, არსებული მონაცემით, იგი საკულტო დანიშნულების „სამლოცველო სახლად" შეიძლება ჩაითვალოს. ამის მაგალითები ადრექრისტიანული ხანის რომაულმა არქიტექტურამ კარგად იცის[12]. ძველქართული ტერმინოლოგიით მას ბაგინი ეწოდებოდა[13].

საერთოდ, ადრესაშუალო საუკუნეების ნაგებობათა შორის თავისი დახვეწილი გეგმითა და გრანდიოზულობით ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი „კონწოლთან" აგებულ სასახლეს უჭირავს. „კონწოლი" შიდაქალაქის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხეა, ყველაზე

---

[11] Борис Д. Борисов, Старохристянските Базилики (IV-VI вв.) Кран С. Караново Бургяска область, «Археология», книга 3, 1988, Арх. институт. и музей при БАН.

[12] Всеобщая история архитектуры, Т. 4, გვ. 19.

[13] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72—74.

უფრო შემაღლებული ადგილი ნაქალაქარზე. ალბათ, მისი თანამედროვე სახელწოდებაც აქედან გაჩნდა.

სასახლე მრავალსათავსოიანი, მართკუთხა ფორმის მძლავრკედლებიანი ნაგებობაა, რომელიც დამხრობილია NO—SW მიმართულებით. მისი სიგრძე 35 მ-ია, სიგანე — 20 მ და განფენილია 700 კვ.მ ფართობზე[14]. ეჭვი არაა, რომ ის ორსართულიანი ნაგებობა იყო. ამჟამად გამოვლენილია მისი ქვედა სართულის ექვსი განყოფილება (ოთახები):

1. დიდი დარბაზი (შუაზე გაყოფილი კამარა-თაღიანი ტიხრით).
2. მცირე დარბაზი.
3. მისაღები.
4. გარე სათავსები (ანუ გრძივ მხარეებზე გამართული ორი ოთახი, რომელიც თავის დროზე თავდაცვის ფუნქციასაც ასრულებდა, როგორც ორმაგი კედელი (პროტეიხიზმა).

მეორე სართულის გეგმა, როგორც ჩანს, ძირითადად, ქვედას განლაგებას იმეორებდა, თუმცა დიდი დარბაზი აქ გაერთიანებული უნდა ყოფილიყო და არა გატიხრული. გრძივ მხარეებზე განლაგებული სათავსების თავსე ღია აივნები შეიძლება წარმოვიდგინოთ, ისე, როგორც ეს ნოქალაქევის სასახლეზე აქვს ნავარაუდევი პ. ზაქარაიას[15].

სასახლის იატაკი მოკირწყლული ყოფილა აგურის ფილებით (ზომები: 32×17×5 სმ). კედლის წყობა მეორე სამშენებლო ეტაპის ზუსტი ანალოგიაა, მხოლოდ კედლის სიგანე აქ 140 სმ-ია და არა 1 მეტრი, როგორც ეს საერთოდ მეორე სამშენებლო პერიოდისათვისაა დამახასიათებელი. ე. ი. კედლის სისქე აქ პირველ სამშენებლო ეტაპს შეესაბამება.

საერთო მონაცემებით, ნაგებობა IV საუკუნის შუა ხანებში უნდა იყოს შექმნილი და V საუკუნის მეორე ნახევრამდე ასრულებდა სასახლის ანუ ციხე-დარბაზის ფუნქციას. ასე რომ, ნაგებობის საერო დანიშნულება ეჭვს არ იწვევს. ჩვენი ვარაუდით, იგი ამ ტიპის შენობათა შორის დასავლეთ საქართველოში ყველაზე ადრინდელია და მონუმენტური. მის მცირე ანალოგიად გამოდგება ნოქალაქევში აღმოჩენილი სამეფო სასახლე[16], რადგან გეგმაში თითქოს აქვთ რაღაც სა-

---

14 სასახლის მიმდგომი მხარე ჯერჯერობით გათხრილი არ არის. იქ. ამჟამად, თანამედროვე საცხოვრებელი სახლი დგას...

15 პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი, არქეოპოლისი, ნოქალაქევი, გვ. 87—98.

16 ზ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

ერთო, თუმცა ქუთაისის სასახლე ბევრად უფრო დიდია, რთული და დახვეწილი გეგმითაა შექმნილი, რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ მშენებლობის ტექნიკასა და შესრულების ხარისხზე.

ძალზე საინტერესო იქნებოდა სასახლის მფლობელის ვინაობის გარკვევა, ვინ იყო ის უზენაესი ხელისუფალი (მეფე თუ ერისთავი?), რომელიც ამ ციხე-დარბაზში ცხოვრობდა და რა გავლენის სფეროებს ფლობდა ის. მაგრამ ამისათვის დამატებითი კვლევაა საჭირო.

გვიანანტიკური ხანის ქუთაისის შესახებ დღემდე ძალიან ცოტა რამ იყო ცნობილი. დღეს თვალწინ გადაიშალა სრულიად ახალი სურათი: ამდროინდელი დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი მძლავრი სასიმაგრო სისტემა, კოშკებითა და კარიბჭეებით, უზენაეს ხელისუფალთა ციხე-დარბაზი (სასახლე), საკულტო დანიშნულების „სამლოცველო სახლი", წყალმომარაგების ურთულესი საინჟინრო სისტემა და ა. შ.

ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ქუთაისი IV საუკუნეში აღმავლობის გზაზეა. აქვს მძლავრი შიდაკოლხური ეკონომიკური კავშირები და ჩაბმულია საერთაშორისო სავაჭრო ორბიტაში. სავარაუდოა, რომ IV საუკუნის რომაულ რუკაზე ქუთაისიც იქნებოდა მითითებული, ისევე როგორც რავენელი ანონიმის კოსმოგრაფიაში არტაშატ—სებასტოპოლისის გზაზე დასახელებული პუნქტი Cotaisin—ქუთაისი[17]. გარე სამყაროსთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით აიხსნება ამდროინდელი წითელლაკიანი კერამიკის, ხალიანი მინის გვიანანტიკური ამფორების, მწვანედ მოჭიქული პართული ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტები.

III—IV საუკუნეებში ქუთაისის აღმავლობა და დაწინაურება ეგრისის სამეფოს გაძლიერებას უკავშირდება. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესი შესანიშნავად აისახა ამ ქალაქის მაგალითზე. იგი თანადროულ ქალაქთა შორის დასავლეთ საქართველოში ყველაზე უფრო მასშტაბურია და თვალსაჩინო. ყველა მონაცემით ქუთაისი ეგრისის სამეფოს ეკონომიკური და ბუნებრივი

[17] Tabula Peutingeriana — 1916 წ. გამოსცა და ვრცელი კომენტარები დაურთო კონრად მილერმა (Itineraria Romana, Römische Reiswege an der Hand der Tabula Peutingeriana, dargestellt von Konrad Miller, Studgart, 1916); Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в с: говлей древних времен Ереван, 1930; С. Т. Еремян, Торговые пути Армении в эпоху сасанидов, ВДИ, 1939, № 1. ბ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ისტ. ინსტ. შრ. IV, ნაკვ. I, 1958, გვ. 110 და შმდ.

ცენტრია. არაა გამორიცხული მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული პრიორიტეტიც ამ პერიოდში. შესაძლოა ლაზ მეფეთა ადგილსამყოფელიც ციხე-გოჯ-არქეოპოლისის დაწინაურებამდე აქ ყოფილიყო და ბიზანტიელ ისტორიკოსებთან დაცული ტრადიცია ქუთაისის დედაქალაქობის თაობაზე სწორედ ამ პერიოდის გამოძახილიც იყოს.

2. ქუთაისი ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში (V ს.)

ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში შემდგომი აღმავლობაში ხანა V საუკუნეზე მოდის. ქალაქის გამაგრებას თვალსაზრისით, ამ დროს მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. იგება დედაქალაქებისათვის დამახასიათებელი მონუმენტური სასიმაგრო სისტემა. ძველი ფორტიფიკაციის ადგილზე მნიშვნელოვანი ფართობის შემოზღუდვით შენდება „დიდი ქუთათისის“ დიდი ციტადელი. ამავე პერიოდში დაიწყო ქვედა ქალაქის გამაგრება გალავნის კედლებით. აშენდა მისი აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ციცაბო კლდის ქარაფზე ეშვება, გადადის მდ. რიონზე და ზღუდავს მდინარის მარცხენა ნაპირს. ამრიგად, გალავნის კედლებით შემოზღუდული ქალაქი სამნაწილიანი გახდა: შიდაციხესა და შიდაქალაქს დაემატა ქვედა ქალაქიც, რომელიც მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზეც გადადიოდა.

ამ პერიოდის კედლები მასიურია და ფართო, მისი სიგანე 2,40 მეტრია, სიმაღლე—12 მეტრამდე. ერთგან იგი 8 მეტრის სიმაღლემდეა შემორჩენილი.

ზღუდე-გალავანი (დრუსო) ყოველ 40—50 მეტრზე გამაგრებულია მძლავრი სწორკუთხა კოშკებით, რომელთა ზომებია 8×12 მეტრი. ამავე პერიოდში უნდა იყოს აგებული დედაბურჯის წინამორბედი წრიული კოშკიც, თუმც მის შესახებ გარკვევით ვერაფერს ვიტყვით, რადგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტი დაგვხვდა გადარჩენილი. სამშენებლო მასალად, როგორც წესი, გამოყენებულია რბილი ჯიშის, მოყვითალო ფერის კირქვა[18]. კედლის პერანგი ყველგან საშუალო ზომის შუბლგამოყვანილი კვადრებითაა ნაწყობი (ე. წ. „იზოდომური“ წყობა). მისი ანალოგიები ცნობილია V საუკუნის ქართულ ძეგლებზე — ვარციხეში, ნოქალაქევში, უჯარმაში, ჰერემში და სხვა.

[18] ამ ჯიშის კირქვა მრავლად მოიპოვება ციხე-ქალაქის მომიჯნავე ტერიტორიაზე. საერთოდ, აღნიშნული სამშენებლო მასალით ძალზე მდიდარია ქუთაისის მიდამოები, რაც სხვადასხვა პერიოდში ქალაქმშენებლობის ღნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობა იყო. მით უმეტეს, რომ კირის გამოწვაც აქ ხდებოდა.

საერთოდ, ანალოგიური ხუროთმოძღვრება ცნობილია ევროპისა და წინა აზიის ბიზანტიური ეპოქის ძეგლებზე. როგორც ყველგან, აქაც, შეძლებისდაგვარად დაცულია რიგების ჰორიზონტალობა, დუღაბი რიონის ხრეშზეა დამზადებული. ნიშანდობლივი ნიუანსი ისაა, რომ კედლები თითქმის უსაძირკვლოა და ყველგან არც კლდექანზე ზის. გალავნის საერთო პერიმეტრი 2 კმ-ია, ხოლო შემოზღუდული ტერიტორიის ფართობი 12 ჰექტარი. ყოველივე ეს მიუთითებს ქუთაისის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სტრატეგიული როლის ზრდაზე ეგრისის საქალაქო სისტემაში. ეს პერიოდი ხომ ეგრისის აყვავების ხანაა[19]. იგი გაპირობებულია ახალი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებით, შესაბამისად ახალი იდეოლოგიის დამკვიდრებით. თუმცა ქვეყანა დიდი პოლიტიკური კატაკლიზმების მოლოდინშია. ამიტომაც ასე გულმოდგინედ და ეკონომიკური სახსრების დაუზოგავად შენდება თავდაცვისათვის განკუთვნილი სასიმაგრო სისტემების ქსელი.

გამაგრების თვალსაზრისით, ქუთაისთან ერთად ამ პერიოდში ხდება ისეთი ციხე-ქალაქების დაწინაურება, როგორიცაა: როდოპოლისვარციხე, ნოქალაქევ-არქეოპოლისი, გონიო-აფსაროსი, სოხუმ-სებასტოპოლისი და სხვ. ერთი სიტყვით, იქმნება ეგრის-ლაზიკის ერთიანი თავდაცვითი სისტემა[20], რომელთა შორის მთავარი აქცენტი გადატანილია მოთავე ცენტრებზე (ქუთაისი, არქეოპოლისი)[21].

ეგრისის სამეფოს ძლიერება V საუკუნის ბოლოსათვის შეირყა. ქვეყნის მთავარმა ქალაქმაც მიიღო ეს დარტყმა. არქეოლოგიური მასალები მოწმობს როგორც სასიმაგრო სისტემის, ისე სხვადასხვა ნაგებობების ნგრევა-განადგურებას. ამ პერიოდში ნადგურდება ციხე-დარბაზი, „სამლოცველო სახლი“ და სხვ. აშკარად ჩანს გარეგანი აგრესიის კვალი, კონკრეტულად ამის დადგენა მართალია არ ხერხ-

---

[19] V საუკუნის 70-იან წლებამდე ეგრისის სამეფოს ძლიერება ეჭვს არ იწვევს, ხოლო შემდგომში აშკარაა მისი ერთგვარი დასუსტება, რაც სვანეთის დაკარგვაში გამოიხატა. წყაროების უქონლობის გამო დასუსტების მიზეზების დადგენა ჭირს. ვარაუდობენ, ეს უნდა გამოეწვია იბერიის გაძლიერებას V ს-ის II ნახევარში, თუმცა ბიზანტიასთან ურთიერთობის გამწვავება და მისი აგრესიის გაძლიერება უნდა ყოს ლაზეთის დასუსტების მთავარი მიზეზი.

[20] პ. ზაქარია, თ. ყაპანაძე, ციხეგოჯ..., გვ. 15.

[21] ჩვენი ვარაუდით, V საუკუნის შუა ხანებიდან ქუთაისს უჩნდება ღირსეულ მეტოქე არქეოპოლისის სახით, რომელიც VI ს-ში აშკარად პირველობს.

დება, მაგრამ შესაძლოა, ეს კატასტროფა ბიზანტიელთა ლაშქრობას დავუკავშიროთ V ს-ის 60-იან წლებში[22].

აღნიშნული აგრესიის შედეგები მოკლევადიანი გამოდგა. მას დიდი ხნით ქუთაისის დაცემა-დაქვეითება არ გამოუწვევია. სულ მალე დგება დიდი განახლების პერიოდი (V—VI საუკუნეების მიჯნა). კვლავ უმთავრესი ყურადღება სასიმაგრო სისტემის აღდგენა-განახლებას ეთმობა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია და თვალსაჩინო. იგი საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების გვირგვინია ფეოდალური ეპოქის ქუთაისში. ამ დროს განახლებამ მოიცვა მთელი სასიმაგრო სისტემა. იგი განხორციელდა დიდკვადროვანი წყობით ვარდისფერ დუღაბზე, ზოგან რეტიკულატით (Opus reticulatum). პირველ რიგში ეს შეეხო ძველ შიდაციხეს, შეკეთდა მისი ჩამოშლილი კედლები და რაც მთავარია მათ შიგნიდან ჩაუშენდათ პილონები ანუ გოდლედები. გოდლედების თავზე მოწყობილ იქნა საბრძოლო ბილიკები, რითაც ძველი სიმაგრის ბრძოლისუნარიანობა კიდევ უფრო განმტკიცდა.

მთლიანად გადაკეთდა დიდი ციტადელიც. აშენდა ახალი დედაბურჯები და კოშკები, მძლავრი გოდლედებიანი კედლები და კარიბჭეები. ქუთაისელი ქვითხუროები შესანიშნავად ფლობენ იმდროინდელი რომაულ-ბიზანტიური არქიტექტურის მიღწევებს და თავადაც ანვითარებენ მას. ეს კარგად ჩანს ქალაქის ცენტრალური ბასტიონის მაგალითზეც. იგი გარედან წრიული ფორმისაა, ხოლო შიგნიდან წარმოადგენს ასევე წრიულ ანტრესოლზე ამოყვანილ ექვსკუთხედს, რომელსაც მიდგმული აქვს სწორკუთხა მინაშენი. მინაშენი კიბის გასამართ „სადარბაზოს“ წარმოადგენდა. მის ცენტრში ამოყვანილი იყო საყრდენი ბურჯი, რომელსაც სამ კუთხეში ებჯინებოდა სხვადასხვა სიმაღლეზე დალაგებული მონოლითები და მოხვეულ კიბეს ქმნიდა, საიდანაც დედაბურჯის მეორე სართულზე შეიძლებოდა ასვლა.

დედაბურჯის შემორჩენილი სიმაღლე დღეს 12 მეტრია, მისი ფუნდამენტი—7 მ-ს აღწევს, და, როგორც წესი, კლდექანზე ზის. ესაა V—VI საუკუნეების ციხე-ქალაქის მთავარი საყრდენი ბურჯი, თანაც ყველაზე თვალსაჩინო ადგილზეა აღმართული. მასთან დაკავშირებული ზღუდე-გალავნის გოდლედებიანი კედელიც აქ ძალზე მტკიცედ

---

[22] ა. ბოგვერაძე, პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ, გვ. 191—192; ნ. ლომოური, საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V ს-ში. გვ. 77—80; ნ. ლომოური ვარაუდობს, რომ ამ დროს მნიშვნელოვნად ჩანს დაზარალებული ციხე-გოჯი-არქეოპოლისიო. იქვე, გვ. 80.

და ელეგანტურადაა ნაგები, მარტო მისი ფუნდამენტი აქ 4 მ სიღრმეზეა ჩაშვებული. ამით გათვალისწინებულია რელიეფის სირთულე და არამდგრადობა. ქუთაისის დედაბურჯი სრულიად უნიკალური ნაგებობაა თავისი დახვეწილი და ძალზე რთული გეგმით[23]. მისი გეგმარების ზუსტი ანალოგია საქართველოში არსად გვეგულება. შედარებისათვის მხოლოდ ანაკოფიის ციხის მთავარი კოშკი თუ გამოდგება. საინტერესოა, რომ ისიც ამ პერიოდშია აგებული და საბედნიეროდ გაცილებით უკეთაა სადღეისოდ შემონახული.

ქართული საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია ციხე-ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთის განაპირა კუთხეში, ადგილ „კონწოლზე“ აგებული სწორკუთხა კოშკიც, რომელიც დედაბურჯის თანადროულია და იგივე წესითაა ნაგები—დიდქვადროვანი წყობით ვარდისფერ დუღაბზე. კოშკის ზომებია 10×8 მ.

„კონწოლის“ კოშკი ამოყვანილია ადრინდელი კოშკის ნანგრევებზე, თუმცა მათი გეგმები არ ემთხვევა ერთმანეთს. კოშკის გარე ფასადი სადა, სწორხაზოვანია, ინტერიერში კი უფრო რთულ გეგმასთან გვაქვს საქმე. იგი ნიშნებითა და პილონებითაა დამშვენებული. სამწუხაროდ, არც „კონწოლის“ კოშკის მეორე სართულია გადარჩენილი. მისი გეგმა, ალბათ, იმეორებდა ქვედა ნაწილისას. საინტერესოა, რომ კოშკიდან გამომავალი გალავნის კედელი აქაც გოდლებითაა გამაგრებული (მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დიდქვადროვანი წყობა აქ IV საუკუნის კედლის ფუნდამენტზეა დაშენებული და არა საკუთარ საძირკველზე). საინტერესოა ისიც, რომ „კონწოლის“ კოშკისა და მასთან დაკავშირებული ზღუდე-გალავნის მშენებლობის დროს (ე. ი. VI ს-ის დასაწყისი) „კონწოლზე“ არსებული სასახლე უკვე აღარ არსებობს. აქ მხოლოდ მისი ნანგრევებია და მის ადგილზე უკვე სამშენებლო მოედანია გამართული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ დიდ განახლებას V—VI საუკუნეების მიჯნაზე წინ უსწრებდა დიდი ნგრევა V ს. მეორე ნახევარში. საფუძვლიანი განახლება ძირითადად შეეხო სამ ადგილს — დედაბურჯს, კონწოლს, შიდაქალაქის სამხრეთის კედელს და მთავარ კარიბჭეს. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთა გათხრა ჯერჯერობით მთლიანად არ მო-

[23] წრიული დედაბურჯები ცნობილია სირიის ძეგლებზე. ისინი აქაც ზღუდე-გალავნის კუთხეებშია გამართული (Horst Klengel, Syrien, გვ. 195—197) ყირიმშიც, ქალაქ ხერსონესის მთავარი ბასტიონი წრიული კოშკი იყო, რომელიც იმპერატორ ზენონის დროს 488 წელს აუგიათ (იხ. Всеобщая история архитектуры, 3, გვ. 503).

ხერხდა. იქ არსებული ოთხი კოშკი და ორი კარიბჭე თითქმის ხელუხლებელია არქეოლოგიურად, მხოლოდ ზედაპირული მიმოხილვით ჩანს, რომ სასიმაგრო სისტემაში ეს მხარე ძალზე მნიშვნელოვანი იყო თავისი კომუნიკაციებით. მასზე დღეს თანამედროვე სახლებია დაშენებული და კოშკებში სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანია გამართული.

ნაწილობრივ იკითხება მთავარი კარიბჭის გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის მიწასთანაა გასწორებული, განსაკუთრებით ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ. მაინც თვალსაჩინოა, რომ მას კორიდორული შესასვლელი ჰქონდა, ნიუანსები ძნელი დასადგენია. მაგრამ მისი ზუსტი ანალოგია სირიაში, სერგიპოლისის ციხესიმაგრეშია დადასტურებული[24].

სამხრეთის კედელში დატანებული მეორე კარი თაღიანი ყოფილა. იგი შედარებით მარტივი ნაგებობა ჩანს. თაღი ამჟამად აგურითაა ამოყვანილი, ვფიქრობთ, გვიანდელი გადაკეთების შედეგად. აღნიშნულ კარს იცავდა გვერდით აღმართული დიდკვადროვანი კოშკი, მათზე დღეს ყოფილი კინორეჟისორის ვასილ ამაშუკელის სახლი დგას.

„კონწოლთანაც“ მესამე მცირე კარი ჰქონია დიდ ციტადელს. ამჟამად იქ საკარე ღიობია დარჩენილი და, მხოლოდ კარის წირთხლის ქვები ყრია უწესრიგოდ. ამავე პერიოდში დიდკვადროვანი წყობითაა აგებული ჯაჭვის ხიდის წინამორბედი ხიდი მდ. რიონზე. დღეს მისი ერთი ბურჯის ნაშთია შემორჩენილი მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ეს ხიდი ვაკე ქუთაისს ქვედა ქალაქთან აკავშირებდა. ამ პერიოდშიც შესანიშნავად იყო მოწესრიგებული ქალაქის წყალმომარაგების საკითხიც (ამის შესახებ ქვემოთ).

ასე რომ, დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელი ყველა ნიუანსი ქუთაისის მაგალითზე თვალსაჩინოა. განსაკუთრებით ასეთი საგანგებო ყურადღების დათმობა გალავნის კედლებისათვის მისი საფასადე-საპირე ქვების გულმოდგინე დამუშავება, მშენებლობის მონუმენტური ხასიათი ძალზე ნიშანდობლივი ფაქტია და სხვადასხვა გარემოებით აიხნება (ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე, ხუროთმოძღვრული ხელოვნების მაღალი დონე და სხვა). მაგრამ, ძირითადად, მსგავსი არქიტექტურის არსებობა თავდაცვით სისტემაში უთუოდ დიდი ქალაქებისათვის (დედაქალაქებისათვის) იყო უპირატესად დამახასიათებე-

[24] Horst Klengel, დასახ. ნაშრომი, გვ. 197. იხ. გენ. გეგმა.

ლი. ამის მაგალითები მრავლად არსებობს როგორც საქართველოში (ნოქალაქევი[25], ანაკოფია[26], წებელდა[27]), ისე ყირიმში (ხერსონესი[28]) და საერთოდ, ბიზანტიურ სამყაროში (ეგვიპტე, სირია). აშკარაა, რომ შავიზღვისპირეთში მშენებლობის მოდას ბიზანტიელები კარნახობენ. რა თქმა უნდა, ისინი უშუალოდ არ აშენებენ ყველა სიმაგრეს, მაგრამ მათი გავლენა მთელს ხმელთაშუა ზღვის აუზში ძალიან დიდია. ეს კარგად ჩანს ხუროთმოძღვრული ხელოვნების განვითარების მაგალითზე. აშკარაა, რომ საქართველოშიც ფართოდ იყენებენ ბიზანტიური არქიტექტურული სკოლის მიღწევებს.

საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების გვერდით წარმატებით ვითარდება საკულტო არქიტექტურაც.

შიდაციხეში, XIII საუკუნის დარბაზული ტიპის, შვერილაბსიდიანი ეკლესიის იატაკქვეშ აღმოჩნდა სამაბსიდიანი ეკლესიის საძირკველი. იგი მთლიანადაა გადარჩენილი, ხოლო კედლების წყობა ძალზე მცირედ. გეგმაში კვადრატს უახლოვდება. მისი სიგრძე აბსიდამდე 8,45 მეტრია, აბსიდის ჩათვლით—11,45 მეტრი, სიგანე—7,80 მ. საკუთრივ კედლის სისქე 0,95 მეტრია. იგი ნაგებია კარგად გათლილი და თარაზულ რიგებად დალაგებული სხვადასხვა ზომის კვადრებით, რომელთა შორის დუღაბის თხელი ფენაა მოთავსებული. განსაკუთრებული მონდომებითაა გამოყვანილი ნახევრადწრიული აბსიდები. ცენტრალურ აბსიდში დადასტურდა გადაკეთების კვალი, შემდგომში იგი რატომღაც სწორი ხაზით შეუცვლიათ.

განახლების კვალი ეტყობა, აგრეთვე, დასავლეთის კედელს, სადაც ცენტრალური შესასვლელი უნდა ყოფილიყო. აქ წყობა განსხვავებული კვადრებითაა ამოყვანილი, თანაც ჩვეული სიმეტრია დარღვეულია. საინტერესოა, რომ ამ წყობაში ერთი ზედაპირდაკეპნილი ვარდისფერდუღაბიანი კვადრი აღმოჩნდა, რაც აშკარად მის მეორად გამოყენებაზე მეტყველებს ეკლესიის განახლების დროს. თუ ეს ასეა, განახლება უნდა მომხდარიყო VIII საუკუნის II ნახევარში.

ინტერიერში სიმეტრიულად განლაგებული ოთხი სწორკუთხა ბურჯია ამოყვანილი, აბსიდების შეერთების ადგილას კი — ორი მცირე ბურჯი. ეს ბურჯები სახურავის საყრდენი სვეტების ბაზისებია. სა-

---

[25] ჯ. ზაქარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 136 და შმდ.

[26] Леквинадзе В. А. Материалы по монументальпому строительству в Лазике — ВГМГ, Т. XXII-В. 1961.

[27] Гумба М. М. Новые памятники цебельдинской культуры. Тб., 1978.

[28] Асеев Ю. С., Лебедев Г. А. Архитектура Крима, Киев, 1961.

ვარაუდია, რომ სვეტებსაც სწორკუთხა ტანი ჰქონდა. ინტერიერში აღმოჩენილი მასალა წარმოდგენილია მხოლოდ ორი ფრაგმენტით: ესაა სოლენის ტიპის კრამიტის ნატეხი და ტანდატალღული მინის ფრაგმენტი, რომელიც ზოგადად ადრე საშუალო საუკუნეებს გაბედკუთვნება. ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, ასეთი ფორმის ეკლესიები ადრეულად არის მიჩნეული[29].

აღსანიშნავია, რომ ბაზილიკის თემა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე ჩნდება (ნეკრესი, ძველი შუამთა, ცხრაკარა, ნოქალაქევი[30]). როგორც ჩანს, ქუთაისიც არ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი, მით უმეტეს, იგი ამ პერიოდში აღმავლობის გზაზეა.

ქუთაისის ეკლესია გეგმაში დიდ მსგავსებას პოულობს ძვ. შუამთის ბაზილიკასთან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ შიდა აბსიდებია. შვერილაბსიდური ფორმები ცნობილია ბულგარეთის ძეგლებზე IV—VI საუკუნეებში. მაგალითისათვის გამოდგება ნ. ჩანოვას მიერ განხილული სამაბსიდიანი ბაზილიკა გალიამობელოვოში[31]. ანალოგიური ძეგლები ცნობილია სირიაშიც[32]. ვფიქრობთ, ქუთაისის ბაზილიკაც V—VI საუკუნეებში უნდა იყოს აგებული, შესაძლოა მას შემდეგ, რაც ზემოთ განხილული „სამლოცველო სახლი“ ნაგებურდება. ეს კი უნდა მომხარიყო V ს-ის II ნახევარში.

ცოტა უფრო გვიან ჩრდილოეთის მხრიდან ეკლესიისათვის სწორკუთხა სათავსი მიუშენებიათ, რომელიც, ალბათ სანათლავის ფუნქციას ასრულებდა. მომდევნო ხანაში ამ მინაშენის კიდევ ერთი განახლება-გადაკეთება ჩანს. მაშასადამე, სამაბსიდიან ეკლესიას თავისი არსებობის პერიოდში ორი განახლება-გადაკეთება მაინც განუცდია. ბოლოს განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ნაგებურდება (კონკრეტული თარიღის დადგენა ჭირს). მის კედლებს საძირკვლამდე ასწორებენ და XIII საუკუნეში მასზე ახალ დარბაზულ ეკლესიას აგე-

---

[29] ამ ეკლესიის იატაკის აღება გამოიწვია სარესტავრაციო სამუშაოებმა.

[30] ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება თბ., 1974, გვ. 17 და შემდ.; Закарая П. А. Особенности раннехристианских культовых сооружений Грузии и Армении, თსუ-ს შრომები, გვ. 283, გვ. 118.

[31] Н. Чанева, Старохристиянската и ранновизантийската Базилика от IV-VI в. в България. Археология, кн. 2, 1968.

[32] Horst Klengel, დასახ. ნაშრომი, გვ. 193. აღსანიშნავია, რომ აქ ინტერიერში სვეტების ხუთი რიგია, ჩვენთან კი სამი; შდრ. აგრეთვე — ANASTASIOS K. ORLANDOS, Byzantine architecture, BYZANTINE ART ATHENS, 1964, გვ. 111 და შმდ.

ბენ. მშენებლობის ფენაში შიგ ანატკეცებში აღმოჩნდა რუსუდანის მონეტა — ახალი ეკლესიის მშენებლობის მოწმე.

ქუთაისის აღმავლობა ასახულია საკმაოდ მდიდარ და მრავალფეროვან არქეოლოგიურ მასალაში, რომელიც ქრონოლოგიურად შეესაბამისება ზემოთ განხილულ ხუროთმოძღვრებას. აქ განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი კერამიკა: ქვევრები, დერგები, ამფორები, ქოთნები, დოქები, ღუმელიები, კრამიტები (სოლენი და კალიპტერი), სხვადასხვა ფორმის აგურები, თიხის მილები და სხვ. მათ შორის არის ადგილობრივი ნაწარმი და შემოტანილი (იმპორტული) ჭურჭელი. მიკვლეულია IV—V საუკუნეების კერამიკული სახილოსნოს ნაშთები, რომელსაც აგურფენილი იატაკი ჰქონდა და რაც მთავარია, აღმოჩენილია ქვის კერამიკული ჩარხი. კულტურული ფენებიდან მომდინარეობს მინის ნაწარმიც: სასმისთა ძირებისა და კედლების ფრაგმენტები, სარკმლის მინა, რკინის იარაღები, მონეტები...

ყოველივე ზემოთ თქმული ქალაქის მძლავრ ეკონომიკურ განვითარებაზე მეტყველებს V საუკუნეში.

3. ქუთაისი ბიზანტია-ირანის დიდი ომიანობის პერიოდში (VI ს)

VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ძალზე გამწვავებული პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა. მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე ერთმანეთის პირისპირ მდგარი ორი დიდი სახელმწიფოს — ბიზანტიისა და ირანის ინტერესები მჭიდროდ დაუკავშირდა ეგრისის სამეფოს.

ამ საუკუნის დასაწყისში ბიზანტიელებმა მოახერხეს ეგრისში გაბატონება[33]. 523 წლიდან სპარსელები ცდილობენ ქართლის და ეგრისის დაპყრობა განიზრახეს. ბიზანტიელთა მფლობელობას ეგრისში საფრთხე დაემუქრა. 528 წელს სპარსელები ეგრისში შეიჭრნენ, მაგრამ ბიზანტია-ეგრისის გაერთიანებულმა ძალებმა ისინი უკუაქციეს.

532 წელს იუსტინიანესა და ხოსრო I შორის დაიდო „უვადო ზავი". ამ ზავით მეომარმა მხარეებმა ერთმანეთს დაპყრობილი ტერიტორიები დაუბრუნეს. იუსტინიანე I ეგრისში ციხე-სიმაგრეების განმტკიცებას მიჰყო ხელი (არქეოპოლისი, პეტრა...[34]). 542 წელს ირანელთა ჯარი კვლავ შემოიჭრა ეგრისში. ბიზანტიელთაგან განდგომილი გუბაზ მეფე სპარსელების მხარეზე გადავიდა. ეგრისის მდგომარეობა უკიდურესად გართულდა. ბიზანტია-ირანის დაპირისპირება ლაზეთში

[33] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 169.

[34] იქვე, გვ. 251.

ძალზე გამწვავდა. ციხე-სიმაგრეები ხელიდან ხელში გადაიოდა. 550 წლისათვის ლაზებმა და რომაელებმა გარკვეული წარმატება მოიპოვეს მტერზე, მაგრამ სპარსელებმა მაინც მოახერხეს ლაზეთის აღმოსაელეთის მხარის შენარჩუნება და მუხურისის ოლქში გამაგრდნენ. პროკოპი კესარიელის დახასიათებით: „მოხარისი ერთი ღღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწა-წყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ“[35]. როგორც ცნობილია, ამ მხარის ბუნებრივი ცენტრი ქალაქი ქუთაისი იყო. მან წინა საუკუნეებში მოთავე ქალაქის მოწინავე როლი შეასრულა ეგრისის სამეფოს აღმავალი გზით განვითარებაში. მაგრამ ქვეყნის თავზე დატეხილმა მეტად რთულმა საგარეო-პოლიტიკურმა ვითარებამ ქუთაისსაც თავისი უარყოფითი კვალი დააჩინა. აქ საქალაქო ცხოვრება მნიშვნელოვნად დაეცა და დაქვეითდა. მისი სასიმაგრო სისტემაც დანგრეულ-დაზიანებულა და საჭიროების შემთხვევაში ის სახელდახელოდ ხის კედლებით გაუმაგრებიათ[36]. ალბათ იმიტომ, რომ ძალზე დიდი იყო ქუთაისის სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება. ის, ვინც ფლობდა ქუთაისს და მის „მახლობლად მდებარე მეტად მაგარ“ უქიმერიონის[37] ციხეს, ფაქტობრივად ბატონობდა მთელს აღმოსავლეთ ლაზეთზე და საიმედოდ კეტავდა სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმისაკენ მიმავალ გზებს. ასე მოხდა 552 წელს, როცა სპარსელებმა დაიკავეს ქუთაის-უქიმერიონის ციხეები, მაგრამ მალე (555 წელს) მათ ეგრისში მარცხი იწვნიეს და იძულებულნი გახდნენ 50 წლიანი ზავი დაედოთ ბიზანტიელებთან (562 წ.). მოვლენები შემდგომში ისე განვითარდა, რომ ეგრისი მთლიანად ბიზანტიელთა ხელში გადავიდა[38]. სავარაუდოა, რომ ქუთაისშიც ბიზანტიელთა გარნიზონი იდგა, თანაც VII საუკუნის დასაწყისამდე მაინც. უნდა ვიფიქროთ, რომ გაუთავებელი საომარი ოპერაციების შეწყვეტა ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს შეექმნიდა. ეს კარგად შეინიშნება საქალაქო მეურნეობის გამო-

---

[35] Procop. BG, VIII, 14.

[36] სპარსელთა სარდალმა „მერმეროემ განიზრახა ეს ციხე აღედგინა, მაგრამ, ვინაიდან ამისათვის არაფერი ჰქონდა მომზადებული და ამასთანავე ზამთარიც ჩამოწვა, სასწრაფოდ შეაკეთა ხის მასალით ციხის ის ნაწილები, რომლებიც დანგრეული იყო და იქ დაისადგურა“ (იქვე).

[37] უქიმერიონის შესახებ იხ. ქვემოთ.

[38] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 283.

ცოცხლების მაგალითზე. არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღორძინებას და მჭიდრო კავშირებს ბიზანტიურ სამყაროსთან (კერამიკა, მინა, ფულადი მიმოქცევა).

VI საუკუნის მეორე ნახევარში თუ რამე კეთდება ქუთაისის მიწა-წყალზე, იგი ძირითადად დამპყრობთა ინტერესებს შეესაბამება. როგორც ჩანს, ბიზანტიელთა ინტერესების გათვალისწინებით აიგო შიდაქალაქის ტერიტორიაზე დარბაზული ტიპის შვერილაბსიდიანი ეკლესია, რომელიც შემდეგ ორნავიან ეკლესიად გადაუკეთებიათ. ამასთანავე, არაერთგზის ჩანს განახლებული აბანოს კომპლექსიც — ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური მეურნეობის მნიშვნელოვანი ძეგლი.

ადრექრისტიანული ხანის საკულტო ნაგებობათა შორის ყურადღებას იქცევს აბანოს უბანთან გამოვლენილი შვერილაბსიდიანი ორნავიანი, „დარბაზული[39]“ ტიპის ეკლესია, რომელმაც ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახით მოაღწია. მაგრამ მისი გეგმა და განახლება-გადაკეთების კვალი მაინც კარგად იკითხება.

ეკლესია, როგორც წესი, დამხრობილია W—O ღერძზე, თავდაპირველად იგი ერთნავიანი მცირე ზომის, დარბაზული ტიპის ნაგებობა ყოფილა, შემდეგ ჩრდილოეთიდან მისთვის მიუშენებიათ მეორე ნავი, ასევე შვერილი აბსიდით. ეკლესიის იატაკი განადგურებული დაგვხვდა. იატაკის (ცოკოლის) დონეზე მრავლად დაფიქსირდა რიყის მცირე ზომის ქვები, შესაძლოა იგი თავის დროზე იატაკს წარმოადგენდა. მთავარი ნავი გეგმაში კვადრატული ფორმისაა. მისგან მხრებით გამოყოფილია ნალისებური, ნახევარწრიული აბსიდი.

ეკლესიის სიგრძე აბსიდამდე 4,5 მეტრია, აბსიდიანად — 7,20 მ. დასავლეთის მხრიდან აქვს შემოსასვლელი. კარის სიგანე 1,70 მეტრია. მეორე ნავთან დამაკავშირებელი კარის სიგანე 1.74 მეტრია. მეორე ნავი, რომელიც სამკვეთლოს უნდა წარმოადგენდეს, შედარებით კარგად დაცული დაგვხვდა. აქ კედლის სიმაღლე 1,50 მ-ს აღწევს.

კედლები ამოყვანილია დაბალ საძირკველზე (სიგანე—65 სმ), რომელიც კირქვისა და რიყის მონაცვლეობითაა შექმნილი ჭარბხრეშიან დუღაბზე. მშენებლობაში გამოყენებული ქვები სხვადასხვა ჯიშისა და ზომისაა. მშენებლობის ტექნიკა არაერთგვაროვანია: ზოგან „იზოდომური“ წყობაა, ზოგან—„თევზისებური“. დუღაბში შერეულია

[39] ეკლესია გადაკეთებამდე იყო ერთნავიანი, დარბაზული ტიპის.

შცირე რაოდენობის კერამიკის ფხვნილიც. მშენებლობაში ფრაგმენტულად აგურიცაა გამოყენებული (ზომები: 31×15×5). ასე, რომ, მშენებელი საგულდაგულოდ არ არჩევდა სამშენებლო მასალას და აქ არსებული ძველი კედლების ნაშალს იყენებდა.

სამკვეთლო რომ შემდეგაა მიშენებული ძირითად ნაგებობაზე, ეს კარგად ჩანს კედლებისა და ფუნდამენტების შეერთების ადგილზე და დუღაბის ფაქტურით. ამასთანავე, მინაშენის კედლის სიგანე ნაკლებია ძირითადზე, იგი 50 სმ-ია.

ეკლესია გადახურული ყოფილა სოლენისა და კალიპტერის ტიპის კრამიტით. ისინი მრავლად აღმოჩნდა ნგრევის ფენაში. აქ ერთი საინტერესო დეტალია აღსანიშნავი: ეკლესიის მინაშენს დასავლეთიდან აქვს მცირე ზომის განყოფილება (ზომები: 1,84×0,60 სმ). მისი იატაკი დუღაბითაა მოლესილი და იატაკის საერთო დონიდან 0,6 მ-ით არის აწეული. მისი დანიშნულების გარკვევა ვერ მოხერხდა.

ეკლესია მიეკუთვნება მცირე ეკლესიათა რიგს, რომელიც განკუთვნილი იყო მცირერიცხოვანი მრევლისათვის. საერთო მონაცემებით იგი ფუნქციონირებდა VI—VII საუკუნეებში, ამ უბანზე განლაგებული აბანოს კომპლექსის თანადროულად. ამის დასტურია იქ აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტა (VI ს.) და საკმაოდ მეტყველი კერამიკული მასალა, რომელიც ეკლესიის ინტერიერში იქნა გამოვლენილი. ორნავიანი და ორაბსიდიანი ეკლესია აღმოჩენილია ბიჭვინთაში, რომელიც V—VI საუკუნეებით არის დათარიღებული[40].

აღნიშნული ეკლესიის გვერდით, ძალზე მნიშვნელოვანია შიდაქალაქის სამხრეთ ნაწილში აბანოს კომპლექსის გამოვლენა, რომელშიც შედის: 1. საკუთრივ აბანო, 2. წყლის აუზი — რეზერვუარი და 3. შეშის საწყობი.

აბანო თავდაპირველად ანფილადური ტიპის ჯვრის ფორმის ნაგებობა ყოფილა. შემდგომში (VI ს.) იგი სამჯერაა გადაკეთებული და განახლებული, შესაბამისად თავდაპირველად გეგმის ცვლილებაც განიცადა.

აბანო დამხრობილია ეკვადორულ ღერძზე W—O მიმართულებით. მისი თავდაპირველი სიგრძეა 12,40 მ, სიგანე—6,70 მ; განახლების შემდეგ სიგრძე—14,50 მ გახდა, ხოლო სიგანე—10 მ. ე. ი. ნაგებობის საერთო ფართობი 145 კვ. მ-ია, ხოლო მთლიანად კომპლექსისა 1000 კვ. მ აბანო ქვიტკირის ნაგებობაა. პერანგი საშუალო ზომის

[40] თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ბიჭვინთის ორაბსიდიანი ეკლესია, მსკა, III, გვ. 125—130.

კირქვის კვადრებითაა ამოყვანილი. კედლის შუაგულში გამოყენებულია ჰყორდუღაბი. კედლების სიგანე 0,50—0,65 მ-ია, სიმაღლე 1,30 მეტრამდეა შემორჩენილი.

ნაგებობა თავდაპირველად შედგებოდა შვიდი განყოფილებისაგან, ხოლო განახლების შემდეგ ათი ნაწილისაგან:

1. გასათბობი განყოფილება (პროპიგეონი)
2. სამხრეთ მკლავში გამართული აბაზანა
3. ჩრდილოეთის მკლავში გამართული აბაზნა
4. საქვაბე განყოფილება
5. ცხელი აბანო (კალდარიუმი)
6. თბილი აბანო (ტეპიდარიუმი)
7. ცივი აუზი

განახლების შემდეგ დაემატა:

8. ცივი აბაზანა (ლავაკრა)
9. გასახდელი (აპოდიტერიუმი)
10. ნახევარწრიული აბაზანა

1. საცეცხლე განყოფილება — აღმოსავლეთის მხარესაა აგებული. მისი შიდა ფართობია 3,45×1,80=6,21 კვ. მ, შემორჩენილი კედლის სიმაღლე — 1,მ, სიგანე — 1,10 მ, აღმოსავლეთიდან აქვს თაღიანი ღიობი კარისათვის, საიდანაც ცეცხლფარეშს შეშა შეჰქონდა. ღიობის ორთავე მხარეს პილონებია ამოყვანილი, რომელიც თაღით მთავრდებოდა. სავარუდოა, რომ გასათბობი განყოფილება მთლიანად თაღიანი იყო. საცეცხლურის წინ დევს ქვიშაქვის ლოდი, რომელიც შეშის მორების თავის ჩამოსადებად იყო განკუთვნილი, წვის გასაძლიერებლად.

2. სამხრეთის მკლავში გამართული აბაზანა თავდაპირველად სწორკუთხა იყო (1,40×1,15 მმ), განახლების შემდეგ მისთვის ელიფსური ფორმა მიუციათ და ორთავე შემთხვევაში ჰიდრავლიკური ხსნარით — სიგნინით შეულესიათ. აბაზანას ქვემოდან აქვს ორი ხვრელღიობი ცხელი ჰაერის სამოძრაოდ.

3. ჩრდილოეთის მკლავში გამართული აბაზანაც ზუსტად იმეორებს სამხრეთისას, მხოლოდ ერთი განსხვავებით, აქ ცხელი ჰაერის ღიობი აღარ ჩანს, შესაძლოა ივი გადაკეთების დროს გააუქმეს. საერთოდ გაუქმებულია ეს აბაზანა განახლების III ეტაპზე. სამაგიეროდ, საპირისპირო მხარეს მიაშენეს ახალი ნახევარწრიული ფორმის აბაზანა.

4. საქვაბე — უშუალოდ ებმის გასათბობს. მის ქვეშ გადის სწორკუთხა ხვრელი ცხელი ჰაერისათვის და უერთდება ცხელი აბანოს

გასათბობ სისტემას — ჰიპოკაუსტს (საქვაბის ზომებია: 2,62×1,35). საქვაბის შუაში დატანებულია ლითონის ქვაბის — ჩასადგმელი ღიობი. ისიც შელესილია სიგნინით. იატაკსა და კედლებზე კარგად ჩანს ორჯერ შელესვის კვალი. აშკარაა, რომ აქ ცხელი წყლის დიდი მარაგი (3,5 ტონა), იყრიდა თავს და შემდეგ ნაწილდებოდა აბაზანებში მაგ., საქვაბისა და კალდარიუმის გამყოფ კედელში დატანებულია თიხის მილი, რომელიც უერთდებოდა № 9 განყოფილებას.

5. ცხელი აბანოს — მხოლოდ ქვედა სართული ძირითადად გადარჩენილი. იგი ტიპური ჰიპოკაუსტია. იატაკი დაფუძნებული იყო, როგორც ქვიშაქვისაგან გათლილ სწორკუთხა სვეტებზე, ისე ცილინდრული ფორმის თიხის მილებზე. სიახლე აქ ისაა, რომ ზოგიერთი საყრდენი თიხის სვეტი წელშეზნექილია და ორმაგმუცლიანი. როგორც წესი, თიხის საყრდენები ამოვსებულია კირხსნარით და კედლებზე დატანებული აქვს მცირე ზომის ხვრელები. ცხელი და თბილი აბანოს კალორიფერები კედლითაა გაყოფილი, მაგრამ ისინი ერთმანეთს სავენტილაციო არხით უკავშირდებიან. თუ ცხელი აბანოს კალორიფერი შერეული ფორმის სვეტებით იყო გამართული, თბილი აბანოს კალორიფერში მხოლოდ აგურისაგან ამოყვანილი სწორკუთხა სვეტებია იატაკის საყრდენად და თანაც ისინი კედლის გასწვრივაა მხოლოდ შემორჩენილი. ყოველ ოთხ სვეტზე დიდი ზომის კერამიკული ფილაა დაყრდნობილი. თითოეული სვეტი ოთხ ასეთ ფილას იმაგრებდა. ცხელ აბანოში სვეტების ასეთი წესით გამართვა, როგორც ცნობილია, გაპირობებული იყო ცეცხლგამძლეობისა და გარსშემოდენილობის დიდი უნარით, ხოლო თბილ აბანოში ცხელი გაზების სწრაფ მოძრაობას აღარ ექცევა ისეთი ყურადღება და სვეტებიც ამიტომ ოთხკუთხაა. კალდარიუმის იატაკი, ისევე როგორც ტეპიდარიუმისა, სიგნინით იყო მოპირკეთებული და დაქანებული იყო ტეპიდარიუმისაკენ ნაბანი წყლის მოშორებისათვის. კალდარიუმს ჩრდილოდასავლეთ კუთხეში დატანებული აქვს გამწოვი სავენტილაციო არხი, რომ სიმხურვალე და ცხელი ჰაერი დიდი რაოდენობით მისწვდომოდა ცხელი აბანოს იმ ნაწილს, რომელსაც საოფლე—სუდატორიუმი ეწოდება.

6. თბილი აბანო — გასასვლელით უკავშირდება კალდარიუმს. მთლიანად მისი ზომებია 3,00×1,65 მმ. საინტერესო აქ ისაა, რომ თბილი განყოფილების სამხრეთ ნაწილში დატანებული ყოფილა მცირე ზომის ცივი წყლის აუზი — სწორკუთხა ფორმისა. იგი მალე გაუუქმებიათ და დასავლეთის მხრიდან აბანოს მოაშენეს დიდი ზომის ცივი

აბაზანა ლავაკრა). ამავე დროს მიამატეს ჩრდილოეთის მხრიდან გასახდელი განყოფილებაც. სავარაუდოა, რომ აბანოს თავდაპირველად გასახდელი ჰქონდა დასავლეთიდან და იგი პირდაპირ უკავშირდებოდა ტეპიდარიუმს. ასეთი ვარაუდის საშუალებას იძლევა ტეპიდარიუმის დასავლეთ კედელში დატანებული გასასვლელის ნაშთის არსებობა, რომელიც ლავაკრას მოშენების დროს გაუქმებულა.

7. ცივი წყლის აუზი — როგორც ითქვა, ტეპიდარიუმის სამხრეთ ნაწილში იყო გამართული (1,60×0,90 მმ). იგი განახლების მეორე ეტაპზე გაუქმებულია, ალბათ, მისი მცირე მოცულობის გამო, თანაც ტეპიდარიუმს ავიწროებდა.

3. ცივი წყლის აუზი — (ლავაკრა) — როგორც ვთქვით, განახლების დროინდელია, მას გარედან სწორკუთხა ფორმა აქვს. შიგნიდან თავდაპირველად ელიფსური ფორმისა იყო (ზომები 2,50×1,70×0,90 მმ), მაგრამ განახლების III ეტაპზე იგი სწორკუთხა გაუხდიათ. IV ეტაპზე კვლავ ელიფსური ფორმა მიუციათ. შესაბამისად მისი მოცულობა საგრძნობლად შემცირდა.

9. ნახევარწრიული ფორმის აბაზანა—აბანოსათვის სამხრეთიდან მიუშენებიათ განახლების III ეტაპზე. ამ დროს გაუქმეს № 3 განყოფილები. მასში ჩაშენებულია საცეცხლესა და საქვაბეს შორის მეორედ ამოყვანილი განახლებული კედელი. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქვაბედან ეს განყოფილება პირდაპირ ღებულობდა წყალს კედელში დატანებული მილის საშუალებით.

10. გასახდელი განყოფილება — ასევე განახლების III ეტაპზეა შექმნილი—აბანოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — ჩრდილოეთის მხრიდან (ზომები 5,50×3,90 მმ). მისი იატაკი აგურის ფილებითაა მოკირწყლული. იატაკის დონეზე აღმოჩნდა 10 ცალი ბიზანტიური მონეტა, აქედან ერთი აგურებს შორის იყო ჩაჯარდნილი. მონეტები მოჭრილია ანასტასი I, იუსტინიანე დიდის, მავრიკიუსის და ფოკას სახელზე.

გასათბობი განყოფილების წინ, აბანოს ნგრევის ფენაში, ერთი სპარსული მონეტაც იქნა ნაპოვნი. ყოველივე ეს შესანიშნავად ათარიღებს აბანოს ფუნქციონირების ხანას V საუკუნის ბოლოდან VII ს. დასაწყისამდე, ე. ი. მთელი VI ს-ის მანძილზე.

შესანიშნავად იყო მოგვარებული აბანოდან ნახმარი წყლის გაშვება-გატარების საკითხიც. ამისათვის მოწყობილია ტრაპები და კანალიზაციის ღვარსადენი არხები. არხის იატაკად გამოყენებულია აგური კედლებისათვის ცერზე დაყენებული შუბლგამოყვანილი ქვები

ხოლო სახურავად ბრტყელი ქვები, რომელთა გადაბმის ადგილი მოლესილია დუღაბით.

აღსანიშნავია, რომ პირველ ეტაპზე №3 აბაზანიდან გამომდინარე ნახმარი წყლის არხი ჩრდილოეთიდან უვლიდა აბანოს და გარშემოვლით მიემართებოდა სამხრეთისაკენ. ხოლო №2 აბაზანისა და ტეპიდარიუმის წყალი ერთად იკრიბებოდა და გარეთ გადიოდა. განახლების II ეტაპზე ჩრდ. მკლავის ძირში ნაგებობის გარეთ კედელთან ტრაპია მოთავსებული. აქედან არხი მიედინება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. III ეტაპზე — ტეპიდარიუმისა და ნახევარწრიული აბაზანის ნახმარი წყალი ღვარსადენი არხით, ამ უკანასკნელის გარშემოვლით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული. თავისთავად ცხადია, რომ სანიტარულ-ჰიგიენური მეურნეობა ქუთაისში მაღალ დონეზე იყო შოგვარებული.

ყურადღების ღირსია აბანოს გადახურვის საკითხი. სავარაუდოა, რომ გადახურვა გრძივ ღერძზე გამართულ ქვიტკირის კამარას წარმოადგენდა, მკვლავებისათვის განივი კამარებით. თავდაპირველად იგი ჯვრის ფორმის იყო, ხოლო ძნელი წარმოსადგენია გადახურვის სტრუქტურა განახლების შემდეგ. საერთოდ, აბანოს მიდამოებში მრავლადაა ნაპოვნი სოლენისა და კალიპტერის ტიპის კრამიტები. სავარაუდოა, რომ აბანო კრამიტით იყო გადახურული. ასევე მრავლადაა ნაპოვნი სარკმლის მინის ფრაგმენტები მომრგვალებული და შესქელებული ნაპირებით, რაც წარმოდგენას გვიქმნის სარკმლის შესახებ.

2. წყლის აუზი — რეზერვუარი — აბანოს კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი აგებულია აბანოს ჩრდილო-დასავლეთით 20-ოდე მეტრის დაშორებით, უფრო მაღალ ადგილზე. აუზის სიგრძე 6 მეტრია, სიგანე — 4 მ, სიმაღლე 2 მ-მდე. რეზერვუარი სავარაუდოდ 50 ტონა წყალტევადობისა იქნებოდა. აუზის კედლები და იატაკი სიგნინითაა მოლესილი, ხოლო სამხრეთის კედელს რელიეფის თავისებურების გათვალისწინებით მიშენებული აქვს გარე პილონები. აუზი ქმნიდა მუდმივი წყლის მარვს და იშვიათ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენდა. სადღეისოდ დადგენილია წყალსადენის რომელი მავისტრალი კვებავდა მას — ნაქალაქარზე აღმოჩენილი 7 მავისტრალიდან.

3. შეშის საწყობი — მოთავსებული იყო გასათბობი განყოფილების წინ, კომპლექსის აღმოსავლეთ მხარეს, ძველი გალავნის კედელთან. იგი მართკუთხა ფორმის იყო (სიგრძე — 7, სიგანე — 3,50 მ), 24,5

კვ. მ ფართობით. ამ განყოფილებაში რამდენიმე კუბური მეტრი შეშის შენახვა შეიძლებოდა.

დასავლეთ საქართველოში V — VI საუკუნეების არაერთი აბანოა აღმოჩენილი[41], მაგრამ იშვიათია ისე სრულყოფილად შემონახული კომპლექსი, როგორც ეს ქუთაისშია. ამ ბედნიერმა შემთხვევამ ძველი ქალაქების სანიტარულ-ჰიგიენური მეურნეობის მრავალ ატრიბუტს მოჰფინა ნათელი.

როგორც აბანოს კომპლექსისათვის, ისე მთელი ქალაქისათვის საჭირო იყო წყლის დიდი მარაგი. ეს საკითხი აქ სათანადოდ იყო გადაწყვეტილი.

შიდაქალაქის ტერიტორიაზე (სექტორი B/FXIV და F XV ნაკვეთებში) დაფიქსირდა ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე არსებული წყლის მილების 7 მაგისტრალი. ისინი მიემართება თეთრამიწას ქედის ძირითადან („წყაროს უბანი"), გამოივლიდა დაახლოებით 1 კილომეტრ მანძილს საკმაოდ რთულ რელიეფზე და შემოედინება დიდი ციტადელის დასავლეთის კედელქვეშ. „წყაროს უბანი" ცნობილია უხვწყლიანი წყაროებით, სადაც დღემდეა შემორჩენილი უძველესი აქვედუკები და თიხის მილების მაგისტრალთა ნაშთები. ქალაქამდე წყალს უნდა გადაელახა საკმაოდ მაღალი გორაკი, რაც ზიარჰურჰელის პრინციპით იყო გადაწყვეტილი.

აღმოჩენილი მაგისტრალებიდან ყველაზე ადრინდელი IV — VI საუკუნეებით განისაზღვრება. დადასტურდა მისი კავშირი ზემოთ განხილულ აბანოს კომპლექსთან. მაგისტრალი ჩასმულია ყვითელი ფერის წებოვანი თიხის გარსში, რაც ერთადერთი შემთხვევაა ნაქალაქარისათვის, რადგან სხვა მაგისტრალები, როგორც წესი, კირდუღაბის გარსშია ჩახვეული. ადრინდელი მაგისტრალის მილები უხეშკეციანია (კირქვის, კაჟისა და ქვიშის მინარევებით), გამომწვარია სუსტად, დამზადებული ჩანს კერამიკულ ჩარხზე. ამას მიუთითებს ზედაპირზე ერთმანეთის მიჯრით განლაგებული ჰორიზონტალური წრეები. აღსანიშნავია, რომ მილები არასტანდარტულია. მათი სიგრძე მერყეობს 45 — 52 სმ შორის, ხოლო გადასაბმელი შვერილის სიგრძე 6 — 9 სმ-ია. მილები წაკვეთილი კონუსური ფორმისაა, ოდნავ გამობერილი მუცლით. ფართო ბოლოს dm — 12, ხოლო ვიწრო ბოლოსი — 9 სმ.

---

[41] Закарая П. П., Леквинадзе В. А. Археологические раскопки в Шухути. მაცნე, 1966, № 1, გვ. 120; ვ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

მომდევნო ეტაპზე ჩანს აგებული მეორე მაგისტრალი. იგი აქ მიწის ზედაპირიდან 1,20 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. მაგისტრალი ჩასმულია კირქვის ნატეხებიდან და დულაბისაგან შექმნილ გარსში. მილის სიგრძე 40 სმ-ია, დიამეტრი — 8,6. ტანზე ემჩნევა ვერტიკალური ხაზები. კეცი ვადანატეხში ნაცრისფერია, გამომწვარია აგურისფრად. თიხა უხეშია, მინარევებიანი. ტაძრის ეზოში მაგისტრალი ორ ტოტად იყოფოდა. ერთი მიემართება დედაბურჯისაკენ, ხოლო მეორე ციტადელში არსებული სამეფო აბანოსაკენ. აშკარაა, რომ ეს წყალსადენი ფუნქციონირებდა VIII — IX საუკუნეებში და აღმავლობის ჯვზაზე მდგარი ქალაქის გაზრდილ მოთხოვნას სავსებით აკმაყოფილებდა.

როგორც აღინიშნა, ნაქალაქარზე, შემდგომი დროის კიდევ ხუთი მაგისტრალი იქნა აღმოჩენილი, ეს მთელი სისტემაა. ალბათ, იშვიათია ქალაქი, სადაც წყალსადენების ამდენი ქსელი ყოფილიყოს გამართული. ეჭვი არა, რომ ქალაქს ჰქონდა წყლის შესაკრები მთავარი რეზერვუარი. მისი ადგილმდებარეობა ივარაუდება სწორედ იქ, სადაც ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში რიონის წყლის შემკრები ქალაქის მთავარი აუზი იქნა აგებული[42].

VI საუკუნეში ბიზანტიური წერილობითი წყაროები ქუთაისთან ერთად ყოველთვის ასახელებს ორ პუნქტს: „მუხირისსა“ და „უქიმერიონს“.

მუხურისი ამ ცნობების მიხედვით პირველ რიგში მხარეა, ე. ი. იგივე „ქუთაისის ქვეყანაა“ — შემდეგდროინდელი სამოქალქაო[43]. მაგრამ, ამასთანავე, ამავე სახელწოდების გეოგრაფიულ პუნქტს, ისინი, როგორც წესი, ყოველთვის ქუთაისთან ერთად მოიხსენიებენ: „არქეოპოლისიდან გამობრუნებულმა სპარსელებმა „ქუთაისისა და მოხირისისაკენ დაიხიეს“ (BG. VIII, 17). „მერმეროე კვლავ ჩოვიდა მოხირისისა და კოტაისის ციხეში“ (აგათია, II, 19, 22). სპარსელები იმყოფებიან მუხირისსა და კოტაისში“ (აგათია III, 6). ერთგან კი პროკოპის ვადმოცემით: „...ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი“ (BP. II, 29). კვლევის დღევანდელ დონეზე ასეთი პუნქტის ლოკალიზაცია არ ხერხდება. ხომ არ

---

[42] რატომღაც აღნიშნული აუზი აღარ გამოიკვლიეს და მის ნაცვლად ჰახათაში ახალი აუზი ააგეს. აღნიშნულ რეზერვუარში საცხოვრებელი სახლ მოაწყვეს და დღესაც იქ ორი ოჯახი ცხოვრობს.

[43] ამ მხარის საზღვრები (ფართო გაგებით) მდ. ცხენისწყალსა და სვანეთ-შორაპნის სასაზღვრე ხაზს შორის იყო მოქცეული. იხ. ო. ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, მაცნე, № 4, 1974, გვ. 134.

იგულისხმება აქ ერთი და იგივე ქალაქი, ისევე როგორც მხარე?! ვფიქრობთ. ასეთი ვარაუდი დასაშვებია, თუკი სახელის ეტიმოლოგიაც გაირკვევა[44].

გაცილებით მეტის თქმა შეიძლება უქიმერიონის შესახებ. ჯერ პროკოპის მოვესმინოთ: „ქუთაისის მახლობლად კი არის ერთი მეტად მაგარი ციხე სახელად უქიმერიონი. აქ ჰყავდათ ლაზებს კარგი მცველი რაზმი. ამ ციხის დაცვაში მონაწილეობდა რამდენიმე რომაელი ჯარისკაციც—აი, აქ დაბანაკდა მერმეროე მთელი თავისი ჯარით. კოლხიდის საუკეთესო ნაწილი მას ეპყრა და მოწინააღმდეგეებს დაბრკოლებას უქმნიდა უქიმერიონის ციხეში სურსათი მიეწოდებინათ ან ეკრეთწოდებულ სვანიასა და სკვიმნიაში ევლოთ, თუმცა ეს ქვეყანა მათი ქვეშევრდომი იყო. ვინაიდან მოწინააღმდეგე მოხირისში იჯდა, ლაზებსა და რომაელებს ამ ქვეყნისაკენ გზა მოჭრილი ჰქონდათ“ (BG. VIII, 14). ბოლოს გამცემლობით „ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა უქიმერიონის ციხე და მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს. მაგრამ მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა. არამედ სკვიმნიაც და სვანიაც და ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გაჰოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“ (BG. VIII, 16).

ამ ცნობების საფუძველზე, შვეიცარიელი მეცნიერი დიუბუა დე მონპერე გასული საუკუნის 30-იან წლებში არქიელის გორაზე მდებარე ქუთაისის ციხეს რატომღაც უქიმერიონთან აიგივებს[45]. ამ ლოკალიზაციაში სამართლიანი ეჭვი შეიტანა ს. ყაუხჩიშვილმა და უქიმერიონის ადგილმდებარეობა სვანეთისა და ლეჩხუმისაკენ მიმავალ გზაზე ივარაუდა[46]. აკად ნ. ბერძენიშვილმა ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის დროს ვამოთქვა შესაძლებლობა ოკრიბაში, ცუცხვათის ციხესთან უქი-

---

[44] აკად. კ. კეკელიძე მუხურისს—მუხასთან აკავშირებდა. მრავალსაუკუნოვანი მუხის ბუებით დაფარული იყო ვაკე იმერეთის ძირითადი ნაწილი (გეგეთი, პატრიეთი, ტყარჩალი, მუხიანი). მუხის კორომები დღემდე შემორჩა აჯამეთსა და მუხნარში (საღორია). დღევანდელი ტოპონიმებიც — მუხიანი და მუხნარი, რომელიც ქუთაისის შემოგარენშია, სწორედ მუხასაგან არის გაჩენილი.

[45] Fr. Duboys, Voyage, გვ. 340. სხვა ჭაბუკიანებთან ერთად ადრე ჩვენც გავიზიარეთ ეს შეხედულება. იხ. ო. ლანჩავა, ქუთაისის ძველი ისტორიისათვის, გვ. 14.

[46] გეორგიკა II, გვ. 204. შენიშვნა..., მასზე დაყრდნობით, ი. სიხარულიძემ უქიმერიონი ცხენისწყლის ხეობაში გადაიტანა და დიდღვაბუნას ციხესთან გაიგივა იგი (ძეგლის შეგობარი, XXI).

მერიონის გაივიევების შესახებ[47] ასეა თუ ისე; ფაქტია, რომ უქიმერიონი ქუთაისში არა, მაგრამ პროკოპი კესარიელის ცნობათა კონტექსტში ჩანს, რომ იგი ქუთაისთან ახლოს, მის აღმოსავლეთითაა, შორაპნისაკენ მიმავალ გზაზე: „რადგან უკვე ზამთრის ჟამი იყო დამდგარი, მერმეროემ ხის კედელი ააგო კოტაისში და იქ ჩააყენა სპარსელ მეომართაგან შედგენილი მცველი რაზმი, არანაკლები სამი ათასი კაცისა. უქიმერიონშიც დასტოვა საკმაო ხალხი. თვითონ კი ააშენა ლაზთა მეორე ციხე, რომელსაც სარაპანისს ეძახიან და ზედ ლაილიკის საზღვრებთან მდებარეობს და იქ დარჩა“ (BG. VIII, 16). ე. ი. მერმეროე ქუთაისიდან გაივლის უქიმერიონს, ტოვებს იქ ჯარის ნაწილებს და გადადის შორაპანში, ე. ი. უქიმერიონი ქუთაისსა და შორაპანს შორისაა მოთავსებული. ასეთ პუნქტად ჩვენ დღეანდელი მოწამეთა გვესახება: „ადგილსაი მას, რომელსა ჰქვიან წყალწითელ, რამეთუ იყო ადგილი იგი ციხე-ქალაქ და ერმრავალ“[48]. ამ თვალსაზრისით, მარტვილოლოგის მიერ შემოთავაზებული ტერმინით „ციხე-ქალაქი“, ამ პუნქტის თავდაცვითი ფუნქცია აღინიშნა.

ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ძალზე შთამბეჭდავია და მრავლისმეტყველი. იგი უაღრესად მოხერხებული ადგილია, მღინარისაგან შექმნილი ნახევარკუნძული და ყოველი მხრიდან ციცაბო ქარაფებით დაცული. აქ მოხვედრა შეიძლება მხოლოდ ერთი ვიწრო ყელით და ისიც მტკიცედ ყოფილა ჩაკეტილი[49]. აშკარაა, რომ წყალწითელას ხეობაში იგი ძალზე მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო, მაკრამ VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბთა შემოსევას შეეწირა. „..რამეთუ ყურსა მურვანსა გამოელო და აღეოხრა და იყო უკაცურ და დაჩღვეულ ეკლესია“[50]. უნდა ვიფიქროთ, რომ ციხე-სიმაგრე წყალწითელა VIII საუკუნემდე ქუთაისის მიმართ დაცვით ფუნქციას ასრულებდა, კეტავდა იმ გზას, რომელიც წყალწითელას ხეობაზე გადიოდა აღმოსავლეთ საქართველოს და რაჭა-

---

[47] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII გვ. 518—520. შენ. მაგრამ ცეცხვათში არ შეიძლება იყოს უქიმერიონი, რადგან იგი გვიანდელი, თანაც მეორე ციხეა, ოკრიბელი ფეოდალისა.

[48] საბინინი, საქართველოს სამოთხე. პეტერბურგი, 1882. გვ. 330. ამ ცნობაში VIII ს-ის 30-იანი წლების მოგონებაა აღნიშნული, მაგრამ არ გვგონია, იგი ადრინდელ პერიოდსაც არ ასახავდეს.

[49] აკად. ნ. ბერძენიშვილი თქვა. რომ „მოწამეთა შესანიშნავი ადგილი წყალწითელას მიერ შექმნილი ნახევარკუნძული, უეჭველია ადრეფეოდალური ხანის ძეგლი“.

[50] საბინინი, იქვე.

ლეჩხუმს მოხირისის მხარესთან ანუ ქუთაისის საერისთავოსთან“ აკავშირებდა[51].

ამ ადგილის მეორადი ფუნქცია (და შესაძლოა უფრო ადრინდელიც) მისი საკულტო დანიშნულება იყო. ამის შესახებ გარკვევით მიუთითებს თვით დავითისა და კონსტანტინეს წამების ავტორი. რაც მთავარია, მოწამეთის კარიბჭეში ჩაშენებულია ახ. წ. VI საუკუნის „ბოლნური“ ტიპის ჯვარ-მედალიონი[52] აქვე შემორჩენილია ამავე პერიოდის სასიმაგრო კედლების ნაშთები. აშკარაა, რომ აქ კოლხების (ლაზები) მთავარი სალოცავი იყო და თუ უქიმერიონი — ოხვამერს ანუ სალოცავს ნიშნავს[53] მაშინ, სავსებით შეიძლება იმის დაშვება, რომ უქიმერიონი—დღევანდელი მოწამეთაა მით უმეტეს, ამ ზეობაში დადასტურებული ტოპონიმები: დოხორა და ოხომირა ამ თვალსაზრისით მრავლისმეტყველად გვეჩვენება[54].

მოწამეთიდან სორმონის გავლით გადადის უმოკლესი გზა ლეჩხუმსვანეთსა და რაჭაში, ხოლო გელათის გავლით შორაპანში. აქედანაც. ამ სიმაგრის დანიშნულება, როგორც ბიზანტიელი ავტორი აღნიშნავს, თვალსაჩინოა.

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისი (მოხირისი) და უქიმერიონი VI საუკუნეში ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეებია, აშკარაა, რომ ეგრისის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი ამ დროს უკვე ნოქალაქევშია (ციხე-გოჯი, არქეოპოლისი). ცენტრის გადატანის შესახებ სამართლიანად მიუთითებს დ. მუსხელიშვილი და მას პოლიტიკური მოტივებით ხსნის[55]. თუ როდის მოხდა ეს პროცესი, ძნელი სათქმელია, ფაქტია, რომ ქუთაისი ისევ რჩება ქვეყნის ბუნებრივ და ეკონომიკურ ცენტრად.

---

[51] შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 519.

[52] ო. ლანჩავა, მოწამეთის წარსულისათვის, გაზ. ქუთაისი, 21 იენისი, 1980 წ.

[53] შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 428.

[54] მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ ამ ადგილის საკულტო-რელიგიური დანიშნულება გამოდის წინა პლანზე—იგი წმინდანთა სამკვიდრებელი შეიქნა. აღნიშნულ. ტრადიციის გაგრძელებად ჩაითვლება გელათში დავით აღმაშენებლის მიერ ბაგრატიონთა საძვალეს დამკვიდრება...

[55] Мусхелишвили Д. А. К вопросу о центре Эгрисского царства, сб. Кавказ и средиземноморь, Тб., 1980, 135-138.

თავი III

ჭუთაისი — დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი

ჭუთაისის ხელახალი აღზევება. VIII საუკუნე მთლიანად საქართველოს და საკუთრივ დასავლეთ საქართველოს ისტორიაში დიდად მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა.

VIII საუკუნის დასაწყისში, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, არაბთა სახალიფომ მოახერხა გარკვეული დროით გაეწყვიტა წელში ქართველი ხალხის წინააღმდეგობის უნარი და 30-იან წლებში მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა მფლობელობა დამყარდა და თბილისში ხალიფას მოხელე, ამირა დამკვიდრდა.

თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქებში არაბული სამხედრო გარნიზონები იყო განლაგებული, რომელთა ციხის თავები, ამირები თბილისის, ანუ ქართლის ამირას ექვემდებარებოდნენ.

მართალია, დასავლეთ საქართველო არ მოქცეულა არაბთა უმეშვეო მფლობელობაში, მაგრამ მათი სამხედრო ექსპედიციების სუსხი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამაც გვანიცადა.

როგორც ცნობილია, VIII საუკუნის დასაწყისში კოდორის ხეობის და დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის ზოგი ციხე არაბებს ჰქონდათ დაკავებული.

თავდაპირველად არაბები დასავლეთ საქართველოში ეგრისის უზენაესი ხელისუფლის, ერისმთავრის, იგივე პატრიკიოსის, ინიციატივით შევიდნენ.

როგორც აღინიშნა, VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ხანგრძლივი და მძიმე ომი მიმდინარეობდა სასანიანთა ირანსა და ბიზანტიის იმპერიას შორის, ამ ომის აქტიური მონაწილე, როგორც მოსალოდნელიც იყო, ეგრისის სამეფო იყო: ეს დიდი ბრძოლა საბოლოდ ეგრის-ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა.

გამარჯვებულმა ბიზანტიის იმპერიამ ბრძოლით დასუსტებულ ეგრისში თავისი პოზიციების განმტკიცება დაიწყო. იმპერიის ხელისუფლება თანდათან ავიწროებდა ეგრისის (ლაზიკის) მეფის უფლებებს

და ბოლოს გააძევა კიდეც ეგრისში მეფის ხელისუფლება და ის „ლაზიკის პატრიკიოს“ ხელისუფლებით შეცვალა[1].

ბიზანტიელებმა ცდილობდნენ ირანელები სადავო სვანეთიდანაც, ჩაასწრეს მათ წინააღმდეგ მიმართული აბაზგების აჯანყება და მტკიცედ დამკვიდრდნენ დასავლეთ საქართველოში.

VI საუკუნის დასასრულისა და VII საუკუნის დასაწყისის წარუმატებლობათა შემდეგ, VII საუკუნის 20-იანი წლებიდან. პერაკლეს იმპერატორობის დროს (610—641 წწ.), ბიზანტიის იმპერიამ ახალ დიდ წარმატებებს მიაღწია ირანელებთან ბრძოლაში და მთელი ამიერკავკასია ფაქტიურად ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა.

ბიზანტიის პოლიტიკური სუვერენიტეტის მთელი საქართველოს მასშტაბით დამყარებას, გარკვეული თვალსაზრისით, დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა საქართველოსათვის. კულტურულად მოწინავე, ერთმორწმუნე ბიზანტიასთან დაკავშირება ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობისათვის.

არსებულ ვითარებაში ბიზანტიელთა ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში უფრო მყარად იყო წარმოდგენილი და მათი უღელიც უფრო მძიმე იყო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის. იმ დროს, როდესაც იმპერიას აღმოსავლეთ საქართველოში ჰქონდა ფეხი მოკიდებული, ის უფრო აქტიურად ახორციელებდა თავის ძალაუფლებას დასავლეთ საქართველოზე.

ეგრისის მოსახლეობა, როგორც მოსალოდნელი იყო, არ შერიგებია ბიზანტიელთა უღლის დამძიმებას და იბრძოდა დამპყრობთა წინააღმდეგ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არაბთა სახალიფოს სამხედრო უპირატესობათა ვითარებაში ეგრისის მმართველმა, პატრიკიოსმა სერგი ბარნუკის ძემ 697 წ. ბიზანტიელთა წინააღმდეგ არაბთა გამოყენება ისურვა და VIII საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის, თეოფანე ქამთაღმწერლის ცნობით, მან თავისი ქვეყანა არაბებს გადასცა, „აჯანყდა ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე, წერს თეოფანე, და ეს ქვეყანა არაბებს დაუქვემდებარა“[2].

არაბთა ლაშქარი დასავლეთ საქართველოში შევიდა და ამ დროს შექმნილი ვითარების შედეგი იყო, რომ VIII საუკუნის დასაწყისში

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 88-89:

[2] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1941, გვ. 105.

არაბებს თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო დაუკავებიათ, ზღვისპირა ზოლის გარდა, რომელიც ისევ ბიზანტიელთა ხელთ იყო და 705 — 711 წლებში არაბთა ხელში იყო ეგრისის სამეფოს დედაქალაქი ციხე-გოჯი ანუ არქეოპოლისი და კოდორის ხეობის მრავალი ციხეები[3].

X საუკუნის არაბი ისტორიკოსის მასუდის ცნობით, „აფხაზები და ხაზარები უხდიდნენ ხარაჯას სანაპირო ციხე თბილისის უფროსს თბილისის დაპყრობისა და მისი მუსლიმებით დასახლების დროიდან ხალიფა მუთავაქილის დრომდე“[4]. მასუდის ეს ცნობა იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ თბილისის საამიროს შექმნის დროიდან (VIII ს-ის 30-იანი წლები), ვიდრე IX საუკუნის 40 — 50-იან წლებამდე (მუთავაქილი ხალიფობდა 847 — 861 წლებში) დასავლეთ საქართველო[5] ხარკს უხდიდა საბალიფოს. არაბი ისტორიკოსის მასუდის ეს „ხარაჯა“, რასაკვირველია, არ არის ჩვეულებრივი საადგილმამულო გადასხადი, ისეთი, როგორსაც აღმოსავლეთ საქართველოს, და საერთოდ არაბთა მიერ დაპყრობილი ხალხები იხდიდნენ დამპყრობელთა სასარგებლოდ. ეს იყო ერთგვაროვანი ხარკი, რომელსაც დროის რაღაც ინტერვალით დასავლეთ საქართველო, მსგავსად ხაზარებისა უხდიდა არაბებს მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად[6].

ამ ერთდროული ხარკის და დასავლეთ საქართველოს დასამორჩილებლად არაბთა მცდელობის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული IX საუკუნის პირველ ნახევარში აჯანყებები დასავლეთ საქართველოში, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა სამეფოს) სამეფო ლაშქრის მონაწილეობა 853 წელს ბუღა თურქის წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვა[7].

ასე რომ, თავდაპირველად ეგრისის პატრიკიოსმა თვითონ გადასცა თავისი ქვეყანა და ხელისუფლება არაბებს, რაც, როგორც უკვე ითქვა, ბიზანტიელთა წინააღმდეგ მიმართულ აქციად ითვლება, მაგრამ შემდეგ, როგორც მოსალოდნელიც იყო, დასავლეთ საქართველოში ფართო ფრონტით გაიშალა ბრძოლა არაბების წინააღმდეგ.

---

[3] ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 368.

[4] Сведения арабских писателей о Кавказе СМОМПК. XXVIII, გვ. 56.

[5] ამდროინდელი არაბული წყაროების „აფხაზები“ და „აფხაზეთი“ ღასავლეთ ქართველს და დასავლეთ საქართველოს ნიშნავს.

[6] მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 438.

[7] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 438—439.

დასავლეთ საქართველოსათვის მძიმე შედეგების მომტანი იყო მურვან იბნ მუჰაჯედის, ქართული წყაროების მურვან ყრუს, ლაშქრობა, რომელიც დასავლეთ საქართველოშიც შეიჭრა.

ქართული წყაროს თანახმად, არაბთა სიმძლავრეს გამოქცეული ქართლის ერისმთავრის (წყაროს თანახმად მეფის) მემკვიდრენი მირ და არჩილ დასავლეთ საქართველოს აფარებდნენ თავს და მურვანი „შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი"[8].

მურვან ყრუს ლაშქარს დასავლეთ საქართველოში დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. არგვეთის მთავრებმა დავით და კონსტანტინემ თავისი ლაშქრით გზა გადაუღობეს დამპყრობლებს. მართალია, ისინი დამარცხდნენ და მოწამებრივი სიკვდილით დაამთავრეს ცხოვრება, მაგრამ შემოსულმა მტერმა აქ დიდი ზარალი ნახა[9]. საბოლოოდ, ქართლის ერისმთავრისა და აფხაზთა ერისთავის გაერთიანებული ლაშქარი ანაკოფიის ციხესთან შეება მტერს. ანაკოფიიდან უკუქცეული მაჰმადიანნი დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოედვნენ[10].

მართალია, დასავლეთ საქართველომ დიდი ზარალი ნახა, მაგრამ VIII საუკუნის 40—50-იან წლებში აქ არაბთა მძლავრებას ბოლო მოეღო. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის შემდეგ არაბები აღარ ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოზე თავისი უფლებების გავრცელებას, მაგრამ, ჩანს, ბევრს ვერაფერს აღწევდნენ. თუმცა, როგორც მასუდის ზემოთ მოყვანილი ცნობა გვაუწყებს, დასავლეთ საქართველოს ხელისუფლება ხარაჯითაც ყიდულობდა სახალიფოსაგან ხელშეუხებლობას.

ამ დროს დასავლეთ საქართველოსათვის უმთავრეს საგარეო ძალას ბიზანტიის იმპერია წარმოადგენდა. ეგრისი (ისევე როგორც აფხაზეთი) იმპერიის სავასალო ქვეყანა იყო და დასავლეთ საქართველო ეკლესიურადაც (აფხაზეთი მთლიანად, ეგრისის დასავლეთი ნაწილი) კონსტანტინეპოლის სამწყსოს ექვემდებარებოდა უშუალოდ და წირვა-ლოცვა აქაურ ეკლესიებში ბერძნულად წარმოებდა. იმპე-

---

[8] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 234—235.

[9] დავით და კოსტანტინეს მარტვილობა. იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 234—241; ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 235—239.

[10] ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 238.

რიის კულტურულ-საეკლესიო ბატონობას დასავლეთ საქართველოში ღრმა და მყარი ფესვები ჰქონდა.

VIII საუკუნის შუა წლებიდან მთელ დასავლეთ საქართველოში ფართო ფრონტით გაიშალა ბიზანტიის საწინააღმდეგო მოძრაობის სამზადისი. ამ დიდ ეროვნულ საქმეს აფხაზთა ერისთავი ლეონი ედგა სათავეში. აფხაზთა ერისთავმა ლეონმა მემკვიდრეობითი აქტით, სიძობით მიიღო ეგრისის ტახტი და გვირგვინი[11].

VIII საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც არაბთაგან დევნილი ქართლის ერისმთავარი ნერსე დასავლეთ საქართველოში გადადის, ამ დროს ეგრისი და აფხაზეთი გაერთიანებულია. მაშინ ეს ქვეყანა, რომელსაც აფხაზეთი ეწოდება, უკვე მთელი დასავლეთ საქართველოა და მთავრის ხელისუფლებას მთელი ეს დასავლეთ საქართველო ექვემდებარება. მისი ხელისუფალი ამ დროს უკვე „მთავარია“ და არა „ერისთავი“, როგორც ჯამდე იყო. მაგრამ ეს ქვეყანა ამ დროს ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერიის ვასალია. „და არს ქალაქები და ადგილები საბრძანებელად ქრისტეს მსახურისა იონთა მეფისა“, მოგვითხრობს იოანე საბანისძე[12].

ლეონი, რომელიც VIII საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ იმპერატორის ვასალია, საუკუნის დასასრულისათვის თავისუფლდება ბიზანტიის ვასალობისაგან, იღებს „მეფის“ ტიტულს ამიერიდან ეს დასავლურქართული სახელმწიფო სამეფოა[13]. ამ სახელმწიფოს დედაქალაქი ქუთაისია.

ქუთაისი, რომელიც ანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი იყო, როგორც ცნობილია, ახ. წ. VI საუკუნიდან, ვერ იმკვიდრებს დედაქალაქობას, ეგრისის სამეფოს დედაქალაქი VI—VII საუკუნეებში ციხე-გოჯია.

ქუთაისმა დაკარგა დედაქალაქობა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ის ინარჩუნებს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქის მდგომარეობას.

ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ე. წ. „სომხური გეოგრაფიის“ ცნობა. ამ წყაროს ავტორი, ჩამოთვლის რა დასავლეთ სა-

---

[11] ჯუანშერი, გვ. 242—243; მატიანე ქართლისაჲ, გვ. 251.

[12] იოანე საბანისძე, აბო თბილელის მარტვილობა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 59—60.

[13] С. Н. Джанашиа, О времени и условиях возникновения Абхазского царства, მისივე, შრომები, II, გვ. 322—341.

ქართველოს (მისი ტერმინოლოგიით კოლხეთის) ხუთ დიდ ქალაქს: ზიგანეონ, რიზონ, როდოპოლის, ათენა, მათ შორის ასახელებს „კოტა“-ს[15], რაც უდავოდ ქუთაისია.

მართალია, ამ ცნობით ძნელია განსაზღვრა, თუ რომელი ეპოქის ვითარებას ასახავს ის, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, უფრო საფიქრებელია, რომ VII საუკუნეზე ბევრად უფრო ადრინდელს, როცა ქუთაისი ჯერ არ დედაქალაქობს დასავლეთ საქართველოში, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რომ VII საუკუნეში შედგენილ წერილობით წყაროში ქუთაისი მაინც დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქადაა დასახელებული. აღნიშნულ ვითარებას უნდა უპირდეს მხარს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელიც V—VII საუკუნეების ქუთაისის ციხეში განხორციელებულ დიდ სამშენებლო საქმიანობას ადასტურებს[16].

იმ ვითარებაში, როდესაც საქართველო ფაქტიურად ორ დამპყრობელს — ბიზანტიასა და არაბთა სახალიფოს შორის იყო გაყოფილი, და ქართლის მეფეთა ჩამომავალნი (ამ დროს ქართლის ერისმთავრები) თბილისის ამირას კარზე იმყოფებოდნენ, როგორც მაჰმადიანი ამირას ხელქვეითი მოხელენი და ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელნი, ქართული საისტორიო ტრადიცია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთიან ქვეყნად წარმოსახავს და ფაქტიურ ერისმთავარს „მეფეს“ უწოდებს. ქართული თვალსაზრისით ის „მეფეა“.

ქართულ საისტორიო ტრადიციაში არსებულ ამ კონცეფციას ღრმა ფესვები აქვს. მაგრამ ამჯერად შორეულ ისტორიულ ვითარებას რომ თავი დავანებოთ, ასეთი გააზრების და კონცეფციის საფუძველს აღნიშნული დროის უშუალო წინამორბედი გარემოება იძლევა.

ჰერაკლე კეისრის სამხედრო ოპერაციების შედეგად დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ერთად ემორჩილებოდა ბიზანტიის იმპერიას და თუ მთელი ეგრისი არა, მისი მნიშვნელოვანი აღმოსავლეთი ნაწილი მაინც ქართლის ერისმთავრების ხელისუფლებაში შემოდიოდა“[17].

ქართულ საისტორიო ტრადიციაში არსებული კონცეფციის თანახ-

---

[15] С. Т. Еремян, Армения по «Ашхарацуйцу», Ереван, 1963, с. 10.

[16] ო. ლანჩავა, „დიდი ქუთაისი“ (ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე). იხ. ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები“, კრებული, V, ქუთაისი, 1988, გვ. 9—10.

[17] ჯანაშია, შრომები, I, გვ. 89.

მად, VIII საუკუნის შუა წლების მოღვაწე არჩილი მეფეა და ის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფეა. სად, საქართველოს რომელ კუთხეში, რამდენად რეალური იყო მისი ხელისუფლება, ეს საკითხის სხვა მხარეა[18]. ქართული წყაროს თანხმად, არჩილის გარდაცვალების შემდეგ, იოვანე ეგრისს წავიდა და დაემკვიდრა, ხოლო მეორე ძე „ჯუანშერ და ორნი ძანი მისნი დაშთეს ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისასა[19]. ამის შემდეგაა, აგარიანთა მძლავრებით დასუსტებულ ქვეყანაში რომ „იქმნა სიმრავლე მთავართა“[20].

VIII საუკუნის პირველ ნახევარში ეგრისი უცილობლად ქართლის ერისმთავართა ხელისუფლებას ექვემდებარება[21].

VIII საუკუნის პირველ ნახევარში ეგრისში ქართლის ერისმთავართა უზენაეს ხელისუფლებას „მატიანე ქართლისაჲს“ ზემოთ მოტანილ ცნობასთან ერთად უნდა ადასტურებდეს ატენის სიონის 739 წლის წარწერა, რომელშიც ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი ასე იწოდება: „ღმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავ ერისთავთა უფალი“[22]. თუ ეს წაკითხვა სწორია, მაშინ უდავოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ეგრისი ქართლის ერისმთავართა (მეფეთა) სამფლობელოა. ამ ქართლის ერისმთავართაგან იღებს ლეონ აფხაზი ეგრისს სიძობით.

როდესაც ლეონ აფხაზთა ერისთავი მთელი დასავლეთ საქართველოს მთავარი ხდება, ამ სახელმწიფოს დედაქალაქი ქუთაისია.

დგება კითხვა, როდის უნდა მომხდარიყო ქუთაისის ხელახალი აღზევება და რას უნდა განეპირობებინა მისი დამკვიდრება ამ ახალი დასავლურქართული სახელმწიფოს დედაქალაქად.

სპეციალურ ლიტერატურაში მართებულადაა დასაბუთებული, რომ ქუთაისი, რომელიც ძველი კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა, ასეთ მდგომარეობას საუკუნეთა მანძილზე იმკვიდრებს — სამეურნეო თვალსაზრისით დაწინაურებული რეგიონის (მოხირისი, სამოქალაქო) შუაგულში ყოფნით. უაღრესად მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით, სტრატეგიულად ხელსაყრელი მდგომარეობით, მასზე გამავალი მრავალრიცხოვანი გზებით, რომლითაც

---

[18] შ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 124—125.

[19] მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 249.

[20] იქვე, 250.

[21] ს. ჯანაშია, შრომები, I, 89—89.

[22] გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 36.

ქუთაისი უკავშირდება როგორც საკუთრივ დასავლეთ საქართველოს ყველა რეკიონს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოსა და მთელ კავკასიურ და ახლოაღმოსავლურ სამყაროს.

შემდეგ ციხე-გოჯის, და არა ქუთაისის, დედაქალაქობა ეგრისის სამეფოში, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ძირითადად, საგარეო ფაქტორით და კერძოდ, აღმოსავლეთიდან ექსპანსიითაა გაპირობებული. უდავოა, რომ აღმოსავლეთიდან მომავალი აგრესორისათვის ციხე-გოჯი უფრო ნაკლებ ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ქუთაისი.

აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია ეს აგრესორი, რომლის წინაშე შიშის გამო ამჯობინეს ეგრისის მეფეებმა დედაქალაქად ქუთაისს ციხე-გოჯი, სასანიანთა ირანი თუ ქართლის სამეფო"[23]. მართალია, „ირანისათვის ქუთაისის და ციხე-გოჯი, არსებითად ერთსა და იმავე სიშორეზე იყო"[24], მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ირანი დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთ საქართველოდან, საკუთრივ ახორციელებდა თავის ექსპანსიას.

არ არის გამორიცხული, რომ ამ პროცესში გარკვეული როლი ახალი იდეოლოგიის, ქრისტიანობის დამკვიდრებამაც შეასრულა.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო კულტად გამოცხადების შემდეგ, V საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლის საეპისკოპოსოც დადგა დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანის საკითხი. აღნიშნული გარემოება, როგორც ცნობილია, მრავალი ფაქტორით იყო გაპირობებული (პოლიტიკური, სოციალური და სხვა), მაგრამ ამ მოვლენის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად ზოგი მკვლევარი მეფე ვახტანგ გორგასალსა და ქართლის მთავარეპისკოპოსს მიქაელს შორის მომხდარ კონფლიქტსაც მიიჩნევს, რაც, რასაკვირველია, არ უნდა იყოს მხოლოდ პიროვნული ურთიერთდაპირისპირების შედეგი. თუმცა აქვე ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ დედაქალაქის თბილისში გადატანის შემდეგ ვახტანგ გორგასლის მემკვიდრე დაჩიმ მამის ანდერძისამებრ მცხეთა „კათალიკოსს მიათუალა". ამიერიდან პოლიტიკური ცენტრი თბილისია, ხოლო საეკლესიო — მცხეთა.

რა ხდება ამ დროს ამ თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოში ძნელი სათქმელია. არ არის გამორიცხული, რომ „ხანგძლივი დროის

---

[23] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980, გვ. 82.

[24] იქვე.

მანძილზე, კოლხეთის უძველესი, წარმართული კულტურისა და იდეოლოგიის ცენტრი ქუთაისი, ალბათ, „მოუმზადებელი“ აღმოჩნდა იდეოლოგიის ცვლის ამ თავისთავად ძალზე მტკივნეული პროცესისათვის“ (გაბუნია). ვერ ვიტყვით რატომ, მაგრამ იქნებ ციხე-გოჯი უფრო მომზადებული შეხვდა ამ დიდი მნიშვნელობის მოვლენას, იდეოლოგიათა ცვლას, ქვეყნის ისტორიაში. ამ თვალსაზრისით, თითქოს ნიშანდობლივია, რომ ციხე-გოჯის გათხრებმა ამ მხრივ უფრო მდიდარი მასალა მოგვცა, როგორც ცნობილია, ციხე-გოჯის ტერიტორიაზე IV—V საუკუნეების ქრისტიანულ ტაძართა რამდენიმე ნაშთია დადასტურებული.

ჩვენთვის ამჯერად, საკუთრივ ქუთაისის ხელახალი აღზევების საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ ეს აღზევება ქართლის ერისმთავრების დასავლეთ საქართველოში, ეგრისში დამკვიდრებას უნდა უკავშირდებოდეს.

როგორც ცნობილია, ქართლის ეთნიკური და პოლიტიკური ექსპანსია დასავლეთისაკენ, კერძოდ ეგრისისაკენ, უძველესი დროიდან მიმდინარე პროცესია. „იმ დროის, იბერიის დიდი ექსპანსიის ხანაში, წერს ნ. ბერძენიშვილი, როდესაც მცხეთის სამეფო დაარსდა, მისი პოლიტიკური საზღვრები შორაპნამდე მოიწია და მაშასადამე, შეიძლება ისიც ვივარუდოთ, რომ იბერიული მოსახლეობის არგვეთში დამკვიდრება ამ ხანას და წინა ხანას ემთხვევა“[25].

აქედან იბერიის ექსპანსია, როგორც პოლიტიკური, ასევე ეთნიკური, შიდა ეგრისისაკენ (ვაკე იმერეთი) მიემართება.

ეს ექსპანსია და მოსახლეობის მიგრაცია, როგორც აღნიშნულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, VII საუკუნის მეორე ნახევრიდან, აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა ბატონობის დამყარების შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოსაკენ თანდათან ინტენსიური ხდება[26] და შეიძლება არ იყოს გამორიცხული, რომ ქართლის ერისმთავრების მფლობელობა დასავლეთ საქართველოში

---

[25] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 442—443.

[26] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84—85.

(ეგრისში) არაბთა დასტურით და მხარდაჭერითაც იყოს შეპირობებული.

როგორც ჩანს, დავას არ იწვევს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ იმერეთსა და გურიაში აღმოსავლურქართული მოსახლეობა, თუ უფრო ადრე არა, VII საუკუნიდან მაინც უცილობელია[27].

დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის ეთნიკური გაქართება ღიდად მნიშვნელოვანი ფაქტორია ქუთაისის ისტორიისათვის.

მართალია, ქართლის ერისმთავარი არჩილი არაბთა მფლობელობის პირობებშიც, ტრადიციისამებრ მთელი საქართველოს ხელისუფლად ითვლება, მაგრამ არსებულ ვითარებაში, მისი ფაქტიური ხელისუფლება საქართველოს განაპირა, არაბთაგან შედარებით დაცულ რეგიონებში ხორციელდება. არჩილი რეალურ ღონისძიებებს კახეთ-ჰერეთსა და ეგრისში ატარებს[28]. კახეთ-ჰერეთში, როგორც არაბთაგან შედარებით დაცულ მხარეში, ხოლო ეგრისში, როგორც აღნიშნულია, არ არის გამორიცხული, რომ ქართლის ერისმთავრების, როგორც თავისი ქვეშევრდომების დამკვიდრებას, არაბებიც უწყობდნენ ხელს.

აღმოსავლეთ საქართველოდან მოსახლეობის მიგრაცია და დასავლეთ საქართველოს არაბთაგან შედარებით დაცულობა (მურვან ყრუს ექსპედიციის მიუხედავად ეს მაინც ფაქტია) ქმნის პირობას, რომ „ეგრისი დაადგეს სამეურნეო აღმავლობის გზას და მისი ეკონომიკურად მძლავრი რაიონი (მოხერისი ანუ ვაკე იმერეთი) და ამ უკანასკნელის ბუნებრივი ცენტრი (ქუთაისი) კვლავ დაწინაურდეს"[29].

ასეთ ისტორიულ ვითარებაში, ქრონოლოგიურად ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს ლაშქრობათა შემდეგდროინდელი მოვლენების თხრობისას ჩნდება ქართულ წყაროებში ისევ ქუთაისის ხსენება, როგორც დასავლურ-ქართული პოლიტიკური სამყაროს ცენტრისა. ქუთაისის ხელახალი აღორძინება VII—VIII საუკუნეებში მიმდინარეობს[30].

როდესაც მურვან ყრუ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, როგორც ცნობილია, არგვეთის მთავრებმა დავით კონსტანტინემ მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. დამარცხებული, მაგრამ გაუტეხელი მთავრები მურვანმა აწამა და სიკვდილით დასაჯა.

---

[27] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 85.

[28] შ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 124—125.

[29] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

[30] იქვე, გვ. 81—86.

ანონიმი ავტორის თხზულებაში „მარტვილობაჲ დავით და კონსტანტინესი“, რომლის უძველესი ხელნაწერი XIII საუკუნით თარიღდება, ამ მოვლენასთან დაკავშირებით რამდენიმე გეოგრაფიული პუნქტია დასახელებული. ეს პუნქტებია: არგვეთი, მდ. რიონი, მდ. ცხენის წყალი, ანაკოფია, მდ. აბაშა, წყალწითელა, ჯიხანჭვიჯი, ანუ ჭყონდიდი. ავტორმა ისიც იცის, რომ ჭყონდიდი „მეგრულითა ენითა“ დიდ მუხას ნიშნავს, ხოლო „ფასონი“ „ქართულითა ენითა“ რიონია. ამასთანავე, ის აღნიშნავს, რომ მურვან ყრუს ბანაკი იყო „ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე“[31].

„მარტვილობის“ ამ ტექსტში ქუთაისი ნახსენები არ არის. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ის დაწერილია მარტვილობის ფაქტის მოხდენისთანავე, როდესაც ქუთაისი ჯერ არ იყო დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ცენტრი. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ მარტვილობის ამბის თხრობასთან დაკავშირებით ავტორი ასახელებს ადგილს, „რომელსა ჰრქჳან წყალწითელ. რამეთუ იყო ადგილი იგი ციხე-ქალაქ და ერ-მრავალ, ხოლო ყრუსა მურვანსა გამოელო და მოეოჴრა და დაეწვა და იყო უკაცურ და დარღუელ ეკლკსიაჲ“[32]. სწორედ ამის „ქუეშე“ დაკრძალეს წმინდანნი. აქ შემდეგ მეფე ბაგრატმა (ბაგრატ IV) აავო მონასტერი, სადაც დაასვენეს მოწამეთა ნეშტნი.

როგორც ცნობილია, მოწამეთა მონასტერი იქვეა ქუთაისთან. თუ ავტორის მიერ მოხსენებული ერ-მრავალი ციხე-ქალაქი ქუთაისია, რატომ არ ასახელებს იგი მას, არ იცის სახელი?

ნიშანდობლივია, რომ მურვან ყრუს მიერ დანგრეულ ქალაქთა შორის ქუთაისს არც ჯუანშერი ასახელებს. დასავლეთ საქართველოში მურვან ყრუს მიერ დანგრეულად ჯუანშერი ასახელებს ციხე-გოჯს, კლისურას და ცხუმს[33]. ეს დასახელებული პუნქტებია; ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი, ეგრისისა და აფხაზეთის საზღვარზე მდებარე გამაგრებული კლისურა და ქალაქი აფშილეთისა და აფხაზეთისა — ცხუმი. მართალია ჯუანშერის ცნობის საფუძველზე, მან „შეჰსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი“[34], ჩვენ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ „მურვან ყრუს ლაშქრობამ, იგი ქუ-

[31] დავით და კოსტანტინეს მარტვილობა, მით. გამ., გვ. 234, 239.
[32] იქვე, გვ. 240.
[33] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 235.
[34] იქვე.

თაისი მ. ლ.) საგრძნობლად დააზიანა"[35], მაგრამ, ამ წყაროებში ქუთაისი სახელდებით არ არის დასახელებული, თუმცა მისი დანგრევა ამ დროს გამორიცხული არ უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ სწორედ ის გვაინტერესებს, თუ რატომ არ ასახელებს მას წყაროები.

ამგვარად, როგორც ვნახეთ „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის" ავტორი და ჯუანშერი, როდესაც მურვან ყრუს მიერ ეგრისის მნიშვნელოვანი ქალაქების დანგრევაზე მოგვითხრობენ და სახელდებით ასახელებენ ციხე-გოჯს, ქუთაისს არ მოიხსენიებენ. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ქუთაისი ამ დროს არ არსებობდა, მაგრამ იმას კი შეიძლება ნიშნავდეს, რომ ქუთაისი ამ დროს ჯერ კიდევ არ არის დედაქალაქი, ასეთი მდგომარეობა ჯერ ისევ ციხე-გოჯს უკავია და არაბი სარდლის ინტერესის მთავარი ობიექტი დედაქალაქია.

გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ იმ ფაქტორთა შორის, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, და რომელთაც განაპირობეს ქუთაისის ხელახალი გადედაქალაქება, ციხე-გოჯის დანგრევასაც ჰქონდა მნიშვნელობა.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქუთაისი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქად ფიგურირებს მურვან ყრუს შემოსევამდეც. ალბათ ამიტომაა, ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც დავით და კონსტანტინეს მარტვილობის შესახებ მოგვითხრობს, წერს, რომ მურვან ყრუმ ისინი „მოსწყვდნა ტანჯვითა ქუთათისს"[36]. თუ აქ ვახუშტის რაიმე ძველი წყარო არა აქვს. სადაც მათი წამების ადგილად ქუთაისია დასახელებული, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი განცხადების უფლებას მას „მარტვილობის" გეოგრაფიული გარემო აძლევს. ამასთანავე ვახუშტიმ კარგად იცის, რომ ქუთაისი ამ დროს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქია. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ვახუშტის ხელთ ჰქონდა წყარო, სადაც დავით და კონსტანტინეს საბელდობრ ქუთაისში წამების ფაქტი იყო აღნიშნული.

აქვე გასათვალისწინებელია ერთი რამ, კ. კეკელიძე, რომელიც „მარტვილობის" ამ მეტაფრასულ ტექსტს XII ს-ით ათარიღებს, შენიშნავს, რომ „მარტვილობის" ტექსტში დასახელებულია „ძუელნი

---

[35] ე ლ. ჩ ა ქ ვ ე ტ ა ძ ე, ქუთაისის ისტორიიდან, გვ. 66—67; თ. გ ა ბ ი ს ა ხ უ რ დ ი ა, ქალაქები, ვაჭრობა და ხელოსნობა, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 353.

[36] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 124.

უწყებანი", რომელშიც მოთხრობილი იყო ამ წმინდანებზე, რის საფუძველზეც კ. კეკელიძე ასკვნის, რომ „არსებობდა ძველი რედაქცია დავით და კონსტანტინეს მარტვილობისა, რომელიც ჩვენამდე არ შემონახულა, და რომელიც მას (XII ს. ავტორს?, მ. ლ.) გამოუყენებია თავისი მეტაფრასული შრომის შედგენისას"[37].

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოებაც, რომ დავით და კონსტანტინეს წამების სვინაქსარულ რედაქციებს შორის (ასეთი ხუთია) ერთში, რომლის სამი ნუსხიდან უძველესი 1703 — 15 წლებით თარიღდება[38], ვკითხულობთ „და წმიდანი იყო ნაწილნი მათნი ერთსა ლუსკუმასა შინა მდებარე არიან ჟამთა სიგრძისაგან მრთელნი და უვნებლად გებულნი ერთსა მცირესა ეკლესიასა შინა მახლობელად ქუთათისისა და ეწოდების ადგილსა მას მოწამეთა"[39]. ამდენად არაა გამორიცხული, რომ ვახუშტის ხელთ ჰქონდა რომელიღაც „ძველი" (იქნებ იმავე VIII საუკუნეში დაწერილი) თხზულება, რამაც მას უფლება მისცა ეთქვა, რომ მურვან ყრუმ დავით და კონსტანტინე ქუთაისში აწამა.

მურვან ყრუს მიერ ქუთაისის შესაძლებელ დანგრევასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ერთი გარემოება. ქუთაისის არქეოლოგიური ჯათხრების შედეგად დადგენილია ქალაქის გალავნის დანგრევის ერთი ფაქტი, რომელსაც არქეოლოგები VIII საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ და სვამენ კითხვას, ხომ არ შეიძლება ეს მურვან ყრუს სამხედრო ექსპედიციის შედეგად იყოს დანგრეული?[40]

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, იძლევა უფლებას დავასკვნათ, რომ მურვან ყრუს ექსპედიციის დროს ქუთაისმა განიცადა გარკვეული ნგრევა, მაგრამ არაბი სარდლის უმთავრესი დარტყმა სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანმა პუნქტებმა მიიღო და ასეთები მაშინ ისტორიკოსის მიერ დასახელებული ციხე-ჯოჯი, კლისურა, ცხუმი და ბოლოს ანაკოფია იყო. ქუთაისი, კი იმ ქალაქთა შორის იგულისხმება, რომელთა შესახებ ჯუანშერი წერს, რომ მურვან ყრუმ „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეკრისის ქუეყანისანი"[41].

---

[37] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1961, გვ. 509.

[38] იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. IV. ჯამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენ. გაბიძაშვილმა. თბ., 1968, გვ. 253.

[39] იქვე, გვ. 365.

[40] იხ. ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1986 წ. მუშაობის ანგარიში. № 3, გვ. 9.

[41] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 235.

რომ მეფენი ყოფილ ექსპედიციის დროისათვის ქუთაისი ციხე-გოჯის გვერდით, და შეიძლება ითქვას მასთან ერთად, დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, ეს აშკარაა ჯუანშერის ცნობებით.

არაბთა სიმძლავრეს გამოქცეული ქართლის ერისმთავრის სახლის წევრები დასავლეთ საქართველოში შეკვიდრდებიან. ქართველ ისტორიკოსს ეს აქცია კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია, რადგან ეგრისი ქართლის მეფეთა (ერისმთავართა) სამფლობელოა. ჯერ კიდევ მურვანის ექსპედიციამდე, ქართლის ერისმთავრის სახლის შვილებს თავისი სამეფო საგანძურის მნიშვნელოვანი ნაწილი „ქუთათისს და ციხე-გოჯს"[42] დაუდვიათ. მართალია, ჯუანშერთან აქ ქრონოლოგია დარღვეულია და დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე ორი თაობა მოქმედებს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. ფაქტია, რომ VIII საუკუნის დასაწყისში მცხოვრებმა ამ სახლის შვილებმა იციან ოჯახში არსებული საიდუმლო — მათი სამეფო საგანძურის ქუთაისში დაფლვის შესახებ. ამ საგანძურის დაფლვა კი ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს ლაშქრობათა ხანას, VII საუკუნის 20-იან წლებს უკავშირდება.

ისტორიკოსის ეს ცნობა ორ მხრივაა საინტერესო, ერთი ის, რომ უკვე ციხე-გოჯის, დედაქალაქის გვერდით, ჰერაკლეს დაშქრობათა ხანაში ფიგურირებს ქუთაისი, როგორც მნიშვნელოვანი ქალაქი, სადაც ფლავენ სამეფო საგანძურს. მეორე მხრივ, ეს ცნობა შეიძლება იძლეოდა მინიშნებას იმ გარემოებაზე, რომ ქართლის ერისმთავრების ხელისუფლება დასავლეთ საქართველოზე, სწორედ ჰერაკლეს ლაშქრობათა შემდეგ ხდება რეალური. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, და ანგარიშგასაწევი ფაქტია, რომ ქართლის ერისმთავრები თავის თავს სწორედ ქართლის იმ მეფეთა მემკვიდრეებად თვლიან, რომელთა სამფლობელოც იყო ეგრისი.

სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, აზრთა სხვადასხვაობაა მირისა და არჩილის და მათი მამის სტეფანოზის და ატენის სიონის წარწერის სტეფანოზ მამფლის ურთიერთმიმართების შესახებ. მაგრამ ამჯერად ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის საინტერესო და, ვფიქრობ, წყაროებით უცილობლად დადასტურებულია, რომ ჰერაკლე იმპერატორის ლაშქრობათა შემდეგ ქართლის ერისმთავართა ხელისუფლება ეგრისზეც ვრცელდება ქართლთან ერთად და ქუთაისი ამ სახლის წარმომადგენელთა ერთ-ერთი (თუ ერთადერთი?) რეზიდენციაა დასავლეთ საქართველოში, ჯერ ისევ

[42] ქუანშერი ქართლის ცხოვრება, I, გვ. 236.

ციხე-ეოჯთან ერთად. ამასვე უჭერს მხარს იმავე ისტორიკოსის ცნობა, რომ მას შემდეგ, რაც ერისმთავარმა არჩილმა გაატარა თავისი რეფორმა, განაცხადა: „წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს“[43]. ე. ი. ქუთაისი აქ, ისევე ციხე-გოჯის გვერდით და მასთან უფლებაყოფილ ქალაქად ვვევლინება[44].

თანდათან ვლინდება ქართლის ერისმთავართა სახლის წევრთა ტენდენცია ქუთაისი გვერდში ამოუყენონ ციხე-გოჯს და ქუთაისს მისცენ უპირატესობა ციხე-გოჯთან შედარებით. როდესაც დადგა ერისმთავართა მამის ნეშტის გადასვენების შესაძლებლობის საკითხი, უპირატესობა ქუთაისს ეძლევა. „შფოთსა ამას შინა“ გარდაცვლილი არჩილის და მირის მამა (რომლის საფლავი სადაა, არ ვიცით) არჩილმა უნდა გადაასვენოს და მირი უბარებს არჩილს: „წარსცენ ძუალნი მისნი და დაჰფლენ საყდარსა ქუთათისსა, რათა იპოვოს[45] იგი საწამებლად სამკვდროსა ჩუენსა“[46]. აქ სრულიად აშკარად არის აღნიშნული, რომ მამის დაფლვა ქუთაისში იმისთვისაა საჭირო, რომ ის აქ მათი მკვიდრობის საბუთს უნდა წარმოადგენდეს. ამასთანავე, ალბათ, იმიტომაც, რომ ქუთაისი მათ წინაპართა სამკვიდრო იყო. კარგადაა ცნობილი თუ რა მნიშვნელობა აქვს შუასაკუნოვანი საზოგადოებისათვის საფლავს. ქუთაისში მამის დაკრძალვა, ე. ი. საკუთარი საფლავის იქ შემზადება, უკვე იმას ნიშნავს, რომ ქართლის ერისმთავართა სახლი დასავლეთ საქართველოში სატახტოდ ქუთაისს მიიჩნევს და ნელ-ნელა ამზადებს ნიადაგს ქუთაისისათვის პირველობის დასამკვიდრებლად.

აშკარაა, რომ ქართლის ერისმთავრები, რომელნიც VII საუკუნიდან უკვე ავრცელებენ თავის ხელისუფლებას ეგრისზე, სატახტო ქალაქად უპირატესობას ქუთაისს ანიჭებენ. ისმის კითხვა, რატომ აძლევენ ისინი უპირატესობას ქუთაისს ციხე-გოჯთან შედარებით და თუ ქუთაისი ურჩევნიათ სატახტოდ, რატომ ვერ ახორციელებენ ამ აქციას ერთბაშად და ნელ-ნელა ამზადებენ ნიადაგს ტახტის აქ დამკვიდრებისათვის.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველო-

---

43 ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 242.

44 ვ. ჩაკვეტაძემ (იხ. მისი ნაშრომი, გვ. 69, შენ. 1) ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში (იხ. ქ. ცხ. I, გვ. 242, კითხვასხვაობა სტრ. 16) „ციხე-გოჯს და ქუთათის“-ის ნაცვლად არის „ციხე-გუგუთს და ქუთათისს“. იქნებ შემთხვევით არ არის აქ „გეგუთი“?

45 ზოგ ხელნაწერში არის „იყოს“, რაც ალბათ უფრო სწორია.

46 ჯუანშერი, გვ. 241.

სათვის ქუთაისის დედაქალაქობა ყოველ მხრივ უფრო კანონზომიერი იყო, ვიდრე ციხე-გოჯისა, და როგორც აღნიშნულიცაა, ციხე-გოჯის დედაქალაქობა სრულიად გარკვეული და კონკრეტული ისტორიული პირობებით იყო გამოწვეული. ქუთაისი უძველესი ისტორიული ტრადიციით, მუდმივობით, დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებთან დაკავშირების შესაძლებლობით და ყველა იმ ფაქტორით, რაც დედაქალაქისთვისაა საჭირო, ყველაზე უფრო შესაფერისი პუნქტია დასავლეთ საქართველოში და სწორედ ამან განაპირობა თავიდანვე და საუკუნეთა მანძილზე მისი დედაქალაქობა. ახლა, მითუმეტეს, როდესაც ქართლის ერისმთავართა სატახტო ქალაქის საკითხი დადგა იმ ვითარებაში, როცა ამ ერისმთავრებს ქართლის მფლობელობის რეალური პრეტენზიები თუ ილუზიები ჰქონდათ, ციხე-გოჯი სრულიად გამოუსადეგარი იყო და სატახტო მხოლოდ ქუთაისი შეიძლებოდა ყოფილიყო. (სხვას რომ თავი დავანებოთ, აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირების საშუალებათა გამოც).

მაგრამ აქ, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ეთნიკურ პროცესებსაც, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

VIII საუკუნისათვის ეგრისის აღმოსავლეთი ნაწილი უკვე ქართიზებული იყო, ყოველ შემთხვევაში, ამ დროისათვის ეს პროცესი, უკვე ძალიან შორსაა წასული[47]. VIII საუკუნის პირველ ნახევარში დასტურდება „მეგრმინდელი იმერეთის, როგორც ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბება"[48], ცენტრით ქუთაისში. „ეს არის ტერიტორია ვაკე იმერეთისა და ოკრიბისა"[49], რომლის შესახებ ვახუშტი წერს: „პირველად იყო საერისთაო ციხე-გოჯისა და შემდგომად იქმნა ქუთათისისა, ოკრიბისთანა"[50].

ქართლის ერისმთავრებისათვის იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ციხე-გოჯი ეგრისის მეფეთა სატახტო იყო. ქართლის მეფეები არ თვლიდნენ თავს მათ მემკვიდრეებად. თუ ეს დინასტიები ვინმეს მემკვიდრეებად თვლიდნენ თავს, დასავლეთ საქართველოს მფლობელობის თვალსაზრისით, ეს მხოლოდ ვახტანგ გორგასალი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომლის ჩამომავლებადაც თვლიან ეს მეფე-ერისმთავრები საერთოდ თავის თავს[51]. და რადგან ვახტანგ გორგასლის

---

[47] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 540—548.

[48] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[49] იქვე,

[50] ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 774.

[51] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

სამფლობელოში ეგრისიც შედიოდა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მათ ეგრისი სწორედ ამ ხაზით ეცნოთ თავის სამკვიდროდ. ამდენად ციხე-გოჯი მათ არც ამ თვალსაზრისით აწყობდათ დედაქალაქად და სატახტოდ.

არამცირედი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, აგრეთვე მურვან ყრუს ბიერ ციხე-გოჯის დიდ დანგრევასაც.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არ არის გამორიცხული, რომ ეს ნგრევა ქუთაისმაც განიცადა. მაგრამ თუ კი დაანგრია ქუთაისი მურვან ყრუმ და ქუთაისის ნგრევა იგულისხმება იმ ქალაქთა შორის, რომელთა შესახებ ისტორიკოსი წერს, რომ მურვანმა „შეიპყრა ყოველნი ქალაქნი ეგრისისანი", ქუთაისი მაინც არ იქნებოდა ისე დანგრეული, როგორც ციხე-გოჯი, და ამიტომაცაა, ალბათ, ისტორიკოსი საგანგებოდ რომ არ ასახელებს ქუთაისს. ეჩაბთა ლაშქრობა თუ დაარბია, და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩანს, დაარბია, ქუთაისზე ის რბევით გადაიელიდა. მისი მთავარი ამოცანაა კი — დედაქალაქის დანგრევა, ქვეყნის მთავარი ცენტადელის შემუსვრა და მწყობრიდან გამოყვანა იყო, რაც მან ვანახორციელა კიდეც.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ საუკუნეების მანძილზე სატახტო ქალაქ ფუნქციამოშლილმა ქუთაისმა დაკარგა ქალაქის სახე. ღაინგრა და მოიშალა მისი თავდაცვითი ნაგებობანი, მაგრამ ამჯერად მიმდინარე არქეოლოგიურმა გათხრებმა კამოაჩენა ფრიად მნიშვნელოვანი მშენებლობის ნაშთები, რომელნიც V საუკუნით თარიღდება. ეს მშენებლობა უმთავრესად ციხისა და ქალაქის გამაგრებას ისახავდა მიზნად. ციხე-გოჯის დეაქალაქობის პერიოდის ქუთაისის მნიშვნელობაზე აშკარად მეტყველებს პროკოფი კესარიელის ცნობები VI საუკუნის ქუთაისის შესახებ, აგრეთვე VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის ცნობები. ყოველივე ეს, და ბევრი სხვაც, აშკარად ხდის, რომ V — VII საუკუნეებში ქუთაისი ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი, ფაქტიურად სატახტო ციხე-გოჯის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, ეს მდგომარეობა მან განუხრელად შეინარჩუნა. ამიტომ ქართლის მეფეთა არჩევანისათვის ქალაქის უკეთ დაცულობის, თუ დაუნგრეველობის ფაქტორსაც უნდა შეეწყო ხელი[52].

ამგვარად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, უნდა დავასკვნათ, რომ ციხე-გოჯის დედაქალაქობის ჟამს, ქუთაისი ინარჩუნებ-

[52] თუ თავის დროზე რატომ ამჯობინეს ეგრისის მეფეებმა ქუთაისს ციხე-გოჯი, რამაც განაპირობა V—VII საუკუნეებში ეგრისის სამეფოს დედაქალაქად ციხე-გოჯის ყოფნა, ეს წინა ნაწილში უნდა იყოს.

და ეგრისის მეორე ქალაქის მდგომარეობას. VII საუკუნეში, როდესაც ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შედეგად განსხორციელდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება და დასავლეთ საქართველო (ეგრისი) ქართლის ერისმთავართა იურისდიქციაში შემოვიდა, ქართლის ერისმთავრები თანდათან ციხე-გოჯის გვერდით ქუთაისსაც უქმნიან სატახტო ქალაქის სტატუსს, ციხე-გოჯსა და ქუთაისში ფლავენ სამეფო საგანძურს, აშენებიან ციხე-გოჯსა და ქუთაისში, მაგრამ თანდათან უპირატესობას ქუთაისს აძლევენ, აქ იქმნიან საფლავს.

ამასთანავე ისმის კითხვა, თუ რატომ ვერ იმკვიდრებენ ქართლის ერისმთავრები ქუთაისში ტახტს აქ გადმოსვლისთანავე და ციხე-გოჯს დიდხანს ინარჩუნებენ სატახტოდ ქუთაისთან ერთად. ქუთაისის სატახტო ქალაქად აღიარებისა და დამკვიდრების პროცესი თითქმის საუკუნენახევარი გაგრძელდა, ჰერაკლეს ეპოპეიდან და განძის დაფლვიდან ანაკოფიასთან მურვან ყრუს წინააღმდეგ ბრძოლამდე და ამ ბრძოლის შემდეგ სტეფანოზის ნეშტის ქუთაისს გადმოსვენება-დაკრძალვამდე.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართლის ერისმთავრები ანგარიშს უწევდნენ იმ გარემოებას, რომ შეიქმნა ტრადიცია და ჩვეულება ციხე-გოჯის დედაქალაქობისა და ამის ერთბაშად მოშლა მთლად ადვილი არ უნდა ყოფილიყო, პოზიციებიც მათ მთლად მყარი არ ჰქონდათ. ისინი ჯერ ბიზანტიაზე იყვნენ დამოკიდებულნი და მათი აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში მფლობელობა საკუთარ საშინაო ძალას ნაკლებად ეყრდნობოდა: ჩანს, მათი ძალა დიდი არ იყო. თანაც არ არის გამორიცხული, რომ დასავლეთ საქართველოში გადასულ არაბებსაც დაეჩირათ მათთვის მხარი, მაგრამ არც ეს პოზიცია იყო მაინცდამაინც მყარი. მართალია, ქართიზებული ეგრისი მათი მხარდამჭერი და შესაბამისად ქუთაისის დედაქალაქობის მომხრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისინი ხომ მხოლოდ ქართიზებულ ეგრისზე არ აცხადებდნენ პრეტენზიას, მათ მფლობელობაში ეგრისული, ეთნიკურად ეგრისისიც შემოდიოდა. რომლის დედაქალაქი იყო ციხე-გოჯი. ასე რომ ორივეს, ციხე-გოჯისა და ქუთაისის ერთნაირად სატახტოობა, შეიძლება ამ მომენტისათვის ანგარიშის გაწევა და ამ გარემოების გათვალისწინების შედეგიც იყო.

არ არის გამორიცხული, რომ იმ ღიღმა ნგრევამ, რაც ციხე-გოჯმა მურვან ყრუს ექსპედიციის შედეგად განიცადა, კარგი ფორმალური საბაბი მისცა ქართლის ერისმთავრებს სახლს სატახტო ქალაქის საბოლოოდ მხოლოდ ქუთაისში დადებისათვის.

მართალია, წყაროებში ამაზე პირდაპირი მითითება არ არსებობს, მაგრამ ქართლის ერისმთავართა სახლის დასავლეთ საქართველოში უზენაეს ხელისუფლებად დამკვიდრება, ალბათ გარკვეულ წინააღმდეგობას იწვევდა. ამ წინააღმდეგობათა დაძლევაში მათი ერთ-ერთი დასაყრდენი დასავლეთ საქართველოს ქართული (საკუთრივ ქართველური) მოსახლეობაც უნდა ყოფილიყო, ქუთაისი ხომ ამ მოსახლეობას შუაგულში იყო თავისი ძველი ქართული ტრადიციებითა და კულტურით.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, „რომ ქუთაისი აღსდგა არა მხოლოდ როგორც „ქართლის“ პოლიტიკური ცენტრი, არამედ როგორც ქართული ნაციონალური კულტურის ცენტრი“[53].

ამგვარად, VII საუკუნის 20-იანი წლებიდან ქუთაისი ციხე-გოჯთან ერთად ფიგურირებს, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი, მნიშვნელოვანი, ფაქტიურად მეორე ქალაქი. VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან ქუთაისი დასავლეთ საქართველოს (უაფხაზეთოდ) სატახტო ქალაქია ციხე-გოჯთან ერთად, ხოლო VIII საუკუნის 30-იანი 40-იანი წლებიდან ჩამოიცილებს ციხე-გოჯს და იმკვიდრებს ეგრისის ერთადერთი დედაქალაქის სტატუსს. ციხე-გოჯი თანდათან კარგავს თავის მდგომარეობას.

როგორც ცნობილია, მურვან ყრუს ექსპედიციის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო არაბთა უშუალო ბატონობის ორბიტაში აღმოჩნდა.

მიუხედავად იმავე მურვან ყრუს დამანგრეველი ეპოპეისა, დასავლეთ საქართველო არ შესულა არაბთა მფლობელობაში. დასავლეთ საქართველო ისევ ბიზანტიელთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ქართლის მეფე (ერისმთავარი) არჩილი (რომელიც ახლა უკვე მხოლოდ ეგრისის მფლობელია) და აფხაზთა ერისთავი ლეონი ორივენი ერთნაირად ბიზანტიის ვასალები არიან.

ეგრისი ამ დროისათვის საკმაოდ დასუსტებულია. ჯერ ირან-ბიზანტიის ომმა მიაყენა მას დიდი ზარალი, შემდეგ არაბთა თარეშებმა, და განსაკუთრებით მურვან ყრუს ექსპედიციამ მნიშვნელოვნად დაასუსტა ეს სახელმწიფო. ამ დამანგრეველ ლაშქრობათაგან ეგრისთან შედარებით ბევრად უფრო იყო დაცული საკუთრივ აფხაზეთის საერისთავო, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა VIII საუკუნის შუაწლებისათვის ამ საერისთავოს თანდათანი ვაძლიერება და ფართო ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე აფხაზეთი უდავოდ უფრო ძლი-

---

[53] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

ერია, ვიდრე ეერისი, აფხაზთა ერისთავი ლეონი არჩილს ყმად, ვასალად აღიარებდა სთხოვს.

მოვლენები ამ ეტაპზე ასე ვითარდება: მურვან ყრუ წავიდა დასავლეთ საქართველოდან, ქართლის ერისმთავრებმა ქართლი დაკარგეს. თუ აქამდე არაბები, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ეჭვქვეშ დაეყენებინათ მხარს ქართლის ერისმთავართა ამ სახლის ეგრისში მმართველობას, რადგან ეს, თავის მხრივ, ამყარებდა არაბთა მფლობელობასაც დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ახლა, როდესაც არაბებმა დაკარგეს დასავლეთ საქართველო, ქართლის ერისმთავართათვის ქარი შეიცვალა.

ამიერკავკასიაში არაბთა მძლავრების პირობებში ბიზანტიის იმპერიას ესაჭიროებოდა აქ მასზე დამოკიდებული ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელსაც ის პირველ რიგში არაბთა საპირისპიროდ და მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც გამოიყენებდა.

როდესაც ანაკოფიის ბრძოლის ერთობლივად ჩატარების შემდეგ არჩილი მიდის რათა დაემკვიდროს ეგრისს, თავის მამულში, ის ეშვიდობება აფხაზთა ერისთავს ლეონს, მადლობას უხდის „კეთილად სტუმრობისათვის“, ხოლო ლეონი მას თავის ყმობას სთავაზობს. ეს აქცია, ალბათ, ბიზანტიის იმპერიის მხარდაჭერით (სანქციით თუ არა) განხორციელდა.

როგორც აღვნიშნეთ, მახლობელ აღმოსავლეთში არაბთა მძლავრების ვითარებაში ბიზანტიის იმპერიას ამიერკავკასიაში, თავის ქვეშევრდომ დასავლეთ საქართველოში, შინაგანი აშლილობა არ აწყობდა და როდესაც არაბთა მძლავრებას გამოქცეული ქართლის ერისმთავრის სახლის წარმომადგენლები ეგრისში დამკვიდრდნენ, ბიზანტიის იმპერატორი თავის ვასალ ლეონ აფხაზთა ერისთავს უბრძანებს: „კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნუღარამცა ჴელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდ ანუ განვიდენ მანდით“[54]. ე. ი. როდესაც ქართლის ერისმთავრის (მეფის) სახლის შვილები თავის მამულში, ეგრისში მოდიან, იმპერატორის კარი განკარგულებას იძლევა, რათა აფხაზთა ერისთავმა სათანადო პატივი სცეს მათ.

ამ დროს უკვე იგრძნობოდა აფხაზთა საერისთავოს გაძლიერება. საიმპერატორო კარის გადაწყვეტილებით, დასავლეთ საქართველო ორ მფლობელს შორის უნდა ყოფილიყო ჩაწილებული. ეტყობა, ამ ეტაპზე ეს აწყობდა ბიზანტიის იმპერიას, ორივე მისი მორჩილი იქ-

[54] ქართლის ცხოვრება, I, ჯუანშერი, გვ. 242.

ნებოდა. აფხაზთა ერისთავი კი ჯერ ისე ძლიერი არ იყო, რომ ბიზანტიის იმპერიის წინაღმდეგ მოემოქმედა რაიმე.

მაგრამ ანაკოფიის ბრძოლის შემდეგ, იმპერიას, ჩანს, არაბთა წინაღმდეგ მაინც ეგრისისა და აფხაზეთის მფლობელთა ერთობლიობა უფრო ჭირდებოდა.

არჩილის სამფლობელო ეგრისი და ლეონის სამფლობელო აფხაზეთი კლისურით იყოფოდა ერთმანეთისაგან. „კლისურითვან აღმართ" ღამკვიდრებული არჩილი ლეონს რომ ეკითხება, თუ რა სურს მისგან, ლეონი პასუხობს: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკჳდრობით კეთილად სიმჴნითა თჳსენითა. ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად საზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიის ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი ესე ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა ძინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ეს შენდავე იყოს"[55].

ეს არის შუასაუკუნოვანი კომენდაციის ტიპური ფორმულა. ლეონ აფხაზთა ერისთამა თხოვა არჩილს მიეღო ის მის ვასალად. როგორც უკვე ითქვა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აქცია იმპერიის კარნახით (ყოველ შემთხვევაში დასტურით) ჩატარდა: ალბათ გამორიცხულია, ამაზე საიმპერატორო კარის დასტური არ ყოფილიყო.

სწორედ ამის შემდეგაა არჩილი სიძობით რომ შემოიყვანს ლეონს ქართლის ერისმთავართა სახლში. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „მაშინა (მისცა (არჩილმა, მ. ლ.) ლეონს ცოლად ძმისწული მის გუარანდუხტ და გჳრჯნი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისთჳს. და იყო აღთქმა და ფიცი საშინელი ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა"[56].

ამიერიდან არჩილი მთელი დასავლეთი საქართველოს, საკუთრივ აფხაზეთის ჩათვლით, უზენაესი ხელისუფალია, ის მეფეა, ლეონ აფხაზთა ერისთავი მისი ვასალია, ყმაა, ლეონი, ამავე დროს, იმპერიის ვასალიცაა.

ამიერიდან ქუთაისი აფხაზთა საერისთავოს სამეუფო ქალაქიცაა. ე. ი. გარკვეული თვალსაზრისით, ქუთაისი უკვე მთელი დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის ჩათვლით, სამეუფო ქალაქია. ქუთაისი ამავე დროს საკუთრივ ეგრისის დედაქალაქიცაა, ხოლო აფხაზეთის საერისთავოს ცენტრი ანაკოფიაა.

---

[55] ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 242.
[56] იქვე, 243.

ასეთია ქუთაისის სტატუსი VIII საუკუნის 40 — 50-იანი წლებიდან საუკუნის 80-იან წლებამდე, ეგრისისა და აფხაზეთის ლეონ აფხაზთა ერისთავის (ამ დროიდან უკვე მთავარის ხელთ გაერთიანებამდე.

„ქართლის ცხოვრების“ კონცეფციით (ჯუანშერი, „მატიანე ქართლისაჲ“), ქართლის ერისმთავრები უძეოდ რომ დარჩნენ, მათი სამფლობელო მემკვიდრეობით მიიღო ამ სახლის სიძემ, რომელსაც ამ სახლის ერთ-ერთმა უკანასკნელმა წარმომადგენელმა ბიზანტიის იმპერატორისაგან მიღებული სამეფო გვირგვინი გადასცა. ეს VIII საუკუნის 80-იან წლებამდე უნდა მომხდარიყო, რადგან 781 წელს, როდესაც იოანე საბანისძის ცნობით, ქართლის ერისთავი ნერსე აფხაზეთში მოდის. ეს „აფხაზეთი“ მთელი დასავლეთი საქართველოა, რომლის უზენაესი ხელისუფალი „მთავარია“ უკვე და არა „ერისთავი“. ქართული წყაროს ცნობით. ლეონ აფხაზი, რომელმაც ქართლის ერისმთავართა სახლის უძეოდ გადაშენების ვითარებაში მემკვიდრეობით, ვითარცა ამ სახლის სიძემ მიიღო ეგრისი, ამავე დროს ხაზართა ხაკანის ასულის წული იყო. „ძალითა მათითა (ხაზართა, მ. ლ.) გაადგა ბერძენთა და იპყრა[57] აფხაზეთი და ეგრისის ვიდრე ლიხამდე სახელ იდვა მეფე აფხაზთა“[58].

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული და დასაბუთებულია, რომ „მატიანე ქართლისაჲ“ ამ ცნობაში მოკლედ და დაწვრილებით არის მოთხრობილი ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარე ისტორიული მოვლენების შედეგები. სახელდობრ: როგორც უკვე აღვნიშნეთ, იოანე საბანისძის ცნობით აშკარაა, რომ VIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ერისთავი ნერსე „აფხაზეთს“ გადადის, ეს „აფხაზეთი“ უკვე მთელი დასავლეთ საქართველოა, ეგრისი და აფხაზეთი უკვე ერთიანი ქვეყანაა, ერთიანი სახელმწიფოა. ამ სახელმწიფოს მეთაური კი არა „ერისთავი“, არამედ „მთავარია“. მთავარია ის იმიტომ, რომ მისი სიუზერენი ეგრისის მფლობელი აღარ არსებობს, ამ დროს ის უკვე თვითონაა ეგრისის უზენაესი ხელისუფალი. თუმცა ბიზანტიის მიმართ ის, ალბათ, ისევ ერისთავია, რადგან ჯერ კიდევ იმპერიის ვასალია. ხოლო მის მიერ „აფხაზთა მეფის“, ე. ი. დასავლეთ საქართველოს მეფის ტიტულის მიღების შემდეგ ის გამოდის ბიზანტიის ვასალობიდან. უფრო სწორად ბიზანტიის ვასა-

[57] აქ „და“ კავშირია და „იპყრა“ ლეონის ძიერ აფხაზეთისა და ეგრისის ხელისუფლების ერთნაირად პყრობას ნიშნავს.

[58] ქართლის ცხოვრება, I, მატიანე ქართლისა, გვ. 251.

ლობიდან გამოსვლა აპირობებს და შესაძლებელს ხდის მის მიერ „მეფის“ ტიტულის მიღებას. ეს მოვლენა VIII საუკუნის დასასრულით თარიღდება“[59].

მართალია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეონ აფხაზის არჩილის ვასალობაში შესვლით ქუთაისის სტატუსი ფართოვდება და ის აფხაზთა საერისთავოს სამეუფო ქალაქიც ხდება, მაგრამ ახლა უკვე მნიშვნელოვნად იცვლება ქუთაისის მდგომარეობა. ამიერიდან ქუთაისი მთელი დასავლურქართული სახელმწიფოს, აფხაზთა სამეფოს ერთადერთი დედაქალაქია, თუ აფხაზთა ერისთავის ქართლის ერისმთავრის (მეფის) ყმობაში შესვლის შემდეგ ქუთაისი მართალია ითვლება ეგრისისა და აფხაზეთის დედაქალაქად და ეგრისის სატახტო ქალაქად და ქართლის ერისმთავრის რეზიდენციად, ამ დროს როგორც უკვე ითქვა, საკუთრივ აფხაზთა საერისთავოს ცენტრი და ლეონ აფხაზის რეზიდენცია ანაკოფია იყო. ხოლო ლეონ აფხაზის ხელისუფლების მთელ დასავლეთ საქართველოზე გავრცელების შემდეგ ქუთაისი ამ დასავლურქართული სახელმწიფოს ერთადერთ დედაქალაქად იქცევა. ლეონ აფხაზისათვის მას მიენიჭა ის ფუნქცია, რაც მანამდე მისთვის ანაკოფიას ჰქონდა. სწორედ ამ ფაქტს გულისხმობს ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც წერს: „ამანვე (ლეონმა, მ. ლ.) აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე და ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა, ვითარცა ანაკოფია, ჰყო ტახტად მეორედ ასე ქუთათისი“[60]. ანაკოფია ამიერიდან კარგავს თავის მნიშვნელობას.

აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის შენიშვნა: „VIII საუკუნეში ქუთაისი თითქოს წინაურდება. მირისა და არჩილის თავგადასავალი... ციხე-გოჯი ინგრევა (მურვან ყრუ), ქუთაისი ხოსროვანთა (ქართლის) სამკვიდრებელი ხდება...

შეიძლება ეს ტრადიცია არც ხელაღებით უარსაყოფი იყოს (ს. ჯანაშია, შრომები, I) და აფხაზთა მეფეებმა ქუთაისი შეარჩიეს, როგორც მირის მემკვიდრეებმა (ვეირგვილი აფხაზთა მთავარს, მირის სიძეს). ასე რომ, „აფხაზთა მეფეების“ წარმოქმნის წინ ქუთაისი უკვე დაწინაურებული ჩანს პოლიტიკურად და ამ ქვეყანაში (ეგრისში) პოლიტიკური პირველობა უკვე ამ ქალაქს აქვს. ტრადიცია არ გულისხმობს, რომ ეს ქალაქი ახლა აშენდა, პირიქით... (თუმცა არც

---

[59] С. Н. Джанашиа, О времени и условиях возникновения Абхазского царства; იხ. ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 322—34

[60] ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 796.

ისაა ნაგულისხმევი, რომ ქუთაისი უფრო ძველი იყოს, ვიდრე ციხეგოჯი...).

ამრიგად გამოდის, რომ აფხაზთა მეფებმა ქუთაისი დაიმკვიდრეს. ხოსროვანთა ვადაშენებასთან დაკავშირებით და რომ, მაშასადამე, ეს ქალაქი მისი სამოქალაქოთი ჯერ ისევ აფხაზთა მეფეებამდე არსებობდა"[61].

ანაკოფია კარჯავს თავის მნიშვნელობას, რადგან იცვლება აფხაზთა საერისთავოს სტატუსი და ფარგლები. თუ ანაკოფიაში მჯდომი ერისთავი აქამდე ქუთაისში მყოფი მეფის ვასალი იყო, ამიერიდან აფხაზთა ერისთავი აფხაზთა მეფის მოხელე ხდება. ამასთანავე, იცვლება საკუთრივ აფხაზთა საერისთავოს ფარგლები.

ლეონ აფხაზთა პირველმა მეფემ გაატარა ადმინისტრაციული რეფორმა და აფხაზთა სამეფო დაყო რვა საერისთავოდ. ამ რეფორმის შემდეგ (უკეთ რომ ვთქვათ ამ რეფორმის საფუძველზე) ლეონმა ყოფილი აფხაზთა საერისთავო გაყო ორ ადმინისტრაციულ ერთეულად: „ა~დასუა აფხაზთა (ერისთავი, მ. ლ.) და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე. ბ~დასუა ცხომს და მისცა ეგრის იქით ანაკოფია ალანითურთ"[62]. ე. ი. ყოფილი აფხაზთა საერისთავო ორად გაიყო და ანაკოფია ცხომის საერისთავოს შემადგენლობაში შემოვიდა. თუ ეს ცნობა სწორია, და როგორც მერმინდელი ანალოგიებიდან ჩანს სწორია[63], ანაკოფია ამიერიდან საერისთავოს ცენტრიც აღარაა. საკუთრივ აფხაზთა საერისთავოს ცენტრად ბიჭვინთას ვარაუდობენ[64].

რომ ვახუშტი ბაგრატიონს ძველი და სანდო ცნობები აქვს ამ საკითხებთან დაკავშირებით, და ისეთი ცნობები, რომელნიც ჩვენ ღღეს ხელთ არა გვაქვს, ამას ამჟამად ქუთაისში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებს. ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ ლეონ აფხაზთა პირველმა მეფემ „აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ცი-

---

[61] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 533.

[62] ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 796.

[63] ვახუშტის ცნობები აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით ნეობას რომ ემსახურება, ეს სხვა წყაროებითაც მოწმდება და აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში. იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 187—188; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

[64] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 116; დ. მუსხელიშვილის, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

ხე"[65]. არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებულია VIII საუკუნეში ქუთაისის ციხის ბურჯების გამაგრება, ახალი საცავი კედლების აგება, ციხის გაფართოება და მისი თავდაცვისუნარიანობის გაზრდა[66].

აღნიშნულ მოვლენებთან ერთად დგება ქუთაისის მთელი დასაელეთ საქართველოს დედაქალაქად დამკვიდრების თარიღის საკითხი. ამ საკითხზე მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. შემოთავაზებულია სხვადასხვა ავტორთა მიერ 792 წ., 816 წ., 808 წ., 786—792 წწ.[67], მაგრამ, რადგან წყაროებში პირდაპირი მითითება არა გვაქვს ამ მოვლენის თარიღზე, ვფიქრობთ, თავის შეკავება ჯობია. მაგრამ ეს საკითხი დკება იმიტომ, რომ ზოგი მკვლევარის ვარაუდით, აფხაზთა სამეფოს შექმნის შემდეგ ანაკოფია დროებით რჩება ამ სახელმწიფოს დედაქალაქად და დედაქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში ლეონს შემდეგ, ცოტა მოგვიანებით გადააქვს. როგორც აღვნიშნეთ, წერილობითი წყაროები არაფერს ამბობს ამის შესახებ, მაგრამ ანაკოფია რომ ამ ერთიანი დასავლურქართული სახელმწიფოს დედაქალად სრულიად მიუღებელი იყო, ეს ეჭვს არ ბადებს.

ანაკოფია არც თავისი მდებარეობით და არც მნიშვნელობით არ შეიძლება ყოფილიყო ამ ახლადშექმნილი სახელმწიფოს დედაქალაქი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია მთელი ისტორიული სიტუაცია, როდესაც ეს აქცია ხორციელდება. ლეონ აფხაზმა, ქართლის ერისთავართა სახლის სიძემ, ამ სახლის უკანასკნელი მამაკაცის წარმომადგენლის გარდაცვალების შემდეგ დაიმკვიდრა მათი სამფლობელო, ის სამფლობელო, რომლის გეორგვინი მას უკვე მიღებული ჰქონდა. ლეონის მიერ ამ სამფლობელოს დამკვიდრება სწორედ მათ სატახტო ქალაქში დაფუძნებას ნიშნავდა. ამიტომაცაა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, რომ ლეონმა თავიდანვე დაიმკვიდრა ამ ახლად შექმნილი სამეფოს დედაქალაქად „ძველი ქუთაისი, რომელიც წარმოადგენდა მთელი დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ ცენტრს და მდებარეობდა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო მაგისტრალზე"[68]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქუთაისი „მდებარეობდა ისეთ უმნიშვნელო-

---

[65] ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, I, 796. რომ აქ არ იგულისხმება ქალაქის თავდაპირველი აღშენება, არაჩვეულებრივ განაშენიანებაზეა ლაპარაკი, ამაზე დავა არ შეიძლება.

[66] ო. ლანჩავა, მითი სტატია, გვ. 11—13.

[67] ვ. ჩაკვეტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 73—74.

[68] Н. А. Бердзенишвили, В. Д. Дондуа, Феодальние княжества в грузинских землях, Очерки истории СССР, III-IX вв. с. 514.

ვანეს მაკისტრალებზე, რომლებიც აფხაზეთსა და ეგრისს (სამეგრელოს) სამოქალაქო — მუხურისთან, არგვეთსა და ქართლთან აკავშირებდა"[69]. ქუთაისი მდებარეობდა იმ ქართული მოსახლეობის ცენტრში, რომელიც ამ გაერთიანების შექმნის მთავარ საყრდენს და საფუძველს წარმოადგენდა. და როგორც ზემოთ ითქვა, ქუთაისი ამ დროს უკვე იყო ეგრისთან ერთად აფხაზეთის დედაქალაქიც, ხოლო საკუთრივ აფხაზეთის ცენტრი ანაკოფია იყო.

ამგვარად, VIII საუკუნის დასასრულისათვის, როდესაც განხორციელდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და შეიქმნა აფხაზთა სამეფო, ქუთაისი ამიერიდან ამ გაერთიანებული დასავლურქართული სახელმწიფოს ერთადერთი დედაქალაქი გახდა.

აღნიშნული აქტით დამთავრდა ერთი ეტაპი ქუთაისის ხელახალი აღორძინების ხანაში. ამის წინა ეტაპი, როგორც აღნიშნულია, VIII საუკუნის 30 — 40-იან წლებს უკავშირდება, როდესაც ქუთაისმა დაიმკვიდრა ეგრისის დედაქალაქის მდგომარეობა, ახლა კი ის უკვე ერთიანი დასავლურქართული სახელმწიფოს დედაქალაქია.

*
* *

ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს და კერძოდ ქუთაისის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან გამოყოფის და მისი მცხეთის ტახტისადმი დაქვემდებარების საკითხს. როგორც ცნობილია, ეს ხანგრძლივი ისტორიული პროცესია და უშუალოდ უკავშირდება დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ მოვლენებს.

თუ უფრო ადრე არა, VII საუკუნიდან მაინც, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონი ეკლესიურად მცხეთის სამწყსოში შედიოდა, მაგრამ იმავე დასავლეთ საქართველოს, საკუთრივ ეგრისის დასავლეთი ნაწილი და საკუთრივ აფხაზეთი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციას ექვემდებარება.

აფხაზთა მეფეების, ამ დასავლურქართული სახელმწიფოს უზენაეს მესვეურთა პოლიტიკური კურსი ზოგადქართული მიმართულებისა

[69] И. А. Джавахишвили, В. Д. Дондуа, Грузия в IX-первой четверти XIII в. Очерки истории СССР, период феодализма, IX-XV вв., т. I, М., 1953, გვ. 556.

იყო. აფხაზთა მეფეები, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული საკითხის სპეციალურ ლიტერატურაში, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდნენ. ამ დიდი ეროვნული საქმის ერთი მნიშვნელოვანი მხარე იყო საეკლესიო პოლიტიკა[70].

აფხაზთა სამეფოს შექმნის დროიდან იწყება აფხაზთა მეფეების გამიზნული საქმიანობა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან ჩამოცილებასა და მცხეთის ტახტისადმი დაქვემდებარებას რომ ისახავდა მიზნად.

ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური ქვეშევრდომობიდან გამოსვლა უფრო ადვილი იყო (მთლად ადვილი არც ეს იყო, მაგრამ ყველაფერი შედარებითია), ვიდრე კონსტანტინოპოლის საეკლესიო ფხვნაესობისაგან განთავისუფლება.

ბერძნული ეკლესია თავისი ენით, კულტურით, საეპისკოპოსო ცენტრებით, დიდი ტრადიციებით ღრმად იყო შეჭრილი დასავლეთ საქართველოში. იქ მას მკვიდრად ჰქონდა გადგმული ფესვები. მაგრამ მცხეთის ტახტი თანდათან ახორციელებდა თავის აქციას და როდესაც აფხაზთა მეფეების და მცხეთის ტახტის მიზნები გაერთიანდა და მათი საქმიანობა ერთობლივი შეიქმნა, ამან დიდად განაპირობა ამ საქმის წარმატება[71].

აფხაზთა მეფეებისა და მცხეთის ტახტის ამ მიმართულებით წარმოებული ერთობლივი მოქმედების ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება

---

[70] როგორც ცნობილია, ზოგი მკვლევარი სადავოდ ხდის დებულებას, რომ „აფხაზთა სამეფო" ქართული, საკუთრივ დასავლურქართული სახელმწიფო იყო. აღნიშნულ საკითხზე ერცელი ლიტერატურა არსებობს, დასაბუთებულია, რომ აფხაზთა სამეფო ტერიტორიულად მოიცავდა ქართულ მიწა-წყალს და ჭოსახლეობაც უდიდეს უმრავლესობას საკუთრივ ქართული ტომები, ქართები, ეგრები, სვანები და მათთან ერთად აფხაზები შეადგენდნენ. აფხაზთა სამეფოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ზოგადქართული იყო და ამ სამეფოში, აფხაზთა მეფეების კარზე, ქართული კულტურული საქმიანობა მიმდინარეობდა. არ მიგვაჩნია რა აუცილებლად აქ ამ საკითხზე ფართო მსჯელობა, მივუთითებთ ნაშრომს: მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი. თბ., 1990, სადაც განხილულია ეს საკითხი და მითითებულია ამ საკითხის შესახებ არსებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა.

[71] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში; იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 49—53; ბ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 231—249; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 183—194.

იყო თანდათან ბერძნული საეპისკოპოსო ცენტრების გაუქმება და მათ მაგიერ ახალი ქართული საეპისკოპოსოების დაარსება[72].

ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია საეპისკოპოსოს დაარსება ქუთაისში.

ერთადერთი ცნობა ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ ეკუთვნის ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც ამ აქციას ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისის ტაძრის აგებას უკავშირებს და წერს, რომ ბაგრატ მეფემ ქუთაისში „დასვა ეპისკოპოზი"[73].

პ. ინგოროყვას აზრით, ქუთაისში საეპისკოპოსო კათედრა როდოაპოლისიდან უნდა გადაეტანათ[74]. ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ ქუთაისში საეპისკოპოსო ცენტრი ფოთიდან უნდა გადმოეტანათ და რომ ეს ბაგრატ III-ის დროს მოხდა[75]. საერთო ისტორიული სიტუაციის გათვალისწინებასთან ერთად ნ. ბერძენიშვილი, ჩანს, ნდობას უცხადებს ვახუშტი ბაგრატიონს.

თუ ვახუშტი ბაგრატიონის ეს ცნობა სწორია, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ, როდესაც მეფე ბაგრატ III აკურთხა ქუთაისის ახალი ტაძარი, სწორედ მაშინ „დასუა ეპისკოპოზი" იქ.

ამ ახალი ტაძრის ისტორიასთან დაკავშირებული მთელი მოვლენები თითქოს მისაღებს და დასაშვებს ხდის ვახუშტის ამ ცნობას. თუმცა ამასთანავე, დასაფიქრებელია ერთი გარემოებაც. XI საუკუნის ქართველი ანონიმი („მატიანე ქართლისაჲს" ავტორი), რომელიც ერთდროულად მოკვითხრობს მეფე ბაგრატ III-ის მიერ ბედიისა და ქუთაისის ტაძრების აგებასა და კურთხევაზე და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბაგრატმა ბედია „შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ"[76], ქუთაისის ეკლესიის საეპისკოპოსოდ დამკვიდრების შესახებ არაფერს ამბობს.

აღნიშნული გარემოება ხომ არ გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ქუთაისის საეპისკოპოსო უკვე ლეონ აფხაზთა პირველი მეფის (ან აფხაზთა რომელიმე სხვა მეფის) დროსვე შეიქმნა?

მოვლენათა მთელი მსვლელობა და ლოგიკა თითქოს მოითხოვს ასეთი დასკვნის გამოტანას. ვაკე იმერეთი თავისი ქართული მოსახლეობით რომელი ბერძნული საეპისკოპოსოს სამწყსო შეიძლებოდა

---

[72] ნ. ბერძენიშვილი, საეაზირო..., მისივე, ტ. VIII, გვ. 526.

[73] ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, 761.

[74] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 249.

[75] ნ. ბერძენიშვილი, სის, VIII, გვ. 526.

[76] მატიანე ქართლისაჲ ქართლის. ცხოვრება, I, გვ. 281.

ყოფილიყო, , ამის თქმა ძნელია (როდოპოლისი?). ამასთანავე, ქუთაისის დედაქალაქობა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით თითქოს აგრეთვე დასაშვებს ხდის ასეთ ვარაუდს. ამავე მოსაზრებას შეიძლება უჭერდეს მხარს შიდა ცხის შიგნით არსებული მე-5 საუკუნის ეკლესიის განახლება-გაფართოვება მე-8 საუკუნის მე-2 ნახევარში.

რასაკვირველია, ცხის შიგნით, ისევე როგორც ქალაქშიც, აფხაზთა სამეფოს არსებობის პერიოდში ქრისტიანული ეკლესიის ავება ან არსებულის განახლება სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი ფაქტია, მაგრამ ასეთი სამუშაოს ჩატარება სწორედ მე-8 საუკუნის მე-2 ნახევარში ჩვენ ვარაუდს უნდა უჭერდეს მხარს. ლეონმა (ან რომელიმე სხვამ პირველ აფხაზთა მეფეთაგან) დააარსა ქუთაისში საეპისკოპოსო. და აღადგინა და გააფართოვა ეკლესია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ ფოთიდან პალიასტომის ბერძნული „ხატი ქუთაისში იქნა გადმოტანილი იქ მეტროპოლიის გაუქმებასა და ქუთაისში ლაზიკის საეკლესიო ცენტრის გადმოტანასთან დაკავშირებით. როგორც საფიქრებელია, ეს უნდა მომხდარიყო ბაგრატ III-ის დროს, რომელმაც ქუთაისი ჰყო საეპისკოპოსოდ...

ასე რომ ჩემი წინა ვარაუდი, განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, რომ ფოთის მიტროპოლია ჭყონდიდში იქნა გადატანილი, ან პ. ინგოროყვას ვარაუდი, რომ ქუთაისმა ვარდციხის საეპისკოპოსო შეცვალა — მცდარია"[77].

არ არის გამორიცხული, რომ მეფე ბაგრატ III-მ ქუთაისის ახალი ტაძრის აგების დროს გააფართოვა ქუთათელი ეპისკოპოსის სამწყსო. ვახუშტის თანახმად, ბაგრატმა მის მიერ აგებულ ტაძარში „დასუა ეპისკოპოზი, მწყემსი იმერეთისა და ვურიისა, თჳნიერ რაჭა-ლეჩხუმისა"[78] იქნებ შეიძლება ვახუშტის ეს ცნობა იმას გულისხმობს, რომ მეფე ბაგრატ III-მ ქუთათელის სამწყსო იმერეთს ახლა უკვე გურიაც მიუმატა. მართალია, მთელი ეს მსჯელობა ფრიად სათუოა, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა შეიძლება არ იყოს გამორიცხული.

---

[77] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 526.

[78] ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 761.

თავი IV

ქუთაისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი

X საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს შუასაუკუნოვანი საქართველოს ცხოვრებაში ვანხორციელდა დიდი მნიშვნელობის ისტორიული აქტი. მამის ხაზით ქართველთა სამეფოს კანონიერი მემკვიდრე ხოლო დედის ხაზით აფხაზთა სამეფოს აგრეთვე კანონიერი მემკვიდრე და იმდროინდელი საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწის, უძეო დავით ტაოს მეფე კურაპალატის, აგრეთვე მემკვიდრე (შვილობილი) ბაგრატ ბაგრატიონი ქართლის (შიდა ქართლის) განმგებლად აკურთხეს. ამ საქმის ინიციატორი შიდა ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე იყო იოანე მარუშისძემ ამ აქტის განხორციელება დავით დიდ კუპარალატს სთხოვა.

იმდროინდელი საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე მოწინავე საზოგადოებას კარგად ესმოდა ბაგრატ ბაგრატიონის შიდა ქართლის განმგებლად დაყენების მნიშვნელობა. ყველამ იცოდა, რომ ეს შორს გამიზნული ნაბიჯი იყო. შემთხვევითი არა, ქართველი ისტორიკოსი ამ ამბის თხრობის დაწყებისთანავე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იოანე მარუშისძემ „წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა“, რადგან „იოანე მარუშისძე ეძებდა ბაგრატს მეფედ“[1]. ამ აქციის მონაწილეებს შეგნებული ჰქონდათ, რომ აქ ერთიანი აღმოსავლეთ (ქართველ-მესხეთის) და დასავლეთ (აფხაზთა სამეფოს) საქართველოს მეფის საკითხი წყდებოდა. ამიტომ იგი დიდი ზეიმით ჩატარდა 975 წელს უფლისციხეში, შიდა ქართლის იმდროინდელ ცენტრში. ამ დიდი ისტორიული მოვლენის სათანადოდ შეფასების გამომხატველია ის სიტყვა, რომლითაც დავით კურაპალატმა უფლისციხის თავყრილობაზე შეკრებილ წარჩინებულთ მიმართა: „ესე (ბაგრატი, მ. ლ.), არს მკვდრი (ე. ი. მემკვიდრე, მ. ლ.) ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი“[2].

---

[1] მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 272.

[2] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 274.

ეს იყო იმ დიდი და ხანგრძლივი კანონზომიერი ისტორიული პროცესის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის დასრულება, რომლის შემდგომი საფეხური, ისევ იოანე მარუშისძის ინიციატივით და დავით კურაპალატის მხარდაჭერით, ბაგრატ ბაგრატიონის აფხაზთა მეფედ კურთხევაში გამოიხატა. ხოლო შემდგომი ეტაპი უკვე ამ ერთიან დასავლურ-აღმოსავლურ ქართულ სახელმწიფოსთან მის გარეთ დარჩენილი ქართული მიწების შემოერთება იყო.

სწორედ იმ ეტაპზე, როდესაც ბაგრატ ბაგრატიონი „შთაიყვანეს იგი აფხაზეთს, დალოცეს მეფედ"[3], ქართლ-მესხეთ-აფხაზეთის გაერთიანებული სახელმწიფოს, საქართველოს დედაქალაქი ხდება ქუთაისი.

ამ დროიდან ვიდრე 1122 წლამდე ქუთაისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქია.

მას შემდეგ, რაც ქუთაისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი გახდა, ქართულ ნარატიულ საისტორიო წყაროებში მას ეწოდება „სახლი სამეფოჲ, ეწოდება მას, აგრეთვე, „სახლი სამკვიდრებელი" XI საუკუნის ერთ დოკუმენტში.

თუ რას ნიშნავს ქართულში „სახლი" და რა სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მას, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგან ამჟამად ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. მივაქცევ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში „სახლი სამეფოჲ", რომლის სინონიმად გვხვდება „სახლი სამკვიდრებელი". დედაქალაქის, სახელმწიფოს სატახტო ქალაქის სახელწოდებით. იხმარება. ეს რასაკვირველია, არის ამ ცნების გადატანითი, მისი ვიწრო, პირვანდელი, საკუთრივ მეფეთა საცხოვრებელი სახლის, სასახლის მნიშვნელობიდან.

როგორც ცნობილია, საქართველოს მეფეებს, ისევე როგორც სხვა ფეოდალურ სახელმწიფოთა მეფეებს, საცხოვრებელი სახლები, სასახლეები თავისი სამფლობელოს სხვადასხვა ქალაქებში, საზამთრო თუ საზაფხულო სადგომებშიც ჰქონდათ, მაგრამ აქ, ჩანს, ამ ცნებას ზოგადი, იმეფო, სატახტო ქალაქის მნიშვნელობა აქვს.

1025 წელს, როდესაც ბიზანტიის საიმპერატორო კარზე სამ წელიწადს მძევლად ნამყოფი ბაგრატ უფლისწული (მომავალი მეფე ბაგრატ IV), მეფე გიორგი I-ის ძე სამშობლოში ბრუნდება, ანონიმი ავტორი („მატიანე ქართლისაჲ") წერს: „მოიწია (ბაგრატ, მ. ლ.) წინაშე მამისა თჳსისა გიორგი მეფისა, სახლად მათდა ქუთათისს, იხილეს

[3] იქვე, გვ. 275.

მშობელთა შვილი მათი მსვავსი განუცდელისა და მიუთხრობელისა სიკეთისა მათისა"[4].

მოგვითხრობს რა იგივე ამბავს ამავე ეპოქის მეორე ისტორიკოსი, სუმბატ დავითის-ძე, წერს: „მოვიდა ბაგრატ საბერძნეთით წინაშე მამისა თჳსისა გიორგი მეფისა და დედისა თჳსისა მარიამ დედოფლისა ქალაქსა მათსა ქუთათისს"[5].

როგორც ვხედავთ, ორი თანამედროვე ისტორიკოსი, ერთი და იმავე ამბის თხრობისას, ტყვეობიდან მობრუნებული ბაგრატ უფლისწულის სამშობლოში დაბრუნებასთან და სატახტო ქალაქში შემობრძანებასთან დაკავშირებით, ქუთაისს უწოდებენ: „სახლი მათი", „ქალაქი მათი", ე. ი. ქუთაისი არის მეფეთა სახლი, მეფეთა ქალაქი.

რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, რომ ერთ შემთხვევაში ბაგრატის ზოგადად ქალაქ ქუთაისს ჩამოსვლაზეა ლაპარაკი (სუმბატი), ხოლო მეორე შემთხვევაში კონკრეტულად სამეფო სასახლეში („მატიანე ქართლისაჲ") მოსვლის ფაქტია აღნიშნული, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რომ სამეფო-სატახტო ქალაქს „სახლი სამეფოჲ" ეწოდება.

ამავე თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ბაგრატ IV-ის სიგელში მოყვანილი ფორმულა, როდესაც მეფესთან ოპიზარი და მიჯნაძორელი მამები მიდიან სადავო საკითხის გადასაწყვეტად, ბაგრატი ამბობს: „...მოვიდეს ჩუენ წინაშე ქუთათისს, სახლსა სამკვიდრებელსა ჩუენსა, ესე მამანი"[6].

ამგვარად, ქუთაისი ერთიანი საქართველოს მეფეთა, ბაგრატიონთა „სახლი სამკვიდრებელია", „სახლი სამეფოა".

* * *

X — XI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სამეფო მოიცავდა მთლიანად დასავლეთ საქართველოს და შიდა ქართლს. კახეთის საქორეპისკოპოსო და ჰერეთის სამეფო დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყო. საზღვარი საქართველოს სამეფოსა და კახეთის საქორეპისკოპოსოს შორის ამ დროს მდ. ჭანზე გადიოდა. თბილისი მისი შემოგარენით და ქვემო ქართლის ნაწილი თბილისის საამიროს შემადგენლო-

[4] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 290.

[5] სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 385.

[6] სიგელი ბაგრატ IV-ისა ოპიზარ და მიჯნაძორელ მამებისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984, გვ. 32.

ბაში შედიოდა. საამიროს საზღვარი ჩრდილოეთით დღევანდელ სოფ. წევდა. სამხრეთით საამიროს ფარგლებში შედიოდა ცხრები: ბირთვისი, ორბეთი, ფარცხისი. დასავლეთით თბილისის საამიროს კლდეკარის საერისთავო ესაზღვრებოდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე (ქართველთა სამეფო) ტაოს სამეფოს ჩათვლით ბაგრატის ხელისუფლება ნომინალურად ვრცელდებოდა. ამ სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ქუთაისი. მეფე ბაგრატ III-ის უმთავრესი საზრუნავი საქართველოს სამეფოს ვარეთ მყოფი ქართული ქვეყნების შემოერთება იყო. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ (1008—1010 წ.წ.) მეფე ბაგრატმა კახეთი და ჰერეთი ერთიან საქართველოს შემოუერთა და ქუთაისის დედაქალაქობა ამიერიდან ამ რეგიონზეც გავრცელდა.

როგორც უკვე ითქვა, ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III დიდ სამშენებლო საქმიანობას ეწევა თავის დედაქალაქში. ნიშანდობლივია, რომ ბაგრატის ვაჟი, მეფე გიორგი I, რომელიც 1027 წელს გარდაიცვალა, „დამარხეს საყდარსა ქუთათისსა“[7]. ჩანს. გელათის აგებამდე, ერთიანი საქართველოს პირველი მეფეების საძვალე ქუთაისის საყდარში (ბაგრატის ტაძარი?) იყო.

ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლებასა და დედაქალაქის იქ გადატანამდე, ქუთაისში, როგორც სამეფოს დედაქალაქში, იმყოფებოდა მეფეთა სასახლე და დედაქალაქისათვის საჭირო და დამახასიათებელი ყველა დაწესებულება, სახელდობრ: ხაზინა, ზარაფხანა. ქალაქი სათანადოდ იყო დაცული ციხითა და გალავნით. აქ აწარმოებდნენ საქართველოს მეფეები სამართალს, იგეგმებოდა და აქედან ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი საომარი ოპერაციები. ქუთაისს მოვიდნენ მეფე ბაგრატ IV-სთან მომჩივანი ოპიზარი და მიჯნაძორელი ბერები და აქ გადაწყვიტა მეფემ მათი სამამულე დავის საკითხი[8]. როდესაც მეფე ბაგრატ IV-სთან, რომელიც ანაკოფიის ციხის ასაღებად იდგა, „მოვიდეს ტფილელნი ბერნი, რამეთუ მის ჟამისა პირველ მოკუდარ იყო ტფილელი ამირა ჯაფარ, უქადეს ქალაქი და უჴმეს სასწრაფოდ“[9], ბაგრატმა ანაკოფიასთან თავისი ლაშქრის ნაწილი დატოვა და თვით „ამოიარა და მოვიდა ქუთათისს, და მოიყენა ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი“[10].

---

[7] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 291.

[8] ბაგრატ IV-ის სიგელი ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულე დავის გამო, მით. გამ., გვ. 32.

[9] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 299.

[10] იქვე.

ქუთაისში, იქვე როგორც მთელ საქართველოში, დროებით სტაბილური მდგომარეობა იყო. საქართველო გაერთიანებისა და გაძლიერების გზით მიდიოდა. ეს გარემოება კი ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის იმპერიის ინტერესებს ამიერკავკასიაში. ბიზანტიის იმპერიამ XI საუკუნის დასაწყისში მიიტაცა იმიერ ტაო, სადაც შექმნა თავისი პლაცდარმი შენიღბულში საქართველოს (და არა მხოლოდ საქართველოს) წინააღმდეგ, საიდანაც ის იგივეს უპირებდა დანარჩენ საქართველოს, რაც სომხეთში მოიმოქმედა.

საქართველოს მეფე ბაგრატ IV კი ამ დროს იბრძოდა თბილისისათვის, კახეთ-ჰერეთისათვის, რომელიც გიორგი I-ის მეფობის დასაწყისში გამოეყო ერთიან საქართველოს. საქართველოს მეფემ, ამასთანავე, სომხეთის ქალაქ ანისს უხუცესთა თხოვნით დაიკავა ანისი... იმპერია ამის საპირისპიროდ მეფის ცენტრალისტური პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულთა მიმხრობით ცდილობდა ერთიანი საქართველოს მეფეების დასუსტებას და თავისი ზრახვების განხორციელებას.

როგორც ცნობილია, წინააღმდეგობა მეფე ბაგრატ IV-სა და მის უძლიერეს და ურჩ ყმას, კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშს შორის უკიდურესად ვამწვავდა. ბაგრატ მეფე იძულებული გახდა კონსტანტინოპოლს გამგზავრებულიყო. გამგზავრების წინ, მან, თავისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი მეფედ აკურთხა და „დაუტევა ქუთათისს“[11], ხოლო ბიზანტიიდან დაბრუნებული ბაგრატ მეფე ისევ „შემოვიდა სახლად თჳსსა ქუთაითსს“[12].

XI საუკუნის 60-იანი წლებისათვის საქართველოში თითქოს სტაბილური მდგომარეობა შეიქმნა. მეამბოხე ფეოდალი ლიპარიტი საქართველოდან განდევნეს, მეფე ბაგრატი წარმატებით იბრძოდა კახეთისა და ჰერეთისათვის. სწორედ ამ დროს საქართველოში ახალი დამპყრობელი შემოვიდა.

XI ს-ის 30-იან წლებში ამიერკავკასიაში დაიწყო თურქ-სელჩუკთა შემოსევები. სულთან თოღრულ-ბეგის (1038—1063) დროს მათ დაიპყრეს ირანი, ერაყი, ქურთისტანი და შემოიჭრნენ ამიერკავკასიაში. დამპყრობელი თურქი-სელჩუკები მოდიოდნენ მთელი თავისი ავლა-დიდებით, თან მოჰყავდათ თავისი ოჯახები და სახლდებოდნენ დაპყრობილ ქვეყნებში.

1048 წელს თურქი-სელჩუკები შეიჭრნენ სომხეთში. სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო ამ დროს უკვე აღარ არსებობდა. თითქ-

---

[11] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 299.

[12] იქვე.

მის მთელი სომხეთი ბიზანტიის იმპერიას ეპყრა. სომეხი ბაგრატუნები და არწრუნები ბიზანტიაში იყვნენ გადასახლებულნი. მათ სამეფოებს ბიზანტიელი მოხელეები განაგებდნენ. ბიზანტიის იმპერია შეძლებისდაგვარად იგერიებდა ამიერკავკასიის მისადგომებზე სელჩუკებს, მაგრამ საბოლოოდ იმპერიამ სასტიკი მარცხი განიცადა სელჩუკებთან ბრძოლაში. 1791 წელს სელჩუკებმა დიდი წარმატება მოიპოვეს ბიზანტიელებზე, მანასკერტთან ბრძოლაში დამარცხებამ უდიდესი დარტყმა მიაყენა იმპერიას, ის იძულებული შეიქნა ხელი აეღო თავისი აღმოსავლური პროვინციებისაგან.

საქართველო მარტო დარჩა ძლიერი, კარგად შეიარაღებული, ორგანიზებული მრავალრიცხოვანი მტრის პირისპირ. საქართველომ მძიმე მარცხი განიცადა სელჩუკებთან ბრძოლაში. ძირითადი დარტყმა აღმოსავლეთ საქართველომ მიიღო. XI ს-ის 70—80-იანი წლებისათვის საქართველოს მეფის ხელისუფლება ფაქტიურად ლიხის ქედს გადმოლმა აღარ ვრცელდებოდა.

როგორც ყოველთვის ხდება, როდესაც ქვეყანას უჭირს, შინაური მტრებიც მაშინ აიშლებიან ხოლმე. დაახლოებით 1073 წლის ზაფხულში დიდგვარიან ფეოდალთა ერთი ძლიერი დაჯგუფება აუჯანყდა მეფე გიორგი II (1072 — 1089). ივანე კლდეკარის ერისთავმა კახელები მიიმხრო და ქსნის პირი დაიკავა, ვარდან სვანთა ერისთავმა ეგრისი დაარბია, ხოლო ნიანია ქვაბულისძე სამეფო ქალაქ ქუთაისს დადგა და სახელმწიფო ხაზინა გაძარცვა. ისტორიკოსის სიტყვით: „თავადთა ამის სამეფოსათა ნიანია ქუაბულის-ძემან, და ივანე ლიპარიტის-ძემან და ვარდან სვანთა ერისთავმან, რეცა თუ იკლეს რამე სიყრმით გიორგი მეფისთა და აუშალეს ქუეყანა: ივანე მოირთნა კახნი და დადგა ქსნის პირსა; და ნიანია წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა; და ვარდან გაადგინნა სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყვდეს საეგრო“[13]. რას ნიშნავს ისტორიკოსის სიტყვები — „შედგა ქუთათისს შიგა“ ძნელი სათქმელია, არ არის გამორიცხული, რომ რაღაც დროით ნიანიამ ქუთაისიც დაიკავა. მაგრამ, თუ დაიკავა, ალბათ ძალიან მცირე ხნით, რადგან მეფე გიორგიმ მალე დააშოშმინა აჯანყებულნი, ხოლო ხელახლა აჯანყებული ივანე ლიპარიტის-ძის წინააღმდეგ მეფე გიორგი „ქუთათისითა გარდამოვიდა სამცხეს“[14].

---

[13] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 316.

[14] იქვე.

როგორც ვხედავთ, არეულობაა მთელ სამეფოში: ქართლში, კახეთში, დასავლეთ საქართველოში, და რაც მთავარია, მეფის წინააღმდეგ აჯანყებულთა ერთი ნაწილი, ნიანია ქუაბული-ძის მეთაურობით" შედგა ქუთათისა შიგა" და „წარულო საჭურჭლე", ე. ი. დაიკავა დედაქალაქი და დაეპატრონა (მიიტაცა) სახელმწიფო ხაზინას. აღნიშნული ცნობა (სამწუხაროდ, ძალიან ლაკონური) იძლევა უფლებას ვივარუდოთ, რომ რაღაც დროით მეფე გიორგი იძულებული იყო დაეტოვებინა დედაქალაქი, მაგრამ საბოლოდ მეფემ დააშოშმინა მეამბოხეები. მემატიანეს სიტყვით, „გიორგი მეფემან სძლო სიკეთითა, სიბრძნითა, და ძჯრუხსენებელ იქმნა"[15]. მეფის ასეთი შემრიგებლური პოლიტიკა გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმ მძიმე საფრთხით, რომელიც ქვეყანას ემუქრებოდა. გარს მომდგარი მტრის წინაღმდეგ მას, ჩანს, ქვეყნის შიგნით მშვიდობის დამყარება ესაჭიროებოდა. მართალია, ამ პოლიტიკამ მთლად ვერ გაამართლა, ივანე ლიპარტის-ძე მაინც ღალატის გზას დაადგა, მაგრამ მეფე გიორგის მცდელობასაც თავისი ახსნა აქვს.

საქართველოში მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა. თურქ სელჩუკები არბევდნენ საქართველოს ყველა მხარეს, სახლდებოდნენ ქართულ მიწა-წყალზე. ქართველი ისტორიკოსი ძალიან მუქ ფერებში აღწერს საქართველოში შექმნილ ვითარებას. თურქნი. წერს დავითის ისტორიკოსი, „მოეფინეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი. და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჴყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი. და მასვე დღესა ერთსა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი"[16]. „ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი"[17], ასკვნის ისტორიკოსი (ე. ი. 1080 წ.)

დაახლოებით ერთი ათეული წლის მანძილზე ქუთაისმა ორგზის განიცადა დარბევა, ერთხელ 1073 წელს ქართველი დიდებულის, ხოლო მეორედ 1080 წელს თურქთაგან. ეს მეორე დარბევა, რასაკვირველია, უფრო მძიმე იქნებოდა თავისი შედეგებით, რადგან, ისტორიკოსის, თქმით, მათ „დაწუეს ქუთათისი". ალბათ მომხდურ მტერს

[15] იქვე.
[16] ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 319.
[17] იქვე, 320.

დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, რამაც გამოიწვია მათი ასეთი სისასტიკე ქუთაისის, არტანუჯის და კლარჯეთის უდაბნოთა ე. ი. დედაქალაქისა და ეკლესია-მონასტრების მიმართ, მათი დაწვა და აოხრება.

ეს, რასაკვირველია, მძიმე დარტყმა იყო ქალაქისათვის. წერილობით წყაროებში, სამწუხაროდ, არაფერია ქუთაისში აღდგენითი სამუშაოების შესახებ. საეჭვოა გიორგი მეფეს აღდგენითი სამუშაოების ჩატარება მოეხერხებინა. მისი მეფობის ხანა მთლიანად და განსაკუთრებით სწორედ ამ „დიდი „თურქობის“ შემდგომი პერიოდი ტრაგიკულად წარიმართა. მაგრამ შემდეგ, ჩანს, ქუთაისში მნიშვნელოვანი აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა, რაზეც არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა მეტყველებს, რომელიც სწორედ XI — XII საუკუნეებში ჩატარებულ სამუშაოებზე იძლევა მინიშნებას. ალბათ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს აღდგენითი სამუშაოები მეფე დავით IV აღმაშენებელმა სწორედ მაშინ ჩაატარა, როდესაც და სანამ ქუთაისი საქართველოს სამეფოს დედაქალქი იყო.

1122 წელს ქართველთა მბერ დავით აღმაშენებლის სარდლობით თბილისის უცხო დამპყრობთაგან განთავისუფლებით დამთავრდა ქუთაისის, როგორც ერთიანი საქართველოს დედაქალაქის ისტორია.

თავი V

ქუთაისი 1122 წლიდან 1260 წლამდე

მას შემდეგ, რაც თბილისი განთავისუფლდა უცხო დამპყრობთაგან და დედაქალაქი თბილისში იქნა გადატანილი, ქუთაისი რჩებოდა. სახელმწიფოს მეორე სატახტო ქალაქად და ინარჩუნებდა დიდ მნიშვნელობას ქვეყნის ცხოვრებაში. სწორედ ამის დასტურია მეფე დავით აღმაშენებლის მიერ აქ გელათის კომპლექსის და მეფე გიორგი III (1156—1184) მიერ გეგუთის სასახლის მშენებლობა. გეგუთის სამეფო სასახლე მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო. წერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს მეფენი (გიორგი III, თამარი) სამეფო კარითურთ ხშირად იმყოფებოდნენ ქუთაისში, საკუთრივ გეგუთის სასახლეში.

ქუთაისის, კერძოდ, გეგუთის სამეფო ციხე-დარბაზის დიდ მნიშვნელობაზე თვალნათლივ მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1091 წელს, როდესაც საქართველოში დიდი აჯანყება მოხდა თამარის წინააღმდეგ და მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულებმა მისი ქმარყოფილი გიორგი რუსი საქართველოში შემოიყვანეს, აჯანყებულთა მეთაურმა, მსახურთუხუცესმა ვარდან დადიანმა, სამეფოს ერთ-ერთმა უდიდესმა და უძლიერესმა ფეოდალმა, რომელიც ისტორიკოსის სიტყვით, იყო „მსახურთ-უხუცესი ლიხთ-აქით პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობელად მჭონებელი“, ის სწორედ გეგუთს შემოიყვანა. თამარის ქმარყოფილი და მისი მომხრეები სამცხიდან „გარდამომვლელნი მთისანი მივიდეს გეგუთს“[1]

გეგუთი მეფეთა საყდარი, სატახტოა. რომ გეგუთის სასაჩლეში ტახტზე დასმა სწორედ ქუთაისში მეფედ დაჯდომას ნიშნავდა, ეს კარგად ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებიდანაც, ის პირდაპირ წერს, რომ გიორგი რუსი „მოიყვანეს და დასუეს ქუთათისს“[2]. თამარის ისტორიკოსი ზუსტად აფასებს შექმნილ ვითარებას და ამბობს:

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 50.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 177.

„ჰოჲ ღაღადი დიდი და განსაკჳრვებელი კაცთა ცნობის! ვინა ანუ ვისიღა მოსაყდრე საყდარსა დაჯდა დავითიანსა?“[3]. გეგუთში ტახტზე დაბრძანება დავითიანთა ტახტის დაკავებას ნიშნავს.

როგორც აღვნიშნეთ, ერთიანი საქართველოს მეფეები ხშირად იმყოფებოდნენ ქუთაისს და საკუთრივ გეგუთს. მეფე გიორგი III-ეს გეგუთს მყოფს მოახსენეს მეუღლის, დედოფალ ბურდუხანის გარდაცვალების ამბავი[4]. მეფე თამარი ვაზირებთან ერთად გეგუთს იმყოფებოდა და იქ აცნობეს არდებილის სულტნის მიერ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში მყოფი სომხეთის ქალაქ ანისის დარბევის შესახებ“, ესე ანისის მოოჯრებისა ამბავი გეგუთს ახალ კვირიაკეღ აცნობეს მეფესა თამარს“[5], მოგვითხრობს ისტორიკოსი. ალბათ ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის დღეს, ახალკვირას, აღდგომის პირველ კვირას, სამეფო კარი ქუთაისის სასახლეში, გეგუთში იმყოფებოდა. როგორც ითქვა, ქუთაისი საქართველოს სამეფო კარის მეორე დედაქალაქი და გეგუთი სამეფო სახლის რეზიდენცია იყო.

XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოს ცხოვრებაში მძიმე დრო დადგა.

მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ სარბიელზე ახალი დამპყრობელი გამოჩნდა, ესენი თათარ-მონღოლები იყვნენ.

მონღოლთაგან საქართველოს დაპყრობამდე, საქართველოს მათ მიერ დამარცხებული და დევნილი ხორეზმ შაჰ მუჰამედის ძე ჯალალ ად-დინი მოადგა.

1225 წლის აგვისტოში, ქართველებმა ჯალალ ად-დინთან ბრძოლაში მარცხი განიცადეს. 1225 წლის დეკემბერში ჯალალ ად-დინი თბილისისაკენ გამოემართა. 1226 წლის მარტში ჯალალ ად-დინმა თბილისი აიღო[6].

ჯალალ ად-დინის მოახლოებისთანავე რუსუდან მეფე (1222—1245) დასავლეთ საქართველოში გადავიდა და სამეფოს მეორე ქალაქ ქუთაისში დაბინავდა. 5 წლის მანძილზე, სანამ ჯალალ ად-დინი და მისი ურდოები აღმოსავლეთ საქართველოში ბატონობდნენ, თამარის

---

[3] ისტორიანი და აზმანი, შარავანდედთანი, გვ. 50.

[4] იქვე, 22.

[5] იქვე, გვ. 101.

[6] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982, გვ. 11.

ასული რუსუდანი სამეფო კარით ქუთაისს იმყოფებოდა და ქუთაისი სატახტო ქალაქის, დედაქალაქის ფუნქციას ასრულებდა.

მეფე რუსუდანმა თავისი შვილის, დავითისათვის მომავალში ტახტის განმტკიცების მიზნით, მისი მეფედ კურთხევა გადაწყვიტა. ქართველი ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „ამათ ჰირთაგან შეიწრებული მეფე რუსუდან იყო რა ქუთათისს და ყოველსა აფხაზეთსა, და იქმნა ძე მისი დავით ვითარცა წლისა ხუთისა, ინება მეფედ ყოფა ძისა მისისა“.[7] იმავე ავტორის ცნობით, „დასუეს მეფედ დავით, ძე რუსუდანისი, აკურთხეს ქუთათისს, და დაადგეს თავსა მისსა გვრგვნი; დასუეს ტახტსა ზედა სამეფოსა და მიულოცეს მეფობა წესისაებრ“[8].

ამ დროს ქუთაისში მეფედ კურთხეული დავით რუსუდანის ძე იკურთხა და ითვლებოდა არა დასაველეთ საქართველოს, „ყოველისა აფხაზეთისა“ მეფედ, არამედ მთლიანი საქართველოს მეფედ და სწორედ ამიტომ წერს ისტორიკოსი, რომ კურთხევას ესწრებოდნენ დიდიან-ბედიანი, რაჭის ერისთავი, აფხაზეთის კათალიკოსი, მაგრამ „ამიერ ესე სამეფო უცალო იყო ხუარაზმელთაგან, რამეთუ მანდატურთუხუცესი შანშე იყო ანისს და ამირსპასალარი ავაგ ბიჯნისს, ეგრეთვე ვარამ გაგელი, ჰერნი და კახნი, სომხითარნი, ქართველნი, თორელნი, შავშნი, კლარჯნი, ტაოელნი—ყოველნი სიმაგრეთა შინა ცხოვნდებოდეს. თჳთოეული მორჩილებასა შინი მეფისა დავითისსა“[9]. ე. ი. ხვარაზმელთა ბატონობის პერიოდში ოფიციალურად ითვლება, რომ ყველა დიდებულნი ერთიანი საქართველოს მეფის მოხელე-ქვეშევრდომნი არიან, მაგრამ ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის, „უცალოების“ გამო, როგორც ისტორიკოსი წერს, ვერ ესწრებიან საქართველოს მეფედ დავით რუსუდანის ძის კურთხევას. ეს 1230 წელს მოხდა[10].

ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, ჯალალ ად-დინი მალე იძულებული შეიქნა საქართველოდან გაქცეულიყო, ხოლო 1231 წელს ის მოკლეს.

თითქოს დროებით საქართველოში მშვიდობა დამყარდა. მეფე რუსუდანი სამეფო კარითურთ აღმოსავლეთ საქართველოში გადმობრძანდა და თბილისის სამეფო სასახლეში დაბრუნდა. მაგრამ მშვიდობა ხანმოკლე აღმოჩნდა. საქართველოსაკენ მონღოლები მოიწევდნენ.

---

[7] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 179.

[8] იქვე, გვ.180.

[9] ჟამთააღმწერელი, გვ. 180.

[10] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, მით. გამ., გვ. 24.

მონღოლებმა დაიპყრეს მთლიანად ირანი და ამიერკავკასიისაკენ გამოემართნენ. 1235 წელს მათ აიღეს და გაძარცვეს ქალაქი განძა, რის შემდეგ შამქორს მოადგნენ, რომელიც ამ დროს საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემოდიოდა.

საქართველოს სამეფო კარმა ვერ შეძლო მომხდური მტრისათვის საერთო წინააღმდეგობის ორგანიზება. მეფე რუსუდანი ნაცად გზას დაადგა და ისევ დასავლეთ საქართველოში გადაბრძანდა. აღმოსავლეთ საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს, დასავლეთ საქართველოს დაპყრობა კი ვერ მოახერხეს.

მონღოლებთან მოლაპარაკების შემდეგ რუსუდანმა მათთან ხელშეკრულება დასდო, რომლის თანახმად „საქართველოს მთავრობამ სცნო მონღოლთა საყაენოს უზენაესობა ზოგადად და ნებაყოფლობით, მაგრამ იმ უფლებრივი განსხვავებით, რომ ლიხთამერეთში, ვითარცა ძალით დაპყრობილ ქვეყანაში, საქართველოს ხელისუფალთ გარდა, მონღოლთა საყაენოს უმაღლესი მოხელეებიც იქნებოდნენ და მათი ლაშქარიც დარჩებოდა, დასავლეთ საქართველო კი (ლიხთიმერეთი), ვითარცა მონღოლთა უზენაესობის ნებაყოფლობით მცნობელი, მონღოლთაგან თავისუფალი დარჩებოდა“. ამასთანავე, საქართველოს დაეკისრა ყოველწლიური ფულადი გამოსაღები მონღოლთა სასარგებლოდ და დავით რუსუდანის ძეს დამპყრობნი სრულიად საქართველოს მეფედ სცნობდნენ“. ამ გზით,—ასკვნის ივანე ჯავახიშვილი,—საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა დაურღვეველი რჩებოდა“[11]. და, სათანადოდ, დავით რუსუდანის-ძე ერთიანი საქართველოს მეფედ, რადგან 1230 წელს, როგორც ითქვა, ის ქუთაისში უკვე იკურთხა ერთიანი საქართველოს მეფედ.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს ასე იყო ქართული წესით, დამპყრობელ მონღოლთა წესით კი, დავით რუსუდანის-ძის მეფობა ურდოში უნდა დამტკიცებულიყო. ურდოში დამტკიცება გაჭიანურდა, რუსუდანი გარდაიცვალა (1245 წ.), საქართველო უმეფოდ დარჩა, რამაც ქვეყანაში მძიმე მდგომარეობა შექმნა. ამ დროს, რადგან დავით რუსუდანის-ძე უკვე ცოცხალი აღარ ეგონათ, რუსუდანის მიერ საქართველოდან საგანგებოდ მოცილებული (რათა მისი შვილისათვის კონკურენცია ვერ გაეწია), გიორგი ლაშას უკანონო შვილი მოიძიეს და სათანადო ამალით ისიც ურდოში გაგზავნეს მეფედ დასამტკიცებლად.

[11] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მით. შრომა, გვ. 241.

ყაენის კარზე ტახტის მაძიებელი ბიძაშვილ-მამიდაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს. მონღოლებმა, როგორც მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო, ეს მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს და საქართველოს მეფეებად ტახტის ორივე პრეტენდენტი დაამტკიცეს. ეს აქცია, რასაკვირველია, შორს გამიზნული ნაბიჯი იყო, მათ დაპყრობილ ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობის საფუძველი შექმნეს. „მართალია, ერთხანს, როგორც წყაროები მოგვითხრობს საქართველოს სამეფო მთლიან სახელმწიფოს წარმოადგენდა და ორად არ გაყოფილა: სახელმწიფო დოკუმენტები ორივე მეფის სახელზე იწერებოდა, ხელსაც ორივე მეფე აწერდა, ორივე თბილისში იჯდა... მაგრამ ბზარი მაინც ასეთ ვითარებაში უბრალო მიზეზს შეეძლო გამოეწვია. უეჭველია, ორთავე დავითის მაღალ შეგნებას უნდა მიეწეროს ის, რომ საქართველოს მთლიანობა იმთავითვე არ დაირღვა“[12].

მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. დავით რუსუდანის-ძეს კონფლიქტი მოუვიდა მონღოლებთან. უკეთ რომ ვთქვათ, იმ მძიმე პირობებს, რაც მონღოლთა მფლობელობას სდევდა თან საქართველოში, დიდი უკმაყოფილება მოყვა. დავით რუსუდანის-ძე სათავეში ჩაუდგა აჯანყებულებს. ჩანს, მოსახლეობაში ერთსულოვნება არ იყო, აჯანყებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, არც დავით ლაშა გიორგის-ძე იყო აჯანყების მომხრე და ფაქტიურად ძალები გაიყო. მიუხედავად ამისა, 1259 წელს დავით რუსუდანის-ძის მეთაურობით შეკრებილ აჯანყებულებსა და ყაენის მიერ გამოგზავნილ ლაშქარს შორის მომხდარ ბრძოლაში, მართალია, დიდი მსხვერპლის ფასად, ქართველებმა მაინც მოიპოვეს გამარჯვება. მონღოლებმა აჯანყება ვერ ჩაახშვეს, მაგრამ ვერც ქართველებმა მიაღწიეს თავის საბოლოო მიზანს.

ყაენის ბრძანებით საქართველოში ახალი სამხედრო ძალა იქნა გამოგზავნილი. ასეთ ვითარებაში დავით რუსუდანის-ძემ ბრძოლის გაგრძელება უიმედოდ მიიჩნია, ჩანს, ახალ მსხვერპლს მოერიდა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა[13].

ჟამთააღმწერლის ცნობით, როდესაც დავით რუსუდანის-ძე ლიხთიმერეთს მივიდა, „ვითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიანმა, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა, და მეფე ყვეს დავით რუსუდანის ძე აფხაზთა,

---

[12] ბ. ლომინაძე, ორმეფობა საქართველოში. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 557.

[13] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ზემთ. ნაშრომი, გვ. 69.

ვიდრე ლიხთამდე«[14]. ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საქართველო ორად გაიყო, „დარჩა ლიხთაქათი ლაშას ძესა დავითს და ლიხთ-იმერი რუსუდანის ძესა«[15].

ამგვარად, ამჯერად დავით რუსუდანის-ძე ლიხთიმერი, დასავლეთ საქართველოს მეფედ აკურთხეს, განსხვავებით 1230 წელს მისი მეფედ პირველი კურთხევისაგან, როდესაც ის, იმავე ქუთაისში, მთლიანი საქართველოს მეფედ იქნა კურთხეული.

დაიწყო ახალი პერიოდი ქუთაისის, როგორც დედაქალაქის ისტორიაში. ამიერიდან, ვიდრე 1329 წლამდე, მეფე გიორგი ბრწყინვალეს მიერ ლიხთიმერის ერთიან საქართველოსთან შემოერთებამდე, იმერეთის სამეფოს დედაქალაქი ქუთაისია, და აქ დავით რუსუდანის-ძე და შემდეგ მისი მემკვიდრეები მეფობენ.

[14] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 229.

[15] იქვე.

თავი VI

ქალაქის გარეგანი სახე, განაშენიანება საქალაქო მმართველობა

როდესაც მეფე ბაგრატ III აფხაზთა მეფობა დაიმკვიდრა და საქართველოს უდიდესი ნაწილი თავის ტახტს დაუქვემდებარა, ქუთაისმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა საქართველოს ისტორიაში. ყოველივე ეს სამეფო ხელისუფლებისაგან, ქალაქის მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, სათანადო ღონისძიებათა გატარებას მოითხოვდა.

ჩვენ არ ვიცით, იზრუნა თუ არა ბაგრატმა საკუთრივ ქუთაისის ციხის, ან საქალაქო დასახლების შემდგომ გაფართოება-გაძლიერებაზე და ჩაატარა თუ არა ამ თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები. საამისო პირდაპირი ცნობები არა გვაქვს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ VIII საუკუნეში ლეონ მეფის მიერ განხორციელებული დიდი სამშენებლო სამუშაოები, ციხის და ქალაქის ზღუდის გამაგრების მიზნით, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, კარდინალურ ცვლილებებს აღარ მოითხოვდა და X—XI საუკუნეებში მხოლოდ რესტავრაცია-გამაგრებითი ხასიათის სამუშაოები ტარდებოდა. თუმცა არქეოლოგიური მონაცემები თვალნათლივ მიუთითებენ ციტადელში, გრანდიოზული სამეფო სასახლის მშენებლობას ამ პერიოდში.

ამასთანავე, მეფე ბაგრატს კარგად ესმოდა, რომ ქუთაისის მნიშვნელობის ასეთ გაზრდას სათანადო განმტკიცება და აღნიშვნა ესაჭიროებოდა, რის გამოხატულებასა და დასტურს ქუთაისის ახალი ტაძრის მშენებლობა მოწმობს.

X—XI საუკუნეთა მიჯნაზე ქუთაისში, უქიმერიონის მთაზე, დიდი ციხის დასავლეთით აიგო ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლი — ქუთაისის კათედრალი, რომელიც ბაგრატის ტაძრის სახელწოდებით არის ცნობილი. ღვთისმშობელ მარიამის სახელზე აგებული ტაძრის მშენებლობა ძირითადად დასრულდა 1003 წელს, რაზეც ტაძრის ერთი წარწერა მოგვითხრობს. წარწერა ამოკვეთილია ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე, ქვის ფილაზე,

სარკმლის ქვემოთ. წარწერა გვაუწყებს: „ქ. ოდეს გ(ა) ნმტკიცნა იატ(ა)კი ქ(რონი) კ(ო)ნი იყო 223“[1], ე. ი. 1003 წელი.

ქუთაისის კათედრალური ტაძრის აღშენების მნიშვნელობა კარგად ესმის XI საუკუნის ქართველ ანონიმს და ამიტომაა, საერთოდ სიტყვაძუნწი მემატიანე, საკმაოდ ვრცლად რომ მოგვითხრობს ამ ტაძრის მშენებლობაზე.

საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში სათანადოდაა დასაბუთებული, რომ XI საუკუნეში აგებული ქუთაისის ბაგრატის, მცხეთის სვეტიცხოველის, ალავერდის კათედრალური ტაძრები ქართული ხუროთმოძღვრების და საერთოდ ქართული შუასაუკუნოვანი კულტურის ახალი მნიშვნელოვანი საფეხურის გამოვლინებასა და დადასტურებას წარმოადგენს.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ყველა ამ ძეგლთა მშენებლობა ერთიანი საქართველოს პირველი მეფეების მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული.

ახლად გაერთიანებული და პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის გზაზე მდგომი სახელმწიფო თავის იურიდიულ და ფაქტიურ მდგომარეობას სხვა ღონისძიებებთან ერთად ეპოქალური მნიშვნელობის კათედრალური ტაძრების მშენებლობითა და ახალი საეკლესიო ცენტრების, საეპისკოპოსოების დაარსებითაც იმტკიცებდა. ამასთანავე, ასეთი ხასიათის საქმიანობით სახელმწიფო ხელისუფლება თავისი ძალისა და შესაძლებლობათა დემონსტრირებასაც ახდენდა.

როგორც უკვე ითქვა, ამ მოვლენის დიდი ისტორიული მნიშვნელობა კარგად ესმის ქართველ ისტორიკოსსაც და ის საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბაგრატმა „აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწვდომელითა, რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ჴელმწიფენი და კათალიკოსნი, მღდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი. მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი“.[2]

არ შეიძლება შემთხვევითი იყოს ბაგრატის მიერ აგებული, ქუთაისის, დედაქალაქის ამ ახალი ტაძრის ასეთი დიდი ზეიმით კურთხევა.

საკლესიოსთან ერთად მეფე საერო ხელისუფალთაც იწვევს, იწვევს აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. ეს მას ესაჭი-

[1] ლაპიდარული წარწერები, II, გვ. 52.

[2] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I. გვ. 283.

როება როგორც თავისი საკუთარი მეფობის, ასევე დედაქალაქის მნიშვნელობის წარმოჩენისა და ამაღლებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ ბაგრატ III-ის დროსვე აშენდა ბედიის დიდებული ტაძარიც. იგივე ქართველი ისტორიკოსი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს ბედიის ტაძარს, მაგრამ მისი კურთხევა არ მომხდარა ასეთი ზეიმით.

ბაგრატ მეფეს თავისი დიდებისათვის ბედიაც ესაჭიროებოდა, ისტორიკოსი წერს კიდეც, რომ „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა (ბაგრატ მეფისა, მ. ლ.), პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა, და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისა და აფხაზეთისა“[3].

მიუხედავად ბედიისადმი ისტორიკოსის ასეთი დამოკიდებულებისა და თვით ტაძრის მშვენიერებისა, ჩანს, ბედიის კურთხევა არ იყო ისეთი ზეიმით მოწყობილი, როგორც ქუთაისის ტაძრისა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, იმის მოწმობაა, რომ ქუთაისის ტაძარს სხვა ფუნქცია ეკისრა. მეფე ბაგრატს ეს დედაქალაქის მდგომარეობისათვისაც ესაჭიროებოდა.

ბაგრატის ტაძრის აგების უმთავრეს დანიშნულებაზე, ამ ტაძრის მნიშვნელობაზე ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატისათვის, მის სიდიადესა და მისი კურთხევის საზეიმო ვითარებასთან ერთად, თვალნათლივ მეტყველებს ტაძრის კედლებზე ამოკვეთილი წარწერები.

ერთი წარწერა გვაუწყებს: „მეუფეო, მფლობელო ყ(ო) ვ(ე) ლთა სუფ(ე) ვ(ა) თაო. უმ(ე) ტ(ე) სად ადიდე ძლიერი ბა(გ) რ(ა)ტ კ(უ) რ(ა) პ(ა) ლ(ა)ტი, აფხ(ა) ზთა დ(ა) ქ(ა) რთვ(ე) ლთა მ(ე) ფც, თანა მა-ბით, დედით, დედოფლით და ძით მათით ჴმენ“[4].

მეორე წარწერა გვაუწყებს, რომ ეს ტაძარი ბაგრატის და მისი დედის, გუარანდუხტ დედოფლის შეწევნით აღშენდა, „ქ. შეწევნითა ღმერთისაჲთა, ბაგრატისაგან—ნებითა ღმერთისაჲთა აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და დედისა მათისა — გუარანდუხტ დედოფლისა, აღშენდა წმიდაჲ ესე საყდარი“[5].

---

[3] იქვე, გვ. 291.

[4] ლაპიდარული წარწერები. დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I. თბ., 1980, გვ. 53—54.

[5] იქვე, გვ. 52—53.

ნიშანდობლივია, რომ თუ პირველ წარწერაში, რომელიც უფალს ბაგრატის დიდებასა და ძლიერებას შესთხოვს, მასთან ერთად, უფლისადმი ლოცვაში მოიხსენიებიან მისი მამაც, დედაც, დედოფალიც და ძეც, მეორე წარწერაში, რომელიც საგანგებოდ ტაძრის აღმშენებლობაზე მოგვითხრობს, აღნიშნულია, რომ ეს საყდარი აღშენდა „შეწევნითა ღმრთისაჲთა, ბაგრატისაგან — ნებითა ღმრთისაჲთა აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და დედისა მათისა—გუარანდუხტ დედოფლისა“. ე. ი. საგანგებოდაა მითითებული, რომ ტაძრის აღმშენებელი ბაგრატთან ერთად არის მისი დედა, აფხაზთა სამეფო სახლის წარმომადგენელი, დედოფალი გურანდუხტი, რომლის შვილობითაც ეკუთვნის ბაგრატს აფხაზთა მეფობა, ანუ ამ შემთხვევაში, ქუთაისის სამეფო სახლის შვილობა და იქ კათედრალური ტაძრის მშენებლობის უფლება.

ბაგრატის ტაძრის აგება იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქცია, რაც ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ, ბაგრატ III განახორციელა და რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საერთოდ მისი მეფობის სიმტკიცის დადასტურების, ისე ქუთაისის, როგორც დედაქალაქის მნიშვნელობისათვის ამ ახალ სახელმწიფოში.

ამის შემდეგ ერთიანი საქართველოს პირველი მეფეები მნიშვნელოვან, დიდ სამშენებლო საქმიანობას ეწევიან ქუთაისსა და მის შემოგარენში. ერთ-ერთი ასეთი მშენებლობის შესახებ მოგვითხროს ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ნ. ბერძენიშვილის სახელობის) დაცული წარწერის ფრაგმენტი.

წარწერის ეს ფრაგმენტი 1838 წ. აღმოაჩინა დიუბუა დე მონპერემ მწვანეყვავილას ეკლესიის ნანგრევებში. წარწერას ასე კითხულობენ: „(...) (რ ბაგრატუნიანისა) (...) ამის ჴელმწიფისა (და) (...) (აღუშენ)ა ესე წ(მიდა)თა მთ(ა)ვ(ა)რ(ანგელოზთა) (...) ეკლესიაჲ, ჴელითა (გაბრა) (...) საჲთა, ხრონიკო (ნსა ხკიზ)“[6].

აქ აღნიშნული თარიღი, „ხრონიკონსა ხკიზ“, წერს წარწერის გამომცემელი ვ. სილოვავა, როგორც ჩანს, შეცდომით არის გადმოღებული და მისი გადმოყვანა ჩვენს წელთაღრიცხვაზე არ ხერხდება. შეიძლება ვივარაუდოთ, განაგრძობს ვ. სილოვავა, რომ წარწერაში აღნიშნული იყო „ხრონიკონსა ხჟიზ“, ან „ხრონიკონსა ხლიზ“. პირველ შემთხვევაში თარიღი უდრის 1013 წელს, ხოლო მეორე შემთხვევაში — 1113 წელს. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით უფრო

[6] დასავლეთ საქართველოს წარწერები, I გვ. 149—150.

XII ს-ისაა, ამიტომ, პირობითად, წარწერის თარიღი შეიძლება 1113 წლით განვსაზღვროთ“[7].

თუ წარწერას დავათარიღებთ 1013 წლით, მწვანეყვავილას ეკლესია მეფე ბაგრატ III-ის დროს ყოფილა აშენებული ხოლო, თუ 1113 წლით დავათარიღებთ, მაშინ მისი ამშენებელი დავით აღმაშენებელია. რასაკვირველია, გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ამ სირთულეს ქმნის ის, რომ წარწერის ბოლო ნაწილი, რომელიც დიუბუა დე მონპერეს მიერ გამოცემულ ტექსტშია ფიქსირებული, ახლა აღარ არსებობს და წარწერის ტექსტი წყდება სიტყვაზე „ხრონიკს“[8].

მართალია, რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება, წარწერის დღეისათვის შემორჩენილ ფრაგმენტში გამომცემლის მიერ, დიუბუა დე მონპერეს წაკითხვით, წარმოდგენილია საწყისი ნაწილი: „...რ ბაგრატუნიანისა ...ამ“. მაგრამ დღეს არც ეს საწყისი ნაწილი არის. ჩანს, დიუბუა დე მონპერეს დროს იყო რაღაც ნაშთი, რომელიც მან ასე აღადგინა. სამწუხაროდ, დღეს შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა ადგილას იყო ეს „რ“, რამდენი ასონიშანი შეიძლება ყოფილიყო მის წინ, ან მის შემდეგ. თუ აქ რამენაირად შეიძლება აღდგეს „ბაგრატ“, მაშინ, თითქოს, თარიღის საკითხიც გაირკვევა და ეკლესიის აგებაც ბაგრატ III-ს დაუკავშირდება. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდის სახით, სხვა არაფრის თქმა შეგვიძლია.

მაგრამ მიუხედავად იმისა, ეს ეკლესია XI საუკუნის დასაწყისშია აშენებული, თუ XII საუკუნის დასაწყისში, მისი მშენებლობა იმ ხანას უკავშირდება ქუთაისის ისტორიაში, როდესაც ქუთაისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი იყო და საქართველოს მეფეთა ზრუნვა ქალაქისა და მისი შემოგარენის განაშენიანებაზე ბუნებრივია. საერთოდ საქართველოს, და კერძოდ ქუთაისის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გელათის აღშენებას.

თუ ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის ერისა და ქვეყნის ისტორიაში დიდად მნიშვნელოვანი მოვლენის სიმბოლოდ ქართული ქვეყნების დიდი ნაწილის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და მის დედაქალაქად ქუთაისის აღიარება, ქუთაისის ბაგრატის ტაძრის შექმნა ითვლება, ქართული მიწების საბოლოო გაერთიანების, ქართული სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერების მაგალითად დავით აღმაშენებელმა მის მიერ აგებული გელათი აქცია.

---

[7] დასავლეთ საქართველოს წარწერები, მით. გამ., გვ. 149.

[8] იქვე.

გელათი მთელი თავისი შემადგენელი ნაწილებითა და დანიშნულებით, რასაკვირველია, საერთო ქართული სახელმწიფოს სიმბოლოა, მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ გელათი ორგანულად არის დაკავშირებული სწორედ ქუთაისთან. ამ მიზანსაც, ქუთაისის მნიშვნელობისათვის ხაზის გასმასაც ისახავდა ალბათ დავით აღმაშენებელი, როდესაც გელათი სწორედ ქუთაისის ქვეყანაში დააარსა, უშუალოდ სახელმწიფოს დედაქალაქის მახლობლად.

დავითის სტრატეგიული გეგმა, რომელიც სწორად და გონივრულად იყო მოფიქრებული, საბოლოო ჯამში თბილისის განთავისუფლებითა და სამეფოს დედაქალაქის თბილისში გადატანით უნდა დასრულებულიყო, რაც განხორციელდა კიდეც.

ამასთანავე, დავითს, ალბათ, სრულიად მართებულად მიაჩნდა, რომ დედაქალაქის თბილისში გადატანით ქუთაისის მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში შემცირდებოდა. ამასთანავე, დავითს, ჩანს, მიაჩნდა, რომ ქუთაისი უნდა დარჩენილიყო სახელმწიფოს მეორე ქალაქად, ფაქტიურად მის მეორე დედაქალაქად, რაც სინამდვილეში ასეც მოხდა. მაგრამ ქუთაისის შემდგომი მნიშვნელობისათვის, რასაკვირველია, არა მეორეხარისხოვანი იყო ის გარემოებაც, რომ დავითმა ქართული ეროვნული კულტურის ეს დიდი ცენტრი, სწორედ აქ დააარსა. ვფიქრობ, არ შევცდები თუ ვიფიქრებ, რომ მეფის მთელი ეს ღონისძიება ასე იყო გამიზნული და მოფიქრებული.

აღნიშნული, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ამით განისაზღვრება საერთოდ გელათის დაარსებისა და ამ ცენტრის შექმნის მნიშვნელობა, ამ ღონისძიებას უდიდესი მისია ეკისრებოდა საერთოდ ქართული კულტურისათვის, მაგრამ ადგილის შერჩევის საქმეში, სხვასთან ერთად, ალბათ, ამ ფაქტორსაც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა.

გელათმა, როგორც კარგადაა ცნობილი, უდიდესი როლი შეასრულა საერთოდ შუასაუკუნოვანი საქართველოს და, კერძოდ, ქუთაისის ისტორიაში. გელათი ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. შემთხვევით არ ამბობს დავითის საქმაოდ სიტყვაძუნწი ისტორიკოსი, რომ გელათი იქცა „ყოველისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად“ და „სხუად (ან „ახალ“) ათინად“.

გელათში, როგორც სამეფო მონასტერში შეიქმნა მეფეთა საძვალე, სადაც თვით დავითი დაიკრძალა. შემდეგ აქ დაკრძალეს მისი ძე დემეტრე, მეფე გიორგი III, თამარი, გიორგი ლაშა. აქვე არიან დაკრძალულნი იმერთა მეფე დავით რუსუდანის-ძე, იმერთა მეფე ბაგრატ III, სოლომონ I, სოლომონ II, რომლის უპატრონოდ მიტო-

ვებულ და გაპარტახებულ საფლავის ნაშთს მიაკვლიეს მადლიერმა მეცნიერებმა ტრაპიზონში და ისიც გელათის წმინდა მიწას მიაბარეს.

როგორც უკვე ითქვა, VIII—XII საუკუნეების ქუთაისის გარეგანი სახის, თუ მისი განაშენიანების შესახებ უაღრესად მწირი მასალა მოგვეპოვება. იმდროინდელ წერილობით წყაროებში ამის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი, ერთადერთი ცნობა მხოლოდ მეფე ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისის ტაძრის აგებაზე მოგვითხრობს.

ვახუშტი ბაგრატიონი ძუნწ, მაგრამ ნიშანდობლივ ცნობას იძლევა იმ სამშენებლო საქმიანობაზე, რაც ქუთაისში ჩაატარა ლეონ აფხაზთა პირველმა მეფემ.

ვახუშტის ცნობა ლოგიკურად სრულიად კანონზომიერია და ამღენად სანდოც უნდა იყოს.

მას შემდეგ რაც ქუთაისი აღარ იყო ეგრისის (ლაზიკის) დედაქალაქი, ის მაინც ასრულებდა (თუ ინარჩუნებდა?) მნიშვნელოვანი ქალაქის მდგომარეობას, მავრამ, ბუნებრივია, რომ დიდი სამშენებლო სამუშაოები მასში ნაკლებად ჩატარდებოდა. თუმცა გასათვალისწინებელია არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული სასახლის ნაშთები, რომელსაც არქეოლოგები V—VI საუკუნეებით ათარიღებენ. ეს ნაგებობა სწორედ აქ ლოკალიზდება, სადაც დიუბუა დე მონპერეს გეგმაზე დატანილია „ლაზების მეფის სასახლე". ჩანს, დიუბუა დე მონპერეს დროს აქ სასახლის რაღაც ნაშთი ჩანდა.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. რომ ქუთაისში მიმდინარე არქეოლოგიურმა გათხრებმა დაასაბუთეს ვახუშტის ცნობის სისწორე. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ამანვე (ლეონმა, მ. ლ.) აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე და ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა"[9].

ალბათ არაა სადავო, რომ ვახუშტი ამ შემთხვევაში ლეონის მიერ ამ სასახლის თავდაპირველ აღშენებაზე მოგვითხრობს, და არა განახლებასა და ხელახლა აღშენებაზე.

როგორც არქეოლოგიური გათხრების წინასწარი ანგარიშებიდან ჩანს, მიმდინარე სამუშაოებმა მთლიანად დაადასტურეს ვახუშტის ეს ცნობა. არქეოლოგიურ სამუშაოთა ერთ-ერთ წინასწარ ანგარიშში ვკითხულობთ: „გაითხარა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთი მხარის მთავარი ბურჯი, გალავნის კედლებითა და კოშკებით, რომლის აგება და განახ-

[9] ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 796.

ლება, ჩვენი ვარაუდით, წერს ო. ლანჩავა, VII—VIII საუკუნეებში უნდა მომხდარიყო"[10].

როგორც არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშებიდან ჩანს, VIII საუკუნეში ბაგრატის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა. ამავე საუკუნეებს უნდა უკავშირდებოდეს (როგორც ვარაუდობენ ლეონ-არჩილის ეპოქას) ამ ფერდობზე, სახელდობრ „დიდი ქუთაისის" სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, მრავალგზის გადაკეთებული „წრიული დედაბურჯი". ამ განახლება-გადაკეთებათა შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა VIII საუკუნეში ჩატარებული განახლებითი სამუშაოები.

VIII საუკუნეში სხვა სამუშაოებიცაა ჩატარებული განახლება-აღდგენის, თუ ახალ ნაგებობათა აგების თვალსაზრისით. აქვეა მიკვლეული „დიდი საფორტიფიკაციო კომპლექსი", რომელიც დანგრეული ჩანს VIII საუკუნის პირველ ნახევარში, შესაძლოა მურვან ყრუს შემოსევის დროს. თუ ეს ნგრევა მურვან ყრუს ექსპედიციის ხანას უკავშირდება, რაც გამორიცხული არ უნდა იყოს, მაშინ ლეონ-ლოგიკური ჩანს ვარაუდი, რომ ქუთაისის მიერ აფხაზთა სამეფო დედაქალაქის სტატუსის მოპოვებისას. აქ მნიშვნელოვანი სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო.

ამდროინდელ მშენებლობასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს არქიელის სახლის ეზოში გათხრილი „დარბაზის ტიპის" ნაგებობა, რომელსაც, ო. ლანჩავას თქმით, მრავალგზისი გადაკეთება განუცდია." ამ გადაკეთებათა შორის საინტერესოა V საუკუნის დიდი ზომის სწორკუთხა კოშკზე VIII—IX საუკუნეში, ჩრდილოეთის მხრიდან სათავსოს მიშენება „შესანიშნავად გათლილი საპირე ქვებით", იგი ორგანყოფილებიან საცხოვრებელ ნაგებობად უქცევიათ"[11].

ბუნებრივია, სამეფო რეზიდენცია ახალ საცხოვრებელ ნაგებობებს, არსებული ძველი ციხის (მურვან ყრუს დროს დანგრეულის?) აღდგენა-განახლებას მოითხოვდა და ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ხდებოდა ძველ შენობებზე მიშენება-დაშენება.

---

[10] ო. ლანჩავა, რას გვეტყვის წარსული, კომუნისტი, 1985 წ 19 თებერვალი.

[11] ო. ლანჩავა, „დიდი ქუთაისი" (ახალი აღმოჩენების შესახებ). იხ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის „მასალები", კრებული V, ქუთაისი, 1988, გვ. 13.

ალბათ მარილ ბული უნდა იყოს ვარაუდი, რომ ეს არის ხელახალი აღშენება-განახლებ ს, დედა-ცი ხის გამაგრ ების და გაფართოების ის კედელი, რაც აქ ლეონ მეფის საქმიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული და რაზეც მოგვითხრობს ვახუშტი ბაგრატიონი.

მართალია, ქუთაისი მისი ლაშთა სამეფოს დედაქალაქობის დროს არსებობდა ციხეც და სასახლეც, მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც ქუთაისი უკვე აღარ იყო დედაქალაქი, მასში მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება საეჭვოა. ასევე თუ გავიზიარებთ თვალსაზრისს, რომ მურვან ყრეს შემოსევის დროის ქუთაისს გარკვეული ნგრევა უნდა განეცადა, მაშინ ლოგიკური ჩანს, რომ მას შემდეგ რაც ქუთაისი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს, აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი გახდა, სწორედ მის პირველ მეფეს, ლეონს აქ ბევრი განახლებითი თუ აღდგენითი სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა. ახალი სამეფო, ლაზთა სამეფოსთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილ ფარგლებში, ახალ მოთხოვნებს უყენებდა დედაქალაქს, მის ციხესა და სამეფო რეზიდენციას, სასახლეს.

თუ ამასთანავე, აქ VII საუკუნის აღშენებლობის ნაშთიც არის, ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ ქუთაისს დამკვიდრებულმა ქართლის მეფეთა (ერისთავართა) სახლის წარმომადგენლებმაც ჩაატარეს აღდგენითი სამუშაოები.

საინტერესოა პლატონ იოსელიანის ერთი ცნობა. ის აღნიშნავს, რომ ლეონმა ქუთაისში „მთაზე ააშენა ციხე, მდინარეზე (ქვის საფუძველზე) ხიდი, ხოლო ქალაქში აავო სასახლე"[12]. ჩვენ არ ვიცით რას ეყრდნობა პლატონ იოსელიანის ეს ცნობა, მაგრამ მის მიერ მითითებულ სამშენებლო სამუშაოთა ნაწილის არსებობა, დღეს თითქოს დადასტურებულია. როგორც უკვე ითქვა, სახელდობრ ციხის შიგნით, იმ ადგილას, სადაც დაუბუა დე მონპერეს ქუთაისის გეგმაზე დატანილია „ლაზთა მეფის სასახლე", გათხრების შედეგად V საუკუნის შენობის აღმოსავლეთ ფასადზე არის VIII საუკუნის მინაშენის ნაშთი[13], რომელიც სწორედ ლეონის საქმიანობასთან არის დაკავშირებული. როგორც ვარაუდობენ, ლეონმა „ქუთაისში „ქალაქური" წესით" ააშენა უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი: ქალაქის გალავანი, სავაჭრო, საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო შენობები, ვაკეთა და წესრიგზე მოიყვანა „შუკები" (ქუჩები), მოედნები და

[12] Пл. Иоселиани. Города существовавшие и существующие в Грузии, 1850, გვ. 50.

[13] ო. ლანჩავა, მით. სტატია, გვ. 7.

სხვა"[14]. მართლაც, ციხის შიგნით გამოვლენილია ჩრდილო კედელთან VII—VIII საუკუნეების ქვაფენილის ნაშთი, რაც ქართლის მეფეთა, ან ლეონის დროს უნდა იყოს დაგებული.

ამავე დროს აიგო ხიდი ქვის საყრდენებზე, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, უნდა იყოს„ ჯაჭვის ხიდის“ ზემოთ არსებული ქვის ბურჯებიანი ხიდი, რომელიც ციხე-სიმაგრისაკენ მიმავალ გზას უერთდებოდა[15].

ამდროინდელი ქუთაისი, მისი ციხე, სამეფო სასახლე ეკლესიით, გაშენებული იყო ძირითადად „მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, მთაზე, მის ტაფობსა და დასავლეთ მიდამოებში, ხოლო მოსახლეობის განსაზღვრული ნაწილი, აგრეთვე მდინარის მარცხნივ სანაპირო ზოლში ცხოვრობდა“[16].

VIII—X საუკუნეებში ქალაქში, ალბათ, ბევრი რამ აშენდა, აქის ერთი დასტურია სასახლის კომპლექსი. როგორც არქეოლოგიური გათხრების „ანგარიშებით“ დასტურდება:

ადგილი, სადაც სასახლეა გამართული, წარმოადგენს სამი მხრით დაქანებულ ფერდობს, რაც ყოველ ეპოქაში განაპირობებდა აქ ნაგებობათა გამართვის თავისებურებებს...

აგურის სასახლეც დამსრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. იგი ორგანულადაა დაკავშირებული თავდაპირველი ციტადელის გეგმასთან და მთავარ შემოსასვლელთან, რომელიც მრავალი განახლება-გადაკეთების მიუხედავად, აგრძელებდა ორიენტირის ფუნქციას ამ ეპოქაშიც.

სამეფო სასახლე სწორკუთხა (თითქმის კვადრატული) ფორმისაა. მისი ზომებია: სიგრძე—21, სიგანე—18,5 მეტრი, საერთო ფართობი 400 კვ. მეტრია. სამხრეთ ნაწილში გამართულია ორი დიდი დარბაზი, რომელიც დანარჩენ ოთახებს ორი გრძივი კორიდორით უკავშირდებოდა. სასახლეს ჰქონია კამარა-თაღიანი კარ-ფანჯრები. ერთ-ერთი ასეთი თაღი დაუშლელად იყო ჩაწოლილი აღმოსავლეთის ფერდობზე. დიდი დარბაზის კარის წინ, კედლის გასწვრივ, შემორჩენილია იატაკის დონე. იატაკი აგურის ფილებით ყოფილა მოკირწყლული. კედლების სიგანე 90 სმ-ია, მაქსიმალურად შემორჩენილი სიმაღლე—1 მეტრამდე. აგური სტანდარტული ზომისაა (27×27×5). განსაკუთრებით აღსანიშნავია აგურის კეცის ფაქტურა. ამ მახასიათებლით იგი

---

[14] ვ. ჩაკვეტაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[15] იქვე, გვ. 86.

[16] იქვე, გვ. 84.

განსხვავდება ნაქალაქარზე აღმოჩენილი ყველა სხვა ეპოქის აგურისაგან და ზუსტად იმეორებს სამეფო სასახლის კომპლექსში შემავალი სამეფო აბანოს სამშენებლო პროდუქციას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს აგურები VIII საუკუნეში სამეფო სასახლის კომპლექსისათვის სპეციალურადაა მოჭრილი. სასახლის ირგვლივ აღმოსავლეთით და სამხრეთით ორი ნგრევის ფენაა შექმნილი. ნაშალით ფერდობებია მოვაკებულ-მოსწორებული. პირველი ნგრევა მომხდარა X საუკუნის მეორე ნახევარში. ამის უტყუარი დასტურია ამ ფენაში აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტები (2 ცალი). მეორე ნგრევა გვიან საშუალო საუკუნეებში განუხორციელებიათ, უფრო სწორად, ამ დროს აგურის სასახლე თითქმის საძირკვლამდე მოუსწორებიათ კიდევ ახალი ნაგებობის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში სამშენებლო მოედანი მთლიანად გაანთავისუფლეს ძველი ნანგრევებისაგან. როგორც ჩანს, პირველი ნგრევა ბაგრატიონთა ახალი სასახლის მშენებლობამ გამოიწვია. საინტერესოა, რომ ბაგრატიონთა სასახლე ნაწილობრივ ღაჯშენეს კიდეც აგურის სასახლის მორღვეულ კედლებზე და ამით ეს კედლები დაკონსერვეს. მაშასადამე, აგურის სამეფო სასახლის ფუნქციონირების ხანა განისაზღვრება VIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან X საუკუნის მეორე ნახევრამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აგურით სასახლეების მშენებლობის ტრადიცია ქუთაისის მიწაწყალზე გრძელდება განვითარებულ ფეოდალურ ხანაშიც. ამის ბრწყინვალე ნიმუშია გეგუთის ციხე-დარბაზი, სადაც ჯერ კიდევ VIII საუკუნეში არის ნავარაუდევი მეფეთა სანადირო სახლის არსებობა[17]. სამეფო კომპლექსის შემადგენელი ნაწილია აბანოს ნაშთებიც.

აბანო აგებულია შიდაციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში „ცოტა კარის“ მახლობლად. იგი დამხრობილია NS ღერძზე. დამხრობა, როგორც ჩანს, განაპირობა აქ არსებულმა თავდაპირველი გალავნის კედლების განლაგებამ, რომელიც აბანოს კედლებადაც გამოუყენებიათ სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან. აბანომ ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახით მოაღწია, მაგრამ გეგმის გარკვევა მაინც ხერხდება. იგი ანფილადური ტიპის აბანოების რიგს განეკუთვნება ჰიპოკაუსტური სისტემით, თუმცა საკმაოდ თავისებური მარტივი აგებულებისაა. თავდაპირველად იგი ოთხნაწილიანი ყოფილა:

[17] ვ. ჩაკვეტაძე, გეგუთის ციხე-დარბაზი.

1. საცეცხლე განყოფილება (პროპიგეონი)
2. საქვაბე.
3. აბაზანა.
4. გასახდელი (აპოდიტერიუმი).

1. საცეცხლე განყოფილება აბანოს ჩრდილოეთ ნაწილშია გამართული. გარე მხრიდან მას აქვს თაღიანი ღიობი, რომლის სიმაღლე 1 მეტრია, სიგანე—65 სმ. შიდა ნაწილი, სადაც საკუთრივ ცეცხლი ენთო, წარმოადგენს მართკუთხა ფორმის სივრცეს, რომლის სიგრძე 1,20 მ-ია, სიგანე—0,80 სმ, სიმაღლე—1 მ. საცეცხლე ნაგებია კარგად გათლილი, მცირე ზომის კვადრებითა და აგურის მონაცვლეობით. აგურის პერანგით ყოფილა ამოყვანილი შიდა სივრცის კედლები და თაღი, რითაც მისი ცეცხლგამძლეობა იყო გათვალისწინებული. საცეცხლე განყოფილების შიდა სივრცეში და მის გარეთ აღმოჩნდა მძლავრი ნაცროვანი ფენა, რაც ხანგრძლივი ცეცხლის ნთების შედეგია.

2. საქვაბე ნაწილი გამართულია ზედ საცეცხლე განყოფილების თავზე. იგი სწორკუთხა ფორმის აბაზანას წარმოადგენს და სიგნინის სქელი (4 სმ) ფენით არის შელესილი. მისი ზომებია: სიგრძე—1,60 მ, სიგანე—1 მ, შემორჩენილი სიმაღლე 0,80 სმ-ია. იტევდა დაახლოებით 1600 ლიტრ წყალს. აქ წყალი ცხელდებოდა და გადაედინებოდა საბანაო განყოფილებაში.

3. აბაზანა საქვაბე განყოფილების სამხრეთით არის ამოყვანილი აგურის საყრდენებზე. მისი იატაკი საქვაბე განყოფილების დონესთან შედარებით 4 სმ-ით დაბალზეა გამართული. საცეცხლე განყოფილება აბაზანის ქვედა განყოფილებას უკავშირდება ღიობით, საიდანაც ცხელი ჰაერი მოძრაობდა აბაზანის იატაკის ქვეშ, ათბობდა მას და ჩრდილოეთის კედელში დატანებული სწორკუთხა ვერტიკალური საევენტილაციო არხით გარეთ გაიწოვებოდა. აბაზანის ზომებია: სიგრძე—3,25 მ, სიგანე—3,23 მ, შემორჩენილი სიმაღლე 1 მეტრამდე, ე. ი. იგი დიდი ზომის კვადრატული ფორმის განყოფილებაა.

4. გასახდელი აბანოს უაღრესად ცუდი დაცულობის გამო ვარაუდის დონეზე რჩება. მისი ადგილის განსაზღვრაში ნაგებობის ერთ ღერძზე განლაგება გვეხმარება, მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მისი მოთავსება სრულიად გამორიცხულია. რჩება მხოლოდ სამხრეთი და დასავლეთი მხარეები. აქედან უპირატესობა სამხრეთ ნაწილს ენიჭება, მით უმეტეს, რომ აქ უკვე ადრინდელი გალავნის ორი კედელი არსებობდა ჯერ კიდევ IV ს. ამოყვანილი და,

ბუნებრივია, გასახდელისათვის და საერთოდ აბანოსათვის მისი გამოყენება მშენებლებს საქმეს გაუადვილებდა.

აბანო კარგად გათლილი, ზედაპირდაკეკნილი კვადრებითა და ქართული აგურით არის ნაგები (აგურის ზომები: 27×27×5 სმ). ზუსტად ასეთი აგურითაა აგებული VIII საუკუნის სამეფო სასახლე. თანაც მშენებლობის წესი და ტექნიკა ორივეგან ერთი და იგივეა, თუნდაც აგურის რიგებს შორის მოთავსებული კირხსნარის ფენაც ერთი ტექნოლოგიითაა დამზადებული. მაშასადამე, აღნიშნული ნაგებობა ეგრის-აფხაზთა მეფეების სამეფო სასახლის კომპლექსის შემადგენელი ატრიბუტია, როგორც მისი სანიტარულ-ჰიგიენური ნაწილი. საინტერესოა, რომ ამ კომპლექსთანაა დაკავშირებული თიხის მილების მაგისტრალი, რომელიც მოედინება თეთრამიწას გორის ძირიდან („წყაროს უბანი"), გამოივლის შიდა ქალაქის (B სექტორი) ტერიტორიას, შემოდის შიდაციხეში და უკავშირდება სამეფო სასახლესა და აბანოს.

დედაბურჯთან კონტრფორსებიანი კედლის გაგრძელებაზე VIII საუკუნეში აუგიათ ახალი ნაგებობა, რომლისთვისაც გამოუყენებიათ ადრინდელი გალავნის კოშკი (ზომები: 12×8 მ). ჩრდ. მხრიდან ზედ კოშკზე მიუშენებიათ იგივე ზომის სწორკუთხა ნაგებობა შესანიშნავად გათლილი საპირე ქვებით. ე. ი. ნაგებობის პირველი სართული ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. როგორი იყო მისი მეორე სართული, არავინ იცის. გვიანდელი გადაკეთებით იგი ქართულ დარბაზს გვაგონებს... მიშენებული სათავსის სარდაფში მრავალი მომცრო ზომის დაუკირავი ფართოძირიანი ქვევრები იყო ჩადგმული. ჩვენეული კლასიფიკაციით ეს ქვევრები VIII—IX საუკუნეებით თარიღდება. XIII—XIV საუკუნეებში დარბაზის ჩრდილოეთი კედელი საძირკვლამდე მოშალეს, და, სათავსოს მოცულობის გაზრდის მიზნით, მისგან დაშორებით დიდი უხეშად გათლილი ბლოკებისაგან ახალი კედელი ააგეს. დარბაზის შუაში კი საყრდენი ბურჯი (დედაბოძი) ამოიყვანეს. ამ ბურჯის ძირში აღმოჩნდა 84 ცალი ვერცხლის მონეტა, დასავლეთ-ქართული თეთრი[18]. აღნიშნული ნაგებობის კედლები დაბზარულ-დახეთქილი

[18] მომდევნო პერიოდში დარბაზისათვის აღმოსავლეთის მხრიდან რამდენიმე სათავსო მიუშენებიათ. XVII საუკუნეში იქ თურქებს კაზარმა მოუწყვიათ. 1810 წლიდან ეს ნაგებობა სასულიერო სასწავლებლად გამოიყენეს. დიუბუას გეგმაზე იგი ორსართულიანი ჩანს. 1865 წლიდან ახალი სასულიერო სასწავლებელი ააგეს (ბოლოდროინდელი საბეღალტრო სკოლა). შემდეგ ზემოთ აღწერილი დარბაზი გაბრიელ ეპისკოპოსის სახლად დამხმარე სამეურნეო ნაგებობად იქცა.

დაგვხვდა, ნაწილი—ფერდობზე გადაყირავებული სავარაუდოა, ეს მიწისძვრის შედეგი იყოს.

დედაბურჯთან კოხტაფორსებიანი გალავნის შიდა მხრიდან, საკუთრივ კონტრფორსებს შორის, მოწყობილი ყოფილა ხის ნაგებობა კერამიკული სახელოსნოსათვის. კერამიკის გამოსაწვავი ქურები, ორ-ორი ცალი, მოთავსებული იყო გოდლედებს შორის. სულ ექვსი ქურა იქნა დაფიქსირებული. ქურები წრიული ფორმის, ცეცხლგამძლე თიხისაგანაა ამოყვანილი (დმ 60 სმ-ია). სამწუხაროდ, ისინი ძალზე დახიანებული დაგვხვდა და მისი ზუსტი აგებულება კარგად არ ირკვევა. იქვე ნაგებობის კუთხეში გამოვლინდა კარგად განლექილი გამოუწვავი თიხის ბლოკების შტაპელი, კერამიკის დასამზადებელი ხედლეული. ერთ-ერთ ქურაში აღმოჩნდა ორი დამსხვრეული დოქი ფართოპირიანი, ბრტყელგანივკვეთიანი ყურით, რომელიც პირის ბაკოზე აქვს უშუალოდ მიერთებული, და ფართოძირიანი დაბალკალთიანი ჯამი (ფიალა). ქურების მიმდებარე ტერიტორიაზე კულტურული ფენის შესაბამისი და შემდგომდროინდელი მასალები წარმოდგენილია: სქელკედლიანი, ტანდაღარული, ღია ფერის ამფორის ფრაგმენტებით, წნეხვით გამოყვანილ ზედაპირიანი ჭურჭლებით წითელი და თეთრი საღებავებით, ადრინდელი ჰიქურიანი კერამიკით და ერთი მთლიანი ბიკონუსური ფორმის დოქით, რომლის ზედაპირიც ასევე წნეხვით ნაპრიალებია, წვრილყელიანია და ქუსლგამოყვანილი. ყოველივე ეს მიუთითებს სახელოსნოს ფუნქციონირებაზე VIII—IX საუკუნეებში.

X საუკუნეში, ქალაქის მდგომარეობის შემდგომ ამაღლებასთან ერთად, ახალი სამშენებლო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო. მართალია, როგორც აღვნიშნეთ, იმდროინდელ წერილობით წყაროებში ბაგრატის ტაძრის აშენების გარდა არაფერია დადასტურებული, მაგრამ ბაგრატის ტაძრის გრანდიოზული მასშტაბები და ბრწყინვალება ეპოქის სიდიადეზე, ქუთაისის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

ქუთაისის კათედრალური ტაძრის აშენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, და ეს, როგორც ითქვა, სათანადოდ აღნიშნა ქართველმა მემატიანემ. მემატიანეს სიტყვებს მთლიანად ადასტურებს დიდებული ტაძრის ჩვენამდე მოღწეული ნანგრევები. სამწუხაროდ, მემატიანე არას ამბობს მეფე ბაგრატის (მისი უშუალო წინაპრების ან მემკვიდრეების) მიერ ჩატარებულ სხვა აღმშენებლობაზე დედაქალაქში. ამ დროს აგებულ სხვა შენობათა ნაშთებმაც არ მოაღწიეს ჩვენამდე და შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სხვა არაფერი აშენებულა.

მაგრამ ის რაზეც სდუმს ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროები და არც მიწის ზემოთ შემორჩა, წარმოაჩინეს არქეოლოგიურმა სამუშაოებმა.

ქუთაისის ერთიანი საქართველოს დედაქალაქობის პერიოდში უნდა იყოს აგებული ტაძრის გალავანი[19]. გალავნის მშენებლობა ბაგრატის მიერ ტაძრის აგების დროსაა სავარაუდო.

ამგვარად, მეფე ბაგრატ III-ის დროს (თუ უფრო ზოგადად X—XI საუკუნეებში) აგებული ჩანს ახალი სასახლე[20].

სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ მას შემდეგ რაც ქუთაისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი გახდა, მასში მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა. ახალი ვითარების შესაბამისად აიგო ახალი ან განახლდა არსებული ძველი სამეფო (აფხაზთა მეფეების) სასახლე, გამაგრებულ იქნა ციხე, შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაოები ციხის გალავნის აგების, თუ არსებულის გამაგრებისათვის, აიგო ახალი თავდაცვითი კოშკები, ჩატარდა სამუშაოები ციხის და ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით. ყოველივე ამან, ბაგრატის გრანდიოზულ ტაძართან ერთად, მნიშვნელოვნად შეცვალა ქალაქის გარეგანი სახე.

ქუთაისის დედაქალაქობის ჟამს მიმდინარე მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოებისათვის ხელის შეწყობას ემსახურებოდა ალბათ ციტადელის ტერიტორიაზე X საუკუნის ბოლოს კირის გამოსაწვავი ქურების მოწყობა[21].

გათხრების შედეგად გამოვლენილია მნიშვნელოვანი რაოდენობის თიხის ნაწარმი, სხვადასხვა ფორმის, ფერის, ხარისხის და დანიშნულების ჭურჭელი. საინტერესოა, რომ ქუთაისში აღმოჩენილია აღმოსავლური ფაიფურის ნაწარმი, რაც საერთაშორისო ვაჭრობაში ქუთაისის მონაწილეობის მაუწყებელი და აღებ-მიცემობის გეოგრაფიული არეალის, უკიდურეს აღმოსავლეთთან ახლო კონტაქტების უდავო დასტურია[22].

---

[19] ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1987 წ. საველე კვლევა-ძიების შედეგები, გვ. 19.

[20] ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1988 წ. საველე კვლევა-ძიების შედეგები, გვ. 9.

[21] ო. ლანჩავა, „დიდი ქუთაისი", იხ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. კრებული IV, ქუთაისი, 1988, გვ. 14.

[22] იხ. არქეოლოგიური გათხრების შედეგები და აგრეთვე, ო. ლანჩავა, არქეოლოგიური გათხრები ქუთაისში, ძეგლის მეგობარი, № 4, 1986 წ. გვ. 41.

XI—XII საუკუნეებში, როდესაც ქუთაისი ჯერ კიდევ დედაქალაქი, ხოლო შემდეგ სამეფოს მეორე და მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, ქალაქში და მის შემოგარენში მნიშვნელოვანი სამშენებლო, თუ სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობდა, რასაც შესანიშნავად ცხადყოფს არქეოლოგთა მიერ მიკვლეული და გამოვლენილი მასალა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ VIII—XII საუკუნეებით თარიღდება დიდი რაოდენობის ქვევრების, კერამიკული ნაწარმის, ჭურჭლის და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების ნაშთები. ქალაქს და ციხეს წყლით მომარაგების და საკანალიზაციო სისტემა მოეწყობილი უნდა ჰქონოდა, ეს შუასაუკუნოვანი ქართული ქალაქების ისტორიიდანაც სავარაუდო უნდა იყოს, მაგრამ სწორედ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული სასმელი და ტექნიკური წყლით მომარაგების, წყალსადენების ნაშთები ამას თვალნათლივ ადასტურებს, რაც სათანადოდ არის ფიქსირებული არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა მრავალრიცხოვან ანგარიშებში.

ქალაქში, სადაც ასეთი დიდი სამშენებლო საქმიანობა წარმოებდა მრავლად უნდა ყოფილიყვნენ სამშენებლო საქმის ოსტატები. ასევე კერამიკული ნაწარმის მრავალფეროვნება, მრავალრიცხოვნება და მაღალი ხარისხი, შემოტანილ ნაწარმთან ერთად ადგილობრივი წარმოების ნაწარმის არსებობა, აშკარას ხდის სამეთუნეო საქმის განვითარებას და თიხის ჭურჭლის მკეთებელ შესანიშნავ ოსტატთა არსებობას.

ქალაქში, სადაც ასეთი დიდი სამშენებლო საქმიანობა წარმოებდა მრავლად უნდა ყოფილიყვნენ სამშენებლო საქმის ოსტატები. ასევე მასზე გადიოდა ამიერკავკასიული და საერთაშორისო მნიშვნელობის საგზაო მაგისტრალები, რაც დიდად უწყობდა ხელს მის ვაჭარ-გადედაქალაქებას და სავაჭრო ურთიერთობათა ფართოდ გაშლას, რამაც განაპირობა ის გარემოება, რომ ქუთაისი, მას შემდეგაც, რაც ის ერთიანი საქართველოს დედაქალაქი აღარ იყო, ყოველთვის ინარჩუნებდა ქვეყნის მეორე ქალაქის მდგომარეობას და წარმოადგენდა ეროვნული ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერას.

ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო ხანის ქუთაისის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკანასკნელი წლების განმავლობაში ქუთაისში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალას.

ეს მასალა ძირითადად სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: 1. გათხრების დროს მოპოვებული მონეტები. 2. მშენებლობის ნაშთები, რო-

მელნიც უმთავრესად ძველ ნაგებობებზე VIII — XIII საუკუნეებში მიშენებული კედლებით, თუ ჩაშენებული სათავსოებითაა წარმოდგენილი და 3. დიდი რაოდენობით კერამიკული ნაწარმი, სხვადასხვა სახის მრავალფეროვანი ჭურჭელი და სამშენებლო კერამიკის ნაშთები, სახელდობრ: შორენკეცები, სახურავის კრამიტი, ანტეფიქსები, წყალსადენის ნაშთები.

საკუთრივ რაც შეეხება VIII — XIII საუკუნეების მშენებლობის ნაშთებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის უმთავრესად ტაძრისა და ბაგრატიონთა სასახლის მშენებლობა და ადრინდელ ნაგებობებზე მიშენებული კედლები, ან ძველ ნაგებობებზე დაშენებული ახალი სათავსოები, ან ძველი ნაგებობების გაფართოების თუ რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული ახალი სათავსოები: მაგ., XIII საუკუნის უქიმერიონის სასახლის ნაშთი, საიდანაც ჩანს, XIII საუკუნეში ძველად არსებული სასახლე განუახლებიათ და გაუდიდებიათ, ახალი მინაშენები და სათავსოები მიუმატებიათ. იქვე შეიმჩნევა სასახლის ფასადზეც მინაშენის ნაშთი.

საკუთრივ ბაგრატის ტაძრის მახლობლად ციხეზე აშკარად გამოიყოფა XI — XII საუკუნეების დასავლეთის კედლის ნაგებობის ფრაგმენტი. ამავე კომპლექსს ვანეკუთვნება XI თუ XII საუკუნეში აგებული მწვანეყვავილას ეკლესია.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად წარმოჩენილია დიდი რაოდენობით მარნების ნაშთები ბაგრატის ტაძრის შემოკარნეში და ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დრო და დრო ხდება მარნების განახლება და მათი ახალი კომპლექსებით შევსება, რაც ერთი მხრივ ირგვლივ ვენახების არსებობაზე მეტყველებს და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიმანიშნებელია და აგრეთვე აშკარას ხდის ღვინის ფართო გამოყენებას სამეფო სასახლესა და მის ირგვლივ არსებულ დასახლებაში. საინტერესოა ერთი ფოტო, რომელზედაც წარმოდგენილია IX — X საუკუნეების დარბაზი XVII საუკუნის მარნით. ჩანს, ეს პროცესი — მარნების განახლება-მიშენება, შემდეგაც გრძელდებოდა. ბაგრატის ტაძრის ერთ-ერთ უბანზე გათხრილია IX საუკუნეში კარგად თლილი ქვებით ნაგები საკმაოდ დიდი მარნის ნაგებობა.

სამეფო სასახლეში რომ წყალი საკანგებოდ იქნებოდა გაყვანილი, ეს რასაკვირველია, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მაინც მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ გათხრების შედეგად გამოვლენილია საკმაოდ კარგად დამუშავებული წყლით მომარაგების სისტემის არსებობა. თი-

ხის დახურული მილებით სასახლე სასმელი წყლით მარაგდებოდა, ხოლო ტექნიკური წყალი თიხის ღია მილებით შედიოდა. ფოტოზე აღბეჭდილია VIII — XII საუკუნეების თიხის დახურული მილები — სასმელი წყლის მისაწოდებლად.

არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოამზეურა დიდი რაოდენობით სამშენებლო კერამიკის ნაშთები. საინტერესო ფაქტია და მაღალ მხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებს მაღალხარისხოვანი მოჭიქული კერამიკის ნაშთების დიდი რაოდენობით არსებობა.

არქეოლოგიური გათხრებით მრავლად არის მოპოვებული ანტეფიქსები, რომლებზედაც გამოსახულია ჯვრები, და, რაც მთავარია, ასომთავრული ასოები. არ არის გამორიცხული რომ აქ იყოს რაიმე მნიშვნელოვანი წარწერა, იქნებ მოხერხდეს მისი მთლიანად (ან ნაწილობრივ მაინც) აღდგენა და წაკითხვა.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი თიხის ჰურჭლის ნაშთები: დოქები, ხელადები, ფიალები, ლამბაქები და სხვა, რაც მიუთითებს, როგორც სისხლსავსე ცხოვრებაზე ამ პერიოდის სამეფო სასახლესა და მის შემოგარენში, ასევე ქუთაისსა და მის მიდამოებში მრავალრიცხოვანი კერამიკული საწარმოების არსებობაზე[23].

წერილობითი წყაროების, მიწის ზემოთ შემორჩენილი მატერიალური კულტურის ნაშთების, არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალით დასტურდება VIII—XIII საუკუნეების ქუთაისის ქვის ვალავნით კარგად გამაგრებული ციხის არსებობა, რომლის შიგნით იყო სამეფო რეზიდენცია, სასახლე, საცხოვრებელი სახლები, ციხის ეკლესია, სამეურნეო ნაგებობანი: მარნები, მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების შესანახი სათავსოები...

სამწუხაროდ, არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება ქუთაისის საქალაქო გამგებლობის შესახებ ჩვენთვის საინტერესო ხანაში. ვიცით, რომ ქუთაისი იყო სამეფო ქალაქი და ის, ისევე როგორც თბილისი, საფეოდალოდ არ გაიცემოდა და ამდენად, აქ განმგებლობას სამეფო ადმინისტრაცია ახორციელებდა. როდესაც ის საერისთავოს ცენტრი იყო. მას ერისთავი განაგებდა.

ქუთაისის საქალაქო მართველობის თვალსაზრისით, ფრიად საინტერესო ფაქტია, ქუთაისის ამირას მოხსენიება VIII საუკუნის ერთ დოკუმენტში. ეს არის იმერეთის მეფე დავით ნარინის სიგელი,

---

[23] იხ. არქეოლოგიური გათხრების „ანგარიშები", დაცული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ ცენტრში.

რომელიც სხვადასხვა გამოცემებში თარიღდება 1278 ან 1271 — 1272 წლებით[24]. ი. დოლიძის გამოცემაში ამ დოკუმენტს ეწოდება „შეწირულების სიგელი დავით ნარინისა გელათისადმი". საბუთის გვიანდელი სათაურია „დავთარი საბანელასი"[25]. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში"[26] საბუთის თარიღად მითითებულია 1271—1272 წ. და საბუთს ეწოდება: „სიგელი დავით მეფისა ხახულის ღმრთისმშობლისადმი". დოკუმენტში ვკითხულობთ: „რომე ბევარა ცვლი გაგვჩენია ხახულისა ღმრთისმშობლისათჳს, ორმოცდაათი ლიტრა, მას აქაჲთ სათათროსა და სასჳანოსაგან კიდე არა წაეღებოდეს. და რაც ქუთაისის მეგერგილეთა (sid) და ამირათაგან და ეწყინებოდეს და არც ვის სხუსგან და კანდელაკისაგან კიდე".[27] მოყვანილი ადგილიდან აშკარად ჩანს, რომ არსებობდა „ქუთაისის ამირა". საშუალოდ, ეს „ქუთაისის ამირას" არსებობის დადასტურების, ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ფაქტია. ალბათ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამირას ხელისუფლება ქუთაისში უნდა შექმნილიყო არაბთა მფლობელობის დროიდან, თბილისში ტრადიციულად ქცეული ხელისუფლების მსგავსად და ეს ამირა ქალაქის განმგებელი, საქართველოს მეფის მოხელე იყო.

---

[24] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984, გვ. 175—176.
[25] ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1966, გვ. 73—74.
[26] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, მით. გამ., გვ. 175,
[27] იქვე, გვ. 176.

თავი VII

ქალაქის სამეურნეო ცხოვრება

ქუთაისის ისტორიის და მისი ეკონომიკური მდგომარეობის, სამეურნეო ცხოვრების შესასწავლად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. „ქუთაისის ქვეყანას“ „ქუთაისის ქვეყნის“ საზღვრების, მნიშვნელობის შესახებ თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს, სიმონ ჯანაშიას, ვლადიმერ ჩაკვეტაძეს, გურამ გაბუნიას, ქველი ჩხატარაშვილს, დავით მუსხელიშვილს და სხვა მკვლევარებს.

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისით, „სამოქალაქო ალბათ, ქუთაისის სანახებს ეწოდებოდა“[1], ხოლო კორნელი კეკელიძის აზრით, ქვემო იმერეთს[2].

სიმონ ჯანაშიას მოსაზრებით, „სამოქალაქო“ არის „მუხირიზისის“ („მუხურისის“) ძველი ქართული სახელწოდება. ს. ჯანაშია თვლის, რომ „სამოქალაქოში“, რომელიც დიდ რაიონს მოიცავდა, „მთლიანად ან ნაწილობრივ“ აგრეთვე, „აბაშისა და გეგეჭკორის (მარტვილის) რაიონებიც შედიოდა“[3].

ვლადიმერ ჩაკვეტაძის აზრით, „სამოქალაქო, ხოლო უფრო ადრე მოხსრისი, ქუთაისის სანახებს, ქუთაისის ირგვლივ, მის ახლომახლო მდებარე მიდამოებს ეწოდებოდა. და არ მოვეპოვება საკმაო საფუძველი ვიფიქროთ, რომ მასში თანამედროვე სამეგრელოს საზღვრებში შემავალი რომელიმე რაიონის, კერძოდ, აბაშა-მარტვილის (გეგეჭკორის,) მიწა-წყალი, თუნდაც ნაწილობრივ, ყოფილიყო გაერთიანებული“[4]. საბოლოოდ, აღნიშნულ საკითხზე ვლადიმერ ჩაკვეტაძე ასკვნის: „არსებობს სათანადო საფუძველი დავასკვნათ, რომ ქუთაისის ახლოს, მის ირგვლივ მდებარე, ბუნებრივად შემკობილი და სასოფ-

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 47.

[2] История и восхваление вседержителя. Грузинский текст перевел. предисловием и примечаниями снабдил К. С. Кекелидзе, Тб., 1954, გვ. 105.

[3] ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა; ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 320.

[4] ვ. ჩაკვეტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

ლო მეურნეობის შესაბამისი დარგებით დაწინაურებული მრავალი დასახლებული ადგილი, მათ შორის მაღლაკი, ფარცხნაყანევი, გეგუთი, წყალტუბო, ქვიტირი, მესხეთი, ვარციხე, საბანელა, წყალწითელა, კვაბჭირი, გოდოგანი, გელათი, კურსები, ზარათი ოფურჩხეთი, ბანოჯა, ნამოხვანი და სხვა არაერთი სოფელი, რომლებიც ქუთაისს ეკვრიდნენ, „ქუთაისის სამოქალაქოს“ ეკუთვნოდნენ და ქუთაისის აღკვლიდამოებს წარმოადგენდნენ, ისინი სხვადასხვა დროს მეტნაკლებ, ერთიმეორისაგან რამდენადმე განსხვავებულ, მაგრამ ყოველთვის დიდ როლს ასრულებდნენ ქუთაისის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორც ამ უძველესი ქალაქის განუყოფელი ერთეულები. ავჭარები, აგარაკები, დაბები.

ამდენად, ქუთაისის წარსული საერთოდ და კერძოდ მისი სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება, ბუნებრივია, განხილულ უნდა იქნეს მის მიდამოებთან, მის სანახებთან განუყრელ კავშირში, მათთან მთლიანობაში“[5].

„ქუთაისის ქვეყანის“ საკითხი საგანგებოდა აქვს განხილული გურამ გაბუნიას, რომლის დასკვნები აღნიშნულ საკითხზე გამოქვეყნებულია საშეცნიერო სესიის „მასალებში“. ეს დასკვნები არის იმ მოხსენების ანოტაცია, რომელიც მან წაიკითხა 1979 წელს გაერთიანებულ საშეცნიერო სესიაზე მარტვილში.

„ქუთაისის ქვეყანა“, წერს გურამ გაბუნია, ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქართული ქვეყანაა („ქუეყანა“). იგი დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა და ტერიტორიულად თითქმის მთლიანად შიდა კოლხეთის, ახლანდელი ქვემო იმერეთის (შუა რიონისპირეთი) მიწა-წყალს შეიცავდა. გვიანდელ ხანაში „ქუთაისის ქვეყანა“ ართგვეთთან (აწინდელი ზემო იმერეთი) ერთად ისტორიული იმერეთის წარმოქმნას დაედო საფუძვლად“[6].

ვ. გაბუნია ისევ უბრუნდება „ქუთაისის სამოქალაქოს“ საზღვრების საკითხს. საგანგებოდ განიხილავს და წერს: „ქუთაისის ქვეყნის“ საზღვრების ზუსტი განსაზღვრა მისი ხშირი ცვალებადობის გამო საკმაოდ რთული საქმეა. სრულად „ქუთაისის ქვეყნის“ საზღვრები, მისი ტერიტორიის მაქსიმალური ზრდა-განვითარების ხანაში, დაახლოებით ასე წარმოგვიდგება:

---

[5] ვ. ჩაკვეტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116—117.

[6] გ. გაბუნია, „ქუთაისის ქვეყანა“ უძველეს ხანაში. იხ. გეგეჭკორის სესიის „მასალები“, 1979, გვ. 38.

დასავლეთით: მდინარე ცხენის წყალი, რიონ-ცხენისწყლის ხეობის (შემდეგდროინდელი „საჭილაო") დასავლეთი ნაწილის თანჩათვლით, აქ, ამ [illegible] მყარ საზღვარზე მას „ეგრისი" (ქყონდიდითურთ") ჟსაზღვრებოდა.

აღმოსავლეთით: ადრე, სწორედ დიმნა-შორაპან-სკანდეს ძველ სასაზღვრო ხაზზე გადიოდა უაღრესად რთული და მერყევი ხასიათის გამყოფი მიჯნა ისტორიულ „არგვეთთან" (ხემო იმერეთი).

ჩრდილოეთით (და ჩრდილო-აღმოსავლეთით): მაღალმთიანი ხვამლისა და ნაქერალას ქედის სამხრეთი ფერდობების ძირში გამავალი საზღვარი რაჭა-თაკვერისაგან მიჯნავდა.

სამხრეთით: მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე გამავალ ხაზს იქეთ „ქუთაისის ქვეყანა", „სამცხეს", ხოლო სამხრეთ-დასავლეთით „გურიას" ემეზობლებოდა"[7].

შემდეგ გ. გაბუნია საგანგებოდ ჩერდება „ქუთაისის ქვეყნის" შემადგენელ ნაწილებზე და აღნიშნავს, რომ ამ „ქვეყნის" საზღვრები მართალია ხშირად იცვლებოდა, მაკრამ ძირითადად ის სამი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი — ქალაქი ქუთაისი, „ქუთაისის ქვეყნის" ცენტრი, მისი უპირველესი განმსაზღვრელი ნაწილი, მეორე საკუთრივ „ქუთაისის სამოქალაქო" (ქუთაისის, ბაშის, „მუხურისის, ვარდციხის მოწამეთის, გელათის, გეგუთის, აჯამეთის ზონა, ვიდრე მდ. გუბისწყლამდე) — „ყოველი სამოქალაქოს" ცენტრალური და წამყვანი ნაწილი. და მესამე „სამოქალაქო", „ყოველი სამოქალაქო" (სრულიად ქუთათისის ქვეყანა")—მთელი საქართველოს ერთერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქვეყანა[8].

„ქუთაისის ქვეყნის" საკითხს უკავშირდება „ქუთაისის საერისთავოს" საკითხი. „ქუთაისის საერისთავო" კი, ვახუშტის ცნობის თანახმად, ლეონ აფხაზთა მეფის დროს ჩატარებულ ადმინისტრაციულ რეფორმას უკავშირდება. ვახუშტის მიხედვით, ლეონმა „დასუა ქუთათისს ვაკის ოკრიბისა და ხანისწყლის დასავლეთისა გურიამდე და რიონის დასავლეთით ცხენის-წყლამდე"[9]. იგივე ვახუშტი იმერეთის სამეფოში „ვაკის საზღვრის" აღწერისას ამბობს, რომ „პირველად იყო საერისთაო ციხე-გოჯისა და შემდგომად იქმნა ქუთათისისა, ოკრიბისთანა. აწ ესეცა პირველ სადროშო"[10]. ხოლო ოკრიბის საზღვრის აღწერისას

---

[7] იქვე, გვ. 47.

[8] გ. გაბუნია. დასახ. ნაშრომი. გვ. 47—48.

[9] ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 796.

[10] იქვე, გვ. 774.

აღნიშნავს: „ესე ოკრიბა რიონის აღმოსავლეთი პირველად იყო არგუეთისა, და დასავლეთისა ნაქალაქევის (ე. ი. ციხე-გოჯის, მ. ლ.) საერისთაოსი, შემდგომად იქმნა ქუთათისის საერისთაოსი“[11].

აღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ ლეონის მიერ ქუთაისის საერისთავო ძველად არსებული ისტორიულ-გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული ერთეულის ბაზაზე შეიქმნა.

დ. მუსხელიშვილის აზრით, „ქუთაისის სამოქალაქო“ ადრინდელი ქუთაისის საერისთავოს გვიანდელი შესატყვისი უნდა იყოს. „ქუთაისის სამოქალაქო“ მისი ვარაუდით ან ქალაქის მიმდგომი ქვეყანაა, ან ის ტერიტორია, სადაც მრავალი ქალაქი, სავაჭრო-სახელოსნო დასახლებაა, ე. ი. ეკონომიკურად ძლიერ დაწინაურებული რაიონია, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს პირველმნიშვნელობასაც“[12].

თავის მხრივ „ქუთაისის სამოქალაქოს“ წარმოქმნას დ. მუსხელიშვილი VIII ს-ის პირველ ნახევართან (შეიძლება უფრო ადრეულ ხანასთანაც) აკავშირებს და თვლის, რომ ის „მოიცავდა ვაკე იმერეთს, ოკრიბასა და ხანისწყლის დასავლეთ მხარეებს გურიამდე (გვიანფეოდალური ხანის საჩხერეიძო, საჩინო-სალომინაო-საჩიჯავაძო და საჯავახო), იგი შეიქმნა ძველი ეგრისის ერთ-ერთი საერისთავოს, ანუ ვახუშტისეული ციხე-გოჯის საერისთავოს, ანუ რაც იგივეა „ქართლის ცხოვრებისეული“ შიდა ეგრისისა და სვანეთის საერისთავოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილისა და ძველი არგვეთის სამთავროს დასავლეთ პროვინციების ხარჯზე“[13].

ეს „ქუთაისის სამოქალაქო“ აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის დროისათვის უნდა ყოფილიყო არა საერისთავო ქვეყანა, არამედ „აფხაზთა მეფის“ დომენი“[14]. ქუთაისის საერისთავო აფხაზთა მეფეების დომენი უნდა გამხდარიყო ალბათ მას შემდეგ, რაც აფხაზთა მეფეებმა სიძობით (დინასტიური ქორწინებით) დაიმკვიდრეს ქუთაისის ტახტი, მანამ კი, ის ქართლის ერისმთავართა (მეფეთა) დომენი იქნებოდა. შემდეგ ეს ქვეყანა ერთიანი საქართველოს მეფეთა დომე-

---

[11] იქვე, გვ. 775.

[12] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980, გვ. 150; იხ. აგრეთვე ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული ფეოდალური სანბედრო ორგანიზაციის ისტორიიდან. მაცნე, ისტორიის სერია, 4, 1971, გვ. 133—139.

[13] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148—149.

[14] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134—135; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

ნი გახდა, საიდანაც გამოდიოდა სამეფო ლაშქარი[15]. ეს არის „ქუთათისის სამოქალაქოს ლაშქარია“[16], რომელიც მეფე ბაგრატ IV „მოიყვანა“ ქუთაისში რომ მივიდა, საიდანაც თბილელ ბერთა მიწვევით თბილისს მიეშურებოდა, და იგივე „შიდა სპაა“, რომლითაც დავითმა ქუთაისიდან ტაოს ილაშქრა[17].

როგორც ვნახეთ, საკითხი „ქუთაისის ქვეყნის საზღვრების შესახებ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. როგორც მართებულადაა აღნიშნული საკითხის სპეციალურ ლიტერატურაში, ეს ალბათ იმითიცაა გამოწვეული, რომ დროთა ვითარებაში ეს საზღვრები ცვალებადობას განიცდიდა, მაგრამ მის ვიწრო ფარგლებში ის, ჩანს, ისევ წარმოდგენილი, როგორც ზემოთ გვაქვს მოყვანილი.

ქუთაისის ქვეყანა ეს არის ქალაქი თავისი აგარებით. ასეთი აგარები შუა საუკუნეებში ყველა ქალაქს ჰქონდა, ასეთი აგარების გარეშე შუასაუკუნოვან ქალაქს არსებობა არც შეეძლო.

ქუთაისი თავისი აგარებით დასავლეთ საქართველოს და მთლიანად საქართველოსათვისაც მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ის პარალელი, რასაც გ. გაბუნია ავლებს „ქუთაისის სამოქალაქოსა“ და შიდა ქართლს შორის. ის წერს: „ქუთაისის ქვეყანა“ თავისი მნიშვნელობითა და „დანიშნულებით“, შიდა ქართლის (შუა მტკვრისპირეთის არმაზის, მცხეთის, ურბნისის, უფლისციხის, ტფილისის, ნაჭარმაგევის, ატენის, გორის, მუხრანის ზონა) შემდეგ, და მასთან ერთად, წარმოადგენდა სრულიად საქართველოს ერთ-ერთ სასიცოცხლო მნიშვნელოვან ეროვნულ-ისტორიულ ცენტრთაგანს“... და შემდეგ, „თუ ჩვენის და ხალხის მთელ ისტორიულ თავგადასავალს, გაცვეთილი სტერეოტიპების გარეშე, ერთადერთი სწორი და უტყუარი „საფას-საზომით“ — ჰეშმარიტი „ისტორიზმის“ პოზიციებიდან, მთლიანობაში, თუნდაც რეტროსპექტულად გავიაზრებთ და შევაფასებთ აშკარად დავინახავთ შემდეგს:

საქართველოს თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ქართული მსოფლიოს „მეთაურის პოსტზე“ მხოლოდ ეს ორი ტრადიციული ცენტრი: „შიდა ქართლი“ და „ქუთაისის ქვეყანა“ ენაცვლებოდა (თუ „ეცილებოდა“) ერთმანეთს, და ეს მონაცვლეობა ყოველთვის ყოველგვარი შინაგანი ძალდატანების გარეშე ხდებოდა ხოლმე. ჩვენი სამშობლოს რომელიც განებავთ სხვა რეგიონი ასეთსავე ფუნქციას არ

---

[15] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრომი.

[16] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299.

[17] დავითის ისტორიკოსი, იქვე გვ. 333.

ალრულებდა“ (ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევია, ოღონდ მცირეოდენ დაზუსტებას მოითხოვს „შიდა ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიული ფარგლების განსაზღვრა).

ქუთაისის და მისი შემოგარენის სოფლებში („ქუთაისის ქვეყანაში“) განვითარების მაღალ დონეზე იდგა სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი. ამ სოფლების სამეურნეო სახე კარგად ჩანს მაგ., დეკანოზ იაკობის მიერ გელათის მონასტრის, სახელდობრ ხახულის ღვთისმშობლის ხატისათვის ქუთაისის ქვეყანაში მყოფი სოფლების, მაღლაკის, ფარცხანაყანევის, ზარათის გლეხებისათვის დაკისრებული ვადასახადიდან მონასტრის სასარგებლოდ. ამ გადასახადის ნუსხიდან ჩანს, თუ მეურნეობის რა დარგები იყო განვითარებული ამ სოფლებში. გლეხები ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ: ღვინო, იფქლი, ფეტვი, ქვრიმი, ღომი, ზეთი, ავრეთვე საგანგებო გადასახადი „თეთრი საყაპობო“ ანუ მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებული საგანგებო ფულადი გადასახადი.

ამავე რიგის ცნობები დაცულია გელათის მონასტრისადმი თამარ მეფის და მეფე დავით ნარინის და თამარ დედოფლის მიერ ბოძებულ სიგელებში. მათში მოცემულია ცნობები „ქუთაისის ქვეყნის“ სოფლებში მევენახეობისა და მებაღეობის, მარცვლეული კულტურების, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, მებოსტნეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების შესახებ, უკეთ რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობის იმ დარგების განვითარების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქალაქის სამეურნეო ცხოვრებაში[18].

მართალია მწირი, ზოგჯერ არაპირდაპირი, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი ცნობები არსებობს ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ქუთაისის ხელოსნური წარმოების შესახებ.

ის გარემოება, რომ ქუთაისსა და მის შემოგარენში VIII — XII საუკუნეებში დიდი სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა, აშენებდნენ ეკლესიებს, დიდი რაოდენობით საკულტო ნაგებობებს, საერო-სამოქალაქო დანიშნულების ძეგლებს, სასახლეებს, გაყავდათ გზები, აგებდნენ ხიდებს, ციხე-სიმაგრეებს, საფორტიფიკაციო ნაგებობებს, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისსა და მის შემოგარენში განვითარების მაღალ დონეზე იდგა სამშენებლო ხელოსნობის მრავალი დარგი. მშენებელთა მაღალ პროფესიულ დაოსტატებაზე კარგად მეტყველებს მშენებლობის მაღალი ხარისხი.

---

[18] ვ. ჩაკვეტაძე, დასახ. ნაშრომი, 271 და სხვ.

როგორც ცნობილია, ქართველი ოსტატები, სამწუხაროდ არ გვნებივრებდნენ მემკვიდრეებს, იჩენდნენ ალბათ ზედმეტ თავმდაბლობას და მათ მიერ აგებულ ძეგლებზე არ წერდნენ თავის სახელებს. ამიტომაა, რომ იმ ქართველ მშენებელთა სახელები, რომელთა მოღვაწეობასთან ბევრი ძეგლის აგებაა დაკავშირებული, ჩვენ ძალიან იშვიათად შემოგვრჩა. ერთ-ერთი ასეთი მშენებლის სახელი შემოგვინახა ქუთაისის მწვანეყვავილას ეკლესიის წარწერამ. ამ წარწერის შემორჩენილი ფრაგმენტი გვაუწყებს, რომ ეს ეკლესია აგებულია გაბრაძს ხელით, ე. ი. მწვანეყვავილას ეკლესიის ამშენებელი ოსტატი არის ვინმე გაბრა[19].

„ქუთაისსა და მის მიდამოებში, როგორც საკულტო, ისე საერო დანიშნულების ძეგლების აგება ქვის მასალით, ასევე მათი შემოსვა-შემკობა მაღალი ხარისხით დამუშავებული გათლილი ქვით, — წერს ვ. ჩაკვეტაძე, — იმის მატერიალურად დადასტურებას წარმოადგენს, რომ ქუთაისსა და მის სანახებში განვითარების მაღალ დონეზე იდგა ქვის დამუშავების ხელოვნება და რომ აქ შრომით საქმიანობას ეწეოდნენ ხელოსნობის ამ დარგს დაუფლებული მრავალი სპეციალისტი, ქვის მთლელი, კალატოზი („ქვით ხუროო“) ქვის მომჭრელ-მომტეხი („ქვით მკვერავი“) და სხვ“[20].

ხელოსნობის დარგთაგან განვითარებული უნდა ყოფილიყო და, ჩანს, მაღალ დონეზე იდგა ქვის მოჩუქურთმების, მოზაიკის, თიხისაგან მრავალფეროვანი ნაწარმის დამზადების საქმე, რის დასტურსაც წარმოადგენს ქუთაისის ბაგრატის ტაძრის შესანიშნავად, მაღალი ოსტატობით შესრულებული რელიეფები, გელათის მაღალხარისხოვანი მოზაიკა, გეგუთის სასახლის დიდი ოსტატობით დამზადებული სამშენებლო ქვები, გეგუთსა, ქუთაისსა და გელათში აღმოჩენილი წყალსადენის თიხის მილები, მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა ზომის ქვევრები და სხვა კერამიკული ნაწარმი.

„ქუთაისის კათედრალის და გელათის ტაძრის მოხატვა, — წერს ვ. ჩაკვეტაძე, — ხახულის ხატის განთქმული სახატისა და ჰედური ხელოვნების სხვა ძვირფასი ძეგლების შექმნა, მოოქვრა, შემკობა ძვირფასი (პატრონსანი) ქვებით, გელათის მთავარი ტაძრის უნიკალური მოზაიკური მხატვრობის შესრულება, აქვე ორიგინალური თუ ნათარგმნი წიგნის ეტრატზე (ტყავზე) გადაწერა-დაწერა, მათი შემკობა-გაფორმება თუ სხვა ფაქტები იმის ჭეშმარიტი დადასტურებაა, რომ

[19] ლაპიდარული წარწერები, II. გვ. 150.

[20] ვ. ჩაკვეტაძე, მით. ნაშრომი, გვ. 121.

ქუთაისში, კერძოდ მეფის კარზე და მონასტერთან მოღვაწეობას ეწეოდნენ ფერწერის სახელოვანი ოსტატები, მხატვრები, ოქრო-ვერცხლის მჭედელნი, ძვირფასი ქვის მოხელენი (მებრილიანტენი), მხატვარ-მოზაიკოსები, წიგნის გადამწერ-მომხატველნი, ამკინძველნი, ეტრატის დამამზადებელნი და სხვა დარგების ხელოსანი-სპეციალისტები"[21].

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქუთაისში, გაერთიანებული საქართველოს მეფეთა კარზე „მწერალთა ზედა მთავრის" თანამდებობის არსებობა. ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიაში დაცულ ერთ ცნობას. სახელდობრ, ვიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ როდესაც ის სახულის მონასტერში მიიყვანეს, მას იქ დახვდნენ მონასტრის მოღვაწეები, მამამისის იაკობის ძმები, რომელთაგან „უხუცესისა მის სახელი (იყო) გიორგი მწერალი, რომელი ყოფილ იყო მწერალთა ზედა მთავრად კურაპალატისათა"[22]. როგორც ნ. ბერძენიშვილი ასკვნის, აღნიშნული ცნობის ანალიზის საფუძველზე, საქართველოს სამეფო კარზე „კურაპალატს შეუქმნია მთელი დასი წიგნების გადამწერთა"[23]. წიგნების გადამწერთა ეს მთელი დასი და გიორგი მწერალი, ჩანს, ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III კურაპალატის კარზე მოღვაწეობდა.

ქუთაისსა და მის შემოგარენში აღმოჩენილი მონეტები უძველესი დროიდან აშკარას ხდის და ადასტურებს ქუთაისის მნიშვნელობას იმ დიდ სავაჭრო ურთიერთობებში, რაც საქართველოში არსებობდა მთელი მისი ისტორიის მანძილზე.

ამჯერად უნდა შეეჩერდეთ იმ ქართულ და უცხოურ მონეტებზე, რომელნიც აღმოჩენილა ქუთაისსა და მის შემოგარენში, თარიღდება X — XIII სუკუნეებით და რომელთა მოჭრა ქუთაისშია სავარაუდო.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ, როდესაც ქუთაისი ერთიანი ქართული შუასაუკუნოვანი სახელმწიფოს დედაქალქი იყო, ბუნებრივია, ვივარაუდოთ ქუთაისში ზარაფხანის არსებობა. მხოლოდ ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობა არსებობს, რადგან, სამწუხაროდ,

---

[21] ვ. ჩაკვეტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

[22] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 282; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II.

[23] შ. მესხია, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XII სს. ქართულ ეონასტრებში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, „მიმომხილველი", I, თბ., 1949, გვ. 71.

მონეტის მომჭრელი ზარაფხანის ადგილსამყოფელი ამ მონეტებზე აღბეჭდილი არ არის.

ქუთაისის ერთიანი საქართველოს დედაქალაქად ყოფნის მანძილზე (978—1122 წწ.) გვაქვს ქართველ მეფეთა: ბაგრატ III-ის (975—1014 წწ.), ბაგრატ IV-ის (1027—1072 წწ.), გიორგი II-ის (1072—1089 წწ.) და დავით IV აღმაშენებლის მიერ მოჭრილი მონეტები. არ გაგვაჩნია გიორგი I-ის (1014—1027 წწ.) დროს მოჭრილი მონეტა. თუ რატომ, ძნელი სათქმელია, მეფე გიორგი I-ს ან არ მოუჭრია მონეტა, ან მის დროს მოჭრილმა ქართულმა მონეტამ არ მოაღწია ჩვენამდე. უფრო მეტად გასაკვირებელი მეორე ვარაუდი უნდა იყოს. რაც შეეხება დავით IV აღმაშენებლის მიერ მოჭრილ მონეტებს, ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ დედაქალაქის ჯერ კიდევ ქუთაისში ყოფნის დროსაა მოჭრილი. თბილისში დედაქალაქის გადმოტანის შემდეგ მეფე დავითმა სამი წელი იცოცხლა. ცხადია, არ არის გამორიცხული, რომ ამ სამი წლის მანძილზე მას თბილისშიც მოეჭრა მონეტები. მაგრამ აქ ერთი საკითხი დგება. 1122 და 1123 წლებში მოჭრილ მონეტებზე, მის ზედწერილებზე საქართველოს მეფის ტიტულატურაში ცვლილება არ უნდა იყოს მოსალოდნელი, მაგრამ 1124 და 1125 წლის დასაწყისში მოჭრილ მონეტებზე (თუ ამ დროს მან მონეტა მოჭრა), ცვლილება უნდა იყოს სამეფო ტიტულატურაში. 1125 წელი ალბათ უნდა გამოვრიცხოთ, რადგან მეფე დავითი იანვარში (25 იანვარს) გარდაიცვალა, მაგრამ 1124 კი თბილისში მონეტის მოჭრის შესაძლებლობა სრულიად რეალურია.

1124 წელს მეფე დავითმა დაამთავრა ბრძოლა შარვანსათვის შარვანისათვის ბრძოლა ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობდა და დავითის ისტორიკოსი არაერთხელ უბრუნდება ამ ამბებს, მაგრამ 1124 წელს ეს ბრძოლა საბოლოო ფაზაში შევიდა. 1124 წელს საქართველოს ლაშქარმა შეუტია „შაბურანს", დარუბანდელთა"[24]. ხოლო შემდეგ აიღო „შარვანის ციხენი ღასანნი და ხაზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა"[25]. იმავე 1124 წელს მეფე დავითი განაგრძობს ბრძოლას შარვანისათვის, „წარემართა შარვანს და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი". და ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მეფემ აიღო „სრულად ყოველი შარვანი"[26]. ამგვარად, სრულად ყოველი შარვანის აღება, ე. ი. შარვანი-

[24] დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344.
[25] იქვე.
[26] იქვე.

სათვის ბრძოლის დასრულება 1124 წლის აპრილში, დარუბანდისათვის ბრძოლის შემდეგ ხდება[27]. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეფე დავითი ამავე დროს იბრძვის სომხეთისათვისაც. 1124 წლის მაისში მან დაიკავა სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, 1124 წლის 20 აგვისტოს მეფე დავითთან „მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოაჴსენეს მოცემა ქალაქისა“[28]. ასე რომ, 1124 წლის აგვისტოსათვის შარვანისა და სომხეთის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ასე თარიღდება შარვანის პრობლემის, მისი შემოერთებისათვის ბრძოლის დამთავრების ამ ეტაპზე, რადგან დავითის ისტორიკოსი სომხეთისა და შარვანის შემოერთების საკითხზე ერთდროულად მსჯელობს[29].

ამდენად, მეფე დავით აღმაშენებელს დედაქალაქის თბილისში გადმოტანის შემდეგ, 1124 წლის აგვისტოდან გარდაცვალებამდე რომ მოეჭრა მონეტა, მაშინ ის მასზე თავის ტიტულატურაში „მეფე სომეხთას“ შემდეგ მოათავსებდა ტიტულებს: „შაჰანშა“ და „შარვანშა“, რომელნიც საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში მეფე გიორგი III-ის სიგელში გვხვდება. ეს ტიტულები, რასაკვირველია, ამ ქვეყნების (სომხეთის და შირვანის) შემოერთების შემდეგ უნდა გაჩენილიყო, მაგრამ მათ პირველად მხოლოდ გიორგი III-ის სიგელში ვხვდებით.

მთელი ეს ვრცელი მსჯელობა იმისათვის მოვიყვანეთ, რათა ვივარაუდოთ, რომ მეფე დავით აღმაშენებლის ჩვენს ხელთ სადღეისოდ არსებული მონეტები, დედაქალაქის თბილისში გადმოტანამდეა მოჭრილი. თუმცა, რასაკვირველია, არაა გამორიცხული, რომ დავით მეფეს დედაქალაქის თბილისში გადმოტანისთანავე მოეჭრა მონეტა თბილისში, ამ დიდად მნიშვნელოვანი ფაქტის განხორციელებისთანავე აღედგინა აქ დიდი ხნით შეწყვეტილი ქართული მონეტის მოჭრის ტრადიცია. ეს არც ისე ძნელი უნდა ყოფილიყო, რადგან არაბთა მფლობელობის მთელ მანძილზე, როგორც ცნობილია, თბილისში ზარაფხანა მოქმედებდა.

ერთიანი საქართველოს პირველი მეფეების სახელით მოჭრილი მონეტების განხილვისას ერთი საკითხი დგება. იმ მონეტაზე, რომელ-

---

[27] ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში: კრ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 35—63.

[28] დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344.

[29] ვ. ლორთქიფანიძე, საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 242—245.

საც მკვლევართა ნაწილი მეფე ბაგრატ III-ს მიაწერს, მეფის სახელი მითითებული არ არის. მართალია, მონეტის ტიპის დროის განსაზღვრით ე. პახომოვმა და დ. კაპანაძემ ის მეფე ბაგრატ III-ის მიერ მოჭრილად მიიჩნიეს[30], მაგრამ დ. ლანგმა, ამ ტიპის ერთ-ერთ მის მიერ გამოქვეყნებული მონეტის ზურგზე წაიკითხა მომჭრელი ზარაფხანის დამახინჯებული სახელი, რაც მან „ტიფლიზ"-ად გაიაზრა[31]. თუ გავიზიარებთ დ. ლანგის მოსაზრებას, და, ამასთანავე, ანგარიშს გავუწევთ შ. მესხიას ვარაუდს ამ სამონეტო ტიპის იდენტიფიკაციის შესახებ[32], მაშინ უარი უნდა ვთქვათ ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისში მონეტის მოჭრის ვარაუდზე. ამასთანავე, არა გვაქვს რა ხელთ მეფე გიორგი I-ის მიერ მოჭრილი მონეტა, უნდა ვთქვათ, რომ რეალურად, ქუთაისის დედაქალაქობის დროს, ერთიანი საქართველოს მეფეთა მიერ მოჭრილი გვაქვს მეფე ბაგრატ IV-ის, მეფე გიორგი II-ის და დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრილი მონეტები. მართალია, როგორც უკვე აღინიშნულია, ამ მონეტებზე მოჭრის ადგილი მითითებული არ არის, მაგრამ, ალბათ გასაზიარებელია, რომ ეს მონეტები ქუთაისში, სამეფოს დედაქალაქში უნდა იყოს მოჭრილი.

ფულადი მიმოქცევის აქტივობაზე საქართველოში არაბთა მფლობელობის მთელი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, თბილისში ზარაფხანის არსებობა და უწყვეტლივ მონეტათა მოჭრის ფაქტიც მეუთითებს. X საუკუნეში თბილისში ფულს აქ მსხდომი არაბი ამირები ჭრიდნენ. ასე რომ, ერთიანი საქართველოს პირველივე მეფეების მიერ საკუთარი მონეტის მოჭრა სრულიად კანონზომიერია და ალბათ აუცილებელიც. ასევე კანონზომიერია ვარაუდი, რომ მონეტებს ერთიანი საქართველოს მეფეები თავის სამეფოს დედაქალაქში, ქუთაისში მოჭრიდნენ. ჩვენ ხელთ არსებული მეფეების ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის მონეტები უდავოდ ადასტურებს ამდროინდელ ქუთაისში ზარაფხანის არსებობას. ამასვე ადასტურებს მეფე დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრილი მონეტებიც. სხვას რომ თავი დავანებოთ, ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებლის ერთ-ერთ მონეტაზე არის მისი ტიტული „მეფე სომეხთა", აშკარა დადასტურებაა იმისა, რომ მონეტა მოჭრილია 1118 წელს სომეხ

---

[30] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ. 1955, გვ. 50

[31] D. Lang, Studies in the Numismatic History of Georgian in Transcaucasia New York, 1955, გვ. 18—19.

[32] შ. მესხია ვარაუდობს, რომ ეს თბილისის საქალაქო თვითმმართველობის მიერ მოჭრილი მონეტა შეიძლება იყოს. იხ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში; შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, I, 1982, გვ. 258—261.

კვირიკეანთა დედაქალაქის დორეს აღების შემდეგ, რაც სწორედ ქუთაისის დედაქალაქობის ხანაში ხდება.

დედაქალაქის თბილისში გადატანის შემდეგ, ბუნებრივია, რომ საქართველოს მეფეებს თავისი მონეტები თბილისში მოეჭრათ, სადაც ზარაფხანა დიდი ხანია არსებობდა.

მაგრამ ერთიანი საქართველოს არსებობის დროსაც, გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში, ჩანს, ქუთაისში ისევ იჭრებოდა საქართველოს მეფეთა ფული, რაც იმის დასტური უნდა იყოს, რომ აქ ზარაფხანა ვანაგრძობს არსებობს. ასეთი ვითარება იქმნება თამარის ასულ რუსუდანის მეფობის იმ პერიოდში, როდესაც მას თბილისის დატოვება და სამეფო ტახტის ქუთაისში გადატანა მოუხდა.

ცნობილია, რუსუდანის სპილენძის მონეტა, რომლის ზურგზე მოთავსებულია არაბული ზედწერილი: „დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, შუენება ქუეყანისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისი, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი“[33]. მონეტის შუბლზე რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია ზედწერილი „რსნ“ (ე. ი. „რუსუდან“), ხოლო ჩარჩოს ცენტრალური ნაწილის ირგვლივ ბუდეში მითითებულია ქრონიკოსი აღმნიშვნელი ასოები — 447, რაც 1227 წელს უდრის. აღნიშნული ქრონიკონის საფუძველზე თ. ლომოური ასკვნის, რომ მართალია რუსთაველის ეპოქის საქართველოში ზარაფხანის ადგილმდებარეობის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა არ შეგვიძლია, მაგრამ საფიქრებელია, რომ ზარაფხანა სატახტო ქალაქში უნდა ყოფილიყო, ე. ი. დავითის მიერ თბილისის აღებამდე ქუთაისში, ხოლო ამ ამბის შემდეგ 1122 წლიდან თბილისში. 1225 წლის შემდგომ, როდესაც თბილისი ჯელალედინს ეპყრა, ზარაფხანა დროებით კვლავ ქუთაისში უნდა გადაეტანათ, აქ უნდა იყოს მოჭრილი რუსუდანის სპილენძის ფული 1227 წელს“[34]. რადგან, როგორც ცნობილია, ამ დროს მეფე რუსუდანი თავისი სამეფო კარით ქუთაისს იმყოფებოდა.

მეფე რუსუდანის მიერ მოჭრილი მონეტების შესახებ თავისი მოსაზრება აქვს გამოთქმული ქართული ნუმიზმატიკის ცნობილ მკვლევარს ევ. პახომოვს, რომელიც, აგრეთვე, ვარაუდობს, რომ ამ ტიპის

---

[33] თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 299.

[34] იქვე.

მონეტების მოჭრა თბილისში არ უნდა დაწყებულიყო და მისი გამოშვების შესაძლებელ ქალაქად ისიც ქუთაისს ასახელებს"[35].

რუსუდანის მონეტის გარდა, დ. კაპანაძე ქუთაისში ვარაუდობს ორი დავითის, დავით რუსუდანის ძისა და დავით ლაშა გიორგის ძის მიერ ერთად გამოშვებული მონეტის მოჭრას[36]. მონეტა ვერცხლისაა. მონეტის შუბლზე ორი, ერთმანეთის პირდაპირ მთელი ტანით მდგომი მეფენი არიან გამოსახულნი. მათ შორის ალამია აღმართული. გაშოსახულებიდან მარცხნივ მოთავსებულია წარწერა, რომელიც ქარავმების გახსნის შემდეგ იკითხება: „მეფე დავით", მარჯვნივ—„მეფეთა მეფე დავით". მონეტის ზურგზე ქართული დაქარაგმებული წარწერაა: „დედაჲ ღუთისაჲ"[37].

როგორც ცნობილია, დავით ნარინი 1247 — 1293 წლებში მეფობდა, ხოლო დავით ულუ 1247 — 1269 წლებში. ამ წლებიდან ისინი მთლიანად საქართველოში ერთად მეფობდნენ 1247 — 1259 წლებში, სანამ დავით რუსუდანის ძე, მონღოლებთან კონფლიქტის გამო დასავლეთ საქართველოში გადავიდოდა, ხოლო 1261 წლიდან 1264 წლებში ორივე დავითი ერთად მეფობდა დასავლეთ საქართველოში. დავით ლაშა გიორგის ძე, როგორც ცნობილია, 1260 წელს აუჯანყდა მონღოლებს და დამაცხებულმა დავით რუსუდანის ძესთან შეაფარა თავი დასავლეთ საქართველოში, სადაც ისინი ერთად მეფობდნენ დავით ლაშა გიორგის ძის მონღოლებთან მორიგებამდე და აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნებამდე. ასე რომ, მათ ერთად მონეტა შეიძლებოდა მოეჭრათ ან ერთად მეფობის პირველ პერიოდში, როდესაც ისინი მთლიანი საქართველოს მეფენი იყვნენ, ან ერთად დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს. რადგან სპეციალისტები თვლიან, რომ მათ მიერ ერთად მოჭრილ მონეტას ემჩნევა ბიზანტიურ-ტრაპიზონული მონეტის თვისებანი, ის ორი დავითის ქუთაისში ერთად მეფობის ხანაში უნდა იყოს მოჭრილი. დ. კაპანაძე ამ მონეტის გამოშვებას 1261 — 1262 წლებით ათარიღებს[38].

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ქუთაისის ფულის სამჭედლოს არსებობის შესახებ ეჭვს არ იწვევს. არ იწვევ ეჭვს ისიც, რომ სანამ ერთიანი საქართველოს

---

[35] Пахомов, Монеты Грузии, 121.

[36] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 52.

[37] იქვე.

[38] Д. Капанадзе, Так называемые «Грузинские подражания трапезундским аспрам». Византийский Временник 1950, т. III, 24. თ. აბრამიშვილი, XIII—XIV საუკუნეების დასავლურ-ქართული ფული, თბ., 1959, გვ. 40.

სამეფოს დედაქალაქი ქუთაისში იყო (978 — 1122 წწ.), ქართული ფულიც აქვე იჭრებოდა. ამასთანავე, როგორც უკვე ითქვა, საგანგებო ვითარების გამო ისევ ქუთაისშია გამოშვებული მეფე რუსუდანის მონეტათა რამდენიმე ტიპი და დავით რუსუდანის ძისა და დავით ლაშა გიორგის ძის ერთობლივი მონეტა.

ქართველ მეფეთა მიერ ქუთაისში მონეტების მოჭრა ამ პერიოდის საქართველოში ფულზე დიდი მოთხოვნილების, ე. ი. ქვეყნის აქტიური საშეურნეო ცხოვრების და სამეურნეო დაწინაურების დასტურია.

აღსანიშნავია, რომ ამდროინდელ ქუთაისში და მის შემოგარენში („ქუთაისის ქვეყანაში") მნიშვნელოვანი რაოდენობით არის აღმოჩენილი უცხოური მონეტები. ამ მონეტათა უმრავლესობა ბიზანტიურია.

ქუთაისსა და მის შემოგარენში ბიზანტიური მონეტების საკმაო რაოდენობით აღმოჩენა სრულიად კანონზომიერია, რადგან ამ პერიოდის საქართველოს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბიზანტიურ ვერცხლისა და ოქროს მონეტას საერთაშორისო ბაზარზე (ყოველ შემთხვევაში მახლობელ აღმოსავლეთში) ფართო გასავალი ჰქონდა, რაც აპირობებდა ამ მონეტების მიმოქცევას ვრცელ ტერიტორიაზე.

ქუთაისსა და მის შემოგარენში და საერთოდ ამდროინდელ დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი რაოდენობითა აღმოჩენილი რუმის სელჩუკთა სახელმწიფოს მონეტები. მაგ.: ქალაქ ქუთაისში, აგრეთვე ზვარესა და რაჭაშიც ნაპოვნია სულთან ქეი კუბად I-ის (1219 — 1236 წწ.), აგრეთვე რაჭაში ქეიხოსრო II-ის (1236 — 1245 წწ.) დირჰემები[39].

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ ქუთაისის შემოგარენში, გელათში და ქუთაისის ირგვლივ იმპერატორ მიხაილ IV-ის (1034 — 1041), თეოდორას (1055 — 1056 წწ.), ნიკიფორე III-ის (1078 — 1081 წწ.), XI — XII სს. ბიზანტიური ანონიმური მონეტების, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში (XI — XII სს.) და ქუთაისის მახლობლად აღმოჩენილ სხვა ბიზანტიურ მონეტებს[40].

---

[39] თ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, გვ. 309; ე. პახომოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44; თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური ნუმიზმატიკა, თბ., 1966.

[40] თ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131—136.

ქუთაისსა და მის შემოგარენში X — XII საუკუნეების უცხოური მონეტების აღმოჩენა, (როგორც ბიზანტიურის, ასევე სელჩუკების) ერთ-ერთი დადასტურებაა ერთიანი საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობისა გარე სამყაროსთან საქართველოს ცალკეული ერთეულების პირველსავე საუკუნეებში და სახელდობრ დედაქალაქის ქუთაისიდან თბილისში გადატანამდე. ეს ფაქტები მოწმობს აგრეთვე ქუთაისის, როგორც დედაქალაქის მნიშვნელობაზე ერთიანი საქართველოს ამდროინდელ ცხოვრებაში.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ფაქტები ქუთაისში მონეტების მოჭრისა, თუ ქუთაისში უცხოური მონეტების აღმოჩენისა, სათანადოდ არის შეფასებული სპეციალურ ლიტერატურაში. ამას უნდა დავუმატოთ და ჩვენი ცოდნა აღნიშნულ საკითხზე გავაფართოოთ ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩატარებული გათხრების შეღეგად მოპოვებული რამდენიმე ნუმიზმატიკური აღმოჩენით[41].

ბაგრატის ტაძარზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეულია: 1. X საუკუნის ორი ბიზანტიური სპილენძის მონეტა. ორივე მონეტა საკმაოდ დაზიანებულია, გამოსახულება და წარწერა ნაწილობრივ წაშლილია. ორივე მონეტის შუბლზე ხაზოვან რკალში მოთავსებულია მაცხოვრის გამოსახულება თავზე შარავანდედით. ორივე მონეტის ზურგზე მოთავსებულია ხაზოვან რკალში ჩასმული ბერძნული წარწერები: ერთ შემთხვევაში — ოთხსტრიქონიანი, მეორეში — სამსტრიქონიანი.

2. აქვე აღმოჩნდა XI საუკუნის ორი ბიზანტიური სპილენძის მონეტა. მონეტის შუბლზე — ხაზოვან რკალში მოთავსებულია ქრისტეს გამოსახულება მკერდამდე, თავზე შარავანდედით. მონეტის ზურგზე წერტილოვან რკალში ოთხსტრიქონიანი ბერძნული წარწერა. ეს მონეტა კარგადაა შენახული. იმავე ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე 1987 წელს ნაპოვნი მეორე ბიზანტიური სპილენძის მონეტა, XI საუკუნის, შედარებით ცუდადაა დაცული, კიდეები აქვს დაზიანებული. მონეტის შუბლზე, ცენტრში მოთავსებულია კეისრის გამოსახულება პირდაპირ, მთელი ტანით. თავზე ადგას თვლებით მოჭედილი სამეფო სტემა, რომლის ორივე მხრიდან ჩამოშვებულია თითო ტოტი. ტანზე თვლებით შემკული ძვირფასი სამოსი აცვია.

---

[41] ამ მასალით სარგებლობისათვის, უკეთ. რომ ვთქვათ ამ მასალის სათანადო აღწერილობა-გაშიფრვით გადმოცემისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ექსპედიციის ხელმძღვანელობას.

შარჯვენა ხელში მოკლებუნიანი ლაბარუმი უჭირავს. მარცხნივ დამ-
ღის ვამოსახულებაა, ზემოთ კი ბერძნული ასო „ ზურგზე ქრის-
ტეს გამოსახულებაა პირდაპირ. თავზე შარავანდედი ადგას. ტან-
ზე შემოსილია კვართით. მკერდზე სახარება აქვს მიდებული.

იმავე ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია სპილენძის მონეტა, კიდეებჩამოტეხილი. მონეტა მეფე გიორგი III-ს ეკუთვნის. მონეტის შუბლზე ცენტრში მოთავსებულია ფეხმორთხმით მჯდომი მეფე გიორგი III-ის გამოსახულება. ტანზე სამეფო ტანსაცმელი აცვია. თავზე ჯვრის გამოსახულებიანი გვირგვინი ახურავს, მარჯვენა ხელზე შევარდენი უზის, მარცხენა ძირს აქვს დაშვებული. მარცხენა მკლავთან მოთავსებულია მხედრული წარწერა „იგი“ ზურგზე—წერტილოვან რკალში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი აქვს: „მეფეთა მეფე, გიორგი, ძე დავითისი, მეფისის მახვილი“.

არქეოლოგიური გათხრების დროს ბაგრატის ტაძრის მიდამოებში ნაპოვნია, აგრეთვე, ორი არაბული მონეტა.

ერთი სპილენძის მონეტა ნაპოვნია X—XII საუკუნეების ფენაში. არაბულად ივარაუდება ზედწერილის გამო (?), რომელიც მოთავსებულია მის ერთ გვერდზე. მეორე გვერდი მთლიანად გადაშლილია.

აქვე ნაპოვნია IX—X საუკუნეების არაბული სპილენძის მეორე მონეტაც. მონეტა დამსხვრეულია, რესტავრაციამდე წარწერის ამოკითხვა არ ხერხდება. ამგვარი მონეტა მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში კიდევ ერთი ცალია.

ამგვარად, ქუთაისთან დაკავშირებული ნუმიზმატიკური მასალა აშკარას ხდის: რომ ქუთაისში, საქართველოს გაერთიანების შემდეგ, როდესაც მან დაიმკვიდრა ერთიანი საქართველოს სამეფოს დედაქალაქის სტატუსი, საქართველოს მეფეთა სახელით იჭრებოდა ქართული ფული.

ამასთანავე, ქუთაისში და მის შემოგარენში ნაპოვნია IX—XIII საუკუნეების ბიზანტიური, არაბული, სელჩუკური მონეტები, რაც ამ პერიოდის საქართველოს ურთიერთობის დამადასტურებელია ამ ქვეყნებთან და საკუთრივ ქუთაისის როლისა და მნიშვნელობის მიმანიშნებელია სამეფოს ცხოვრებაში.

ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაბული მონეტების არაბულ-თბილური (?) სპილენძის ფულების აღმოჩენას ქუთაისში.

პირველ რიგში საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ თუ არ ვცდებით, არაბულზედწერილიანი მონეტების აღწერილობაში უზუსტობა უნდა იყოს. თუ ეს მონეტები სპილენძისაა, და როგორც ჩანს სპილენძისაა, მაშინ ეს ორი მონეტა არის ფელსი და არა დირჰემი. დირჰემი სახალიფოში ვერცხლის მონეტის სახელწოდება იყო, ხოლო სპილენძის მონეტას ფელსი ეწოდებოდა. ასეთი სპილენძის წერილი მონეტა მთელ სახალიფოში იყო მიმოქცევაში (ასევე ჩვენთანაც). არ არის გამორიცხული, რომ ის თბილისში იყო მოჭრილი, ხომ ცნობილია, რომ არაბთა ზარაფხანა აქ მათი მთელი მფლობელობის პერიოდში მოქმედებდა. ქუთაისში ამ მონეტების აღმოჩენა იმის კიდევ ერთი დასტურია, რომ IX—X საუკუნეებში დასავლურქართულ სახელმწიფოს, აფხაზთა სამეფოს, არაბულ სამყაროსა და საკუთრივ თბილისის საამიროს შორის სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა.

მას შემდეგ, რაც ქუთაისი სამეფოს დედაქალაქი გახდა, აქ იყო მოთავსებული უმთავრესი სახელმწიფო დაწესებულებები და მათ შორის სამეფო ხაზინა, სახელმწიფო საჭურჭლე.

ქუთაისში სამეფო საჭურჭლის არსებობა უფრო ადრინდელი ხანიდან, VIII საუკუნიდანაც შეიძლება ვივარაუდოთ; სახელდობრ, როდესაც არჩილის მემკვიდრეები დასავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ, მათ აქ გადმოიტანეს თავისი საჭურჭლე.

თუ სწორია ჩვენი ვარაუდი, რომ ქუთაისი ეგრისის დედაქალაქი იყო ჯერ კიდევ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებამდე, აფხაზთა სამეფოს შექმნამდე, მაშინ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ აქ მაშინ (ქუთაისის ეგრისის დედაქალაქობის ჟამს) სამეფო ხაზინა (მისი ნაწილი) იმყოფებოდა. ასეთი ვარაუდის საფუძველს წერილობითი წყაროების მინიშნებანიც ადასტურებს.

ქართული წერილობითი წყაროების ცნობით, რომელთაც ალბათ უნდა ვენდოთ, როდესაც ქართლის ერისმთავართა სახლის შვილნი არჩილ და მირ არაბთა შემოსევების ვითარებაში არსებული ძნელბედობის პირობებში ანაკოფიის ციხეში იყვნენ გამაგრებულნი მურვან ყრუს მოსალოღნელი თავდასხმისაგან თავდასაცავად, არჩილმა უთხრა მირს: რადგან არ არის გამორიცხული დამარცხება და მტრის ხელში ჩავარდნა, უნდა ვიცოდეთ, რომ დამპყრობნი მოგვთხოვენ სახელმწიფო საგანძურს, რომელიც სხვადასხვა ადგილებშია დაფლული. ნიშანდობლივია, რომ ეს საგანძური შემთხვევით ადგილებში კი არაა მოთავსებული, არამედ სამეფო რეზიდენციებში. მაგ.: უჯარმაში, ციხე-გოჯში, ქუთაისში. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ამ

განძის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი სახელდობრ, სამეფო გვირგვინები, სწორედ ცხინვალ-გორჯას და ქუთაისშია დაფლული. „ორნი იგი გვირგვინნი, ოქროსა და ანთრაკისანი: ერთი მირიან მეფისა და ერთი ვახტანგისი, ეუბნება არჩილი მირს, რომელი მოუძღუნა სპარსთა მეფემან ვახტანგს, ყოველსა თანა ოქროსა და ვერცხლისა, რომელი აჰკიდა სატჯრთავსა ხუთჯსსა და მკვირცხლსა ორიათასსა; და შენ და მამამან ჩუენმან დასდევით იგი ქუთათისს და ციხე-გორჯს“[42].

მოყვანილი ცნობა, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სწორედ იმიტომ დაიდო ეს საგანძური ქუთათისს, რომ ქუთათისი დედაქალაქი იყო. ხოლო ეს „საგანძური“, როგორც თხრობიდან და აღწერილობიდან ჩანს, სწორედ სამეფო „საჭურჭლის“ ნაწილი და ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს.

ამდენად, VIII საუკუნიდან ქუთაისში სახელმწიფო საჭურჭლის, საგანძურის არსებობა თითქოს უდავოა.

ამჯერად არ მიგვაჩნია შესაძლებლად მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდიდან, ან საკუთრივ როდის შეიძლებოდა საერთოდ მანამდეც ყოფილიყო საჭურჭლე ქუთაისში. ალბათ, ყოველთვის, მაშინ როდესაც ქუთაისი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო.

საჭურჭლე სახელმწიფოს ხაზინაა[43]. ამდენად ის იქაა, სადაც მეფეა, სადაც სამეფო კარია. აღნიშნულის საფუძველზე სრულიად რეალურია ვარაუდი ქუთაისში, მისი დედაქალაქობის დროს სამეფო ხაზინის არსებობის შესახებ. მაგრამ ეს დასკვნა მხოლოდ ლოგიკური მსჯელობის შედეგი არ არის. წერილობით წყაროში პირდაპირი მითითებაა XI საუკუნის ქუთაისში სამეფო საჭურჭლის არსებობის შესახებ.

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, როდესაც მოგვითხრობს დიდებულთა აჯანყების შესახებ მეფე გიორგის II-ის წინააღმდეგ, წერს, რომ ამ აშლილობის ერთმა მოთავემ, ნიანია ქვაბულის ძემ „წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე“ და თვითონაც „შედგა ქუთათისს“[44].

აშკარაა, რომ სანამ სამეფოს დედაქალაქი ქუთაისშია, სახელმწიფოს ხაზინა, საჭურჭლეც იქაა. როდესაც მეფე დავით აღმაშენებელმა თბილისი გაანთავისუფლა მაჰმადიანთა ბატონობისაგან და საქართვე-

---

[42] ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 236.

[43] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, იხ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IV, თბ., 1982, გვ. 304—305.

[44] ქატიბანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316.

ლოს დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისს გადმოიტანა, ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დავითმა „დაუმკუდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ“ თბილისი[45]. თბილისის გადედაქალაქება, შვილებისათვის, ე. ი. სამეფო ტახტის მემკვიდრეებისათვის თბილისის საუკუნოდ სახლად. დედაქალაქად დამკვიდრება, ამ ქალაქში საჭურჭლის გადმოტანასაც ნიშნავდა.

ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესო ცნობას გვაწვდის XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი. მოგვითხრობს რა, მონღოლთა მფლობელობის დროს საქართველოს სამეფოს ორად, ლიხთიმერისა და ლიხთამერის სამეფოებად გაყოფის შესახებ და გვაუწყებს, რომ დავით რუსუდანის ძე ლიხთიმერის, ხოლო დავით ლაშა გიორგი ძე ლიხთამერის მეფეებად დაემკვიდრდნენ, „დაამტკიცეს, რათა განყონ სამეფო და საჭურჭლე ორად და განყვეს სამეფო [და] საჭურჭლენი“[46] ისტორიკოსი სრულიად აშკარად მიუთითებს, რომ საჭურჭლე იქ უნდა იყოს, სადაც სამეფო კარია. რადგან ამჯერად ეს სამეფო კარი, უკეთ რომ ვთქვათ მეფის ხელისუფლება ორ ქალაქში, შესაბამისად ორად გაყოფილ სახელმწიფოში, მოთავსდა, სამეფო ხაზინაც ორად გაიყო და თბილისსა და ქუთაისში განაწილდა.

[45] დავით აღმაშენებლის ისტორია, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342.
[46] ჯამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 243.

თავი VIII

კულტურა

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქუთაისმა საერთოდ, და კერძოდ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, ქართული კულტურის სხვადასხვა დარგების განვითარებაში.

მ წ ე რ ლ ო ბ ა. საფიქრებელია, ქუთაისში ადრევე გაჩაღდებოდა ლიტერატურული საქმიანობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძველ მასალას ნაკლებად ვიცნობთ. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ქუთაისში კერა ძველი ქართული მწერლობისა, კერა კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობისა უკვე ადრეული ხანიდან, ყოველ შემთხვევაში, ბაგრატ მესამის (975—1014) დროიდან მაინც უნდა არსებულიყო. საფუძველს იძლევა ბაგრატის მიერ 1007—1014 წლებში შედგენილი „აფხაზეთის მეფეთა დივანი“, ანუ ფაქტობრივად „აფხაზეთის ისტორია“, მისივე ინიციატივით და დაკვეთით თარგმნილი ზოგიერთი ჰაგიოგრაფიულ-აპოკრიფული თხზულება (მაგალითად, „ცხოვრებაჲ წმიდისა ბაგრატ-სი, ტავრომენიელო ქალაქის მღდელთმოძღურისაჲ“), მის კარზე მოქმედება მწიგნობრებისა, რომელთა „ზედა მთავრად“ ერთხანს გიორგი ათონელის ბიძა გიორგი მწერალი იყო, და სხვ.

მაგრამ ეს ორივე ცნობა, რასაკვირველია, ძალზე ცოტაა გარკვეული დასკვნების გამოსატანად. ასე რომ, ქუთაისის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ადრეულ ხანაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით. მაგრამ, რასაკვირველია, ქუთაისის ლიტერატურული შემოქმედებიდან ვერ გავმიჯნავთ გელათის კულტურული ცენტრის მოღვაწეობას.

გელათი დავით აღმაშენებლის ხანაშივე მიჩნეულ იქნა სასწავლო-სამეცნიერო კერად. სავანის დამაარსებელმა დროულად დაიჭირა თადარიგი და განსწავლული პირები მიიწვია იქ, საქართველოს და უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებს თავი მოუყარა და ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. მემატიანის ცნობით, დავით აღმაშენებელმა იქ „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოველითა სათნოებითა, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე,

სისრულე, სულიერისა და ხორციელთა სათნოებითა აღსავსე[illegible], იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა[1].

ისტორიკოსის თხრობიდან ჩანს, რომ საქართველოს სახელოვან მეფეს გელათის მონასტრის დაარსებისას ფართო მიზანი ჰქონდა დასახული. ის საფუძველს უყრიდა და ქმნიდა არა მხოლოდ საკულტო დაწესებულებას, არამედ ლიტერატურულ-საგანმანათლებლო-სამეცნიერო კერას. მართლაც, მეშატიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, გელათი იქცა „მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოველსა კეთილისად. მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესს მისსა[2].

დამოწმებული სიტყვებიდან ირკვევა, რომ გელათი იმთავითვე მიჩნეული იყო თვალსაჩინო კერად როგორც საერთო-ფილოსოფიური მეცნიერებისა (ათენად), ისე სასულიერო-საეკლესიო განათლებისა (იერუსალემად). არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ მეშატიანე გელათს ათენზე მაღლა აყენებდა.

მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა გელათში ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის სიცოცხლეში გაჩაღდა. მრავალმხრივი მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა გაიშალა გელათის სავანეში დაარსებულ აკადემიაში, სადაც შეიქმნა ფილოსოფიურ-ლიტერატურული თხზულებანი, სადაც მოღვაწეობდნენ ის ქართველი მწერლები და მოაზროვნეები, რომელთაც არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს ეროვნული კულტურა.

გელათის აკადემია XII საუკუნის საქართველოს პირმშოა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იმ დროს საქართველომ დიდ წარმატებებს მიაღწია. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწიფულობის ხანაში აჭაღლდა ქართული კულტურის დონე, განვითარდა ხუროთმოძღვრება და ჰედური ხელოვნება, მუსიკა და ფერწერა, ისტორიოგრაფია და ფილოსოფია, აყვავდა სიტყვაკაზმული მწერლობა. განათლებისა და მეცნიერების საერთო წინსვლამ განაპირობა აკადემიების აღმოცენება.

გელათში აკადემიის არსებობის საკითხი გაბედულად დასვა ე. თაყაიშვილმა. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა მის მიერ აღმოჩენილ „ჴელმწიფის კარის გარიგების“ ერთ ჩვენებაზე, კერძოდ მოძღვართმოძღვრის ინსტიტუტზე და დამაჯერებლად დაასკვნა, რომ მოძღვართმოძღვარი მასწავლებელთა მასწავლებელია, გელათის აკადემიის ხელმძღვანელია. „მოძღვართმოძღვარი, — წერდა მეცნიერი,—ეპის-

[1] დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.
[2] იქვე, 330—331.

კოპოსია, ის გელათში ზის, ის მასწავლებელთა მასწავლებელია, ის მეცნიერთა მეცნიერია, მას მოწაფეები ჰყავს. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ გელათში უმაღლესი სასწავლებელია, იქ აკადემიაა და ამ აკადემიის ხელმძღვანელი, უფროსი, ანუ ახლანდელი ტერმინოლოგიით რექტორი გელათის აკადემიის ეპისკოპოსია, რომელსაც მოძღვართ-მოძღვრის ხარისხი აქვს[3].

ე. თაყაიშვილის აზრი გაიზიარა და აკადემიის შენობად გელათის ანსამბლის ერთი მოზრდილი ნაგებობის ნანგრევები მიიჩნია გ. ჩუბინაშვილმა[4]. მისი ვარაუდი დაადასტურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციამ.

გელათის აკადემიის შენობა მდებარეობს მონასტრის ტერიტორიაზე, ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთით, აქვს ვრცელი დარბაზის სახე, არქიტექტურულად საერო-სამოქალაქო სტილისაა. კედლების გასწვრივ შემონახულია ქვის დასაჯდომები. დარბაზის შუა ადგილას (დასავლეთის კედელთან) ცალკეა ქვის მაგიდა, რომელიც კათედრის მოვალეობას ასრულებს. კედლებში შემორჩენილია თახჩები, რომლებსაც, ალბათ, სასწავლო ნივთების შესანახად იყენებდნენ.

აკადემიაში ისწავლებოდა ფილოსოფია, გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ასტრონომია[5]. მთელ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობდა მოძღვართმოძღვარი[6].

გელათის აკადემიის ერთ-ერთი პირველი მოღვაწეა თვალსაჩინო მოაზროვნე არსენ იყალთოელი (XI—XII სს.), რომელიც 1114 წელს დაბრუნდა უცხოეთიდან სამშობლოში და ახლად დაარსებულ კერაში დამკვიდრდა. იქ მან გააჩაღა კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა, კერძოდ, თარგმნა „დიდი სჯულისკანონი“[7].

დავით აღმაშენებლის ხანაშივე მოღვაწეობდა გელათში მეორე გამოჩენილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი (XI—XII სს.). ბულგარეთში, პეტრიწონის მონასტერში მოღვაწეობის შემდეგ იოანე სამ-

[3] ჯელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1920, გვ. XXXII.

[4] გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, თსუ, III, 1923, გვ. 108—112.

[5] ი. ბერიტაშვილის ვარაუდით, გელათის აკადემიაში ბუნებისმეტყველებაც ისწავლებოდა (ი. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ, საქართველოში, ძველი დროიდან მეთორმეტე საუკუნემდე), თბ., 1957, გვ. 132—134.

[6] ცნობილია რამდენიმე გელათელი მოძღვართმოძღვარი — ანტონი XIII ს., სა. XIV ს., ილარიონი XVI ს. და სხ.

[7] დიდი სჯულის კანონი, თბ., 1975.

შობლოში დაბრუნდა და დავით აღმაშენებლის დახმარებითა და ხელშეწყობით გელათში განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა. ნემესიოს ქმნესელის წიგნის იოანესეული თარგმანის ერთ ნუსხას შემონახული აქვს ასეთი მინაწერი: „ელლადელთ ჴმათაგან გარდამოიცა ესე ქართულად საკვირველისა ფილოსოფოსისა ჩუენისა პეტრიწისა მიერ, იოანნედ სახელდებულის კელლინსა შინა გაენათისასა“ (S.N 1358, 220)[8].

იოანე პეტრიწმა გელათში არაერთი თხზულება დაწერა თუ თარგმნა. სხვათა შორის, მკვლევართა აზრით, აკადემიის მსმენელთათვის დაწერილი სალექციო კურსია მისი „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“[9], რომელიც მან დაურთო პროკლე დიადოხოსის თხზულების—„კავშირნი ღუთისმეტყველებითნის“ თარგმანს.

იოანე პეტრიწი უკმაყოფილებას გამოთქვამდა დაუფასებლობის გამო. გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მას დევნიდნენ და ავიწროებდნენ ბერძნები და ქართველები. განსაკუთრებით ნაწყენი იყო თანამემამულეებზე, რომელთაც არ შეუწყვეს ხელი და არ აღმოუჩინეს სათანადო დახმარება. უკეთეს პირობებში იგი ფილოსოფიური კვლევა-ძიების უფრო მაღალ დონეზე წარმართვას იმედოვნებდა, რადგან კარგად გრძნობდა თავის მეცნიერულ შესაძლებლობას: „თუმცა მე რაჲმე თანსიყუარული და მეწევნაჲ მჩუენებოდა მათგან..., ენაჲმცა ენისადა გამეწყო და ხელდვაჲმცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მეარის̈ტოტელურა“; საქართველოში დაბრუნებულს დავით აღმაშენებლის იმედიღა ჰქონდა: „არამედ აწ შეძლებისაებრ და ძალისა ჩემისა აწცა ვიღონო სწორადვე წყალობათა. ღმრთისათა დავითის გამგონეობისად და წყალობათა და თანადგომისა მინდობილმან“[10].

საფიქრებელია, რომ სწორედ დავით აღმაშენებლის თანადგომამ განაპირობა როგორც იოანე პეტრიწის წარმატება, ისე გელათის აკადემიის დაწინაურება.

ჩანს, იოანე პეტრიწის მოღვაწეობა გელათში საკმაოდ მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო. თავისთავად ის ფაქტი, რომ იმ პერიოდისა და მომდევნო ხანის გელათელი მწიგნობრები პეტრიწონის სკოლის მიმდევრებად გვევლინებიან და მათ ენასა და სტილს პეტრიწონის სკოლის იერი დაჰკრავს, უთუოდ იმას მოწმობს, რომ იოანე პეტრიწმა გელათში საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა, თანამოღვაწენი და

[8] ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, თბ., 1914, გვ. XIV.
[9] იოანე პეტრიწი, შრომები, II, თბ., 1937.
[10] იოანე პეტრიწი, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

თანამოაზრენი შეიძინა, თანამშრომლები შემოიკრიბა. ამიერიდან გელათი იქცა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების უმთავრეს კერად და ამ დარგის კადრების სამჭედლოდ.

გელათში ჯეროვანი ყურადღება ეთმობოდა მწერლობის სხვა დარგების განვითარებასაც, მაღალ დონეზე მიმდინარეობდა ორიგინალურ-შემოქმედებითი თუ მთარგმნელობითი საქმიანობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილია ერთი ჰაგიოგრაფიული კრებული, რომელშიც წარმოდგენილია სვიმეონ მეტაფრასტის (X ს) შრომის გაგრძელება — რამდენიმე თვის გადამეტაფრასებული საკითხავები. ანდერძით, იგი გადამეტაფრასებულია „პალატისა მწიგნობართა უაღრესისა, ყოვლად ბრძნისა ფილოსოფოსისა“ იოანე ქსიფილონის მიერ. ქართული მასალებით გაირკვა, რომ სვიმეონის შრომა განუგრძია იოანე ქსიფილინოსს, რომელიც თავის საქმეს 1080 წელს შესდგომია“[1]. ეს ცნობა, სრულიად მოულოდნელია, ანაზდეული აღმოჩნდა ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში, ამიტომ მან ერთგვარი სენსაცია გამოიწვია დაინტერესებულ სამეცნიერო წრეებში როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ყველაზე საყურადღებოა, რომ იოანე ქსიფილინოსის უზარმაზარი შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადაა დაცული. ასე რომ, შესაძლებელი ხდება საშუალო საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვსება (კ. კეკელიძე).

იოანე ქსიფილინოსის თხზულებათა ქართული თარგმანი, რომლის ხელნაწერები KN 1, 2, 3, 4, 5,...) გელათის წიგნსაცავმა შემოგვინახა, შესრულებული უნდა იყოს გელათის აკადემიაში XII ს. მეორე მეოთხედში. მთარგმნელის სახელი უცნობია, მისი ხელიდან გამოსული თხზულებების გაცნობა საფიქრებელს ხდის, რომ იგი პეტრიწონის ლიტერატურული სკოლის ტრადიციების მატარებელია.

XIII საუკუნის მეორე მეოთხედში გელათში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა არსენ ბულმაისიმისძე — ნაყოფიერი ჰიმნოგრაფი და აგიოგრაფი, რომლის სახელით არაერთი თხზულებაა მოღწეული, სახელდობრ, ნინოსა და შიო მღვიმელის საგალობლები (N 385, 561, 1001; N1349), შიო მღვიმელის სვინაქსარული „ცხოვრება“ (HN 1349), „იამბიკური სვინაქსარი ოთხთა თთუენთანი“ (AN 85), ხელთუქმნელი ხატის ძლისპირნი (AN 85) და სხვანი, რომლებიც წარმოადგენენ არსენ ბულმაისიმისძის განსწავლულობასა და მჭერმეტყველების უნარს.

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, Иоанн Ксифилин, продолжатель Метофраста, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, გვ. 227—241.

სხვათა შორის; არსენს ეკუთვნის ის ცნობილი გამონათქვამი, რომელსაც ხშირად მოწმებენ: „დიდ არს ძალი სიყუარულისა, რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასსა შეკადრებად შეუკადრებელთაცა... ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომლისამე საქებულ ყოფად, ხოლო სხჳსა განჭიქებად უმეცრებისა“[12].

როგორც კარგადაა ცნობილი, გელათი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. გელათის სავანეში საგანმანათლებლო მოღვაწეობა გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც.

გელათში ძველთაგანვე დიდი წიგნთსაცავი არსებობდა. გელათის ხელნაწერი კოლექციიდან, რომელიც ამჟამად ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული, განსაკუთრებით საყურადღებოა დიდი ოსტატობითა და გემოვნებით შესრულებული XII საუკუნის ოთხთავი (QN 908), XII საუკუნის ბიბლია (ÂN 1108), გრიგოლ ჩახრუხაძისეული „დიდი სჯულისკანონი“ (KN 25) და სხვა წიგნები.

ხელოვნება — ქუთაისს, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ჯერ დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს, შემდეგ კი მთელი საქართველოს დედაქალაქშიც იყო, უეჭველია, ხელოვნების დარგში დიდი ტრადიციები უნდა ჰქონოდა. ამას მოწმობს როგორც ქალაქის შორეული წარსულის შესახებ ფრაგმენტულად შემორჩენილი ცნობები, ისევე ბოლოდროინდელი არქეოლოგიური უელევე-ძიების მიერ გამოვლენილი ნაშთები (გაბაშვილის გორაზე, ბაგრატის ტაძრის გარშემო), რომლებიც ქალაქის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპს მიეკუთვნება და დროის ძალიან დიდ მონაკვეთს (რამდენსამე ათეულ საუკუნეს) მოიცავს. ამასვე მოწმობს ჩვენთვის კარგად ცნობილი დათარიღებული ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომლებიც ქართული არქიტექტურის უმაღლესი აყვავების ხანაშია შექმნილი. ამგვარ ძეგლთა აგება ხანგრძლივი მჭატერული ტრადიციის გარეშე შეუძლებელია იყო. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქუთაისის ახლო მდებარე გეგუთის ე წ. ციხე-დარბაზის ზოგი ფენა განეკუთვნება VIII—X საუკუნეებს. თავდაპირველად ეს მეფეთა „სანადირო სახლი“ იყო, შემდეგ კი მას

[12] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ჭაონოლიგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, თბ., 1897, გვ. 109.

მიემატა დიდი, შეკრული კამარით გადახურული და ოთხი კამაროვანი მკლავის მქონე, სამეფო დარბაზი. ამ მშენებლობას მკვლევარნი მეფე გიორგი III (1156—1184) მოღვაწეობის ხანასთან აკავშირებენ.

როგორც ცნობილია, X—XI საუკუნეების მიჯნაზეა აგებული სახელგანთქმული ბაგრატის ტაძარი. ჩრდილოეთის სარკმლის წარწერის ცნობით, „ოდეს განიმტკიცნეს იატაკი ქორონიკონი იყო 223“, ე. ი. 1003 წელი. დასავლეთისა და სამხრეთის კარიბჭეები XI საუკუნის I ნახევარს მიეკუთვნება, ბაგრატ III განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნა ახალი ტაძრის კურთხევა. მას სურდა, ამით ხაზი გაესვა, რომ ქუთაისის კათედრალი ეროვნული ძეგლი იყო და მისი მნიშვნელობა მთელ საქართველოს სწვდებოდა.

ბაგრატის ტაძარი თავისი გეგმით (ტრიკონქი), ფასადების დამუშავებით უკავშირდება ტაო-კლარჯეთის X საუკუნის ხუროთმოძღვრებას (კერძოდ ოშკის ტაძარს). ამავე დროს იგი განვითარებული ნიშა საუკუნეების ქართული არქიტექტურის სრული მხატვრული სიმწიფის ერთ-ერთი პირველი მომასწავებელია და მისი ერთი უმაღლესი ნიმუშთაგანი. ტაძარი, რომელიც XVII ს. ბოლოს თურქებმა ააფეთქეს, თავდაპირველად შიგნით მოზაიკით ყოფილა მორთული.

თუ ვერწმუნებით შვეიცარიელი მეცნიერის დიუბუა დე მონპერეს მიერ წარწერის (რომელიც დღეს არ არსებობს) წაკითხვას, XI საუკუნის დასაწყისში (1013 წ.) უნდა ყოფილიყო აშენებული ქუთაისში „მწვანე ყვავილაზე“ მდებარე მცირე უგუმბათო ეკლესია. რომელმაც მხოლოდ უმნიშვნელო ნანგრევის სახით მოაღწია ჩვენამდე.

ქართული ხელოვნების ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს დავით აღმაშენებლის მიერ 1106 წელს დაარსებული გელათის მონასტერი. იქ მარტო მეცნიერნი და მწერალნი კი არ იყრიდნენ თავს, არამედ დიდი ხუროთმოძღვრები, ოქრომჭედლები, კალიგრაფები, მინიატურისტები, კედლის მხატვრობისა და მოზაიკის ოსტატებიც მოღვაწეობდნენ დიდი ხნის განმავლობაში.

დავითის დროინდელია მონასტრის მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისა — დიდი გუმბათოვანი ნაგებობა სამი შვერილი აფსიდით, ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი XII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრებისა. მისი კარიბჭე-ეკვდერები და სხვა ეკლესიები — წმ. გიორგისა, წმ. ნიკოლოზისა (ორსართულიანი), სამრეკლო (ერთი უადრესთაგანი საქართველოში), აკადემიის შენობა— XII—XIII საუკუნეთა მანძილზეა აგებული.

ამავე ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია ბაგრატის ტაძრის გვერდით, აღმოსავლეთის მხარეს, რომელიც 1984 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს გაიწმინდა. მან ნანგრევების სახით მოაღწია, მაგრამ გადარჩენილია რამდენიმე ორნამენტული ფრაგმენტი, რომელიც, ისევე როგორც კედლის პერანგის წყობა, მოწმობს შესრულების მაღალ დონეს.

XII საუკუნეს განეკუთვნება გელათის მთავარი ტაძრის კონქის მოზაიკა ღვთისმშობლისა და მთავარანგელოზთა გამოხატულებით.— ქართული სამოზაიკო ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები: აგრეთვე დასავლეთის ეკვდერის მოხატულობა, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს I—VII მსოფლიო საეკლესიო კრებების გამოსახულება (შესრულებულის შერეული ტექნიკით.— ფრესკულითა და „სეკოთი").

ეს რთული მრავალფიგურიანი კომპოზიციებია, რომლებიც მოწმობს შემუშავებული იკონოგრაფიული კანონების, ეკლესიის ისტორიის, კერძოდ, მსოფლიო საეკლესიო კრებათა ისტორიის ცოდნას. თანმხლებ განმარტებით წარწერებში მოხსენიებულნი არიან კრებათა მონაწილე ისტორიული პირები. იმავე დროს, ეს ფრესკები ორგანულად უკავშირდება ქართული მონუმენტური მხატვრობის ტრადიციებს. მათს შინაარსშიც შესაძლებელია დავინახოთ გარკვეული გამოძახილი საკუთრივ საქართველოს მაშინდელი ისტორიული სინამდვილისა (საეკლესიო კრებები დავით აღმაშენებლის მეფობაში, დისპუტები მართლმადიდებლებსა და მონოფიზიტებს შორის და სხვ.).

ეკვტერების მოხატვა გრძელდებოდა XIII საუკუნეშიც — ამ დროს მიეკუთვნება სამხრეთ ეკვდერის მხატვრობა მეფის დავით ნარინის ორი პორტრეტით — ერთში მეფეს საერო ტანსაცმელი მოსავს, მეორეში — ბერად აღკვეცის შემდეგ—სასულიერო.


გელათთან არის დაკავშირებული XII საუკუნის ქართული ოქრომჭედლობისა და საჭურჭლეო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშების შექმნა. საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება სახელგანთქმული „ხახულის ღვთისმშობლის ხატი". ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლთაგანი ბუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის, რომელიც თვალსაჩინოდ ავლენს ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს—დეკორაციული ტენდენციების გაძლიერებას. თავდ პირველ დ ი ა ე კ უ თ ვ ნოდა სახელის ტაძარს, შემდეგ კი კელათს იქნა გადატან აქვე შეასრულეს მისი გრანდიოზული ჩარჩო, რომელიც ტრიპტიქონს წარმოადგენს (შუა ნაწილი ოქროსია, ფრთები ოქროული ვერცხლისა).

ტრიპტიქონი ურთულესი ჩუქურთმის სახეებითაა დაფარული და ძვირფასი ქართული და ბიზანტიური მინანქრებითაა შემკული. მთელი მოჩუქურთმებული ზედაპირისა და მინანქრების ურთიერთშეთანხმება ერთიან მხატვრულ ჩანაფიქრს ექვემდებარება (ამჟამად ხატი თბილისშია, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში).


XI—XII საუკუნეებში იყო შესრულებული ოქრომჭედლობის ზოგი სხვა ნიმუშიც, მაგალითად, გელათის სახარების ყდა (ამჟამად დაკარგულია).

XII საუკუნის ქართული სამინიატურო ხელოვნების ნიმუშთაგან ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს გელათის ცნობილ სახარებას, რომელიც მაღალი ოსტატობით შესრულებული 259 მინიატურით, კამარებით, საზედაო ასოებითა და თავსართებითაა შემკული. კამარების დამუშავება განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა. გელათის სახარება ამ ეპოქაში შექმნილ ქართულ „საზეიმო“ (პარადული) ხელნაწერების რიგს მიეკუთვნება. ვარაუდით იგი გელათში უნდა იყოს შესრულებული. გელათშივე უნდა შექმნილიყო XIII საუკუნის ოთხთავი, რომლისგანაც მხოლოდ ორი მინიატურაა გადარჩენილი (ინახება სანკტ პეტერბურგში სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში).


ილუსტრაციები




1. „გაბაშვილის გორა“ (ტოპოგეგმა)




ა. „გაბაშვილის გორა“ — ნაგებობის ქვის საძირკვლის ნაშთი (ძვ. წ. VIII—VII სს.)




3. „გაბაშვილის გორა“—წინარე ანტიკური ხანის კერამიკის ფრაგმენტები




4. „გაბაშვილის გორა“ — წინარე ანტიკური ხანის ორნამენტიანი კერამიკა




5. ახ. წ. IV საუკუნის ციტადელი (აქსონომეტრია)




ნახ. წ. IV საუკუნის კომპის გეგმა და წყობის ხასიათი



7. „ცოტა კარი“ (IV—V სს).




8. IV—V ს. ს. გოდლედებიანი ზღუდე (დეტალი)



9. ქუთაისის ციხე-ქალაქის გეგმა (IV საუკუნის მე-2 ეტაპი)




10. V საუკუნის გალავნის კედლის ნაწილი



11. სასახლის გეგმა (IV ს.)




12. საამშენებლო ფენების განლაგება შიდაციხის სამხრეთის კედელზე




13. ციტადელის სამაბსიდიანი ეკლესია (V ს.)


14. ორაბსიდიანი ეკლესია (VI ს.)




15. აბანო (აქსონომეტრია V—VII სს.)




16. V—VII ს. ს. აბანო ჰიპოკაუსტის ნაწილი



17. დედაბურჯი V—VI სს. მიჯნა




18. დიდკვადროვანი წყობა V—VI სს.




19. წყობის ხასიათი V—VI სს. მაჯნა




20. ამფორები (IV—V სს)




21. ამფორები (V—VI სს.)




22. ქვევრები (IV—VIII სს.)




23. დოქები (IV—VI სს.)




24. სუფრის ჭურჭელი (IV—VI სს.)




25. დერგები (IV—VI სს.)



26. სამზარეულო კერამიკა (IV—VI სს.)




27. IV—VIII საუკუნეების კრამიტები




28. სამშენებლო კერამიკა



29. სასაკმევლე (VI—VII სს.)




30. მეფეთა სასახლე (VIII ს. — გეგმა)



31. VIII საუკუნის სამეფო აბანოს ნაშთი (გეგმა და აქსონომეტრია)



32. ბაგრატიონთა სასახლის დასავლეთი კედლის ნაშთი




ა3. სამრეკლო (XIII ს.) ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.




34. ციტადელის ეკლესია (XIII ს.)



35. ასომთავრულწარწერიანი ქვის კარნიზი ჯვრების რელიეფური გამოსახულებებით (XI ს.)



36. ანტეფიქსი (XI ს.)



ნაქალაქარის გალავნის და არქეოლოგიური ძეგლების გეგმები შესრულია და თანამედროვე ქალაქის გეგმარებით სტრუქტურას შეუთავსა არქიტექტორმა ი. გელისიანი

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი (ოთარ ლორთქიფანიძე) 3
1. ქუთაისის ქვეყანა: ისტორიის გეოგრაფიული ფონი. 3
2. ისტორიის წყაროები. 6
3. ისტორიოგრაფიული მიმოხილვა 18

თ ა ვ ი I. უძველესი დროიდან ახ. წ. IV. სს-მდე 23
(ოთარ ლორთქიფანიძე)
1. პირველმოსახლენი. 23
2. დემოგრაფიული აფეთქება. 27
3. ქალაქ ქუთაისის წერილობით წყაროებში პირველმოხსენიების საკითხისათვის. 34
4. „ბნელი პერიოდი“ (ძვ. წ. IV—III ს—ახ. წ. IV საუკუნემდე). 57

თ ა ვ ი II. ციხე-ქალაქი ქუთაისი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სისტემაში 60
(ომარ ლანჩავა)
1. ქუთაისი ეგრისის მთავარი ქალაქი IV ს-ში. 60
2. ქუთაისი ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში (V ს.). 69
3. ქუთაისი ბიზანტია-ირანის დიდი ომიანობის პერიოდში (VI ს.). 76

თ ა ვ ი III. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი. 89
(მარიამ ლორთქიფანიძე)

თ ა ვ ი IV. ქუთაისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი 118
(მ. ლორთქიფანიძე)

თ ა ვ ი V. ქუთაისი 1122 წლიდან 1260 წლამდე (მ. ლორთქიფანიძე) 126

თ ა ვ ი VI. ქალაქის გარეგანი სახე, განაშენიანება, საქალაქო მმართველობა (მ. ლორთქიფანიძე) 132

თ ა ვ ი VII. ქალაქის სამეურნეო ცხოვრება (მ. ლორთქიფანიძე) 151

თ ა ვ ი VIII. კულტურა
1. მწერლობა (ლევან მენაბდე) 170
2. ხელოვნება (ვახტანგ ბერიძე) 175
ილუსტრაციები 179

რედაქტორი როინ მეტრეველი
პასუხისმგებელი რედაქტორი ომარ ლანჩავა
მხატვარი არქიტექტორი გელა გრძელიძე
ტექნიკური რედაქტორი ირა ნაცვლიშვილი
კორექტორი ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 15.04.94, ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.11.94. საბეჭდი ჭალადი 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13,75. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,75. ტირაჟი 2000. შეკვ. №1595.

ფასი სახელშეკრულებო

КУТАИСИ С ДРЕВНЕЙШИХ ВРЕМЁН ДО XIII В.

Издательство «Мецниереба» и «Кутатиси»
Тбилиси — Кутаиси
1994